

**საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა
უნივერსიტეტი**

**ვ.პ. გურგენიძე, მ.ვ. გურგენიძე
თ.რ. ურთმელიძე**

**ირანის ისლამური რესპუბლიკის
კონსტიტუციური სამართალი და
პოლიტიკურ-რელიგიური ინსტიტუტები**



**რეკომენდირებულია სახელმძღვანელოდ საქართველოს
საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის
სამეცნიერო კვლევითი ცენტრის გადანაცვეტილებით**

**თბილისი
2010**

UDC (უაკ) 342.4(55)

გ-961

რედაქტორი და პროგრამის

ხელმძღვანელი: საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის რექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი
ზ. ამილახვარი.

კონსულტანტი: საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის პრორექტორი ეკონომიკის დოქტორი, სრული პროფესორი
კახაბერ ერაძე

რეცენზენტები:

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი **ზ. ჯინჯოლავა;**
სამართლის დოქტორი **ა. მოსულიშვილი;**
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი **ა. ტუყვაძე;**
ფილოსოფიის დოქტორი, სრული პროფესორი
მ. გოგატიშვილი

ნიგნი იბეჭდება საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადანყვეტილებით და რეკომენდაციით.

© ვაჟა გურგენიძე, მირანდა გურგენიძე, თამაზ ურთმელიძე

ISBN 978-9941-0-2323-1

წინასიტყვაობა.....	4
თავი I – ირანის ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემა	7
I. 1 – ქვეყნის სავიზიტო ბარათი.....	7
I. 2 – ირანის ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკურ- რელიგიური სისტემის თავისებურებანი	10
თავი II – კონსტიტუციონალიზმისა და პარლამენტარიზმის განვითარება.....	19
II. 1 - 1906 წლის „ნაჩუქარი“ კონსტიტუცია და პარლამენტური (კონსტიტუციური) მონარქიის ევოლუცია	19
II. 2 – პირველი კონსტიტუციის 1907 წლის შესწორებები, დამატებები და ცვლილებები	25
თავი III – 1979 წლის „სახალხო კონსტიტუციის“ მიღება და ისლამური რესპუბლიკის წყობილება ირანში	34
თავი IV – ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკურ-რელიგიური და სამართლებრივი ინსტიტუტები	56
IV. 1 – „ველაიათ-ე ფაყიჰის“ ინსტიტუტი	56
IV. 2 – საზედამხედველო საბჭოს კონსტიტუციური საფუძველი	60
IV. 3 – საკანონმდებლო ხელისუფლების სამართლებრივი რეგულირება	63
IV.4–აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კონსტი- ტუციური რეგულირება	69
IV. 5 – სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური რეგლამენტირება	77
IV. 6 – ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭო.....	88
თავი V – 1979 წლის კონსტიტუციაში დამატებების ცვლი- ლებებისა და შესწორებების შეტანის წესი	90
თავი VI – ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ქართულ ენაზე)	104
ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია (რუსულ ენაზე).....	172
რეზიუმე ინგლისურ და რუსულ ენებზე	220
ირანის ისლამური რევოლუციის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ფაქტების ქრონოლოგია.....	223
გამოყენებული ლიტერატურა.....	229
ტერმინების მოკლე განმარტება.....	233

წინასიტყვაობა

თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების კონტექსტში კონსტიტუციონალიზმის ცნება კონსტიტუციის მიერ ხელისუფლების შეზღუდვასთან და საბოლოოდ სახელმწიფო სამართალზე დაქვემდებარებასთან არის გაიგივებული.

კონსტიტუციონალიზმის გაგება შეიძლება ორნაირად:

1) ეს არის მმართველობა, შეზღუდული კონსტიტუციით, პოლიტიკური სისტემა (პოლიტიკური ინსტიტუტები) დამყარებული კონსტიტუციაზე, მმართველობის კონსტიტუციური მეთოდები;

2) ეს არის პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია, დოქტრინა, რომელიც ასაბუთებს კონსტიტუციური წყობილების დამკვიდრების აუცილებლობას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ, როდესაც იხილება კონსტიტუციონალიზმის ხარისხის, მისი დონეების პრობლემა, უნდა გამოვყოთ მისი ორი ტიპი – დასავლური და აღმოსავლური. თუმცა აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებულ იურიდიულ და პოლიტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში მკვლევარები რატომღაც თავს არიდებენ აღმოსავლური ტიპის კონსტიტუციონალიზმის, როგორც არსებული პრობლემების განხილვას. ჩვენ კი ვთვლით, რომ ამ საკითხის გაშუქება და მეცნიერული ანალიზი აქტუალურიც არის და მართებულიც. აქედან გამომდინარე ჩვენ შევეცდებით ირანის ისლამური რესპუბლიკის მაგალითზე დავამუშაოთ ეს მნიშვნელოვანი თემა, შევიტანოთ ჩვენი მოკრძალებული წვლილი მოცემული პრობლემის განხილვაში.

კონსტიტუცია ხშირად ექცევა საზოგადოების რეფორმებისა და მოდერნიზაციის ყურადღების ცენტრში და სწორედ ამიტომ მას სამართლიანად უწოდებენ სახელმწიფოსა და საზოგადოების სავიზიტო ბარათს.

ნაშრომში შედარებითი, კონცეპტ ანალიზის, დიალექტური და სხვა მეთოდების გამოყენებით გაანალიზებულია ირანის კონსტიტუციონალიზმის და პარლამენტარიზმის ევოლუცია, სახელმწიფოს განვითარების ერთიანი პროცესი. ამასთან მთავარი ადგილი ეთმობა პოლიტიკური ინსტიტუტების გენეზისისა და სრულყოფის საკითხებს ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდში.

ავტორებმა დაისახა ამოცანა შეისწავლონ „ისლამური სახელმწიფოს“ ჩამოყალიბების მიზეზები, მისი სტრუქტურული სრულიად ახალი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოდელი და კერძოდ პოლიტიკური სისტემა, მისი განვითარების ძირითადი ეტაპები. მონოგრაფიაში გამოკვლეულია ირანის ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის ძირითადი ეტაპები ისლამური სამართლიანობის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და რელიგიურ-იდეოლოგიური ასპექტები.

ნაშრომი წარმოადგენს მეზობელი ირანის კონსტიტუციური წყობილების საკითხების შესწავლის პირველ ცდას, და ამისათვის ავტორები მართებულად იყენებენ ირანის ორ კონსტიტუციას, როგორც კვლევა-ძიების ძირითად ბაზას და შესწავლის ობიექტს. ამავე დროს ავტორები აქტიურად იყენებენ სპარსულენოვან მასალებს.

საყურადღებო ცნობებია დაცული დასავლეთ ევროპის ენებზე გამოქვეყნებულ ნაშრომებში.

სპარსული და ევროპული მასალების გვერდით ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციონალიზმისა და პარლამენტარიზმის შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომებს, რასაც ავტორები იყენებენ და აანალიზებენ წიგნზე მუშაობის პროცესში. მათში მოიპოვება მასალები რომლებიც აშუქებენ არა მარტო ირანის კონსტიტუციური მოწყობის მნიშვნელოვან პრობლემებს, არამედ საკმაოდ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ირან-რუსეთის ურთიერთობებისა და საკუთრივ ირანის უახლესი ისტორიის და პოლიტიკის შესახებ.

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში, ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო-ისტორიულ არქივში და საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცული დოკუმენტები, რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალი ფაქტის გაშუქებასა და დაზუსტებისათვის. ბევრი საყურადღებო დოკუმენტია დაცული აღნიშნულ არქივებში საკუთრივ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების დასახასიათებლად.

ირანის 1905-1911 წ.წ. პირველი რევოლუციის ძირითადი შედეგია, ის რომ, ქვეყანაში შემოღებული იქნა

კონსტიტუციურ-პარლამენტური მმართველობა და ამით განხორციელდა მონარქიული რეჟიმის შეზღუდვა. აღნიშნული ცვლილებები განმტკიცებული იქნა ეგრეთ წოდებული ირანის „ნაჩუქარ“ კონსტიტუციაში და ავტორების მიერ არის შეფასებული როგორც ირანის პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის მეორე ტალღა. 1978-1979 წლების ირანის ისლამურმა რევოლუციამ შეცვალა არსებული რეჟიმი მმართველობის რესპუბლიკური ფორმით. 1979 წლის 1 აპრილს ირანი ოფიციალურად იყო გამოცხადებული ისლამურ რესპუბლიკად, რაც შესაბამისად იყო განმტკიცებული ირანის 1979 წლის ისლამური რესპუბლიკის „სახალხო კონსტიტუციით“, ავტორთა აზრით იგი წარმოადგენდა ირანის პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის მესამე ტალღას, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა ცხოვრების ყველა სფეროში.

ისლამური სახელმწიფოს ანუ ისლამური მმართველობის ფორმის სტრუქტურული მოდელი დამუშავებული იქნა ჯერ კიდევ აღნიშნულ რევოლუციამდე ირანის შიიტების სულიერი ლიდერის აიათოლა რუხოლა ხომეინის მიერ.

ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორცაა: ირანის ისლამური რესპუბლიკის საკანონმდებლო ხელისუფლება 1978 წლის კონსტიტუციის მიხედვით; აღმასრულებელი ხელისუფლების კონსტიტუციური არსი და ხასიათი; ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის ინსტიტუტი; ისლამური რესპუბლიკის მთავრობა და სასამართლო ორგანოები.

თავი – I. ირანის ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემა

1. 1. ქვეყნის სავიზიტო ბარათი

ირანი ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ცივილიზაციის მატარებელი ქვეყანაა. იგი მდებარეობს დასავლეთ აზიაში. ჩრდილოეთით ესაზღვრება სომხეთს, აზერბაიჯანს, თურქმენეთს; აღმოსავლეთით – ავღანეთს და პაკისტანს, ხოლო დასავლეთით – ერაყსა და თურქეთს. ჩრდილოეთით ირანს ესაზღვრება კასპიის ზღვა, სამხრეთით კი სპარსეთის ყურე, ომუზის სრუტე და ომანის ყურე. მისი ტერიტორია მოიცავს 1.648.000 კვადრატულ კილომეტრს.

ფართობის სიდიდით და მოსახლეობის რაოდენობით ირანი სამხრეთ-დასავლეთ აზიის ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა. ყველაზე დიდი სახმელეთო საზღვარი ირანს აქვს ერაყთან 1468 კილომეტრი, ყველაზე მოკლე სომხეთთან 35 კილომეტრი. სამხრეთ-დასავლეთ აზიაში ირანს ფართობით ჭარბობს მხოლოდ საუდის არაბეთი (2,2მლნ კვ.კმ).

ირანის დედაქალაქი თეირანია, დიდი ქალაქების ხუთეულია მოსახლეობის რაოდენობის მხრივ:

1. თეირანი 7 მილიონი კაცი; 2. მეშხედი – 1,5 მილიონი, 3. ისფახანი 1,1 მილიონი, თებრიზი 950 ათასი, შირაზი 920 ათასი. [იხ.: Страны мира (Современный справочник) М., 2008, стр. 177].

მჭიდროდაა დასახლებული ქვეყნის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთი. სიმჭიდროვე იქ 80-120 კაცს აღემატება, ყველაზე მეჩხერადაა დასახლებული ცენტრალური რაიონები, სადაც 1 კვადრატული კილომეტრზე 1 კაცი მოდის. ირანის მოსახლეობის სტრუქტურაში ჭარბობენ მამაკაცები. მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენენ ბავშვები და ახალგაზრდა ასაკის მოზარდები.

მოსახლეობის რაოდენობით ირანი მსოფლიოს ქვეყნების „დიდ ოცეულშია“ და მეორეა სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. მოსახლეობის (59%) ცხოვრობს ქალაქებში. უდიდესი ნაწილი მოსახლეობისა (99%) ისლამის მიმდევარი, ძირითადად შიიზმის. ირანი მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც შიიზმი სახელმწიფო რელიგიაა. ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობა ასეთია: სპარსელები – 66%, აზერბაიჯანელები – 18 %, ქურთები – 4%, არაბები,

ბელუჯები, ებრაელები, სომხები და სხვები – 12% [იხ.: Страны мира (Современный справочник) М., 2008, стр. 177].

ოფიციალური ენა სპარსულია (ფარსი), ხოლო დამწერლობა არაბულია. ოფიციალური დოკუმენტები, წერილები, ოქმები და წიგნები სპარსულ ენაზე დგება.

ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ „ეროვნულ უმცირესობას უფლება აქვთ – პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში, ასევე სკოლებში, სპარსულ ენასთან ერთად გამოიყენონ საკუთარი ენა“ [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია, თავი II, მუხლი 15, გვ. 6. თბ. 1994].

ისლამურ რესპუბლიკაში განსაკუთრებულ პირობებს ქმნიან არაბული ენის შესწავლისათვის, ვინაიდან, როგორც კონსტიტუციაშია აღნიშნული, ყურანი არაბულ ენაზე არის შედგენილი და ისლამური მოძღვრება განვითარდა არაბული ენიდან. გარდა ამისა სპარსული ლიტერატურა და პოეზია ტრადიციულად დაკავშირებულია არაბულ ლიტერატურასთან და ახდენს ურთიერთზემოქმედებას. სწორედ ამ მიზეზითა და აღნიშნული გარემოების თანახმად ირანის დაწყებით და საშუალო სკოლებში არაბული ენის შესწავლა არის სავალდებულო. [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია, თავი II, მუხლი 16, გვ. 7].

მკვლევარი გ. ჭიპაშვილი მართებულად აღნიშნავს „ეროვნულ უმცირესობათა ენების სასწავლო დაწესებულებებში ხმარების ახალ კონსტიტუციაში მოხსენიება იმან გამოიწვია, რომ მონარქიის დამხობის შემდეგ ახალი ძალით გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქურთები, არაბები, ბელუჯები [დამ. ვ. გურგენიძე] და ზოგიერთი სხვა ხალხები. მათი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სწორედ სკოლებში ეროვნულ ენაზე სწავლების შემოღება იყო“ [იხ.: გ. ჭიპაშვილი ირანის სახელმწიფო წყობილება (ისტორია და თანამედროვეობა) თბ., 1990, გვ. 184].

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 85 ათას 455 სკოლა, რომლებშიც სწავლობს 15 მილიონ 422 ათასი მოსწავლე, 100-ზე მეტ უნივერსიტეტში სწავლობს 2 მილიონ 389 ათასი სტუდენტი, რომელთა შორის 60 პროცენტს ქალიშვილები შეადგენენ, 93 ათას

მაგისტრანტიდან და 59 ათას 800 დოქტორანტიდან 60 პროცენტზე მეტი ქალია. [იხ.: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2008 წლის 12 თებერვლის სპეციალური ჩანართი, გვ. 3].

ფულადი ერთეულია რიალი. ირანის ისლამური რესპუბლიკის დღესასწაულია 11 თებერვალი – რევოლუციის დღე.

ისლამური რესპუბლიკის ოფიციალური დროშა წარმოადგენს მართკუთხა ქსოვილს, რომელსაც გასდევს მწვანე, თეთრი და ნითელი ზოლები. დროშას აქვს აუცილებელი წარწერა „ირანის ისლამური რესპუბლიკა“ და „ალაჰ აკბარ“, რომელიც ითარგმნება – „დიდი არს ალაჰი“. ამგვარად ადრინდელი „ლომისა და მზის“ გერბი შეცვლილია ახალი გერბით. ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად ქვეყანაში მოქმედებს ორი ისლამური კალენდარი: ყამრის (მთვარის) და ჰიჯრის (მზის). პრაქტიკაში უფრო ხშირად გამოიყენება ჰიჯრის კალენდარი [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია, თავი II, მუხლი 17, გვ. 7]. კვირის ოფიციალური გამოსასვლელი დღეა პარასკევი.

ირანს განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია, რაც უპირველესად აისახება მისი მსოფლიოში ნავთობის უმდიდრეს რაიონში მდებარეობით. ნავთობისა და გაზის მარაგით ირანი მსოფლიოს ქვეყნების პირველ ხუთეულშია. ნავთობის მოპოვების უდიდესი რაიონია სპარსეთის ყურე, კერძოდ ხუზისტანი. ეკონომიკის წამყვანი დარგია მრეწველობა, სადაც უდიდესია ნავთობ-გაზის ინდუსტრიის როლი. ვითარდება ასევე მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, მსუბუქი მრეწველობა, ასევე ვითარდება სოფლის მეურნეობა. ბოლო პერიოდში სწრაფი ტემპით დაიწყო განვითარება მომსახურების სფერომ. მოპოვებული ნავთობის 75% საექსპორტოა. სპარსეთის ყურის 24 გიგანტი საბადოდან 8 ირანში მდებარეობს, მათ შორის აგა-ჯარისა და გეჩსარანი. ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებს შორის უდიდესია აბადანის საწარმოო. ისფაჰანში მოქმედებს შავი მეტალურგიის უდიდესი ქარხანა. მსუბუქი მრეწველობის დარგებიდან წამყვანია ხალიჩების წარმოება.

ამ დარგში დასაქმებულია 2 მილიონი ადამიანი. ირანი უძველესი დროიდან ცნობილი იყო ვერცხლის, სპილენძის, ხის, ფირუზის ძვირფასი ნაკეთობების წარმოებით.

1. 2. ირანის ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკურ-რელიგიური სისტემის თავისებურებანი

ირანი წარმოადგენს ისლამურ რესპუბლიკას. ქვეყანაში მოქმედებს რეფერენდუმზე მიღებული რიგით მეორე კონსტიტუცია (2-3 XII 1979წ.). რომელშიც იქნა შეტანილი დამატებები და შესწორებები 1989 წლის 28 ივლისს. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება პოლიტიკურ სამართლებრივი დოქტრინის საფუძველზე, რომლის თანახმად ისლამური სახელმწიფო ხელისუფლება გააგებულია, როგორც ერთიანი და ამავე დროს როგორც სხვადასხვა სახელისუფლებო (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) ფუნქციების ერთობლიობა, რომლებსაც ახორციელებენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები... ხელისუფლებას კონტროლს უწევს ქვეყნის პოლიტიკური და სულიერი ხელმძღვანელი უზუცესთა საბჭოს მიერ არჩეული ერთ-ერთი იმამი აიათოლა „რაჰბარის“ სტატუსით [პირველი ასეთი ხელმძღვანელი იყო აიათოლა იმამ რუხოლა ხომეინი].

აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენენ პრეზიდენტი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს „რაჰბარის“ თანამდებობა, იგი საერთო ხელისუფლების ხელმძღვანელია და ოფიციალურად სახელმწიფოს მეორე პირია „რაჰბარის“ შემდეგ. ფაქტობრივად პრეზიდენტი არ არის სახელმწიფოს მეთაური, ის ქვეყნის პირველი მოხელე (ჩინოვნისკა) და სახელმწიფოს აპარატის ხელმძღვანელია. პრეზიდენტს ექვემდებარება და მის წინაშე ანგარიშვალდებულია მინისტრთა კაბინეტი (პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით). საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ერთპალატიანი პარლამენტი (მეჯლისი) და ისლამური საბჭო. მეჯლისის დეპუტატთა რაოდენობა შედგება – 270 კაცისაგან, მეჯლისს ხელმძღვანელობს მისი თავმჯდომარე.

1981 წლის კანონის თანახმად ირანში აკრძალულია არაისლამური პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები.

ქვეყანაში მოქმედებს ოფიციალურ ხელისუფლებაზე ორიენტირებული რამოდენიმე რელიგიურ-პოლიტიკური ისლამური ასოციაცია, რომელთა შორის ყველაზე ავტორიტეტული და გავლენიანია „ისლამისთვის მებრძოლი საზოგადოება“.

ირანის პოლიტიკური სისტემის განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა 1979 წლის მარტში ჩამოყალიბებულმა ისლამის რესპუბლიკური პარტიამ (ირა). პარტიის დამფუძნებელი იყო მუსულმანური რელიგიის მოღვაწეთა ჯგუფი, რომლებმაც მიიღეს აიათოლა ხომეინის თანხმობა პარტიის შექმნის თაობაზე (თვით ხომეინის სახელი არ უკავშირდებოდა არც ერთ პოლიტიკურ პარტიას). პროგრამულ განცხადებაში ნათქვამია, რომ პარტიის მიზანი და ძირითადი ამოცანაა ირანის საზოგადოების ყოველმხრივი ისლამიზაცია, ისლამური ტიპის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის შექმნა და დასავლეთის ზეგავლენისაგან სრული განთავისუფლება.

ისლამის რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობა აქტიურად უჭერდა მხარს ხომეინის კურსის განხორციელებას ცხოვრებაში, რითაც მიიზიდავს მომხრეთა დიდი რაოდენობა რელიგიურად განწყობილ მოსახლეობაში. ირანის ყველა პროვინციაში ჩამოყალიბდა პარტიული ორგანიზაციები, მისი განყოფილებები. შიიტური სამღვდლოება ერთადერთი არასამთავრობო სტრუქტურა იყო, რომელსაც სოლიდური ბაზა ჰქონდა მთელი ქვეყნის მასშტაბით და რომელიც ყველასათვის გასაგებ ენაზე ლაპარაკობდა.

ისლამის რესპუბლიკურმა პარტიამ წამყვანი როლი შეასრულა 1979 წლის კონსტიტუციის ტექსტის შედგენაში და რეფერენდუმზე მის მიღებაში.

1980 წლის ირანის პარლამენტის (მეჯლისის) არჩევნებში პარტიამ მიიღო ხმათა 70%. პარტიის აქტივისტები და ფუნქციონერები აქტიურად ებრძოდნენ არა ისლამურ, ლიბერალურ, დემოკრატიულ მემარცხენე პარტიებსა და პოლიტიკური სისტემის სხვა ელემენტებს, პოპულარიზაციას უწევდნენ პანისლამიზმის მოძრაობასა და მის იდეებს. ცენტრალური საბჭო პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენდა. პარტიის დაფუძნების დღიდან მისი ბეჭდვითი ორგანოა – გაზეთი „ჯომხურიე ისლამი“ (ისლამის რესპუბლიკა).

1987 წლის მარტში აიათოლა ხომეინის მითითებით ისლამის რესპუბლიკური პარტია დაიშალა, ვინაიდან ისლამის პოლიტიკური სისტემის განმტკიცება დასრულებული იყო. ირანის ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკურ სისტემაში წარმოდგენილია ქალთა არასამთავრობო გაერთიანებები. ქვეყანაში ფუნქციონირებს 130-მდე ქალთა არასამთავრობო საზოგადოება, ორგანიზაცია და გაერთიანება, მათ შორის ისეთი მსხვილი გაერთიანება, როგორცაა: ასირიელ ქალთა საზოგადოება, ბუნების დამცველ ქალთა საზოგადოება, დაბინძურების წინააღმდეგ მებრძოლ ქალთა საზოგადოება, ეკლესიის თაყვანისმცემელ ქალთა საზოგადოება, ექიმ ქალთა ისლამური საზოგადოება, საქველმოქმედო საზოგადოება „იასამანი“, ქალთა საერთაშორისო მარკეტინგის ცენტრი [იხ.: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ 2008 წლის 12 თებერვლის სპეციალური ჩანართი, გვ. 4].

ირანის პოლიტიკურ სისტემაში 1979 წლის აგვისტომდე ემიგრაციაში აქტიურ როლს თამაშობდა „ირანის ქურთისტანის დემოკრატიული პარტია“, რომელიც 1945 წელს იყო დაფუძნებული, ლეგალურ პოლიტიკურ არენაზე იგი გამოვიდა 1979 წლის აპრილში ხანგრძლივი ემიგრაციის შემდეგ, მაგრამ ამავე წლის აგვისტოს თვეში აკრძალული იქნა, რის შემდეგაც მოქმედებს არალეგალურად. პარტია ახორციელებს შეიარაღებულ ბრძოლას, რომლის ძირითადი მიზანია ირანის ქურთისტანის ავტონომია ირანის სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ირანის სახელმწიფოს პოლიტიკურ სპექტრში წარმოდგენილია „ირანის სახალხო პარტია“ – ჩამოყალიბდა 1941 წელს ირანის კომუნისტების ინიციატივით, არის ირანის კომუნისტური პარტიის მემკვიდრე და მისი საქმიანობის გამგრძელებელი (ირანის კომუნისტური პარტია აკრძალული იქნა 1931 წ.) პარტიაში გაერთიანებულნი იყვნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუდენტები, მუშები და გლეხობა. პარტიის ბეჭდვითი ორგანოა გაზეთი „ნამეიე მარდომ“ („ხალხის მაუწყებელი“). 1944 წლის აგვისტოში შედგა პარტიის I ყრილობა, რომელზედაც იქნა მიღებული პროგრამა და წესდება არჩეული იქნა ცენტრალური კომიტეტი. პარტიის ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა ქვეყნის გათავისუფლება დასავლეთის ზეგავლენისაგან,

მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლა, რეფორმების ჩატარება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ სფეროებში. 1946 წლიდან ირანის ხელისუფლება იწყებს რეპრესიებს სახალხო პარტიის მიმართ. 1949 წელს პარტია გამოცხადდა კანონგარეშე, რეაქციონერების მიერ იქნა დარბეული ყველა ადგილობრივი და ცენტრალური პარტიული სტრუქტურები, დაიხურა გაზეთები და მრავალი აქტივისტი და პარტიული ფუნქციონერი აღმოჩნდა გისოსებს მიღმა.

სახალხო პარტიის 13 ხელმძღვანელს სასამართლომ გამოუტანა სიკვდილის განაჩენი [იხ.: *Политические партии. Справочник. М., 2002, стр. 165*]. ასეთ ვითარებაში პარტია გადავიდა არალეგალურ რეჟიმში. XX საუკუნის 50-იან წლებში ირანის სახალხო პარტიამ აღადგინა თავისი პარტიული სტრუქტურები და აგრძელებდა მოღვაწეობას. 1979 წლის მარტიდან პარტია ლეგალიზებული იქნა, ხოლო 1983 წელს ისევ გადავიდა არალეგალურ რეჟიმზე.

სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის ფარგლებში ასევე წარმოდგენილია ოპოზიციური პარტიები და მოძრაობები, რომელთა შორის გამოირჩევიან „ირანის ხალხის ფედაინების ორგანიზაცია“. იგი ჩამოყალიბდა 1971 წელს და მოქმედებს არალეგალურად. გარკვეულ როლს პოლიტიკურ სისტემაში ასრულებს ასევე „ირანის ხალხის მოჯახედთა ორგანიზაცია“, რომელიც დაფუძნდა 1965 წელს და იმყოფება ემიგრაციაში, მისი ხელმძღვანელი ორგანოა „წინააღმდეგობის ეროვნული საბჭო“.

ოპოზიციის სხვა ნაწილს წარმოადგენენ კლერიკალური, მონარქიული და ლიბერალური ხასიათის პოლიტიკური დაჯგუფებები. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ირანში პრაქტიკულად მომზადდა პირობები პოლიტიკური მართვის ორგანიზაციის სერიოზული განახლებისათვის და კერძოდ პოლიტიკური სისტემის რეფორმებისათვის აღნიშნული პროცესი პოლიტიკურ-სამართლებრივ სფეროში, შეიძლება შევაფასოთ, როგორც ირანის პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის პირველი ტალღა.

1858 წლის აპრილში ნასრ ედ-დინ შახის განკარგულებით ირანში შეიქმნა ევროპული მოდელის სახელმწიფო საბჭო (მურაი-ე დოულათ), რომელსაც საერთო ხელმძღვანელობა უნდა გაეწია ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების საქმიანობისათვის. აღნიშნული განკარგულების

თანახმად ჩამოყალიბდა ექვსი სამინისტრო. ეს იყო ფეოდალური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემის სტრუქტურული გარდაქმნების მორიგი ცდა, რაც განპირობებული იყო, როგორც საშინაო პირობებით ასევე დასავლეთის ზეგავლენით.

პოლიტიკური სისტემის რეორგანიზაციის შედეგად დამკვიდრდა პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირების ახალი წესი. დანესდა სამინისტროების და სხვა მართვის ორგანოთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა უშუალოდ შახის წინაშე. ამასთან ერთად, სახელმწიფოს საერთო პოლიტიკური სტრუქტურულ-ტაქტიკური მიმართულების შემუშავებისა და ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც მინისტრთა საბჭოს სათათბირო („მაჯლეს-ე შურაი-ე ვოზარა“) ეწოდებოდა. [იხ.: ზაპრა შაჯი'ი. სამინისტროები და მინისტრები ირანში თეირანი (2535) 1976, გვ. 2. (თარგმანი სპარსული ენიდან)]. პოლიტიკური სისტემის რეფორმირების შედეგად ადრინდელი მინისტრთა საბჭოს სათათბიროს ფუნქციები დიდი კარის საბჭოს (დარ-ოლ-შურაი-ე) ხელში გადავიდა. კვლავ იქნა აღდგენილი სადრაზამის [შახის მთავრობის მეთაური] თანამდებობა და ჩამოყალიბდა ათი სამინისტრო: საშინაო საქმეთა, საგარე საქმეთა, სამხედრო, საფინანსო, იუსტიციის, მეცნიერების, სოციალური უზრუნველყოფის, ვაჭრობის, მინათმოქმედების და სასახლის. [იხ.: ზაპრა შაჯი'ი, დასახელებული წყარო, გვ. 95]

დიდი კარის სათათბიროს წესდების მიხედვით, პირველად სპარსეთის სახელმწიფოს ისტორიაში, დასავლეთის ქვეყნების ნიმუშის მსგავსად, შეიქმნა უმაღლესი სათათბირო კოლეგია წევრთა კოლექტიური პასუხისმგებლობის საფუძველზე. ამავე განკარგულების თანახმად განისაზღვრა სამინისტროების სტრუქტურა, ორგანიზაციული ფორმები და პრინციპები.

დანესდა, რომ დიდი კარის სათათბირო სხდომები გაიმართებოდა სადრაზამის თავმჯდომარეობით განსაზღვრულ დროს და სათანადო დღის წესრიგით. სათათბიროს წევრები იყვნენ მინისტრები, უფლისწულები, დიდმოხელენი, სასახლის წარჩინებულნი და პროვინციების მმართველები.

დიდი კარის სათათბიროს წესდება შაჰმა 1872 წლის 11 ნოემბერს დაამტკიცა.

ამგვარად სპარსეთში ჩამოყალიბდა ისეთი პოლიტიკური სისტემა, რომელიც მმართველობის დასავლეთ ევროპული ფორმების დამკვიდრებას ითვალისწინებდა.

შაჰის სასახლესთან არსებობდა განსაკუთრებული კანცელარია, რომელიც სახელმწიფოს მეთაურს აკავშირებდა ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებთან. სასახლის კანცელარია, სადრაზმი და მინისტრები შაჰს ემორჩილებოდნენ. მაგრამ მათ ჰქონდათ თავის უფლებები და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს შეეძლოთ გარკვეული გავლენა მოეხდინათ მონარქზე.

ირანის პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის მეორე ტალღა უკავშირდება ირანის პირველ რევოლუციას და პირველი კონსტიტუციის მიღებას, როდესაც შეიქმნა ახალი პოლიტიკური ინსტიტუტები და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები. „ისლამური მმართველობის“ ხომეინისეულმა კონცეფციამ კი შექმნა ირანში ყველა პირობა, რათა განხორციელებულიყო პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის მესამე, ყველაზე მნიშვნელოვანი ტალღა.

ისლამური პოლიტიკური სისტემის სტრუქტურული მოდელის თეორიული დასაბუთება მოცემულია აიათოლა იმამ რუხნოლა ხომეინის ნაშრომებში, კონკრეტულად კი, წიგნში „ისლამური რესპუბლიკური მმართველობა“, რომელიც თავდაპირველად ერაყში გამოქვეყნდა. აიათოლა ხომეინიმ შეიმუშავა მმართველობის განსაკუთრებული ფორმა, რომელსაც ავტორი „ისლამური რესპუბლიკის“ პოლიტიკურ სისტემას უწოდებს. [იხ.: Складов Л.Е. Становление новых органов властей в Иране (1978-1981), В сборнике: Иран. История и современность. М., 1983, стр. 196,197,198]. „ისლამური რესპუბლიკის“ პოლიტიკურ სისტემაში აიათოლა ხომეინი გულისხმობდა ფორმით თანამედროვე, ხოლო შინაარსით მუსლიმანურ-რელიგიურ დოგმებზე ანუ ობილი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ წყობილებას, როდესაც ძალაუფლების, მმართველობის ორგანოთა არჩევითობა, შერწყმული იქნებოდა თეოკრატიულ მმართველობასთან. ხომეინის მიაჩნდა, რომ სახელმწიფო ღვთის ნებით, მუდმივად არსებობს და ამიტომ ნებისმიერი პიროვნება ვალდებულია თავი დაუხაროს და ყველაფერში დაემორჩილოს ამ ნებას.

აიათოლა ხომეინის „ისლამური რესპუბლიკის“ თეორიის თანახმად, სამყაროში ყოველივე არსებულის შემქმნელი, მათ შორის, სახელმწიფოსიც, ალაჰია. ღვთაებრივი ჩანაფიქრის საიდუმლოებაში შეღწევამ სახელმწიფოს არსობასა და ბუნებაში ჩანვდომა კი, შეუძლებელია. ავტორი ყურანიდან ამოღებული სათანადო დებულებების დამონმებით განამტკიცებს თავის მოსაზრებებს.

ამგვარად, ხომეინიმ ჯერ კიდევ ირანის 1978-1979 წლების ისლამურ რევოლუციამდე ჩამოაყალიბა ისლამური პოლიტიკური სისტემის და მმართველობის ფორმის კონცეფცია, რომელიც წარმოადგენდა რევოლუციის ერთგვარ პრგრამას, მის სტრატეგიასა და ტაქტიკას. ეს კონცეფცია ეფუძნება სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკურ ფორმას თეოლოგიური არსითა და ხასიათით. თავის კონცეფტუალურ დებულებებს იმამ ხომეინი ისეთნაირად აგებდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების თანამედროვე ორგანოებისათვის გამოეყენებინა ისლამური რელიგიის ძირითადი პოსტულატები და ამგვარად რელიგიური პრინციპები შეერწყო საერთო ხელისუფლებასთან, მმართველობასთან, უზრუნველყო რელიგიის ძირითადი პრიორიტეტები სახელმწიფო წყობილების ფორმაში, ანუ შეექმნა თეორეტიული პოლიტიკური სისტემა.

„ისლამური რესპუბლიკის“ პოლიტიკური სისტემის შექმნისას ავტორი გამოყოფს სახელმწიფო ხელისუფლების სამ სტრუქტურას, რომლებსაც ეფუძნება ისლამური პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სისტემა. ესენია – 1) შარიათის სამართლის საფუძველზე გადაწყვეტილებათა მიმღები; 2) სათათბირო; 3) აღმასრულებელი სტრუქტურები (ჯგუფები). [იხ.: Скляров Л.Е. მითითებული წყარო, გვ. 198].

ხომეინის პოლიტიკური სისტემის მოდელში გადაწყვეტილებათა მიმღებ ჯგუფს საკანონმდებლო ხელისუფლების ადგილი უნდა დაემკვიდრებინა. მას ეკისრებოდა დამფუძნებელი კრების როლი, რომელიც ააწყობდა თავის მუშაობას ყურანისა და სუნას დებულებების შესაბამისად. გადაწყვეტილებათა მიმღებ სტრუქტურას (ჯგუფს) დადგენილება უნდა მიეღო ერთხმად, ფეტვის სახით (ფეტვა სამართლებრივ საკითხებზე ცალკეული მუფტიების გადაწყვეტილების და შეხედულებების ერთიანობა)

სათათბიროს ჯგუფის ფუნქციები მეჯლისს (პარლამენტს) ეკისრებოდა. მოცემულ ჯგუფში ანუ ირანულ პარლამენტში, როგორც წესი ირჩევდნენ ყველაზე ავტორიტეტულ და საზოგადოებაში აღიარებულ ადამიანებს. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ნებით თუ უნებლიედ ხომეინის კონცეფცია ემთხვევა თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების აღიარებულ მექანიზმს, როდესაც გადანყვეტილებათა მიმღები ჯგუფის მიერ გამოტანილ ფეტვაზე დაყრდნობით, სათათბირო ჯგუფი ქვეყნის მოთხოვნათა შესაბამისად განიხილავდა სხვადასხვა პროექტებს სახელმწიფო საქმეების შესახებ. ამტკიცებდა მათ და სათანადო ორგანოებს გადასცემდა შესასრულებლად, რათა დაკმაყოფილებული ყოფილიყო საზოგადოების მოთხოვნა.

მაგრამ „ისლამური რესპუბლიკის“ პოლიტიკური სისტემა მაინც გამოირჩევა მნიშვნელოვანი თავისებურებით.

მისი მთავარი თავისებურება გამოიხატებოდა იმაში, რომ პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება კონტროლდებოდა სპეციალურად გამოყოფილი სასულიერო მსახურთა ჯგუფის მიერ. სათათბირო ჯგუფიდან გამოიყოფოდა სულ მცირე ხუთი წევრი, რომლებსაც გავლენიანი ფაყიჰები და მოჯთეჰედები (უმაღლესი სასულიერო პირები) შეადგენდნენ. მათ ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა, რომ სათათბირო ჯგუფისაგან მიღებული დადგენილებები არ გასცილებოდა ისლამის კანონების ფარგლებს და განეხორციელებინათ იგი გადანყვეტილებების მიმღები ჯგუფის მიერ გამოცემული ფეტვის შესაბამისად. [იხ.: Скляров Л.Е. დასახელებული ნაშრომი. გვ. 198].

აიათოლა ხომეინის კონცეფციის თანახმად აღმასრულებელ ჯგუფში იგულისხმებოდა მინისტრთა კაბინეტი, რომელთა ფუნქციას წარმოადგენდა სათათბირო ჯგუფის (სტრუქტურის) მიერ მიღებული კანონებისა და დადგენილებების პრაქტიკაში განხორციელება, ქვემდებარე სახელმწიფო თანამდებობაზე დანიშვნა, კონტროლის დანესება მათ მუშაობაზე და სხვა [იხ.: იქვე, გვ. 199].

ჩვენ ვერ დავეთანხმებით რუსი და ქართველი მკვლევარების აზრს იმის თაობაზე, რომ ხომეინისეულ „ისლამური სახელმწიფოს“ მოდელში ცალკე არ არის გამოყოფილი სასამართლო ხელისუფლების ორგანოები,

როგორც პოლიტიკური სისტემის ქვესისტემა. [იხ.: დას. ნაშრ., გვ., 199-200; ჭიპაშვილი გ. ირანის სახელმწიფო წყობილება. თბ., 1990, გვ., 145; ცაცანაშვილი მ. ირანის სახელმწიფოს წარმოშობა და განვითარების ეტაპები, მოტანილია წიგნიდან სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია. მეორე ნაწილი, თბ., 1997, გვ., 179-180].

ირანის „ისლამური რესპუბლიკის“ კონსტიტუციის თანახმად სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა უმაღლესი სასამართლო საბჭო. ასევე წარმოდგენილია პროკურორთა და მოსამართლეთა ინსტიტუტები, ცალკე არსებობს სამხედრო ტრიბუნალი. [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია, თავი XI, მუხლები 156, 158, 159, 161, 170, 173].

ამგვარად აიათოლა ხომეინის „ისლამური რესპუბლიკის“ კონცეფციის მიხედვით ირანის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია (სისტემა) შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი – ეს იყო:

1) თეოკრატიულ პრინციპებზე აგებული პოლიტიკური სისტემა;

2) სასულიერო და საერო ხელისუფლების სინთეზი, როდესაც განუსაზღვრელი როლი კლერიკალებს ეკუთვნის, ანუ პოლიტიკური სისტემა კლერიკალური შეფერილობით;

3) პარლამენტი (მეჯლისი) მხოლოდ „სათათბირო ჯგუფის“ კომპეტენციით ისაზღვრებოდა;

4) „მმართველობის ისლამური სისტემა“ ხელშეუხებელს ტოვებდა სახელმწიფო მმართველობის სოციალურ ასპექტებს.

**თავი – II. კონსტიტუციონალიზმისა და
პარლამენტარიზმის განვითარება ირანში
II. 1. 1906 წლის „ნაჩუქარი კონსტიტუცია“ და
პარლამენტური (კონსტიტუციური) მონარქიის ევოლუცია**

კონსტიტუციონალიზმის ორივე გაგება პირდაპირ თუ ირიბად ესადაგება თანამედროვე ირანის სახელმწიფოს სინამდვილეს. ისტორიული თვალსაზრისით, კონსტიტუცია და კონსტიტუციონალიზმი, როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც ქვეყნის საზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს, შედარებით ახალი პოლიტიკური და იურიდიული მოვლენაა. აღნიშნული ტერმინები პოლიტიკურ და იურიდიულ ლექსიკონთა ბრუნვაში აქტიურად შემოვიდა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც ტერმინს – კონსტიტუციას (ცონსტიტუციო – რაც დაწესებას, დადგენას, მოწესრიგებას ნიშნავს) ჯერ კიდევ იმპერატორ იუსტინიანეს კანონმდებლობაში იყენებდნენ.

კონსტიტუცია, როგორც უმაღლესი იურიდიული ძალის სახელმწიფოს ძირითადი კანონი, მოცემული ქვეყნის სამართლის ყველა დარგის პრინციპული დებულებების სრულ და შეთანხმებულ ერთობლიობის სახეს ღებულობს. კონსტიტუციონალიზმი გამოირჩევა თავის მრავალფეროვნებით, და მრავალწახნაგაიანობით. ასეთია კონსტიტუციონალიზმის არსი, ხასიათი და განვითარების დინამიკა.

კონსტიტუციები მრავალი საერთო ნიშნების მიუხედავად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფორმით და შინაარსით, მიღების და მოქმედების წესით, მოქმედების ხანგრძლივობით.

ნებისმიერი სახელმწიფოების კონსტიტუციების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი განამტკიცებენ შესაბამის პოლიტიკურ ხელისუფლებას ისევე როგორც ეს მოხდა ირანში 1906 წლის კონსტიტუციის მიღების დროს, როდესაც ჩამოყალიბდა ირანის კონსტიტუციური მონარქია და 1979 წელს, როცა რეფერენდუმით იქნა მიღებული ახალი კონსტიტუცია, რომელშიც აისახა „ირანის ისლამური რესპუბლიკის“ წყობილება. აქედან გამომდინარე კონსტიტუციების ანალიზისას უნდა იყოს

გათვალისწინებული მათი განსხვავებულობა, სახელმწიფო ხელსუფლების კონკრეტული ბუნება და პოლიტიკური რეჟიმის ხასიათი.

შეიძლება დაისვას შეკითხვა – რამდენად შესაძლებელია, გამართლებულია და მართებული სამეცნიერო დონეზე ლაპარაკი ირანის კონსტიტუციონალიზმსა და პარლამენტარიზმზე?

ჩვენ დარწმუნებით ვაცხადებთ, რომ ეს არის აუცილებელიც, გამართლებულიც და მართებულიც. ამის ძლიერი არგუმენტი არის ის, რომ ირანში არსებობს კონსტიტუციონალიზმის გარკვეული ტრადიცია. მის უახლეს ისტორიაში წარმატებულად მოქმედებდა და მოქმედებს ორი 1906 წლის და 1979 წლის კონსტიტუციები. ამის დასადასტურებლად მოგვიწევს არც თუ ისე შორეული წარსულის ანალიზი ირანის ისტორიაში.

XIX საუკუნის პორველი ნახევრიდან უცხოეთის ქვეყნების პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური დახმარების პირობებში ყაჯართა ირანში იყო ცდები შუასაუკუნებრივი სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციაში გარკვეული ცვლილებები შეეტანათ.

როგორც მართებულად აღნიშნავს ისტორიკოსი მკვლევარი გ. ჭიპაშვილი – „ირანის სავაჭრო ბურჟუაზიის წრეებში, რომლის ინტერესები თავისებურად დაუკავშირდა ახალ მინათმფლობელთა კლასის მოთხოვნებს, უკვე გაისმოდა ფეოდალური არისტოკრატის და მისი ნების გამომხატველი არსებული სახელმწიფო წყობილების კრიტიკა. ისინი ყაჯართა აბსოლუტიზმის შეზღუდვასა და უცხოელთა ბატონობისგან ქვეყნის განთავისუფლებას მოითხოვდნენ. მათ მხარს უჭერდნენ მაღალი სასულიერო წრეების წარმომადგენლები, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ შაჰის ხელისუფალთა მიერ მათი ინტერესების შელახვის გამო. უცხოელთა ძალმომრეობის მოსპობის, სახელმწიფო მმართველობის სისტემაში რადიკალური გარდაქმნების მოთხოვნით და ფეოდალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ გამოდირდნენ მოსახლეობის ფართო წრეები... და შიიტური რელიგიის დაბალი რგოლის წარმომადგენლები. ასე რომ, რევოლუციური აფეთქებისათვის ირანში საკმარის პირობები არსებობდა. ამას მხოლოდ ბიძგი სჭირდებოდა. ეს ბიძგი მას რუსეთის 1905 წლის რევოლუციურმა ამბებმა

მისცა“. [იხ.: გ. ჭიპაშვილი. ირანის სახელმწიფო წყობილება. თბ., 1990, გვ. 34]. ირანის მოსახლეობის აქტიურმა გამოსვლებმა და აგორებულმა რევოლუციურმა ტალღამ, აიძულა შაჰის რეჟიმი ჩაეტარებინა ქვეყნის მოდერნიზაცია „ზემოდან“. სახალხო გამოსვლებით შეშინებულმა შაჰმა მოზაფარ ედ-დინმა 1906 წლის 5 აგვისტოს გამოსცა ფირმანი პარლამენტის (მეჯლისის) ჩამოყალიბების შესახებ, ხოლო ამავე წლის 8 სექტემბერს იქნა მიღებული პირველი საარჩევნო კანონი, რომლის საფუძველზეც იქნა არჩეული ირანის პირველი პარლამენტის შემადგენლობა. ამ მომენტიდან ირანში იწყებს განვითარებას პარლამენტარიზმი და ხორციელდება პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის მეორე ეტაპი (მეორე ტალღა). ირანში სათავე დაედო პარლამენტურ მმართველობას. 1906 წლის 30 დეკემბერს შაჰმა დაამტკიცა ქვეყნის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია), რის შედეგადაც ყაჯართა შეუზღუდავი მონარქია შეიცვალა ირანის კონსტიტუციურ მონარქიად. ეს იყო საწყისი ფორმა აღმოსავლური ტიპის კონსტიტუციონალიზმის განვითარებისა. 1907 წლის 7 ოქტომბერს მეჯლისმა დაამტკიცა კონსტიტუციის დამატება. მიღებული კონსტიტუცია ძირითადად პარლამენტისა და სენატის ფუნქციების განსაზღვრით შემოიფარგლა, ხოლო 1907 წლის დამატებები მოქალაქეთა უფლებებს აყალიბებდა, გამოყოფდა ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს, მათ სტატუსებსა და უფლებამოსილებებს.

ირანის პირველი კონსტიტუცია შეიქმნა ევროპული მოდელის მიხედვით (ბელგიისა და საფრანგეთის კონსტიტუციების მსგავსად). აღნიშნული კონსტიტუციის დიდი ისტორიული მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ ძირითადი კანონის მიღებით ირანში შეწყვიტა თავისი არსებობა შეუზღუდავი დესპოტური აღმოსავლური ტიპის მონარქია და განვითარდა კონსტიტუციურ-პარლამენტური მონარქიული წყობილება.

თავის არსით, ხასიათით და მიღების წესით ირანის 1906 წლის კონსტიტუცია განეკუთვნება ეგრეთწოდებულ „ნაჩუქარ კონსტიტუციასთან“ რიცხვს, ვინაიდან მიღებული იქნა სახელმწიფოს მეთაურის (ირანის მონარქის) მიერ „ზემოდან“, წარმომადგენლობითი ორგანოების მონაწილეობის გარეშე, კონსტიტუციების შემოღების ასეთი ფორმა ხშირად

ხორციელდება აბსოლუტური მონარქიიდან კონსტიტუციურზე გადასვლის დროს, რასაც ადგილი ჰქონდა ირანში, იაპონიაში, იორდანიაში, ნეპალსა და სხვა ქვეყნებში. ირანის პირველი კონსტიტუცია შედგებოდა პრემიუმის, ხუთი თავისია და 51 მუხლისაგან. კონსტიტუციის პირველი მუხლიდან მეთოთხმეტე მუხლის ჩათვლით ჩამოყალიბებულია, პარლამენტის სტრუქტურა, მეთხუთმეტე მუხლიდან ოცდამეთერთმეტე მუხლამდე განსაზღვრულია პარლამენტის ორგანოთა უფლებამოსილებანი, ოცდამეთორმეტე მუხლიდან ოცდა-მეთვრამეტე მუხლამდე გაშუქებულია მეჯლისში კანონ-პროექტების შეტანის წესი, მეჯლისის მიერ წინადადებათა წამოყენების წესი ეხება ოცდაცხრამეტიდან ორმოც მუხლამდე, ხოლო დანარჩენი მუხლები (41-51) ეხება სენატისა და მეჯლისის შექმნის წესებსა და პირობებს. [იხ.: მუსტოფი რაჰიმი, ირანის ძირითდი კანონი (კონსტიტუცია) და მისი დემოკრატიული საფუძვლები, თეირანი, 1976, გვ. 70 (არაოფიციალური თარგმანი სპარსული ენიდან)].


კონსტიტუციის პირველი და მეორე მუხლებში მოცემულია ცნობა იმის შესახებ თუ როგორ შეიქმნა ირანის პარლამენტი, შაჰ მოზაფარ ედ-დინის ფირმანის საფუძველზე. აქვე დეკლარირებულია ის, რომ კონსტიტუცია ატარებს საყოველთაო ხასიათს და მოქმედებს ირანის მთელ ტერიტორიაზე. მე-3 მე-14 მუხლებში განსაზღვრულია დეპუტატთა რაოდენობა (200 დეპუტატით) დეპუტატები ირჩეოდნენ ორი წლით და სარგებლობდნენ იმუნიტეტით. მათ ენიჭებოდათ ფართო უფლებები. გარდა ამისა კონსტიტუციის ტექსტში წარმოდგენილია დეპუტატის ფიცი, რომელიც ყველა დეპუტატს პარლამენტის პირველივე სესიაზე უნდა დაედო. ამავე მუხლებში განისაზღვრებოდა პარლამენტის მუშაობის დაწყების პროცედურა, პრინციპები და რეგლამენტი. [იქვე, გვ. 6-10].

კონსტიტუციის მეორე თავში, რომელიც მეჯლისის უფლებებს ეხებოდა, საგრძნობლად იზღუდებოდა მონარქის ძალაუფლება. ამიერიდან საკანონმდებლო ინიციატივა აღარ წარმოადგენდა შაჰის კომპეტენციას და გადაეცემოდა პარლამენტს. მეჯლისის უფლებამოსილებანი ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გაფართოვდა. კონსტიტუციის მე-15 მუხლის თანახმად ამაღლდა სენატის

როლი და გავლენა. მეჯლისის მიერ მიღებული ნებისმიერი კანონი საჭიროებდა სენატის მოწონებასა და დამტკიცებას და მხოლოდ ამის შემდეგ შედიოდა ძალაში.

მე-16 მუხლი ეძღვნებოდა იმ პრინციპების ჩამოყალიბებას, რომლებიც ირანის კონსტიტუციური მონარქიის საფუძვლების განმტკიცებასა და საშინაო საქმეების მონესრიგებას ითვალისწინებდა. ირანის სახელმწიფო წყობილება 1906 წლის კონსტიტუციის და 1907 წლის კონსტიტუციის დამატებების შემდეგ ასეთნაირად იყო ჩამოყალიბებული.

სქემა №1



პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის შემდეგ პარლამენტის უფლებებში გადადიოდა საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობა. მხოლოდ და მხოლოდ მეჯლისის უნდა დაემტკიცებინა სახელმწიფო ბიუჯეტი, განესაზღვრა და დაენესებინა გადასახადების ნუსხა, კონტროლი დაენესებინა სახელმწიფოს ქონებასა და სახსრებზე. ამგვარად მეჯლისის უფლება-მოსილებაში შედიოდა სახელმწიფოს ქონების განკარგვა და შაჰის ქონების სხვაზე გადაცემა. მე-18 22-ე მუხლები ეხებოდა ირანის სახელმწიფო საზღვრების დადგენის საქმეს (დემარკაციას) მინათმფლობელობის და მინათსარგებლობის შესახებ კანონებს. [იხ.: იქვე. გვ. 6].

მიღებული კონსტიტუციის მიხედვით მეჯლისის თანხმობის გარეშე, შაჰის მთავრობას არ შეეძლო საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება სხვა სახელმწიფოებთან, გაეცა კონცესიები უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, მიეღო ან გაეცა სახელმწიფო სესხები.

მინისტრთა კაბინეტი ანგარიშვალდებული იყო მეჯლისის წინაზე (მუხლი 27-29). [იხ.: 1906 წლის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია) და 1907 წლის დამატება. თეირანი, 1947, გვ. 11-12 (არაოფიციალური თარგმანი სპარსული ენიდან), შემდეგში: ძირითადი კანონის დამატებით].

კონსტიტუციის შინაარსიდან ჩანს, რომ თავისი უფლებამოსილებით, გავლენითა და მნიშვნელობით, ირანის საკანონმდებლო ხელისუფლება (მეჯლისი) სხვა ხელისუფლების შტოებზე მაღლა იდგა. სასამართლო ხელისუფლებაც სარგებლობდა განსაკუთრებული უფლებებით და ზეგავლენით.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი კანონი არსებითად ზღუდავდა აბსოლუტურ მონარქიას, იგი მაინც უნარჩუნებდა შაჰს მნიშვნელოვან უფლებებს, მონარქი კვლავ რჩებოდა სახელმწიფოს მეთაურად, რომელსაც ეკუთვნოდა გამამწყვეტი როლი ყველა დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტის დროს. იგი იყო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. ქვეყნის მეთაურს ემორჩილებოდა პოლიცია და ჟანდარმერია.

კონსტიტუციის თანახმად პარლამენტი შედგებოდა ორი პალატისაგან. ქვედა პალატას ეწოდებოდა (მეჯლის-ე შურაი-ე მელი). ზედა პალატას — სენატს (მეჯლეს-ე სენა). კონსტიტუციის 43-ე 48-ე მუხლებით განისაზღვრებოდა

სენატის შექმნის წესი, შემადგენლობა და დანიშნულება. შაჰს სენატის დათხოვნის უფლება ჰქონდა. 44-ე 47-ე მუხლების ჩათვლით მეჯლისს უფლება ენიჭებოდა დამოუკიდებლად განეხორციელებინა საკანონმდებლო ხელისუფლება იმ შემთხვევაში, როდესაც სენატი ამა თუ იმ მიზეზით არ ფუნქციონირებდა, ხოლო რაც შეეხება ბიუჯეტსა და ფინანსებს, მათ ორგანოთა ფუნქციონირებას, ეს იყო მხოლოდ პარლამენტის პრეროგატივა [იხ.: იქვე, გვ. 17-19].

II. 2. პირველი კონსტიტუციის 1907 წლის შესწორებები, დამატებები და ცვლილებები

1906 წლის კონსტიტუცია სამთვიანი განხილვის შემდეგ მეჯლისში დაამტკიცეს, ხოლო შედარებით უფრო მეტი დრო დასჭირდა მისი დამატების პროექტის შემუშავებასა და განხილვას. მწვავე დისკუსიებისა და შემდეგ 1907 წლის 7 ოქტომბერს მეჯლისმა დაამტკიცა პირველი კონსტიტუციის დამატება. კონსტიტუციის დამატებას ქვეყნის მმართველმა ხელი მოაწერა 1907 წლის 20 ნოემბერს (პიჯრის კალენდარით 1325 წლის აბანს).

1906 წლის ძირითადი კანონის თავისებურება გამოიხატებოდა იმით, რომ კონსტიტუციის 1907 წლის დამატება მოცულობით აღემატებოდა მას. იგი შედგებოდა პრეამბულის, ათი თავისა და 107 მუხლისაგან. დამატებით ვარიანტში წარმოდგენილი იყო ზოგადი დებულებები, რომლებიც მოიცავენ პირველიდან მეშვიდე მუხლებს. მერვე მუხლიდან ოცდამეხუთე მუხლამდე წარმოდგენილი იყო ქვეყნის მოსახლეობის უფლებანი და თავისუფლებანი. სახელმწიფო წყობილებას ეძღვნებოდა 26-ე, 27-ე, 28-ე და 29-ე მუხლები. ირანის პარლამენტის (მეჯლისის) უფლებები დაცული იყო 30-ე, 31-ე, 32-ე, 33-ე და 34-ე მუხლებით. ირანის შაჰის უფლებამოსილებებს აკანონებდნენ (35-57) მუხლები. მინისტრების ფუნქციებისა და უფლებამოსილებებს განსაზღვრავდნენ (58-70) მუხლები. სასამართლო ხელისუფლების ორგანოების ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს არეგულირებდნენ (71-89) მუხლები, პროვინციულ და ადგილობრივი ორგანოების ფუნქციონირებას არეგულირებდნენ (90-93) მუხლები. კონსტიტუციის დამატებანი ეხებოდა ასევე საფინანსო-საფისქალო სისტემას და მათ

ედვნიებოდა 94-ე ან 103-ე მუხლებამდე, ხოლო სამხედრო სფეროს არეგულირებდნენ 104-ე, 105-ე, 106-ე და 107-ე მუხლები [იხ.: 1906 წლის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია) და 1907 წლის დამატება. დანართში ეროვნული საბჭოს კრების (მეჯლისის) საარჩევნო კანონი, თეირანი, 1947, გვ 1-19. (თარგმანი სპარსული ენიდან) შემდეგი: ძირითადი კანონის დამატება].

როგორც აღნიშნავდა მკვლევარი მ.დ. მალინინი – „მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის საფუძველზე სამოქალაქო მართლმსაჯულების ორგანოები იქმნებოდა სასულიერო წოდების გავლენის ქვეშ ისევ რჩებოდა შარიათის სამართალწარმოება [იხ.: ძირითადი კანონის დამატება ..., გვ. 24-33].

გენერალური პროკურორის კანდიდატურა სასულიერო პირთა რეკომენდაციით უნდა შეერჩიათ [იხ.: ძირითადი კანონის დამატება ..., გვ. 20-21].

სასულიერო პირების კონტროლს ექვემდებარებოდა ასევე განათლების სისტემა და მედია. ამგვარად პირველი კონსტიტუციის დამატებებმა საფუძველი ჩაუყარა ისლამური რელიგიის შიიტური მიმართულების ახალი აღიარების მოპოვებას და სასულიერო პირთა უფლებების მრავალ სფეროში კონსტიტუციურად განმტკიცებას.

აღნიშნულ პირობებში ეს ბუნებრივიც იყო, ვინაიდან შიიზმი ირანში წარმოადგენდა და წარმოადგენს ოფიციალურ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რელიგიას, რომელიც მიმართული იყო კონსტიტუციური მონარქიის წყობილების განმტკიცების იდეოლოგიურად უზრუნველსაყოფად.

კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შედეგად დაკანონდა კერძო საკუთრება მიწაზე. ძირითად კანონში დამატებებისა და ცვლილებების საფუძველზე ირანის სახელმწიფო წეს-წყობილების ისტორიაში პირველად იყო გამიჯნული და გამოყოფილი ხელისუფლების განშტოებანი – საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. დამატების 27-ე მუხლი იმეორებდა კონსტიტუციის მე-18 მუხლის ძირითად დებულებას იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, კანონის განმარტების უფლება მხოლოდ მეჯლისის პრეროგატივა და

უფლება იყო [იხ.: ძირითადი კანონის დამატება ..., მუხლი 39, გვ. 28].

კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შედეგად ჩამოყალიბდა დებულება, რომლის თანახმად შაპი ვალდებული იყო კონსტიტუციის ერთგულების ფიცი დაედო მეჯლისის და მთავრობის წევრების თანდასწრებით [იხ.: იქვე, მუხლი 43, გვ. 29].

კონსტიტუციის ცვლილებები ასევე ეძღვნებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციონირებას, კერძოდ სამინისტროების შესახებ დებულებებს. პირველი კონსტიტუციის მიღებამდე ირანში საერთოდ არ არსებობდა ნორმატიული აქტები მთავრობის ან ცალკეული სამინისტროების რეგლამენტაციის შესახებ, რომლებიც განსაზღვრავდნენ მათ უფლებამოსილებას. ძირითადი კანონის ცვლილებების და დამატების 65-ე და 69-ე მუხლების გამოყენებით ირანის პარლამენტსა და სენატს უფლება ენიჭებოდა სარჩელი წარედგინათ მინისტრების მოქმედების წინააღმდეგ სასამართლოებში [იხ.: იქვე, მუხლები 65-ე, 69-ე, გვ. 32].

დამატების 67-ე მუხლის თანახმად მინისტრები ანგარიშვალდებული გახდნენ მეჯლისის წინაშე და დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მათ პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ, როგორც ჩვეულებრივ პირებს [იხ.: იქვე, მუხლი 67-ე].

58-ე და 59-ე მუხლებში კი ხაზგასმულია, რომ მინისტრად დაინიშნებოდა მხოლოდ ირანელი მოქალაქე, რელიგიით ისლამის მორწმუნე. ამავე მუხლების თანახმად მინისტრად ვერ დაინიშნებოდა შაპის შვილები, და სხვა ნათესავეები [იხ.: იქვე, მუხლები 58, 59. გვ. 31].

კონსტიტუციის დამატების 27-ე მუხლის საფუძველზე ირანში შეიქმნა სასამართლო ხელისუფლება, როგორც ძალაუფლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და ამავე დროს შედარებით ფართო უფლებამოსილება მიენიჭა საერთო სასამართლოებს სასულიერო (შარიათის) სასამართლოების უფლებათა შეკვეთის ხარჯზე.

კონსტიტუციაში შეტანილმა შესწორებებმა და ცვლილებებმა პრაქტიკულად ხელი შეუწყეს ახალი ტიპის მმართველობისა და თვითმმართველობის ჩამოყალიბებას პროვინციაში.

კონსტიტუციაში შეტანილმა დამატებებმა დიდი ცვლილებები განახორციელეს ქვეყნის საფინანსო სფეროშიც. მთავრობას კატეგორიულად ეკრძალებოდა რომ, ახალი გადასახადების შემოღება გარდა იმისა, რაც პარლამენტის მიერ მიღებული კანონით იყო დაწესებული. დადგენილი იყო გადასახადებისა და ფულადი გამოსაღებლების წესი [იხ.: ძირითადი კანონის დამატება ..., მუხლი 94, გვ. 96].

ქვეყანაში ყველა მოქალაქეს უნდა გადაეხადა სათანადო გადასახადი. საგადასახადო დაბეგვრაში იკრძალებოდა პრივილეგიებისა და შეღავათების დაწესება. მხოლოდ მონარქი თავისუფლდებოდა გადასახადებისაგან. სინამდვილეში, როგორც პრაქტიკა მონშობდა, სახელმწიფო მოხელეები და ფეოდალები ჩვეულებრივ გადასახადებს არ იხდიდნენ და თუ მაინც იხდიდნენ, ძალიან მცირე რაოდენობით, მთელი საგადასახადო ტვირთი მწარმოებელ, მშრომელ მოსახლეობას აწევებოდა მხრებზე.

იკრძალებოდა სახელმწიფო ხაზინიდან ფულადი გადასახადებისა და ხელფასების გაცემა გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის თაობაზე სპეციალური კანონი იქნებოდა მიღებული [იხ.: იქვე, მუხლი 100, გვ. 37].

სახელმწიფოში ფინანსებთან დაკავშირებულ საქმეებს ფინანსთა სამინისტრო განაგებდა. საფინანსო საქმის საერთო ხელმძღვანელობისათვის მეჯლისი სამი წლის ვადით ირჩევდა ქვეყნის საანგარიშგებო პალატას (დივან-ე მოჰასებათ-ე ქეშვარ), რომელიც აწყობდა შემონშებებს და ახორციელებდა კონტროლს საფინანსო დარგის მიმართ, იღებდა ყველა იმ ორგანიზაციისა და პირების ანგარიშებს, რომლებიც ხაზინასთან იყვნენ ანგარიშვალდებული. საანგარიშსწორებო პალატის ფუნქციებში შედიოდა აგრეთვე სისტემატური კონტროლის განხორციელება საბიუჯეტო ოპერაციების სწორად წარმართვაზე, რათა საბიუჯეტო ასიგნებათა გადახარჯვა არ დაეშვათ. საანგარიშსწორებო პალატას უნდა მოეწყო შემონშებები და კონტროლი დაენეხებინა სახელმწიფო ორგანოების ანგარიშწარმოებაზე. მას წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით უნდა შეეკრიბა ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების და მეჯლისისათვის წარედგინა შენიშვნები და წინადადებები [იხ.: იქვე, მუხლი 101-103, გვ. 37].

კონსტიტუციის დამატების ბოლო თავი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს ეხებოდა. იმ დროს ირანის არმია ძირითადად ირეგულარული ფეოდალური რაზმებისაგან შედგებოდა. მას არ გააჩნდა ერთიანი სამხედრო ორგანიზაცია და თანამედროვე საარმიო წესდება. ერთადერთი რეგულარული სამხედრო ძალა სპარსეთის კაზაკთა ბრიგადა იყო. დამატების თანახმად, მეჯლისს ყოველწლიურად უნდა დაემტკიცებინა თანხები სამხედრო ხარჯებისათვის, რაც სახელმწიფო ბიუჯეტში იქნებოდა გათვალისწინებული. მთავრობას ეკრძალებოდა უცხოეთის ჯარების დაქირავება. კონსტიტუციის დამატების 104-ე, 105-ე და 106-ე მუხლების თანახმად ირანის ტერიტორიაზე არ უნდა განლაგებულიყო არც ერთი ქვეყნის სამხედრო ძალები დანაყოფები ასევე აიკრძალებოდა უცხო ქვეყნების სამხედრო ბაზების არსებობა ირანის იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე [იხ.: ძირითადი კანონის დამატება მუხლები 104, 105, 106. გვ. 37-38].

ირანის პირველი კონსტიტუციის მიღების შემდგომ პერიოდში განხორციელდა მრავალი ცვლილება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. სწორედ ამ მიზეზით მოქმედ კონსტიტუციაში ირანის კანონმდებლებმა შეიტანეს მრავალრიცხოვანი ცვლილებები და შესწორებები.

20-იან წლებში სამხედრო დიქტატურის დამყარებისა და 1925 წლის დამლევს ხელისუფლების სათავეში ფეჰლე-ვიანთა მოსვლის შემდეგ დადგა საკითხი კონსტიტუციის ტექსტში ზოგიერთი ფორმალური ცვლილებების შეტანის შესახებ. ეს საკითხი განიხილეს 12 დეკემბერს პირველ დამფუძნებელ კრებაზე, მაშინ კონსტიტუციის დამატების 36-ე მუხლის საფუძველზე რეზა-ხანი ირანის შაჰად გამოცხადდა. ცვლილებები შეიტანეს, აგრეთვე, დამატების 37-ე და 38-ე მუხლებში, სადაც ყაჯართა დინასტიის ნაცვლად ფეჰლევიანთა დინასტია ჩაინერა [იხ.: ძირითადი კანონის დამატება ..., მუხლები 37, 38].

მეორე დამფუძნებელ კრებაზე, რომელიც 1949 წლის 9 მაისს შედგა, შემუშავებულ იქნა დამფუძნებელი კრების მოწვევის ახალი წესი და უფლებამოსილებანი. ამიერიდან დამფუძნებელი კრების მოწვევა ხდებოდა მთავრობის ან პარლამენტის ორივე პალატის მოთხოვნით ამასთან ერთად, საჭირო იყო დეპუტატების ორი მესამედის თანხმობა და შაჰის

დადასტურება. დამფუძნებელი კრების დეპუტატები პარლამენტის ორივე პალატის საერთო რიცხვის ტოლი უნდა ყოფილიყო. მისი ძირითად დანიშნულება კონსტიტუციაში ცვლილებების შეიტანა იყო [იხ.: **Миланиан М.Д., დასახლებული ნაშრომი., გვ. 23**].

მაშინ დამფუძნებელმა კრებამ თავის მეორე სხდომაზე განიხილა კონსტიტუციის ტექსტში ცვლილების შეტანის საკითხი. შეიცვალა 48-ე მუხლი, რომლის საფუძველზე შაჰს პარლამენტის დათხოვნის უფლება მიეცა. ამნაირად, პარლამენტი შაჰის ნების დამყოლი უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მას დათხოვნის საფრთხე ემუქრებოდა. 48-ე მუხლის ახალი რედაქციის თანახმად, შაჰს შეეძლო დაეთხოვა მეჯლისი და სენატი და დაენიშნა ახალი არჩევნები არაუგვიანეს ერთი თვისა დათხოვნის ფირმანის გამოცემის დღიდან პარლამენტის ახალი შემადგენლობა უნდა მოეწვიათ არჩევნების ჩატარებიდან სამი თვის ვადაში.

ამასთან, თუ პალატები რომელიმე კანონპროექტის ან საკანონმდებლო წინადადების განხილვის დროს თანხმობას ვერ მიაღწევდნენ და საკითხი ორჯერ გადავიდოდა ერთი პალატიდან მეორეში. იქმნებოდა შერეული კომისია პალატების წარმომადგენელთა თანაბარი რაოდენობით. მაგრამ თუ კომისია შეთანხმებულ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა, საკითხს საბოლოოდ შაჰი გადაწყვეტდა [იხ.: **Миланиан М.Д., Государственный строй современного Ирана, М., 1973, стр. 24**].

1957 წლის 30 აპრილს მოწვეულ იქნა პარლამენტის ორივე პალატის გაერთიანებული სხდომა ძირითადი კანონის მე-4 და მე-7 მუხლებში და დამატების 49-ე მუხლში ცვლილებების შეტანის მიზნით. იმავე წლის 18 მაისს მეჯლისისა და სენატის გაერთიანებულ სხდომებზე ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ დაამტკიცეს ამ მუხლების ახალი ტექსტები [იხ.: **Миланиан М.Д., Государственный строй современного Ирана, М., 1973, стр. 25**].

მე-4 მუხლის საფუძველზე მეჯლისის დეპუტატების რაოდენობა ადრინდელი 196-დან 200-მდე იზრდებოდა. გადიდდა საარჩევნო ოლქების მოცულობა. ერთი დეპუტატი ყოველ 100 ათას მცხოვრებზე უნდა აერჩიათ. თუ ადრე, მე-5 მუხლის შესაბამისად, მეჯლისის დეპუტატებს ორი წლის ვადით ირჩევდნენ, ახლა დეპუტატის უფლებამოსილება ოთხ

ნლამდე გადიდდა. მეექვსე მუხლის ახალი რედაქციით, მეჯლისის გახსნისათვის აუცილებელი იყო დეპუტატების საერთო რიცხვის ორი მესამედის დასწრება. მე-7 მუხლი ადგენდა, რომ პარლამენტში განსახილველ საკითხებზე კამათი შეიძლება მოეწყოს დეპუტატების ნებისმიერი რაოდენობის დასწრებით, მაგრამ ხმის მიცემაში მათ უმრავლესობას უნდა მიეღო მონაწილეობა [იხ.: იქვე., გვ. 27].

კონსტიტუციის დამატების 49-ე მუხლის პირველი ნაწილის ძველი რედაქციის მიხედვით, მეჯლისის მიერ მიღებული კანონი ძალაში შედიოდა შაჰის მონონების შემდეგ, ხოლო, მეორე ნაწილის შესაბამისად, შაჰს ეკრძალებოდა შეეჩერებინა ან გაეგრძელებინა მეჯლისის მიერ მიღებული კანონის მოქმედების ვადა. მაგრამ ამავე მუხლის ახალი რედაქციით შაჰს დაყოვნებითი ვეტოს უფლება ჰქონდა. მონარქს ახლა შეეძლო განემორებითი განხილვისათვის დაებრუნებინა მეჯლისში კანონპროექტები თვით საფინანსო საკითხებზეც კი. როგორც ცნობილია, ძირითადი კანონის 49-ე მუხლის პირველი რედაქციის საფუძველზე საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ და მხოლოდ მეჯლისის შეუვალ უფლებას შეადგენდა. 1967 წელს აგვისტოში მოწვეულ მესამე დამფუძნებელ კრებაზე ახალი ცვლილებები შეიტანეს კონსტიტუციის 38-ე, 41-ე და 42-ე მუხლებში. თუ ამ მუხლების წინანდელი მოთხოვნით შაჰის სიკვდილის შემთხვევაში რეგენტს პარლამენტი ნიშნავდა, ახლა მას ეს უფლებამოსილება უუქმდებოდა და ცვლილების თანახმად ქვეყნის მეთაურს გადაეცემოდა. შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, შაჰს შეეძლო სიცოცხლეშივე თვითონ დაენიშნა რეგენტი.

ამგვარად კონსტიტუციაში შეტანილი დამატებები, ცვლილებები და შესწორებები მიზნად ისახავდა მონარქის პრეროგატივების თანდათანობით შეზღუდვას, მაგრამ რეალურად კი გატარებული ღონისძიებანი ხელს უწყობდნენ შაჰის უფლებამოსილებების გაფართოებას და მონარქიული სახელმწიფო წეს-წყობილების განმტკიცების ინტერესებს ემსახურებოდა.

ირანის პირველი კონსტიტუციის მიღების შემდგომ პერიოდში მისი დამატებებისა და ცვლილებების თანახმად, საკანონმდებლო ხელისუფლება გადაეცა მეჯლისს.


მეჯლისის პრეროგატივებზე და კონსტიტუციურ უფლებებზე ისიც მეტყველებდა რომ, როდესაც პარლამენტის სხდომები ტარდებოდა, სენატს ეკრძალებოდა რაიმე საკითხის განხილვა, პარლამენტს ამ დროს უფლება ჰქონდა განეხილა ნებისმიერი საკითხი თუ კანონპროექტი როცა სენატი ფუნქციონირებდა [იხ.: ძირითადი კანონის დამატება მუხლი 44, გვ. 16].

ამგვარად, მეჯლისის ორპალატიანი სისტემა ჩამოყალიბებისთანავე კლასობრივ ხასიათს ატარებდა და სოციალურ-კლასობრივ საფუძველზე იყო აგებული. პარლამენტის კონსტიტუციური უფლებების გაფართოება კი იმით აიხსნება, რომ სწორედ მოცემულ პერიოდში ირანში განვითარდა და აპოგეას მიაღწია სახალხო მოძრაობა, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების შემდგომ ევოლუციაზე. მიუხედავად ირანის პარლამენტის (მეჯლისის) ფართო უფლებამოსილებისა, რაც მას აღმასრულებელ ხელისუფლებაზე გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე აყენებდა, რეალურად და ობიექტური თვალსაზრისით საქმიანობის მთელ საკმარისად დიდი პერიოდში იგი აღმასრულებელი ხელისუფლების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამით აიხსნება ირანში არსებული წინააღმდეგობების ხასიათი და ხელისუფლების თვალში საცემი თავისებურებანი კონსტიტუციურ-მონარქისტული მმართველობის პირობებში.

ირანის პირველი კონსტიტუციის დამატებებმა და შესწორებებმა გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების სტრუქტურებში. განსაკუთრებულად შეიცვალა სახელმწიფო ორგანოთა არქიტექტონიკა. სახელმწიფო ორგანოთა სტრუქტურა XX საუკუნის 60-70-იანი წლების მონარქიულ ირანში გამოიყურებოდა შემდეგნაირად [იხ.: სქემა №2]

მონარქიული ირანის სახელმწიფო ორგანოთა
სტრუქტურა
(XX საუკუნის 60-70-იან წლებში)

სქემა №2



თავი – III. 1979 წლის „სახალხო კონსტიტუციის“ მიღება და ისლამური რესპუბლიკის წყობილების დამყარება ირანში

მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან ირანის სახელმწიფოს ისტორიაში იწყება არატრადიციული მმართველობის ფორმის დამკვიდრება. ანტიმონარქიულმა სახალხო მოძრაობამ ირანში მონარქიული მმართველობა დაამხო. ქვეყანა რესპუბლიკური ტიპის „ისლამურ სახელმწიფოდ“ გამოცხადდა.

1979 წლის 14 იანვარს აიათოლა ხომეინიმ ირანელ ხალხს მიმართა მონოდებით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „ისლამის ნორმებისა და ხალხის დიდი უმრავლესობის ნების თანახმად“, იგი ქმნიდა ისლამურ რევოლუციურ საბჭოს, რომელიც დანიშნავდა დროებით მთავრობას შემდეგი ამოცანების შესასრულებლად: მოაწყობდა დამფუძნებელი კრების არჩევნებს და მიიღებდა „ისლამური რესპუბლიკის“ კონსტიტუციას, ახალი კონსტიტუციის შესაბამისად ჩაატარებდა პარლამენტის არჩევნებს, ხელისუფლებას გადასცემდა ახლად არჩეულ პარლამენტს, შაჰის მთავრობასა და მის საკანონმდებლო ორგანოს კანონგარეშე გამოაცხადებდა, ხოლო ხალხს მოუწოდებდა, რომ განეგრძო დემონსტრაციები და გაფიცვები [იხ. **С.Л. Агаев Иран в прошлом и настоящем. М. 1981, стр. 207**].

აღნიშნულ პერიოდში თანდათანობით ყალიბდება ხელისუფლების ქვედა ორგანოები – „ისლამური რევოლუციური კომიტეტები (ქომითე-ე ენყელაბ-ე ესლამი) და „ისლამური რევოლუციის გუშაგები“ (ფასდარან-ე ენყელაბ-ე ესლამი). ვინაიდან ახალი ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები ჯერ კიდევ არ არსებობდა და ამიტომ აიათოლა ხომეინის მომხრეებს სურდათ შაჰისდროინდელ სახელმწიფო აპარატზე „მმართველობის ისლამური სტრუქტურა“ დაემყნოთ. მაგრამ შეიარაღებული აჯანყების წარმატებით განვითარებამ ხელი შეუწყო რევოლუციური ხელისუფლების სისტემის ჩამოყალიბებას. შექმნილი ისლამური რევოლუციური საბჭო ცენტრალური საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოს ფუნქციებს ასრულებდა, ხოლო ახლად ჩამოყალიბებული ცენტრალური რევოლუციური კომიტეტი, „ფასდარების“ შტაბი და ცენტრალური ტრიბუნალი ახალ ცენტრალურ აღმასრულებელ

ხელისუფლებას განასახიერებდა. [იხ. Л.Е. Скляр. Становление новых органов власти в Иране (1978-1981) Всб.: Иран, История и современность, М., 1983. стр. 204].

1979 წ. 30-31 მარტს მოენყო რეფერენდუმი: მონარქია თუ ისლამური რესპუბლიკა, რეფერენდუმი რევკომების მეშვეობით ჩატარდა. 1 აპრილს ირანი ისლამურ რესპუბლიკად გამოაცხადეს. ახალი კონსტიტუცია კი, რომელშიც ირანის ისლამური რესპუბლიკის სამართლებრივი საფუძვლებია ჩამოყალიბებული, 1979 წ. დეკემბრის რეფერენდუმით არის მიღებული და მასში იურიდიულად განმტკიცდა სახელმწიფო წყობილების კლერიკალური ხასიათი. კონსტიტუციამ მონარქიის ავტოკრატიული რეჟიმის ნაცვლად ისლამური ლიდერების ხელმძღვანელობა დააკანონა. ამით საბოლოოდ გაქარწყლდა ბურჟუაზიის ილუზიები შეექმნათ საერთო რესპუბლიკური მმართველობა. ამან თვით დროებითი მთავრობის შიგნით უთანხმოების გამწვავება და გათიშვა გამოიწვია. მთავრობის შემადგენლობიდან გამოვიდა ეროვნული ფრონტის აღმასკომის თავმჯდომარე ქარიმ სანჯაბი, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა. გადადგნენ, აგრეთვე, ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენელი მთავრობის სხვა წევრები. მეჰდი ბაზარგანი კვლავ დარჩა მთავრობის მეთაურის პოსტზე, მაგრამ მისი პოზიციები მნიშვნელოვნად შეირყა. მთავრობიდან გამოსული წევრები თავიანთი გადადგომის მიზეზად ასახელებდნენ იმას, რომ მ. ბაზარგანის მთავრობას „რეალური ძალაუფლება არ ჰქონდა“. ქარიმ სანჯაბი მოითხოვდა, რომ მთავრობას გადასცემოდა ქვეყნის მართვის ყველა სადავე. მათ შორის მის ხელქვეით ყოფილიყო „ქვეყნის მთელი სამხედრო ფორმირება“.

მიუხედავად იმისა, რომ ბაზარგანის დროებითი მთავრობა, რომელიც პარალიზებული იყო რევკომების, „ფასდარების“ რაზმებისა და ტრიბუნალების საქმიანობით და ქვეყნის საზოგადოებრივი პოლიტიკური ცხოვრების მართვაში სრულ უძღურებას იჩენდა, ხოლო შემდეგში მთავრობის მეთაურმაც უკვე რამდენჯერმე მიმართა ხომეინის გადადგომის შესახებ, ეს უკანასკნელი ამაზე არ ეთანხმებოდა. ეს იმით აიხსნება, რომ რელიგიური ლიდერები, რომლებსაც თვალის სახელმწიფოში მთელი პოლიტიკური ხელისუფლების ხელში ჩაგდებაზე ეჭირათ, ბაზარგანის დროებით მთავრობას

იყენებდნენ შირმად, რათა თავიდან აეცილებინათ ხალხის უკმაყოფილება და კრიტიკა, ვინაიდან ამ უკანასკნელის იმედები განუხორციელებელი რჩებოდა.

ისლამურ რევოლუციურ საბჭოში ჩამოყალიბდა ბეჰეშთი-რაფსანჯანის დაჯგუფება, რომელიც მეჰმედი ბაზარგანის დროებით მთავრობას უპირისპირდებოდა. ამ დაჯგუფებას მთავრობა მიაჩნდა პოლიტიკურ მეტოქედ, რომელიც კვეცავდა რევოლუციური საბჭოს უფლებებს და განუსაზღვრელი ბატონობის შესაძლებლობას აძლევდა მას. იმ მიზნით, რომ ისლამური რევოლუციური საბჭოს გარეთ დასაყრდენი გაეჩინა, ამ დაჯგუფების ინიციატივით 1979 წლის აპრილში შექმნეს ისლამური რესპუბლიკის პარტია. ბეჰეშთი - რაფსანჯანის ჯგუფი ამ პარტიას მეჰმედი ბაზარგანის მთავრობასთან ბრძოლის მთავარ საშუალებად მიიჩნევდა. დამფუძნებელი კრებისა და მეჯლისის მომავალ არჩევნებში ჯგუფს ამ გზით უნდა უზრუნველყო თავისთვის უმრავლესობა და დროებითი მთავრობის იზოლაცია მოეხდინა.

სახელმწიფოში სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ძალზედ გართულდა და გამწვავდა იმის შემდეგ რაც დაიწყო ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავება და განხილვა. მიღებული იქნა გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რათა ჩამოყალიბებული ყოფილიყო „ექსპერტთა საბჭო“ (მეჯლის-ე ბარასი-ე ნეჰაი ყანუნ-ე ასასი) რომლის ძირითადი ფუნქცია იყო ახალი კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის დადგენა.

„ექსპერტთა საბჭო“ შედგებოდა 73 კაცისაგან. აღსანიშნავია ის, რომ „ექსპერტთა საბჭოს“ არ გააჩნია საკანონმდებლო ორგანოს უფლებები. „ექსპერტთა საბჭოს“ შემადგენლობაში ძირითადად შედიოდნენ სასულიერო მოღვაწენი.

„ექსპერტთა საბჭომ“, რომელიც 1979 წლის ივნისიდან ინტენსიურად მუშაობდა, თავის სხდომებზე განიხილავდა ხომეინის მიერ რედაქტირებულ ახალი კონსტიტუციის პროექტს, რომელიც ამავე წლის 15 ნოემბერს საბოლოო ტექსტის სახით იყო წარმოდგენილი.

1979 წლის 2-3 დეკემბერს გამართულ რეფერენდუმზე, მონაწილეთა ხმების დიდი უმრავლესობით ახალი კონსტიტუცია დამტკიცებული იქნა. ირანის უახლეს ისტორიაში ეს იყო მეორე კონსტიტუცია, რომელიც პირველი

კონსტიტუციის მიღების 74-ე წლის თავზე დაიწყო თავისი მოქმედება.

კონსტიტუციის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ „ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია განასახიერებს ისლამის საწყისებზე დაფუძნებული ირანის საზოგადოების კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემას. იგი პასუხობს ისლამური ხალხის ძირეულ ინტერესებს. ირანის დიდი ისლამური რევოლუციის ხასიათი და მუსლიმთა ბრძოლისა და მოქმედების მეთოდები, რაც თავიდანვე მოსახლეობის ყველა ფენის რადიკალურ და მიზანმიმართულ ლოზუნგებში ჩამოყალიბდა, მის ძირითად მისწრაფებას განსაზღვრავს [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია. თბ., 994, გვ. 5. (სპარსული ენიდან თარგმნა ნ. თარხნიშვილმა). შემდეგ. ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია].

ირანის უახლეს ისტორიაში ახალი ძირითადი კანონი „ისლამური კონსტიტუციის“ სახით არის ცნობილი. კონსტიტუციის მთელი არსი, შინაარსი და ხასიათი ისლამური სულისკვეთებით არის გაჯერებული. ამასთან დაკავშირებით კონსულტაციის პრეამბულაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „უკანასკნელი საუკუნის ირანის სხვა მოძრაობებთან შედარებით ამ რევოლუციის ძირითადი თავისებურება მის ფუნდამენტურობასა და ისლამურობაში მდგომარეობს. ირანის მუსლიმთა ხალხმა კონსტიტუციური, ანტითვითმპყრობელური, ანტიკოლონიური მოძრაობისა და ნავთობის ნაციონალიზაციისათვის ბრძოლის შედეგად გარკვეული გამოცდილება შეიძინა.

„... სწორედ ამიტომ ხალხის ფხიზელმა სინდისმა მიბაძვის მაგალითის მისი უნიმინესობის დიდი აითოლა იმამ ხომეინის ხელმძღვანელობით შეიგნო ფუნდამენტური ისლამური შინაარსის მატარებელი მოძრაობის ხაზის გაყოლის საჭიროება. ამჯერად ქვეყნის მებრძოლი სასულიერო პირები, რომლებიც მუდამ სახალხო გამოსვლების წინა რიგებში იდგნენ, ღვთისმოსავ ინტელიგენციასთან ერთად მისი ხელმძღვანელობით ახლებურად ამოძრავდნენ (ირანელი ხალხის უკანასკნელი მოძრაობა დაიწყო მთვარის პიჯრით 1382 წელს, რაც შეესაბამება მზის პიჯრით 1341 წელს)“ [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., გვ. 6].

ძირითადი კანონის პრეამბულაში ჩამოყალიბებულია კონსტიტუციის მთავარი მოტივაცია და მიზანმიმართულებები. იქვე ნათქვამია, რომ „ისლამურ მოძრაობას“ მიზნად აქვს დასახული ადამიანის ყოველგვარი ჩაგვრის და შევიწროების რადიკალური მსხვერვეა [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., გვ. 6].

კონსტიტუციის შემდგენელები აღნიშნავენ, რომ „ისლამური მოძრაობის ახალი ეტაპი დაიწყო 1963 წლის ივნისში, როდესაც აითოლა ხომეინი აქტიურად გამოვიდა შაჰის „თეთრი რევოლუციისა“ და ირანში ამერიკელთა ბატონობის წინააღმდეგ. ყოველივე ამის შემდეგ იმამი აითოლა ხომეინი ჩადგა მოძრაობის სათავეში.

პრეამბულაში ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია, – „ამერიკელთა შეთქმულების, „თეთრი რევოლუციის“, თვითმპყრობელური რეჟიმის საფუძვლების განმტკიცებისა და საერთაშორისო იმპერიალიზმზე ირანის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იმამ ხომეინის გაბედულმა ბრძოლამ ხალხი ერთი დროშის ქვეშ გააერთიანა. ამის შემდეგ მუსლიმი ხალხის გამოსვლებმა და 1342 წლის ხორდატის თვეში დატრიალებულმა სისხლიანმა ამბებმა, რომელიც სინამდვილეში ამ აჯანყების გამარჯვებით დაგვირგვინების საწყისი ეტაპი იყო, [იგულისხმება 1963 წლის 5-8 ივნისის ამბები, როცა სასულიერო პირების ხელმძღვანელობით ადგილი ჰქონდა გამოსვლებს მინის რეფორმისა და სხვა ანტიხალხური ღონისძიებებისა, კურსივი ავტორებისა ვ. გურგენიძის და მ. გურგენიძის] წარმოაჩინა იმამის (ხომეინი) როგორც ისლამური მოძრაობის წინამძღოლის ცენტრალური ფიგურა. სამარცხვინო კაპიტულანტური კანონის (ამერიკელ მრჩეველთა ხელშეუხებლობის თაობაზე) დაგმობის გამო ირანიდან მისი (ხომეინის) გაძევების მიუხედავად უფრო განმტკიცდა ისლამური თემის (ხალხის) კავშირი იმამთან და მუსლიმმა ხალხმა განსაკუთრებით კი ღვთისმოსავმა ინტელიგენციამ და მებრძოლმა სასულიეროებმა გადასახლებასა თუ ციხეებში, წამებასა თუ სახრჩობელებზე თავიანთ არჩეულ გზას არ უღალატეს [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., გვ. 6].

პრეამბულაში გაშუქებულია ხალხისა და სასულიერო ფენების აქტივიზაციის ძირითადი მომენტები, „... ამასობაში

საზოგადოების შეგნებულმა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით განმსჭვალულმა ნაწილმა მეჩეთებში, სამეცნიერო დანებებულებებსა და უნივერსიტეტებში ფართო ახსნა-განმარტებითი საქმიანობა გაშალა. რევოლუციურ წრთობითა და ისლამური ზნეობრივი სიკეთით ნასაზრდოები შთაგონებით წარმატებით დაიწყო მუსლიმი ხალხის ცნობიერების, საბრძოლო სულისკვეთებისა და მართლმორწმუნეობის დონის ამაღლება. თვითმპყრობელური რეჟიმი, ხალხის რისხვისაგან თავის დასაღწეად ამაოდ ცდილობდა ისლამური მოძრაობა ჩაეხშო სასულიერო ცენტრების, უნივერსიტეტების და რევოლუციის ყველა სხვა კერის წინააღმდეგ გააფთრებული შეტევის გაჩაღების გზით“ [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., გვ. 7].

მოცემულ ვითარებაში აღნიშნულია კონსტიტუციის პრეამბულაში, თვითმპყრობელური რეჟიმის რღვევის აპოგეის ეტაპზე იმამ ხომეინიმ, რომელიც ქვეყნიდან იყო განდევნილი, შეიმუშავა ისლამური რესპუბლიკის ნყობილების დამყარების უნიკალური გეგმა. მან შეიმუშავა და მეცნიერულად ჩამოაყალიბა „ისლამური მმართველობის პროექტი“ [მხედველობაშია აითოლა ხომეინის წიგნი „ისლამური რესპუბლიკის მმართველობა“ რომელიც გამოიცა ქალაქ ნეჯფეში 1971 წელს].

კონსტიტუციის პრეამბულის ერთ-ერთი ნაწილის სახელწოდებით „ისლამური მმართველობა“ წერია: „ველაიათე ფაყიჰის“ ბაზაზე შედგენილი ისლამური მმართველობის მონახაზი, რომელიც იმამ ხომეინიმ შეიმუშავა ჯერ კიდევ მაშინ, როცა თვითმპყრობელური, რეპრესიული რეჟიმი ზენიტში იმყოფებოდა, მუსლიმ ხალხს გარკვეულ სტიმულს აძლევდა და ახალ ძალას მატებდა. მან ისლამის ფუნდამენტური მიმდინარეობის ბრძოლის კეთილშობილური გზა გახსნა. მუსლიმ და რწმენისათვის თავდადებულ მებრძოლთა მისწრაფება ქვეყანაში და მის გარეთ უფრო მიზნობრივი გახდა.

ასე გრძელდებოდა მოძრაობა სანამ ზღვარდაუდებელი შევიწროებისა და რეპრესიების გამო ხალხის უკმაყოფილებამ და აღშფოთებამ მსოფლიო ასპარეზზე მებრძოლი სასულიეროების და სტუდენტების ბრძოლისა და აქტიური მამხილებელი საქმიანობის მეშვეობით მნიშვნელოვნად არ შეარყია მმართველი რეჟიმის საფუძვლები. რეჟიმი და მისი

მესვეურები იძულებული იყვნენ შეემსუბუქებინათ დანოლა და რეპრესიები და რამდენადმე განემუხტათ ქვეყნის პოლიტიკური სიტუაცია. ამ გზით ვარაუდობდნენ თავი დაეღწიათ გარდაუვალი დაცემისაგან. მაგრამ გამოღვიძებულმა ხალხმა იმამის წინამძღოლობით ერთი დროშის ქვეშ დაიწყო ძლიერად მოსილი საყოველთაო აჯანყება [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., გვ. 7].

ახალი კონსტიტუციის პრეამბულაში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა „მმართველობის ფორმა ისლამში“. კერძოდ კანონმდებელი აღნიშნავს – ისლამის თვალსაზრისით, მმართველობა ერთპიროვნული, ჯგუფური, კლასობრივი ან დიქტატორული სანყისიდან კი არ მომდინარეობს, არამედ ერთმორწმუნე და თანამოაზრე ადამიანების პოლიტიკური მრწამსის კრისტალიზაციაა, ხელს უწყობს თვითორგანიზაციას, რათა საკუთარი გონებრივი და ღვთაბრივი სრულყოფის გზით მიაღწიონ საბოლოო მიზანს (ამაღლება ალაჰამდე). რევოლუციური განვითარების პროცესში ჩვენი ხალხი განთავისუფლდა კერპ-თაყვანისმცემლობის რელიგიური დოგმატიებისაგან, განიზმინდა უცხოური იდეოლოგიის ნაზავისაგან და ისლამურ იდეურ და მსოფლმხედველობით სანყისებს დაუბრუნდა. ახლა გადაწყვეტილი აქვს ისლამურ ნორმებზე დაფუძნებული სანიმუშო საზოგადოება ააშენოს. ამდენად, კონსტიტუცია მონოდებულია, რათა წარმოაჩინოს მოძრაობის სარწმუნოებრივი ნიადაგი და შექმნას ისეთი პირობები, რომელშიც ადამიანი ისლამური უმაღლესი და ყოვლისმომცველი ფასეულობებით აღიზრდება.

კონსტიტუცია, რომელსაც აქცენტი გადააქვს ისლამური რევოლუციის ძირითად შინაარსზე, იმაზე, რომ იგი არის მოძრაობა ყველა ჩაგრულის მჩაგვრელებზე გამარჯვებისათვის, ამზადებს ნიადაგს ამ რევოლუციის გასაგრძელებლად ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ, განსაკუთრებით იღვწის სხვა ისლამურ და სახალხო მოძრაობებთან საერთაშორისო კავშირების გასაფართოებლად, რათა გააიოლოს გზა, რომელსაც მსოფლიოს ერთიანი ხალხის შექმნამდე მივყავართ (ჭეშმარიტად, ეს თემი თქვენი [რელიგიური უმმა] ერთი თემია, და მე ვარ უფალი თქვენი, თაყვანი მეცით),

გააძლიეროს ბრძოლა მთელს მსოფლიოში ჩაგრული და ლატაკი ხალხების გასათავისუფლებლად.

კონსტიტუცია, რომელიც ყურადღებას მიაპყრობს ამ დიდი მოძრაობის ბუნებას, გარანტიას იძლევა ყოველგვარი ტოტალიტარული იდეოლოგიის, სოციალური, ეკონომიკური მონოპოლიის აღმოსაფხვრელად, მიისწრაფვის, რათა დაანგრეოს თვითმპყრობელური სისტემა და ხალხის ბედი მისსავე ხელში გადასცეს (ტვირთსა და ბორკილებს მოაცილებს, რომლებიც მათ ედოთ).

პოლიტიკური კონცეფციის შემუშავებაში, რაც, თავის მხრივ საზოგადოების ორგანიზაციული საფუძველია, მართლმორწმუნეობის განმარტებაზე დაყრდნობით ხელისუფლებისა და სახელმწიფოს მართვის პასუხისმგებლობას კომპეტენტური პირები კისრულობენ (რომ ქვეყანაზე დაიმკვიდრებენ მონანი ჩემნი კეთილმსახურნი). კანონმდებლობა, რომელიც საზოგადოების მართვას აწესრიგებს, ყურანის და სუნას ღერძის გარშემო ტრიალებს. ამიტომაც სამართლიანი, ღვთისმოსავი და კომპეტენტური (სამართლიანი ფაყიჰების) ისლამმცოდნეების ფხიზელი და აქტიური ზედამხედველობა გადაუდებელი და საპატიო საქმეა. რამდენადაც ხელისუფლების მიზანი ღვთაებრივი წესრიგისკენ მოძრაობაში (ალაჰთანაა მისაქციელი), ადამიანის ზრდაში მდგომარეობს, ამდენად ადამიანის ღვთისმოსაობის გამოვლენის მიზნით უნდა შეიქმნას მისი შესაძლებლობების წარმოჩენისა და გაფურჩქენის საფუძველი (მოიქცეით მსგავსად ალაჰისა). ყოველივე ეს მხოლოდ საზოგადოების განვითარებისას ყველა სოციალური რგოლის აქტიური და ფართო მონაწილეობით არის შესაძლებელი.

ამრიგად, კონსტიტუცია ნიადაგს ამზადებს ეფექტიანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ყველა ეტაპზე საზოგადოების თითოეული წევრის ასეთი მონაწილეობისათვის, რომ ადამიანის სრულყოფის გზაზე თითოეული მათგანი თავისი თავის სრულყოფილი ბატონ-პატრონი გახდეს. ეს იქნება დედამინაზე ჩაგრულთა მმართველობის განხორციელება „... გვწადს, რომ წყალობა ვუყოთ ამ ქვეყანაზე დაუძლურებულთ, იმამებად ვაქცევთ მათ, მემკვიდრეებად დავადგენთ მათ“ [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., გვ. 11].

ძირითადი კანონის პრეამბულის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება ისეთ აქტუალურ საკითხს მუსულმანურ სამყაროში როგორცაა ქალის უფლებრივი მდგომარეობა. პრეამბულის ამ ნაწილში ნათქვამია, – „ისლამური საზოგადოებრივი საფუძვლების შექმნისას ადამიანის ენერგია, რომელიც მანამდე უცხოელთა ექსპლოატაციას განიცდიდა, კვლავ უბრუნდება თავის ძირითად არსსა და უფლებებს, სწორედ ამ ბუნებრივ უკუდაბრუნებაში ქალები, რომლებიც დღემდე, სატანის რეჟიმის დროს, უაღრესად დიდ ჩაგვრას განიცდიდნენ, მეტ უფლებებს შეიძენენ.

ოჯახი საზოგადოების საფუძველი და ადამიანის განვითარების და ღმერთთან მიახლოების უმთავრესი კერაა. რწმენისა და იდეალების თანხვედრმა ოჯახის შექმნის საქმეში სრულყოფისაკენ მოძრაობის ძირითადი პირობაა და ადამიანის განვითარებას განსაზღვრავს. ამასთანავე იგი მთავარი ფუძეცაა და ამიტომ მიზნის მისაღწევად შესაძლებლობათა გაერთიანება ისლამური მმართველობის ერთ-ერთი მოვალეობაა. ქალმა, როგორც ოჯახის ბურჯმა, თავი დააღწია თავის უწინდელ მდგომარეობას, როდესაც იგი უბრალო „ნივთს“ ან „შრომის იარაღს“ წარმოადგენდა და შევიწროებას განიცდიდა. მან დაიბრუნა დედის უკეთილშობილესი მისია მონინავე მართლმორწმუნე ადამიანების აღზრდის საქმეში. იგი გახდა მამაკაცის თანამებრძოლი ცხოვრების აქტიურ უბნებზე. შედეგად დაეკისრა მეტი პასუხისმგებლობა, ისლამის თვალსაზრისით. იგი გაცილებით მეტად დაფასდება და შინაურული სითბოთი და სიყვარულით აღივსება“ [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., გვ. 11].

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც ჰიჯრით 1358 წელს 24 აბანს (1979 წლის 15 ნოემბერი) ექსპერტთა საბჭოს მიერ იქნა მოწონებული და იმავე 2-3 დეკემბერს რეფერენდუმზე დამტკიცებული, 12 თავისა და 175 მუხლისაგან შედგებოდა. მოგვიანებით, 1368 წელს (1989 წ.) განხორციელდა კონსტიტუციის ტექსტის ოფიციალური გადასინჯვა რის შედეგადაც მას დაემატა ორი თავი (თავი მეცამეტე: ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს შესახებ და თავი მეთოთხმეტე: კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ). ამასთან ერთად შეტანილი იქნა ცვლილებები კონსტიტუციის 46 მუხლში [ნაშრომზე

მუშაობისას ჩვენ – ავტორებმა გამოვიყენეთ კონსტიტუციის ტექსტის თარგმანი – შესრულებული მკვლევარი ნუგზარ თარხნიშვილის მიერ გამოცემული სპარსულ ენაზე კონსტიტუციის ტექსტების საფუძველზე. იხ.: წინამდებარე ნაშრომის V თავი გვ. ...].

ძირითადი კანონის პირველ თავში წარმოდგენილია სახელმწიფოს მართვის ზოგადი პრინციპები. იგი მოიცავს 14 მუხლს, 22 პუნქტს და 3 ქვეპუნქტს. მის პირველ მუხლში ნათქვამია, რომ „ირანის სახელმწიფო მმართველობის ფორმას წარმოადგენს ისლამური რესპუბლიკა, რომლის ხალხმა ყურანის ქეშმარიტ და სამართლიან უძველეს ტრადიციებზე დაყრდნობით და მიბაძვის მაგალითის, დიდი აითოლა იმამ ხომეინის ხელმძღვანელობით ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საერთო-სახალხო გამოკითხვის (რეფერენდუმის) დროს, რომელიც მზის ჰიჯრით ათას სამას ორმოცდათვრამეტი წლის ათ და თერთმეტ ფარვარდინს [1979 წლის 30-31 მარტი] ჩატარდა (შეესაბამება მთვარის ჰიჯრით ათას სამას ოთხმოცდაცხრა-მეტი წლის 1-2 ჯომადი ოლ-ავალს) მონაწილეთა 98,2% უმრავლესობით ხმა მისცა ყურანის ქეშმარიტ და სამართლიან მმართველობას“ [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., მუხლი 1, გვ. 15].

ისლამური რესპუბლიკური სისტემა ემყარება შემდეგ პრინციპებს:

1. ერთღმერთიანობის (არა არს ღმერთი გარდა ალაჰისა) აღიარება, ღვთის უზენაესობის ცნობა და მისი საქმისადმი მორჩილება;

2. ღვთაებრივი ზეშთაგონება და მისი ფუძემდებლური როლი კანონების განმარტებისას;

3. ადამიანთა საქმიანობაში ღვთის სახელით ისლამური ტრადიციების დამკვიდრება;

4. სამართლიანობა და ღვთისმოსაობა;

5. ირანის ისლამური რევოლუციის წინაშე დასახული მიზნების განსახორციელებლად მთავარი მნიშვნელობის მინიჭება რელიგიური პირებისა და უპირველეს ყოვლისა, წინამძღოლისათვის;

6. ღმერთის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, ადამიანის მოქალაქეობრივი თავისუფლების და ღირსების პატივისცემა.

ყოველივე ეს ხორცილედება შემდეგი გზით.

ა) ხალხის მიერ არჩეული მუსლიმური სარწმუნოების სამართლისმცოდნე – ფაყიჰები წმინდა ყურანის საფუძველზე უნდა ესწრაფვოდნენ ისლამური ტრადიციების იდეების გავრცელებას;

ბ) მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის გამოყენება და გამდიდრება;

გ) ყოველგვარი ექსპლოატატორული და პეგემონისტური მისწრაფებების უარყოფა, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და კულტურულ დამოუკიდებლობას, ეროვნულ ერთიანობას.

ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების განსახორციელებლად ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობა ვალდებულია გადანყვიტოს შემდეგი საკითხები, – ნათქვამია კონსტიტუციაში:

1. შექმნას ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რათა ისლამურ ტრადიციებზე დაყრდნობით მოსახლეობაში დამკვიდრდეს ჯანსაღი ზნე-ჩვეულებანი და აღიკვეთოს ყოველივე მავნე და მანკიერი;

2. გაზარდოს საინფორმაციო ორგანოების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამისათვის განოიყენოს პრესა და ბეჭდვითი სიტყვის სხვა ორგანოები;

3. ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს უფასო განათლება და ფიზიკური აღზრდა, შეღავათი დაუნესოს და ფართოდ დანერგოს უმაღლესი განათლება;

4. მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და ისლამის სფეროებში კვლევითი სულისკვეთების გაძლიერების მიზნით შექმნას შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და წაახალისოს მკვლევარები;

5. ამოძირკვოს კოლონიალიზმის ნაშთები და არ დაუშვას უცხოეთის გავლენა;

6. აღმოფხვრას ყოველგვარი დესპოტიზმი, თვითნებობა და მონოპოლიზმი;

7. უზრუნველყოს ხალხის კანონიერი პოლიტიკური და საზოგადოებრივი თავისუფლებანი;

8. მისცეს მოსახლეობას საკუთარი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების გარანტია;

9. ალიკვეთოს ყოველგვარი დისკრიმინაცია და ყველასათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნას, როგორც მატერიალურ, ასევე სულიერ სფეროში;

10. შექმნას ნორმალური ადმინისტრაციული სისტემა და გააუქმოს არასაჭირო სტრუქტურები;

11. გააძლიეროს ეროვნული თავდაცვა საყოველთაო სამხედრო წვრთნის საფუძველზე, რათა საიმედოდ იქნეს დაცული ქვეყნის დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და ისლამური სისტემა;

12. ისლამური ტრადიციების შესაბამისად საფუძველი ჩაეყაროს საიმედო და სამართლიან ეკონომიკას იმისათვის, რათა მთავარი ყურადღება დაეთმოს ჩამორჩენილი რაიონების განვითარებას, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სამედიცინო მომსახურებასა და დაზღვევას;

13. საკუთარი ეროვნული კადრებით უზრუნველყოს ქვეყნის სამეცნიერო, ტექნიკური, სამრეწველო, სოფლის მეურნეობის, სამხედრო და სხვა დარგები;

14. უზრუნველყოს მამაკაცისა და ქალის უფლებების ყოველმხრივი დაცვა და შექმნას კანონის წინაშე საყოველთაო თანასწორუფლებიანობა სამართლებრივ საფუძველზე;

15. ადამიანებს შორის დაამყაროს და განამტკიცოს ისლამური ძმობა და საყოველთაო თანამშრომლობა;

16. ქვეყნის საგარეო პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს ძმურ ურთიერთობას და დახმარებას ყველა მუსლიმურ ქვეყანასთან, თუ ამას საჭიროება მოითხოვს [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., მუხლი 3, გვ. 17].

კონსტიტუციის მეოთხე მუხლში აღნიშნულია, რომ – „სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები, საფინანსო, ეკონომიკურ, ადმინისტრაციულ, კულტურულ, სამხედრო, პოლიტიკურ და სხვა დარგებში მიღებული ყველა კანონი და დადგენილება ისლამურ ტრადიციებს უნდა ემყარებოდეს. ეს პრინციპი საფუძვლად უდევს კონსტიტუციის ყველა მუხლს, კანონებსა და დადგენილებებს. მისი განსაზღვრა საზედამხედველო საბჭოს ფაყიჰებს ეკისრებათ“ [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., გვ. 17].

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის მეორე თავში შეტანილია ოფიციალური ენის, დამწერლობის, კალენდარისა და სახელმწიფო დროშის შესახებ დებულებები.

იგი მოიცავს აღნიშნულ დებულებებს მეთხუთმეტე მუხლიდან მეთვრამეტე მუხლამდე.

კონსტიტუციის მესამე თავში განსაზღვრულია მოქალაქეთა უფლებები კერძოდ ხაზგასმულია, რომ – „ირანელი ხალხი განურჩევლად წარმოშობისა, კანის ფერის, ენისა, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილებისა თანაბარი უფლებებით სარგებლობს. ყველა მოქალაქე – ქალი თუ მამაკაცი – კანონის წინაშე თანასწორუფლებიანია. ისინი ისლამური ტრადიციების შესაბამისად თანაბრად სარგებლობენ პუმიანური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით. სახელმწიფო ვალდებულია ისლამური ტრადიციების შესაბამისად ყოველმხრივ დაიცვას ქალის უფლებები და განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

1. ხელსაყრელი პირობების შექმნა ქალის პიროვნების განვითარებისათვის, მისი მატერიალური და სულიერი პირობების გაუმჯობესებისათვის;

2. დედობის დაცვა, განსაკუთრებით ორსულობის და ბავშვის აღზრდის პერიოდში. უპატრონო ბავშვებისადმი მზრუნველობის გამოჩენა;

3. საოჯახო ურთიერთობების დასაცავად სამომრიგებლო სასამართლოების შექმნა;

4. ქვრივი, მოხუცებული და უპატრონოდ დარჩენილი (მარტოხელა) ქალების დასაზღვევად სპეციალური სადაზღვევო ორგანიზაციების დაარსება;

5. ღირსეული დედებისათვის ბავშვებზე მეურვეობის უფლების გადაცემა კანონიერი მეურვის არყოფნის შემთხვევაში.

კანონი იცავს მოქალაქეთა ღირსებას, სიცოცხლეს, ქონებას, უფლებებს, საცხოვრებელ ბინას და უზრუნველყოფს მათ დასაქმებას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელსაც კანონი განსაზღვრავს. აკრძალულია პიროვნების დევნა მისი რწმენისათვის. არავის აქვს ადამიანის შევიწროებისა და დასჯის უფლება მისი რწმენის გამო. ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები თავიანთ საქმიანობაში თავისუფალნი არიან იმ პირობით, თუ ისინი ზიანს არ აყენებენ ისლამის საფუძვლებსა ან საყოველთაო უფლებებს. ამას ცალკე კანონი განსაზღვრავს. წერილების გასინჯვა და გადაუცემლობა, სატელეფონო საუბრების საიდუმლოების გამჟღავნება,

სატელეგრაფო და სატელექსო ინფორმაციის გამოქვეყნება, ცენზურის დაწესება, ინფორმაციის გადაუცემლობა, მიყურადება და საერთოდ, ჯაშუშობის ყველანაირი გამოვლენა იკრძალება, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც კანონით არის დაშვებული. პარტიები, საზოგადოებები, პოლიტიკური და დარგობრივი ორგანიზაციები, ისლამური ან ნებადართული რელიგიური უმცირესობათა კავშირები თავისუფალნი არიან თავიანთ საქმიანობაში, თუ მათი მოღვაწეობა ზიანს არ აყენებს ქვეყნის დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, ეროვნულ ერთიანობას, ისლამურ ტრადიციებსა და ისლამური რესპუბლიკის საფუძვლებს. არავის აქვს უფლება პიროვნებას აუკრძალოს მათში მონაწილეობა, ან პირიქით, ძალით შეიყვანოს ერთ-ერთ მათგანში. ნებადართულია მშვიდობიანი კრებებისა და დემონსტრაციების გამართვა, თუ ისინი ისლამურ ტრადიციებს არ ეწინააღმდეგება.

ყველას აქვს უფლება აირჩიოს პროფესია თავისი ინტერესების შესაბამისად, თუ იგი ზიანს არ აყენებს ისლამს, საერთო საქმესა და სხვა მოქალაქეთა უფლებებს.

სახელმწიფო ვალდებულია, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოს თითოეული შრომისუნარიანი პირის დასაქმება და შეუქმნას მათ თანაბარი პირობები. პენსიაში გასვლისას, უმუშევრობის, სიბერის, შრომის უნარის დაკარგვის, უპატრონოდ დარჩენის და უბედური შემთხვევის დროს კანონი ითვალისწინებს მოქალაქეთა საყოველთაო სოციალურ უზრუნველყოფას, სამედიცინო მომსახურებასა და მეთვალყურეობას, დაზღვევას და ა.შ.

სახელმწიფო ვალდებულია კანონის თანახმად საერთო შემოსავლიდან მიღებული სახსრების ნაწილი და მოსახლეობიდან აკრეფილი გადასახადები გამოიყენოს იმისათვის, რათა თითოეულმა პიროვნებამ ისარგებლოს ზემოაღნიშნული დახმარებით. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს უფასო საშუალო განათლება თითოეული მოქალაქისათვის. აგრეთვე ხელი შეუწყოს ქვეყნის შესაძლებლობის მიხედვით უფასო უმაღლესი განათლების გავრცელებას. ყველა ირანელ მოქალაქეს და ოჯახს უფლება აქვს ჰქონდეს საცხოვრებელი ბინა. სახელმწიფო ვალდებულია პირველ რიგში საცხოვრებელი ბინით

დააკმაყოფილოს მოსახლეობის ის ფენები, რომელიც უფრო მეტ გაჭირვებას განიცდიან, კერძოდ, სოფლის მოსახლეობა და მუშები. სათანადო ბრძანებისა და კანონით დადგენილი წესის გარეშე მოქალაქის დაპატიმრება არ შეიძლება. პიროვნების დაკავების შემთხვევაში მას დაუყოვნებლივ წერილობით უნდა ეცნობოს და განემარტოს წარდგენილი ბრალდება. დაპატიმრებიდან არაუგვიანეს ოცდაოთხი საათისა ბრალდებულზე შედგენილი იქნება წინასწარი საქმე, რომელიც დაუყოვნებლივ გაიგზავნება სასამართლოში განსახილველად, რათა უმოკლეს დროში შედგეს სასამართლო პროცესი. ამ მუხლის დარღვევა კანონით ისჯება.

არავის აქვს უფლება, სათანადო დადგენილების გარეშე მოქალაქე თავისი ადგილსამყოფელიდან გაასახლოს ან აუკრძალოს მის მიერ შერჩეულ ადგილზე ცხოვრება ანდა სხვა ადგილზე ძალით ჩაასახლოს, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც კანონით არის გათვალისწინებული. ყველა მოქალაქეს, საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვს მიმართოს მართლმსაჯულების ორგანოებს. არავის არ შეიძლება წაერთვას კანონიერი უფლება საჩივრებით მიმართოს სასამართლო დაწესებულებებს მართლმსაჯულების განსახორციელებლად.

სასამართლოში თითოეულ მომჩივან მხარეს უფლება აქვს აიყვანოს დამცველი, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მათ არ შეუძლიათ დამცველის აყვანა, მაშინ მათ დამცველის დანიშვნის შესაძლებლობა უნდა შეექმნათ. ბრალდებაზე განაჩენის გამოტანა და მისი შესრულება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაში შედის და კანონის შესაბამისად ხორციელდება. კანონის თანახმად არავინ იქნება ცნობილი დამნაშავედ ან უდანაშაულოდ, თუ ამას სასამართლო არ დაამტკიცებს. აკრძალულია წამება ბრალდებულის გამოტეხის, ან რაიმე ცნობის მიღების მიზნით, იძულებით ჩვენების ჩამორთმევა, აღიარება ან დაფიცება დაუშვებელია, ხოლო ასეთ ჩვენებას, აღიარებას და დაფიცებას არავითარი ძალა არ გააჩნია.

ამ მუხლის დარღვევა კანონით ისჯება. პიროვნების დაკავების, დაპატიმრების ან გადასახლების დროს მისი შეურაცხყოფა და ღირსების შელახვა დაუშვებელია და კანონით ისჯება. არავის აქვს უფლება თავისი მოქმედებით

ზიანი მიაყენოს სხვას ან საერთო ინტერესებს. ირანის მოქალაქეობა ქვეყანაში მცხოვრები თითოეული ირანელის ხელშეუვალი უფლებაა. მთავრობას უფლება არა აქვს პიროვნებას ირანის მოქალაქეობა ჩამოართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას თავადვე მოითხოვს ან ქვეშევრდომობას იცვლის.

ირანის კანონების შესაბამისად უცხო ქვეყნების ქვეშევრდომებს უფლება აქვთ მიიღონ ირანის მოქალაქეობა, მათ მიერ ირანის მოქალაქეობის დაკარგვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სხვა სახელმწიფო მათ თავის მოქალაქეობას მისცემს, ან თუ ისინი ამას თავადვე მოითხოვენ [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., თავი III, მუხლები 19-42, გვ. 21-25].

კონსტიტუციის პრეამბულის ნაწილი და მეოთხე თავი განსაზღვრავენ ისლამური რესპუბლიკის ეკონომიკურ და ფისკალურ პოლიტიკას.

„ეკონომიკური საფუძვლების განმარტების შენაარსი გულისხმობს ადამიანის ზრდისა და სრულყოფის პროცესში მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და არა გამდიდრებასა და მოგებას, როგორც ეს სხვა ეკონომიკურ სისტემებშია ჩადებული. ვინაიდან მატერიალისტური გაგებით, ეკონომიკა არის მიზანი, ამიტომ განვითარების ეტაპზე იგი ნგრევის, გახრწნისა და დანაშაულის ფაქტორად იქცევა, ისლამში ეკონომიკა საშუალებაა და მიზნისკენ მიმავალი გზაა.

ამ თვალსაზრისით ისლამის ეკონომიკური პროგრამა იმაში მდგომარეობს, რომ შექმნას სათანადო ნიადაგი ადამიანის განსხვავებული შემოქმედებითი ძალების გამოსავლენად. ამდენად ისლამური მმართველობის მოვალეობაა უზრუნველყოს თანაბარი და პროპორციული შესაძლებლობები, შექმნას სამუშაო თითოეული ადამიანისათვის, დააკმაყოფილოს მისი აუცილებელი მოთხოვნილებები სრულყოფისაკენ მისი მოძრაობის გასაგრძელებლად“. აღნიშნულია კონსტიტუციის პრეამბულაში [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., გვ. 11-12].

მოცემულ კონტექსტში დიდ ინტერესს იწვევს დებულებები, რომლებიც მოცემულია კონსტიტუციის ორმოცდამესამე მუხლში, სადაც ხაზგასმით არის ნათქვამი

„საზოგადოების ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის, სიღარიბის მოსპობისა და მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მისი თავისუფლების დაცვით, ირანის ისლამური რესპუბლიკის ეკონომიკას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

1. ძირითადი მოთხოვნილებების უზრუნველყოფა: საცხოვრებელი ბინა, საკვები, ტანსაცმელი, სამედიცინო მომსახურება, მედიკამენტები, აღზრდა, განათლება, ხელსაყრელი პირობების შექმნა ოჯახის შესაქმნელად;

2. ხელსაყრელი სამუშაო პირობებისა და საშუალებების შექმნა მოსახლეობის სრული შრომითი დასაქმებისათვის, დასაქმებული უნდა იქნან ისინიც, რომელთაც მუშაობის სურვილი აქვთ, მაგრამ წარმოების საშუალებანი არ გააჩნიათ. მათ კოოპერაციის ფორმით უპროცენტო სესხი მიეცემათ. მაგრამ ცალკეულ პიროვნებებმა და ჯგუფებმა ეს თავიანთ ხელში კაპიტალის ან სიმდიდრის დაგროვების წყაროდ არ უნდა გაიხადონ.

ეს ღონისძიება უნდა გატარდეს თითოეული რაიონის მოთხოვნილებების შესაბამისად და ქვეყნის მცირე ეკონომიკურ გეგმებში აისახოს;

3. ქვეყნის ეკონომიკური პროგრამების შედგენისას შრომის პროცესი და სამუშაო დრო ისე უნდა მოწესრიგდეს, რომ თითოეულს გარდა თავისი ძირითადი შრომითი საქმიანობისა, შესაძლებლობა ჰქონდეს სულიერი და სოციალურ-ეკონომიკური დონის ასამაღლებლად, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვაში, განავითაროს ოსტატობა და ინიციატივა;

4. დაცული უნდა იქნას პროფესიათა არჩევის თავისუფლება, არ დაუშვან იძულებითი შრომა და აიკრძალოს სხვისი შრომის ექსპლუატაცია;

5. აკრძალულია სხვისთვის ზიანის მიყენება, მონოპოლიზაცია, სპეკულაცია, მფლანგველობა და არაკანონიერი კომერციული გარიგებანი;

6. მფლანგველობისა და უყაირათობის აღკვეთა მეურნეობის ყველა სფეროში მოხმარებაში, კაპიტალდაბანდებაში, წარმოებაში, განაწილებასა და მომსახურებაში;

7. მეცნიერებისა და ტექნიკის გამოყენება, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და წინსვლისათვის საჭირო გამოცდილი კადრების აღზრდა;

8. ქვეყნის ეკონომიკაში უცხოეთის ბატონობის აღკვეთა;

9. მინათმოქმედების, მეცხოველეობისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების გაზრდა საყოველთაო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც ქვეყანას თვითუზრუნველყოფის საშუალებას მისცემს და უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან გაანთავისუფლებს [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., გვ. 27].

ირანის ისლამური რესპუბლიკის ეკონომიკური წყობა ემყარება საკუთრების სამ ფორმას: სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო საკუთრებას მონესრიგებული და სწორი დაგეგმარებით.

სახელმწიფო საკუთრება მოიცავს მთელ მსხვილ მრეწველობას, მეტალურგიას, საგარეო ვაჭრობას, მსხვილ საბადოებს, ბანკებს, დაზღვევას, ენერგოუზრუნველყოფას, კაშხლებს და წყალმომარაგების ქსელს, რადიოს და ტელევიზიას, ფოსტა-ტელეგრაფს, ტელეფონს, საჰაერო ნაოსნობას, ზღვაოსნობას, საავტომობილო და სარკინიგზო ხაზებს და სხვა, რომლებიც საერთო საკუთრებას შეადგენს და სახელმწიფო გამგებლობაში იმყოფება.

კოოპერატიულ საკუთრებაში შედის კოოპერატიული საწარმოო და გამსაღებელი დანესებულებები და საზოგადოებები, რომლებიც ისლამური ტრადიციების შესაბამისად ქალაქებში და სოფლებში იქმნება.

კერძო საკუთრება მოიცავს მინათმოქმედების, მეცხოველეობის, მრეწველობის, ვაჭრობისა და მომსახურების იმ ნაწილს, რომელიც სახელმწიფო და კოოპერატიულ საქმიანობას სრულყოფს.

ირანის ისლამური რესპუბლიკის კანონი იცავს საკუთრების სამივე ამ ფორმას, თუ ისინი კონსტიტუციის ამ თავს და სხვა მუხლებს არ ეწინააღმდეგება, ისლამურ კანონებს არ არღვევს, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და საზოგადოებას ზიანს არ აყენებს.

საკუთრების თითოეული ამ ფორმის ნორმებს, საზღვრებსა და პირობებს უფრო ზუსტად კანონი განსაზღვრავს.

მეხუთე თავი ხალხის უფლება-მოვალეობებს და მისგან გამომდინარე ხელისუფლებას ეხება. იგი მოიცავს 6 მუხლს (56-61) და ასახავს ისეთ დებულებას რომლის თანახმად ირანის ხალხი ახორციელებს ხელისუფლებას.

ორმოცდამეჩვიდმეტე მუხლის თანახმად ირანში მოქმედებს ხელისუფლების დაყოფის პრინციპი. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში არსებობს ხელისუფლების სამი ორგანო: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო, რომლებიც თემის იმამის ზედამხედველობის ქვეშ ამ კონსტიტუციის მომდევნო მუხლების შესაბამისად მოქმედებენ. ხელისუფლების სამივე ორგანო ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ისლამური საბჭოს კრება, რომელიც ხალხის მიერ არჩეული დეპუტატებისაგან იქმნება. ისლამური საბჭოს კრების მიერ დამტკიცებული კანონები. მას შემდეგ, რაც ისინი გაივლიან იმ ეტაპებს, რომლებიც გათვალისწინებულია კონსტიტუციის შემდგომ მუხლებში, შესასრულებლად გადაეცემა აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., მუხლები 56, 57, 58. გვ. 29, 30].

მეექვსე თავში წარმოდგენილია საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში პარლამენტის (მეჯლის-ე შურაი-ე ესლამი) სტრუქტურაა დადგენილი (62-70 მუხლები), ხოლო მეორე ნაწილში პარლამენტის უფლებამოსილებანი არის განსაზღვრული (71-99 მუხლებში და ორ პუნქტში) [კონსტიტუციის მეექვსე თავის შესახებ დანვრილებითი ანალიზი იხილეთ წინამდებარე ნაშრომის IV კარის მესამე პარაგრაფში]. კონსტიტუციის მეშვიდე თავი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს – საბჭოებს ეხება და მოიცავს 100-106 მუხლებს [დანვრილებით იხილეთ IV თავის მეექვსე პარაგრაფში].

მერვე თავი სახელწოდებით „წინამძღოლი და საწინამძღოლო საბჭო“ ირანის ისლამური რესპუბლიკის მოძღვარის (ხელმძღვანელი) და მოძღვარის საბჭოს უფლებამოსილებები არის განსაზღვრული და მოიცავს 107-112 მუხლებს, 8 პუნქტსა და 5 ქვეპუნქტს. მეცხრე თავი ეძღვნება აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომელიც დაყოფილია სამ ნაწილად. პირველ ნაწილში განსაზღვრულია ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებანი

და მოიცავს 113-132 მუხლებს, მეორე ნაწილში წარმოდგენილია პრემიერ-მინისტრისა და მინისტრთა კაბინეტის ფუნქციები (133-142 მუხლები), მესამე ნაწილი ეხება რესპუბლიკის არმიას (შეიარაღებულ ძალებს) და რევოლუციის გუშაგთა კორპუსს (143-151 მუხლები). ძირითადი კანონის მეათე თავში დადგენილია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრინციპები, რომელიც მოიცავს 152-155 მუხლებს.

„ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს ყოველგვარი პეგემონისტური მისწრაფებების, მბრძანებლობისა და მორჩილების დაგმობა, ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, ყველა მუსლიმის უფლებათა უზრუნველყოფა, უარის თქმა პეგემონისტურად განწყობილ სახელმწიფოებთან ურთიერთობაზე, მიუხეობელ ქვეყნებთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება.

ასორმოდამეცამეტე მუხლით კი აკრძალულია ყოველგვარი გარიგება, რაც გამოიწვევს უცხოელთა ბატონობას ქვეყნის ბუნებრივ რესურსებზე, ეკონომიკაზე, კულტურაზე, არმიასა და სხვა სფეროებზე“ [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., მუხლები 152, 153. გვ. 52].

მეთერთმეტე თავი ირანის ისლამური რესპუბლიკის სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებებს ეძღვნება (156-174 მუხლები და 11 პუნქტი) [სასამართლო ხელისუფლების შესახებ დაწვრილებით იხილეთ მეოთხე თავის მეხუთე პარაგრაფში].

მეთერთმეტე თავი საინფორმაციო საშუალებებსა და ინფორმაციის ორგანოებს ეხება. მის ერთადერთ ასსამოდამეთხუთმეტე მუხლში ნათქვამია, – „ირანის ისლამური რესპუბლიკის რადიოსა და ტელევიზიაში ისლამურ ტრადიციებსა და ქვეყნის ინტერესების საფუძველზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სიტყვისა და იდეების გავრცელების თავისუფლება.


ირანის ისლამური რესპუბლიკის რადიოსა და ტელევიზიის ორგანიზაციის თავმჯდომარის დანიშვნა-გადაყენება ნინამძლოლის კომპეტენციაში შედის. ამ ორგანიზაციის მუშაობაზე უშუალო მეთვალყურეობას ახორციელებს რესპუბლიკის პრეზიდენტის, სასამართლო

ხელისუფლების მეთაურის და ისლამური საბჭოს კრების ორ-
ორი წარმომადგენლისგან შემდგარი საბჭო.

ორგანიზაციის პოლიტიკურ ხაზს, მართვისა და
ზედამხედველობის წესს კანონი ადგენს“.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ 1989 წელს განხორციელდა
კონსტიტუციის ტექსტის გადასინჯვა და შესაბამისი
ცვლილებების, შესწორებებისა და დამატებების შედეგად
ძირითად კანონს დაემატა ორი მნიშვნელოვანი თავი –
მეცამეტე: ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს (176
მუხლი) და თავი მეთოთხმეტე: კონსტიტუციის გადასინჯვის
შესახებ (177 მუხლი). შეტანილი იქნა ასევე ცვლილებები 46
მუხლში. ამგვარად ახალ კონსტიტუციაში, რომელიც ირანის
ისლამური რესპუბლიკის სამართლებრივი საფუძვლებია
ჩამოყალიბებული, იურიდიულად არის განმტკიცებული
სახელმწიფო წყობილების მმართველობის სრულიად ახალი
ფორმა, რომელშიც მოქმედებს თეოკრატიული პოლიტიკური
სისტემა და შესაბამისი რელიგიურ-პოლიტიკური
ინსტიტუტები.

ირანის ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფო
წყობილება სქემატურად ასეთნაირად იყო წარმოდგენილი.



მოცემული სქემა შედგენილია ავტორების მიერ 1979 წლის კონსტიტუციის მიხედვით.

ჩვენი შეხედულებით 1979 წლის ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის მისი მიღების წესის თანახმად განეკუთვნება „სახალხო“ კონსტიტუციების რიცხვს, ვინაიდან ისევე როგორც თანამედროვე სახელმწიფოთა კონსტიტუციების უმეტესი ნაწილი მიღებულია წარმომადგენლობითი ორგანოს – პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების მიერ. [დანვრილებით ის.: ვაჟა გურგენიძე, მირანდა გურგენიძე. ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციონალიზმი და აიათოლა ხომეინის ფენომენი. საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი „პერსპექტივა XXI, №XI, თბ., 2009. გვ. 121-127].

თავი IV – ირანის ისლამური რესპუბლიკის
პოლიტიკურ-რელიგიური და სამართლებრივი ინსტიტუტები
IV. 1. – „ველაიათ-ე ფაყიჰის“ ინსტიტუტი

კონსტიტუციის პრეამბულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი „სამართლიანი ფაყიჰის მმართველობა“ ეძღვნება სახელმწიფოს წინამძღოლს (რაჰბარს) და მის აპარტს. კერძოდ, ძირითადი კანონის ამ ნაწილში ნათქვამია, „უმაღლესი მმართველის თანამდებობის და მუდმივი იმამობის შემოღების საფუძველზე კონსტიტუცია ფაყიჰის ხელმძღვანელობის განსახორციელებლად ამზადებს ყველა იმ პირობას, რასაც ხალხი წინამძღოლის პრეროგატივად მიიჩნევს (საქმეთა მსვლელობა ალაჰის აღიშნა ხელშია, რომლებიც არიან საიმედონი აკრძალულისა და ნებადართულის განსაზღვრაში); ეს იქნება გარანტი იმისა, რომ სხვადასხვა ორგანიზაციები თავს არ აარიდებენ ისლამის ჭეშმარიტი დანიშნულების შესრულებას“. [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., გვ. 11].

კონსტიტუციის თანახმად ასეთ ფაყიჰს ირანის ხალხი ხელმძღვანელად (რაჰბარი) აღიარებს და იგი სახელმწიფოს მეთაურად და ერთპიროვნულ მმართველად იღებს. ძირითადი კანონის დემოკრატიულობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ კონსტიტუციაში დაშვებულია სხვა ვარიანტიც, როცა ვერც ერთი ფაყიჰი პირადად ირანის ხალხის საერთო აღიარებას ვერ მოიპოვებს, ასეთ შემთხვევაში იქმნება უმაღლესი მმართველობის კოლეგიალური ორგანო სახელწოდებით – შურიანი-ე რაჰბაო (ხელმძღვანელი საბჭო), რომელიც შედგება 3-5 სასულიერო პირისაგან. კონსტიტუციის თანახმად ხელმძღვანელი საბჭოს წევრები მიბაძვის ღირსნი (მარაჯ-ე თაყლიდ) და თეოლოგიურ საკითხებში და საზოგადოების მართვაში გამოცდილნი და კომპეტენტურნი უნდა იყვნენ.

ამგვარად ველაიეთ-ე ფაყიჰის ანუ თეოკრატიული სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტი, რომელიც პირველად ირანის ისლამურ რესპუბლიკაში დაკანონდა, წარმოადგენს „მიმალული იმამის“ გამოცხადებამდე შიიტური თემის მართვის „ისლამური მმართველობის წესის“ ხომეინისეული კონცეფციის პრაქტიკულად ხორცშესხმას. იგი მიზნად ისახავს ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინათ დამკვიდრებულ ისლამური ნორმების აღორძინებას და მათ

საფუძველზე თანამედროვე სახელმწიფოს მართვას. ველაიეთ-ე ფაყიპის ინსტიტუტი სახელმწიფოს მართვაში გულისხმობს უმაღლეს თანამდებობის პირის – რაჰბარის დანერგვას. კონსტიტუციის მიხედვით მას ხალხი აღიარებს წინამძღოლად, რომელიც არ გადაუხვევს „ისლამის კეთილშობილური პრინციპებისაგან“. იგი სახელმწიფოს მეთაურად და ერთპიროვნულ მმართველად ითვლება.

როგორც ზემოთ აღინიშნა კონსტიტუციის მეორე თავი სპეციალურად სახელმწიფოს ხელმძღვანელის (ველაიათ-ე ფაყიპ, რაჰბარ) ან ხელმძღვანელი საბჭოს (შურაი-ე რაჰბარ) ფუნქციებსა და უფლებამოსილებას აყალიბებს.

107-ე მუხლში დადგენილია, რომ სანინამძღოლო ანუ ექსპერტთა საბჭოს ფუნქციებში შედის კონსულტაციების გამართვა და დასკვნების გაკეთება თუ რამდენად აკმაყოფილებენ ფაყიპები მეხუთე და ასმეცხრე მუხლების მოთხოვნებს. 107-ე მუხლში საგანგებოდ არის მითითებული, რომ „...იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მათგანი ხასიათდება მეტი განსწავლულობით ფიყის ტრადიციებისა და პრობლემების, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და საფინანსო საკითხების ცოდნაში, სარგებლობს საყოველთაო აღიარებით ან განსაკუთრებით გამორჩეულია ზემოჩამოთვლილი ერთ-ერთი იმ თვისებით, რომლის შესახებაც ასმეცხრე მუხლშია ნათქვამი, მას ხელმძღვანელად აირჩევენ. სხვა შემთხვევაში ერთ-ერთ მათგანს წინამძღოლად შეარჩევენ და რეკომენდაციას გაუწევენ. ექსპერტთა მიერ არჩეული წინამძღოლი მთელს საქმეს და აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს“ [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., მუხლი 107, გვ. 40].

შესაბამისად კონსტიტუციის 109 მუხლში ჩამოთვლილია წინამძღოლისათვის დამახასიათებელი თვისებები:

1. მეცნიერული კომპეტენტურობა, რაც აუცილებელია მუსლიმანური იურისპრუდენციის შესაბამისად სხვადასხვა საკითხის გადასაჭრელად;

2. სამართლიანობა და ღვთისმოსაობა, რაც საჭიროა ისლამური თემის წინამძღოლისათვის;

3. ჯანსაღი პოლიტიკური და საზოგადოებრივი თვალსაზრისი, გონიერება, სიმამაცე, ხელმძღვანელობის უნარი და წინამძღოლობისათვის საჭირო ძლევამოსილება.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ჩამოთვლილ პირობებს რამდენიმე პირი აკმაყოფილებს, მაშინ უპირატესობა მიენიჭება იმას, ვისაც აქვს ფაყიძის თვალთახედვა და პოლიტიკურად ძლიერია [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., მუხლი 107, გვ. 41].

110-ე მუხლში არის წარმოდგენილი რაჰბარის უფლებებისა და მოვალეობების ფართო სპექტრი, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

ირანის ისლამური რესპუბლიკის წყობის საერთო პოლიტიკური კურსის განსაზღვრა ხელისუფლებასთან კონსულტაციის შემდეგ; ზედამხედველობის დანერგვა საერთო პოლიტიკური კურსის განხორციელების სისწორეზე; ბრძანების გამოცემა საყოველთაო გამოკითხვის (რეფერენდუმის) ჩატარების შესახებ; შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობა; ომის, მშვიდობისა და შეიარაღებული ძალების მობილიზაციის გამოცხადება; დანიშვნა, გადაყენება და გადადგომის მიღება:

- ა) საზედამხედველო საბჭოს ფაყიძებისა;
- ბ) სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების;
- გ) ირანის ისლამური რესპუბლიკის რადიო-ტელევიზიის ორგანიზაციის ხელმძღვანელის;
- დ) გაერთიანებული შტაბის უფროსის;
- ე) ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის მთავარსარდლის;

ვ) სამხედრო და მართლწესრიგის ძალების უმაღლესი სარდლებისა; ხელისუფლების სამ ორგანოს შორის წამოჭრილი კონფლიქტისა და ურთიერთობის მოწესრიგება; ამ სირთულეების დაძლევა, რომელთა მოგვარება ჩვეულებრივი მეთოდებით ვერ ხერხდება; რესპუბლიკის პრეზიდენტის დანიშვნის შესახებ განკარგულებაზე ხელის მონერა მას შემდეგ, რაც მას ხალხი აირჩევს. არჩევნებამდე საზედამხედველო საბჭომ უნდა დაამტკიცოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატურათა კომპეტენტურობა, რამდენად პასუხობენ ისინი კანონის მოთხოვნებს. ამის შემდეგ მათ წინამძღოლი იწონებს; თავისი მოვალეობის შეუსრულებლობის გამო, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაყენება უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ან ისლამური საბჭოს კრების სანქციით კონსტიტუციის ოთხმოცდამეცხრე

მუხლის თანახმად; ამნიტიცა ან სასჯელის შემსუბუქება ისლამის ნორმების, ფარგლებში სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ხელმძღვანელის წინადადებით:

წინამძღოლს შეუძლია ზოგიერთი თავისი უფლება და მოვალეობა სხვა პირს გადასცეს.

იმ შემთხვევაში, როცა წინამძღოლი ვერ შეძლებს კანონიერი მოვალეობების შესრულებას ან ვერ აკმაყოფილებს კონსტიტუციის მეხუთე და ასმეცხრე მუხლებში აღნიშნულ ერთ-ერთ პირობას, ანდა ცნობილი გახდება, რომ იგი თავიდანვე ვერ აკმაყოფილებდა ზოგიერთ პირობას, იგი თანამდებობიდან გადადგება. მას შემდეგ რაც ამას ხელისუფლების სამივე ორგანოს ხელმძღვანელები დაამტკიცებენ [იხ.: ვ. გურგენიძე, მ. გურგენიძე ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციონალიზმი და აიათოლა ხომეინის ფენომენი. (ჟ-ლი პერსპექტივა XXI, №10), თბ., 2009, გვ. 121].

ასმერვე მუხლის შესაბამისად ამ საკითხის გარკვევა ექსპერტთა კომპეტენციაში შედის.

წინამძღოლის გარდაცვალების, მისი გადადგომის ან გადაყენების შემთხვევაში, ექსპერტებს ევალებათ მოკლე დროში გაატარონ ღონისძიებანი ახალი წინამძღოლის კანდიდატურის წამოსაყენებლად. წინამძღოლის კანდიდატურის წამოყენებამდე იქმნება საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან რესპუბლიკის პრეზიდენტის, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე და საზედამხედველო საბჭოს ერთ-ერთი ფაყიპი, მას შემდეგ რაც მას უზენაესი საბჭოს წევრთა სამი მეოთხედი მოინონებს.

წინამძღოლის ყველა მოვალეობას დროებით ეს საბჭო შეასრულებს. ამ ხნის განმავლობაში, თუ საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ნებისმიერი მიზეზით ვერ შეძლო თავისი მოვალეობის შესრულება, კონსტიტუციური ზედამხედველობის ორგანოს რეკომენდაციით, ფაყიპთა უმრავლესობის მონაწილეობით საბჭოში სხვა პირს დანიშნავენ.

ეს საბჭო კონსტიტუციის ასმეათე მუხლის პირველი, მესამე, მეხუთე და მეათე პუნქტებში, აგრეთვე მეექვსე პუნქტის დ, ე, ვ, ქვეპუნქტებში აღნიშნული მოვალეობის შესრულებას წევრთა სამი მეოთხედის მიერ დამტკიცების შემდეგ შეუდგება.

იმ შემთხვევაში, როცა წინამძღოლი ავადმყოფობისა ან სხვა მიზეზის გამო დროებით ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, ამ ხნის განმავლობაში ამ მუხლში ნახსენები საბჭო მისი მოვალეობის შესრულებას თავად კისრულობს.

იმ შემთხვევაში, როცა საზედამხედველო საბჭო ისლამური საბჭოს კრების დადგენილებებს შარიათის ან კონსტიტუციის ნორმების დარღვევად ჩათვალს, ხოლო, თავის მხრივ, ისლამური საბჭოს კრება საზედამხედველო საბჭოს აზრს არ გაიზიარებს, წინამძღოლის მიერ მათთვის მიცემული მითითებებისა და კონსტიტუციაში აღნიშნული სხვა მოვალეობების შესასრულებლად ამ უკანასკნელის მითითებით იქმნება კონსტიტუციური ზედამხედველობის ორგანო.

კონსტიტუციური ზედამხედველობის ორგანოს მუდმივ და დროებით წევრებს წინამძღოლი ნიშნავს.

კონსტიტუციური ზედამხედველობის ორგანოსთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს თავად წევრები იღებენ და ამტკიცებენ, რასაც შემდეგ წინამძღოლი ადასტურებს.

IV. 2. საზედამხედველო საბჭოს კონსტიტუციური საფუძველი

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია ისე არის აგებული, რომ „ველიაით-ე ფაყიჰის“ ინსტიტუტი სახელმწიფოს მართვის თავისი ფუნქციების შესრულებაში უშუალოდ ეყრდნობა სამეთვალყურეო საბჭოს („შურაი-ე ნეგაჰბან“), რომლის უფლებამოსილებანი ფართოდ არის წარმოდგენილი ირანის ისლამური რესპუბლიკის ძირითად კანონში.

მოცემულ პოლიტიკურ-რელიგიურ ინსტიტუტს გააჩნია მყარი კონსტიტუციური საფუძველი. კერძოდ, კონსტიტუციის 91-ე მუხლში აღნიშნულია, რომ – „ისლამის ტრადიციებისა და ქვეყნის ძირითადი კანონის დაცვის მიზნით, იმისათვის, რომ მათ არ ეწინააღმდეგებოდეს ისლამური საბჭოს კრების გადაწყვეტილებანი, იქმნება საზედამხედველო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1. – ექვსი სამართლიანი და სადღეისო საკითხების ღრმად მცოდნე ფაყიჰი. მათი შერჩევა წინამძღოლს ეკისრება;

2. — იუსტიციის სხვადასხვა დარგში მომუშავე ექვსი იურისტი, რომლებსაც შეარჩივენ მუსლიმური სამართლისმცოდნე პირებისაგან, მათ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე წარუდგენს ისლამური საბჭოს კრებას ასარჩევად.

საზედამხედველო საბჭოს წევრებს ექვსი წლის ვადით ირჩივენ. მაგრამ პირველ პერიოდში, სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ, კენჭისყრის საშუალებით ამ საბჭოს ნახევარი შეიცვლება. შეცვლილ ადგილზე ახალ წევრებს ირჩივენ.

ისლამური საბჭოს კრება არ არის უფლებამოსილი შეუდგეს თავისი ფუნქციების შესრულებას საზედამხედველო საბჭოს არჩევამდე. ისლამური საბჭოს კრება თავის უფლებამოსილებას შეუდგება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დეპუტატების რწმუნება დამტკიცდება და აირჩივენ საზედამხედველო საბჭოს ექვს სამართლისმცოდნე წევრს.

ისლამური საბჭოს კრების მიერ ყველა დამტკიცებული კანონპროექტი საზედამხედველო საბჭოს ეგზავნება. საზედამხედველო საბჭო ვალდებულია არა უმეტეს ათი დღისა შეისწავლოს კანონპროექტი რამდენად შეესაბამება იგი ისლამურ ტრადიციებსა და კონსტიტუციას, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონპროექტს ხელმეორედ განსახილველად ისლამური საბჭოს კრებას გაუგზავნის. თუ საზედამხედველო საბჭოში გაგზავნილი კანონპროექტის ისლამურ ტრადიციებსა და კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება, იგი განხილვის შემდეგ ოფიციალურად შედის ძალაში.

იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტების შესასწავლად და საბოლოო თვალსაზრისის ჩამოსაყალიბებლად საზედამხედველო საბჭოსათვის ათი დღე საკმარისი არ აღმოჩნდება, მას შეუძლია ისლამური საბჭოს კრებისაგან, მიზეზის მითითებით, კიდევ არა უმეტეს, ათი დღე მოითხოვოს.

საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება ისლამური საბჭოს კრების გადანყვეტილებანი ისლამურ ტრადიციებს, წყვეტს საზედამხედველო საბჭოს ფაყიჰების უმრავლესობა, ხოლო იმას, არღვევენ თუ არა ისინი ძირითად კანონს, ამავე საზედამხედველო საბჭოს ყველა წევრი ადგენს.

საქმის დაჩქარების მიზნით საზედამხედველო საბჭოს წევრებს შეუძლიათ ისლამური საბჭოს კრებაზე კანონპროექტების განხილვას დაესწრონ და დებატები

მოისმინონ. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ისლამური საბჭოს კრების სხდომის დღის წესრიგშია შეტანილი კანონპროექტის სასწრაფო დამტკიცება, მაშინ საზედამხედველო საბჭოს წევრები უნდა დაესწრონ მას და თავიანთი მოსაზრება გამოთქვან.

კონსტიტუციის განმარტება საზედამხედველო საბჭოს კომპეტენციაში შედის, რაც მისი წევრების სამი მეოთხედის გადანყვეტილებით ხორციელდება.

საზედამხედველო საბჭო ვალდებულია თვალყური ადევნოს წინამძღოლის ექსპერტთა საბჭოს. რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ისლამური საბჭოს კრების არჩევნებს. პასუხისმგებელია, აგრეთვე საყოველთაო – სახალხო გამოკითხვის (რეფერენდუმის) ჩატარებაზე“ [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., მუხლი 91-99, გვ. 37-38].

საზედამხედველო საბჭო, რომელიც უშუალოდ სახელმწიფოს მეთაურს (რაჰბარს, ხელმძღვანელს) ექვემდებარება, მისი სახელით მოქმედებს და აკონტროლებს არა მარტო პარლამენტის გადანყვეტილებებს, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების ყველა მთავარი ორგანოს მუშაობას. იგი თავისებურად ასრულებს მონარქიული სახელმწიფო მმართველობის დროინდელი საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოს სენატის როლს იმ განსხვავებით, რომ 12 კაცისაგან შემდგარი ეს მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც ყურანისა და შარიათის ნორმებს ემყარება, გაცილებით უფრო ფართო უფლებებით არის აღჭურვილი. მას შეუძლია ხელაღებით ძალადაკარგულად გამოაცხადოს. პარლამენტისგან მიღებული ნებისმიერი კანონი და გადანყვეტილება „ისლამურ ტრადიციებთან შეუსაბამობის“ მოტივით.

საერთოდ, ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სტრუქტურა ბევრად არ განსხვავდება თანამედროვე სახელმწიფოს აღნაგობისაგან. ისლამურ რესპუბლიკაში ირჩევენ პრეზიდენტს, რომელიც ფორმალურად რაჰბარის შემდეგ მეორე თანამდებობის პირად ითვლება სახელმწიფოში. ნიშნავენ პრემიერ-მინისტრთა კაბინეტს და მინისტრებს. ასევე ფორმალურად არსებობს საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც სინამდვილეში

სათათბირო ორგანოს წარმოადგენს. არის სასამართლო ხელისუფლება, ხელისუფლების ადგილობრივი და ინფორმაციის თანამედროვე ორგანოები, შეიარაღებული ძალები და სხვა.

IV. 3. საკანონმდებლო ხელისუფლების სამართლებრივი რეგულირება

ხელისუფლების დაყოფის შემთხვევაში, როგორც ეს არის განსაზღვრული ირანის ძირითად კანონში, სახელმწიფოში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო არის პარლამენტი (მეჯლისი), რომელიც ქვეყანაში აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. ამიტომ, იგი წარმომადგენლობით ორგანოს წარმოადგენს.

საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის წესი კანონშემოქმედების სფეროში რომელიც ჩვეულებრივ, განმტკიცებულია კონსტიტუციაში და შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოს რეგლამენტში თავსდება.

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე ქვეყანაში ერთპალატიანი საპარლამენტო მმართველობა არის შემოღებული.

კონსტიტუციის მეექვსე თავის პირველი ნაწილი მთლიანად ეძღვნება ისლამურ საბჭოს კრებას (პარლამენტს).

ისლამური საბჭოს კრება ხალხის რიგებიდან პირდაპირი და ფარული კენჭისყრით არჩეული დეპუტატებისაგან იქმნება.

ამომრჩეველთა უფლებებს, დეპუტატთა უფლებამოსილებასა და არჩევნების წესს კანონი განსაზღვრავს. ისლამური საბჭოს კრებაში დეპუტატებს ოთხი წლის ვადით ირჩევენ. მორიგი არჩევნები უნდა დაინიშნოს წინა მოწვევის პარლამენტის ვადის გასვლამდე, რათა ქვეყანაში მან მუდმივად იმოქმედოს. ისლამური საბჭოს კრებაში ირჩევენ ორას სამოცდაათ დეპუტატს და მზის პიჯრით ათას სამას სამოცდარვა (1979 წ.) წელს ჩატარებული რეფერენდუმიდან მოყოლებული ყოველ ათ წელიწადში ერთხელ მოსახლეობის რაოდენობის ზრდის, პოლიტიკური, გეოგრაფიული თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით მაქსიმუმ 20 დეპუტატი შეიძლება დაემატოს.

ცეცხლთაყვანისმცემლები და ებრაელები, თითოეული ერთ დეპუტატს, ქრისტიანი ასირიელები და ქალდეველები ორივე ერთად ერთ დეპუტატს, ხოლო სამხრეთისა და ჩრდილოეთის სომხები თითოეული თითო დეპუტატს ირჩევენ.

საარჩევნო ოლქების საზღვრებსა და დეპუტატთა რაოდენობას კანონი ადგენს.

არჩევნების დამთავრების შემდეგ, დეპუტატთა საერთო რაოდენობის ორი მესამედის დასწრებით, ისლამური საბჭოს კრების სხდომა უფლებამოსილია ოფიციალურად შეუდგეს თავისი მოვალეობის შესრულებას, ე.ი. მოწონებული შინაგანანესის შესაბამისად დაამტკიცოს გეგმები და კანონპროექტები გარდა იმ შემთხვევებისა, რასაც კონსტიტუცია განსაზღვრავს.

შინაგანანესის დასამტკიცებლად დამსწრე დეპუტატთა არანაკლენ ორი მესამედის თანხმობა არის საჭირო.

ისლამური საბჭოს კრების თავმჯდომარის და პრეზიდენტის არჩევის წესს, კომისიების რაოდენობასა და მათი უფლებამოსილების ვადას, აგრეთვე ისლამური საბჭოს კრება შინაგანანესის საფუძველზე ახორციელებს.

დეპუტატებმა ისლამური საბჭოს კრების პირველსავე პლენარულ სხდომაზე უნდა დადონ და ხელი მოაწერონ შემდეგი შინაარსის ფიცის ტექსტს:

„სახელითა ღვთისითა მონყალისა და მწყალობელისა.

მე, წმინდა ყურანის, ყოვლისშემძლე ღმერთისა და ჩემი სინდიდის წინაშე ფიცსა ვდებ და პირობას ვიძლევი, რომ დავიცავ ისლამის სინწინდეს, ირანელი ხალხის ისლამური რევოლუციის მონაპოვრებს და ისლამური რესპუბლიკის საფუძვლებს. გავუფრთხილდები იმ სიმდიდრეს, რომელიც ხალხმა ჩამაბარა და ბოროტად არ გამოვიყენებ ჩემს უფლებამოსილებას. პირნათლად შევასრულებ ჩემზე და-კისრებულ მოვალეობას და პასუხისმგებლობას. ვიქნები ღვთისნიერი, დავიცავ ხალხის ინტერესებს და ვემსახურები მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს. დავიცავ კონსტიტუციას და სიტყვებსა და საქმეებში ვიხელმძღვანელებ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ხალხის თავისუფლების პრინციპით“ [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., მუხლი 67, გვ. 31].

კონსტიტუციის ამავე მეექვსე თავის მეორე ნაწილში რეგლამენტირებულია ისლამური საბჭოს კრების უფლებამოსილებები.

ისლამური საბჭოს კრება უფლებამოსილია, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში, ყველა საკითხთან დაკავშირებით გამოსცეს კანონები. ისლამური საბჭოს კრებას უფლება არა აქვს გამოსცეს ისეთი კანონები, რომლებიც ზიანს მიაყენებს ქვეყნის ოფიციალურ სარწმუნოებას და კონსტიტუციას. ამ საკითხზე კონტროლი კონსტიტუციის ოთხმოცდამეთექვსმეტე მუხლის თანახმად საზედამხედველო საბჭოს ეკისრება. კანონების განმარტება ისლამური საბჭოს კრების კომპეტენციაში შედის. ეს უფლებას არ უზღუდავს მართლმსაჯულებას შეასრულოს თავისი მოვალეობა, რაც კანონების სინამდის დაცვაში გამოიხატება. მას შემდეგ, რაც მინისტრთა კაბინეტი დაამტკიცებს კანონპროექტს, იგი გადაეცემა ისლამური საბჭოს კრებას, სადაც იგი სულ მცირე თხუთმეტი დეკლარაციის წინადადებით განსახილველად დაიშვება. საერთო შემოსავლის შემცირების ან დანახარჯების გაზრდის თაობაზე კანონპროექტების ირგვლივ დეკლარაციების მიერ შემოტანილ წინადადებებსა და შესწორებებს ისლამური საბჭოს კრება გაითვალისწინებს, თუ დასაბუთებული იქნება შემოსავლის შემცირების კომპენსაციის გზები ან ცნობილი იქნება ახალი ხარჯების საგარანტიო საშუალებები. ისლამური საბჭოს კრებას ქვეყნის მთელი საქმეების კონტროლისა და გამოკვლევის უფლება აქვს. საერთაშორისო კონვენციები, კონტრაქტები, ხელშეკრულებები, შეთანხმებები ისლამური საბჭოს კრებამ უნდა დაამტკიცოს. სახელმწიფო საზღვრების ყოველგვარი შეცვლა აკრძალულია. გამონაკლისს შეადგენს ისეთი უმნიშვნელო ცვლილებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს, არ არის ცალმხრივი და ზიანს არ აყენებს მის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ამ ცვლილებებს ისლამური საბჭოს კრება დეკლარაციების ხმების ოთხი მეხუთედის უმრავლესობით დაამტკიცებს.

სამოცდამეცხრამეტე მუხლის თანახმად ქვეყანაში სამხედრო მმართველობის შემოღება აკრძალულია, მაგრამ ცალკეულ საგანგებო შემთხვევებში და საომარი ვითარების დროს მთავრობას უფლება აქვს ისლამური საბჭოს კრების თანხმობით დროებით შემოიღოს აუცილებელი შეზღუდვები,

მაგრამ მათი მოქმედების ვადა ოცდაათ დღეს არ უნდა აღემატებოდეს. საჭიროების შემთხვევაში მთავრობას უფლება აქვს პარლამენტისაგან ვადის გახანგრძლივება მოითხოვოს. ისლამური საბჭოს კრების გადანყვეტილების გარეშე მთავრობას არა აქვს როგორც საშინაო, ასევე საგარეო სესხის ან უსასყიდლო დახმარების გაცემის ან მიღების უფლება. კატეგორიულად იკრძალება კომპანიებისა და სანარმოების დასაარსებლად უცხოელებისათვის კონცესიების გაცემა ვაჭრობის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სამთომადნო დარგებისა და მომსახურეობის სფეროში. მთავრობის მიერ უცხოელი სპეციალისტების დაქირავება აკრძალულია, გარდა იმ აუცილებელი შემთხვევებისა, რასაც ისლამური საბჭოს კრება ამტკიცებს. არ შეიძლება ხალხის საკუთრებაში არსებული შენობების და სახელმწიფო ქონების გასხვისება, თუ ამას ისლამური საბჭოს კრება არ დაამტკიცებს. ასე იმისათვის ხდება, რომ ნებისმიერ ქონებაზე ან ნივთზე არ იქნეს დაშვებული ერთი პიროვნების მონოპოლია. თითოეული დეპუტატი პასუხისმგებელია ხალხის წინაშე და უფლება აქვს ქვეყნის საშინაო და საგარეო საკითხებზე თავისი თვალსაზრისი გამოთქვას.

დეპუტატის რწმუნება პირადია და მისი სხვაზე გადაცემა დაუშვებელია. ისლამური საბჭოს კრებას უფლება არა აქვს საკანონმდებლო უფლებები ცალკეულ პიროვნებას ან ჯგუფს მიანდოს, მაგრამ შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, ზოგიერთი კანონის გამოცემა, კონსტიტუციის სამოცდამეთორმეტე მუხლის შესაბამისად, შიდა კომისიებს დაავალოს. ამ შემთხვევაში ეს კანონები, გამოცდის მიზნით, მის მიერ განსაზღვრული დროით ხორციელდება, და მათ საბოლოოდ ისლამური საბჭოს კრება ამტკიცებს.

სამოცდამეთორმეტე მუხლის დებულების საფუძველზე ისლამური საბჭოს კრებას შეუძლია სახელმწიფო ან სახელმწიფოსთან დაკავშირებული ორგანიზაციების, კომპანიების და სანარმოების მუდმივი წესდების დამტკიცების უფლება სათანადო კომისიებს ან მთავრობას გადასცეს. ამ შემთხვევაში მთავრობის გადანყვეტილებანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქვეყნის ოფიციალური სარწმუნოების პრინციპებსა და დეპუტატებს ან კონსტიტუციას. ამ საქმის გარკვევა იმ წესით, რაც ეს 96-ე მუხლშია აღნიშნული, საზედამხედველო საბჭოს

კომპეტენციაში შედის. ამას გარდა, მთავრობის გადანყვეტილებანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქვეყნის საერთო კანონებსა და დადგენილებებს. ამასთანავე მათი გამოკვლევისა და ზემოხსენებულ კანონებთან მათი შესაბამისობის შესახებ ისლამური საბჭოს კრების თავმჯდომარეს უნდა ეცნობოს.

ისლამური საბჭოს კრების დეპუტატები აზრის გამოთქმისა და ხმის მიცემისას აბსოლუტურად თავისუფალნი არიან. დაუშვებელია მათ მიერ ისლამური საბჭოს კრებაზე გამოთქმული აზრებისა თუ შეხედულებების საბაბით დევნა და დაკავება.

მას შემდეგ, რაც მინისტრთა კაბინეტი შეიქმნება, რესპუბლიკის პრეზიდენტმა, უპირველეს ყოვლისა, ისლამური საბჭოს კრებას მისთვის ნდობის ვოტუმის მიცემა უნდა თხოვოს. ამის შემდეგაც მნიშვნელოვანი საკითხების დაყენებისა და საკონფლიქტო სიტუაციის შემთხვევაში მას აგრეთვე შეუძლია მინისტრთა კაბინეტისათვის ისლამური საბჭოს კრებას ნდობის ვოტუმის მიცემა თხოვოს.

იმ შემთხვევაში, თუ ისლამური საბჭოს კრების დეპუტატთა შემადგენლობის ერთი მეოთხედი პრეზიდენტს, ან ნებისმიერი დეპუტატი მინისტრს მათ საქმიანობასთან დაკავშირებით შეკითხვით მიმართავს, პრეზიდენტი ან მინისტრი ვალდებულია გამოცხადდეს ისლამური საბჭოს კრებაზე და დასმულ კითხვაზე პასუხი გასცეს. პრეზიდენტის პასუხი ერთ თვეზე, ხოლო მინისტრისა ათ დღეზე მეტად არ უნდა დაყოვნდეს. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ საპატიო მიზეზი, რასაც ისლამური საბჭოს კრება განსაზღვრავს.

ოთხმოცდამეცხრე მუხლი ადგენს, რომ საჭიროების შემთხვევაში ისლამური საბჭოს კრების დეპუტატებს შეუძლიათ შეკითხვით მიმართონ მინისტრთა კაბინეტს, ან ერთ-ერთ მინისტრს. შეკითხვა ისლამური საბჭოს კრებაზე იმ შემთხვევაში განიხილება, თუ იგი სულ მცირე ათი დეპუტატის ხელმოწერით წარედგინება.

მინისტრთა კაბინეტის ან ერთ-ერთი მინისტრის ინტერპელაციის შემთხვევაში მისი შეტანიდან ათი დღის განმავლობაში მინისტრთა კაბინეტი ან მინისტრი უნდა გამოცხადდეს ისლამური საბჭოს კრებაზე, მისთვის დასმულ კითხვებზე პასუხი გასცეს და მისგან ნდობის ვოტუმი მოითხოვოს.

მინისტრთა კაბინეტის ან მინისტრის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დეპუტატები ინტერპელაციასთან დაკავშირებით საჭირო განმარტებას იძლევიან. თუ ისლამური საბჭოს კრება საჭიროდ მიიჩნევის, იგი მინისტრთა კაბინეტს ან მინისტრს უნდობლობის ვოტუმს გამოუტანს.

თუ ისლამური საბჭოს კრება მინისტრთა კაბინეტს ან ერთ-ერთ მინისტრს ნდობის ვოტუმს არ მისცემს, მაშინ ისინი უნდა გადადგნენ. ორივე შემთხვევაში ის მინისტრები, რომლებსაც შეკითხვით მიმართავენ, მომდევნო მინისტრთა კაბინეტის შედგენისას მისი წევრები ვერ გახდებიან.

იმ შემთხვევაში, თუ ისლამური საბჭოს კრების დეპუტატთა სულ მცირე ერთი მესამედი პრეზიდენტს მიმართავს შეკითხვით მის მიერ ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით, რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდებულია ინტერპელაციის დაყენებიდან ერთი თვის ვადაში ისლამური საბჭოს კრებაზე გამოცხადდეს და დაყენებულ საკითხებთან დაკავშირებით სრული განმარტება მისცეს.

იმ შემთხვევაში, თუ მომხრე და მოწინააღმდეგე დეპუტატების შეკითხვებისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის პასუხის შემდეგ დეპუტატთა მთელი შემადგენლობის ორი მესამედი არაკომპეტენტურად სცნობს რესპუბლიკის პრეზიდენტს, მაშინ ასმეათე მუხლის მეათე პარაგრაფის შესრულების გარემოებანი წინამძღოლს ეცნობება.

ოთხმოცდამეათე მუხლი აცხადებს, რომ ყველას აქვს უფლება გააპროტესტოს ისლამური საბჭოს კრების, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობა. მოქალაქეებს შეუძლიათ თავიანთი საჩივრები წერილობით გაუგზავნონ ისლამური საბჭოს კრებას. თავის მხრივ, ისლამური საბჭოს კრება ვალდებულია გულდასმით შეისწავლოს საჩივრები და სათანადო პასუხი მისცეს მომჩივანს. იმ შემთხვევაში, თუ შემოსული საჩივრების აღმასრულებელი, ან სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს ეხება, მაშინ ისლამური საბჭოს კრებამ მათ დამაჯერებელი პასუხი უნდა მოსთხოვოს და დადგინდეს ვადაში შედეგი გამოაცხადოს. თუ საჩივრები საერთო საკითხებს ეხება, პასუხი საყოველთაო ცნობისათვის უნდა გამოქვეყნდეს.

IV. 4. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური რეგულირება

ხელისუფლების დანაწილების თეორიის მიხედვით ერთ-ერთი დამოუკიდებელი საჯარო ხელისუფლება (საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან ერთად) აღმასრულებელი ხელისუფლებაა. სახელმწიფოში აღმასრულებელი ხელისუფლება წარმოადგენს უფლებამოსილებათა ერთობლიობას სახელმწიფო საქმეების მართვის სფეროში, ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების, საგარეო-პოლიტიკური წარმომადგენლობის, სხვადასხვა ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელების უფლებამოსილების ჩათვლით, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების სისტემას, რომელიც ახორციელებს ზემოთ აღნიშნულ უფლებამოსილებებს.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების უმაღლესი ხელმძღვანელი ზოგად ეროვნულ ან რეგიონალურ, ანდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა დონეზე არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. ამრიგად აღმასრულებელ ხელისუფლებას, სახელმწიფოში ხელისუფლების დაყოფის შემთხვევაში ახორციელებს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და მთავრობა (მინისტრთა კაბინეტი).

ირანის ისლამური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლება ხასიათდება მთელი რიგი სპეციფიკური თავისებურებებით. კონსტიტუციის თანახმად, ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი სახელმწიფო მმართველობის იერარქიაში მეორე საფეხურზე დგას რაჰბარის (წინამძღოლის) შემდეგ.

პრეზიდენტი თავის საქმიანობაში კოორდინაციას ახორციელებს ხელისუფლების ორგანოებს შორის. კონსტიტუციის საფუძველზე, რესპუბლიკის პრეზიდენტი აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს და მისი მეთაურია.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ კონსტიტუციის მეცხრე თავი ეძღვნება აღმასრულებელ ხელისუფლებას და შესდგება სამი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი მუხლები (113-132) არეგულირებენ პრეზიდენტის უფლებამოსილებებს და უშუალო ფუნქციებს. მინისტრთა კაბინეტის ფუნქციათა რეგლამენტაცია მოცემულია მეცრე თავის მეორე ნაწილში

(133-142 მუხლები), ხოლო მესამე ნაწილი წარმოდგენილია მუხლებში (143-151), რომლებიც არეგულირებენ თავდაცვის უწყებისა და რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ფუნქციონირებას.

ამგვარად რესპუბლიკის პრეზიდენტი, წინამძღოლის შემდეგ, ქვეყანაში უმაღლეს ოფიციალურ პირად ითვლება. მას კონსტიტუციის შესრულებაზე პასუხისმგებლობა და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელობა აკისრა, იმ შემთხვევების გარდა, რაც უშუალოდ წინამძღოლთან არის დაკავშირებული. რესპუბლიკის პრეზიდენტს ხალხი პირდაპირ არჩევითი გზით ოთხი წლის ვადით ირჩევს. რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს ამ პოსტზე ხელახლა წარმოადგინოს საკუთარი კანდიდატურა კიდევ ერთი ვადით ასარჩევად. რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევენ რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწეობის წრიდან. იგი შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს:

უნდა იყოს წარმოშობით ირანელი, ირანის ქვეშევრდომი, პქონდეს ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება, უმნიველო წარსულით, იყოს მორწმუნე, გამოირჩეოდეს ირანის ისლამური რესპუბლიკის საფუძვლებისა და ქვეყნის ოფიციალური რელიგიისადმის ერთგულებით. რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატებმა არჩევნებამდე ოფიციალურად უნდა განაცხადონ თავიანთი თანხმობა. პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების წესს კანონი განსაზღვრავს. რესპუბლიკის პრეზიდენტი ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით აირჩევა. თუ არჩევნების პირველ ეტაპზე ვერცერთი კანდიდატი ხმების ასეთ უმრავლესობას ვერ მიიღებს, მაშინ არჩევნების მეორე ტური შემდეგი კვირის პარასკევს ინიშნება. არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ორი კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში ყველაზე მეტი ხმა მიიღეს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კანდიდატი, რომელმაც მეტი ხმები დააგროვა, უარს იტყვის არჩევნებში მონაწილეობაზე, მაშინ პირველ ტურში გასულთაგან შეირჩევა ორი კანდიდატი, რომელთაც ხმების უმრავლესობა მიიღეს, და მათ გამეორებით არჩევნებზე წარადგენენ. კონსტიტუციის ოთხმოცდამეცხრამეტე მუხლის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებლობა

საზედამხედველო საბჭოს ეკისრება, მაგრამ პირველი საზედამხედველო საბჭოს შექმნამდე ეს პასუხისმგებლობა შედის ამ სამეთვალყურეო ორგანოს ფუნქციებში, რომელიც კანონის თანახმად იქმნება. რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევნები ტარდება არაუგვიანეს ერთი თვით ადრე რესპუბლიკის წინა პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე. ამასთან რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევნების მსვლელობაში ძველის პრეზიდენტი განაგრძობს თავისი ფუნქციების შესრულებას. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი არჩევამდე ათი დღით ადრე გარდაიცვლება, მაშინ არჩევნები ორი კვირით უნდა გაგრძელდეს. ასევე თუ იმ ორი კანდიდატიდან, რომლებმაც ხმების უმრავლესობა მიიღეს, ერთ-ერთი კანდიდატი არჩევნების პირველი ტურის შემდეგ გარდაიცვლება, მაშინ არჩევნები კვლავ ორი კვირით გაგრძელდება [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., მუხლები 113, 114, 115, 116, 117, 118, გვ. 44-45].

რესპუბლიკის პრეზიდენტი ისლამური საბჭოს კრების პლენარულ სხდომაზე, რომელიც ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საზედამხედველო საბჭოს წევრების თანდასწრებით შედგება, ფიცს დებს და ხელს აწერს ქვემოთ მოტანილ ფიცის ტექსტს:

„სახელითა ალაჰისა მოწყალისა, მწყალობელისა.

მე, როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტი, წმინდა ყურანის, ირანელი ხალხისა და ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე ფიცსა ვდებ, რომ დავიცავ ქვეყნის ოფიციალურ რელიგიას, ისლამურ რესპუბლიკურ წყობასა და ქვეყნის ძირითად კანონს. ძალ-ღონეს არ დავიშურებ იმისათვის, რათა ჩემზე დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შევასრულო, ერთგულად ვემსახურები ჩემს ხალხს, ხელს შევეუწყობ ქვეყნის განვითარებას, საწარმოებისა და ზნეობის წინსვლას, დავიცავ სამართლიანობას და უარს ვიტყვი ყოველგვარ ეგოისტურ გამოვლინებაზე, დავიცავ მოქალაქეთა იმ უფლებებს, რაც მათ კონსტიტუციამ მიანიჭა. საიმედოდ დავიცავ ქვეყნის საზღვრებს, მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დამოუკიდებლობას. ღვთის შეწევნითა და ისლამის წინასწარმეტყველის მიმდევრობით ბოროტად არ გამოვიყენებ ამ წმინდათაწმინდა მოვალეობას, რომელიც

ჩემმა ხალხმა მომანიჭა და მას, როგორც ღვთისნიერი გამგებელი, ერთგულად ვემსახურები, და ხალხის მიერ ჩემს შემდეგ არჩეულს გადავცემ“ [პრეზიდენტის ფიცის ტექსტი შედგენილია 121-ე მუხლში. იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., გვ. 46].

რესპუბლიკის პრეზიდენტი თავისი უფლებებისა და მოვალეობების ფარგლებში, რომლებიც ძირითადი კანონით ან სხვა რიგითი კანონებით არის განსაზღვრული, პასუხისმგებელია ხალხის, წინამძღოლისა და ისლამური საბჭოს კრების წინაშე. რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდებულია ხელი მოაწეროს და აღმასრულებელი ხელისუფლების სათანადო ორგანოებს გადასცეს ისლამური საბჭოს კრების დადგენილებანი და საყოველთაო-სახალხო გამოკითხვის შედეგები, მას შემდეგ, რაც იგი კანონით გათვალისწინებულ ეტაპს გაივლის. რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია თავისი კონსტიტუციური მოვალეობების შესასრულებლად ყავდეს მოადგილეები. რესპუბლიკის პრეზიდენტის პირველი მოადგილე პრეზიდენტის თანხმობით, უძღვება მინისტრთა საბჭოს და კოორდინაციას უწევს სხვა მოადგილეების საქმიანობას. რესპუბლიკის პრეზიდენტი, ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ხელს აწერს ირანის ისლამურ რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებს შორის დადებულ ხელშეკრულებებს, კონვენციებსა და შეთანხმებებს, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან დადებულ შეთანხმებებს ისლამური საბჭოს კრების მიერ დამტკიცების შემდეგ. რესპუბლიკის პრეზიდენტს უშუალოდ ეკისრება პასუხისმგებლობა ქვეყნის გეგმების, ბიუჯეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული და საკადრო საქმეებში. მას შეუძლია მათი გამგებლობა სხვა პირს დააკისროს. განსაკუთრებულ შემთხვევებში რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია საჭიროების მიხედვით დანიშნოს მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული განსაზღვრული უფლებებით აღჭურვილი საგანგებო წარმომადგენელი ან წარმომადგენლების გადანყვეტილებები რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის გადანყვეტილებათა ტოლფასი იქნება. ელჩების კანდიდატურებს წარადგენს საგარეო საქმეთა მინისტრი და ამტკიცებს რესპუბლიკის პრეზიდენტი. რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს აწერს ელჩების რწმუნების სიგელებს, ლებულობს სხვა ქვეყნების ელჩების რწმუნების

სიგელებს. სახელმწიფო ორდენებით დაჯილდოება რესპუბლიკის პრეზიდენტის პრეროგატივაა. რესპუბლიკის პრეზიდენტი წინამძღოლს მოახსენებს თავისი გადადგომის შესახებ. ხოლო სანამ მისი გადადგომა მიღებული არ იქნება, იგი განაგრძობს თავის მოვალეობის შესრულებას. რესპუბლიკის პრეზიდენტის გარდაცვალების, გადაყენების, ორ თვეზე მეტი დროის განმავლობაში მისი არყოფნისა, თუ ავადმყოფობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, როცა რესპუბლიკის პრეზიდენტობის ვადა დასრულებულია, ხოლო რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი სხვადასხვა მიზეზების გამო ჯერ კიდევ არ აურჩევიათ, პრეზიდენტის პირველ მოადგილეს წინამძღოლის თანხმობით ეკისრება პრეზიდენტის უფლებამოვალეობის შესრულება. საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ისლამური საბჭოს კრების თავმჯდომარე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და რესპუბლიკის პრეზიდენტის პირველი მოადგილე ვალდებულია საქმე ისე მოაწყოს, რომ არა უგვიანეს ორმოცდაათი დღისა არჩეულ იქნას რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი. პრეზიდენტის პირველი მოადგილის გარდაცვალების შემთხვევაში ან კიდევ სხვა მიზეზის გამო, რაც მის მიერ მოვალეობის შესრულებას ხელს შეუშლის, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა პრეზიდენტს არ ჰყავს პირველი მოადგილე, წინამძღოლი მის ადგილზე სხვა პირს ნიშნავს. იმ დროის მანძილზე, როცა რესპუბლიკის პრეზიდენტის ფუნქციებს ასრულებს მისი პირველი მოადგილე ან სხვა პირი, რომელიც ასოცდამეთერთმეტე მუხლის შესაბამისად ინიშნება. არ შეიძლება მინისტრის ინტერპელაცია ან მათთვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადება, აგრეთვე დაუშვებელია კონსტიტუციის გადასინჯვა ან საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის მოწყობა. მინისტრებს პრეზიდენტი ნიშნავს. ნდობის ვოტუმის მისაღებად მათ ისლამური საბჭოს კრებას წარუდგენენ. ისლამური საბჭოს კრების შეცვლის შემთხვევაში ნდობის ვოტუმის ხელახალი მიღება საჭირო არ არის. მინისტრების რაოდენობას და თითოეული მათგანის უფლებამოსილებას კანონი განსაზღვრავს. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მთავრობა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, ასრულებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს მოვალეობას და უშუალოდ ექვემდებარება

რესპუბლიკის პრეზიდენტს. მინისტრთა კაბინეტი ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ორგანოს (მეჯლისის) წინაშე. რესპუბლიკის პრეზიდენტი თავმჯდომარეობს მინისტრთა კაბინეტს. იგი აკონტროლებს მის საქმიანობას და საჭირო ღონისძიებებით კოორდინაციას უწევს მინისტრების და მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებებს, მინისტრებთან თანამშრომლობით განსა-ზღვრავს და ასრულებს მთავრობის პროგრამას და გენერალურ ხაზს.

აზრთა სხვაობის ამ სახელმწიფო აპარატის კანონიერ ფუნქციებში ჩარევის შემთხვევაში, როცა არ არსებობს კანონის განმარტების ან მისი შეცვლის საჭიროება, რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით მიღებული მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა სრულდებოდეს.

რესპუბლიკის პრეზიდენტი მინისტრთა კაბინეტის საქმიანობაზე ისლამური საბჭოს კრების წინაშეა პასუხისმგებელი. მინისტრები თავიანთ თანამდებობებზე რჩებიან გადაყენებამდე, ინტერპელაციის ან ისლამური საბჭოს კრების მიერ მათთვის ნდობის ვოტუმის მოუცემლობამდე.

რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის მინისტრთა კაბინეტის ან ერთ-ერთი მინისტრის გადადგომის განცხადების წარდგენის შემდეგ მინისტრთა კაბინეტი ახალი მთავრობის შექმნამდე თავისი ფუნქციების შესრულებას განაგრძობს.

რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია არაუმეტეს სამი თვის ვადით დაუნიშნოს მეურვე იმ სამინისტროებს, რომელთაც არა ჰყავთ მინისტრი. რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია გადააყენოს მინისტრები. ამ შემთხვევაში ახალმა მინისტრმა ან მინისტრებმა ისლამური საბჭოს კრებისაგან ნდობის ვოტუმი უნდა მიიღონ. იმ შემთხვევაში, თუ ისლამური საბჭოს კრების მიერ მთავრობისადმი ნდობის ვოტუმის გამოცხადების შემდეგ მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის ნახევარი შეიცვალა, მინისტრთა კაბინეტისათვის ისლამური საბჭოს კრებას უნდა წარედგინოს განმეორებით თხოვნა ნდობის ვოტუმის მიცემის შესახებ. თავის მოვალეობის შესრულების საქმეში თითოეული მინისტრი უშუალოდ რესპუბლიკის პრეზიდენტის და ისლამური საბჭოს კრების წინაშეა პასუხისმგებელი. მაგრამ იმ საქმეების შესრულებაში, რომლებსაც მინისტრთა

კაბინეტი ამტკიცებს, პასუხისმგებლობა სხვებსაც ეკისრებათ. მინისტრთა კაბინეტი და მინისტრი უფლებამოსილია შეადგინოს კანონის განხორციელების ინსტრუქციები. მინისტრთა კაბინეტს უფლება აქვს ადმინისტრაციული მოვალეობის შესასრულებლად და კანონების გატარების უზრუნველსაყოფად გამოსცეს სამთავრობო დადგენილებები და წესდებები.

მინისტრს თავისი მოვალეობის და მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა შესრულების ფარგლებში აგრეთვე უფლება აქვს შეიმუშაოს დებულება და გამოსცეს ცირკულარი, მაგრამ ამ წესების შინაარსი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონების ტექსტსა და სულისკვეთებას.

მთავრობას შეუძლია თავის მოვალეობებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის დამტკიცება რამდენიმე მინისტრისგან შემდგარ კომისიებს გადასცეს. კანონების შესაბამისად მიღებული ამ კომისიების გადაწყვეტილებანი, მას შემდეგ რაც მათ რესპუბლიკის პრეზიდენტი დაამტკიცებს, აუცილებლად უნდა შესრულდეს.

მთავრობის დადგენილებები და დებულებები, აგრეთვე ამ მუხლში მოხსენიებული კომისიების გადაწყვეტილებები გასაცნობად ისლამური საბჭოს კრების თავმჯდომარეს წარედგინება. იმ შემთხვევაში, თუ იგი მიიჩნევს, რომ ეს კანონებს ეწინააღმდეგება, მიზეზის მითითებით, ხელახლა განსახილველად მინისტრთა კაბინეტს უგზავნის. საერთო, სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებულ დავას ან სამედიატორო სასამართლოსთვის მის გადაცემის საკითხს, ნებისმიერ შემთხვევაში, მინისტრთა კაბინეტი განიხილავს, რის შესახებაც ისლამური საბჭოს კრებას აცნობებს. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მოდავე მხარე უცხოელია და დავა მეტად მნიშვნელოვან საშინაო საკითხს ეხება. საბოლოო გადაწყვეტილებას ისლამური საბჭოს კრება იღებს. საკითხის მნიშვნელობას კანონი განსაზღვრავს. რესპუბლიკის პრეზიდენტის, მისი მოადგილეების და მინისტრების მიერ ჩვეულებრივი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ისლამური საბჭოს კრებისათვის შეტყობინების შემდეგ საქმეს საერთო სასამართლოები განიხილავენ. რესპუბლიკის პრეზიდენტს, მის მოადგილეებს, მინისტრებსა და სახელმწიფო მოხელეებს უფლება არა აქვთ დაიკავონ ერთზე მეტი სახელმწიფო თანამდებობა, ან დაქირავებული იყვნენ ისეთ დანესებულებებში,

რომელთა მთელი კაპიტალი ანმისი ნაწილი სახელმწიფო, ან საერთო საკუთრებას შეადგენს. მათვე ეკრძალებათ ისლამური საბჭოს კრების დეპუტატობა. სასამართლოში ადვოკატობა, იურისკონსულტობა, სხვა-დასხვა კერძო კომპანიების პრეზიდენტობა, დირექტორ-განმკარგულებლად ყოფნა, ან მათი გამგეობის წევრობა გარდა ადმინისტრაციული ორგანოებისა და დაწესებულებების, კოოპერატიული საზოგადოებისა.

ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს უნივერსიტეტებსა და საკვლევ დაწესებულებებში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული თანამდებობები. წინამძღოლის, რესპუბლიკის პრეზიდენტის, მისი მოადგილეების, მინისტრების, მათი მეუღლეებისა და შვილების ქონება როგორც სამსახურის დაწყებამდე, ასევე მას შემდეგ ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ აღრიცხული უნდა იქნას, რათა კანონით დადგენილზე მეტი სიმდიდრე არ დააგროვონ.

ამგვარად კონსტიტუციაში ზედმინვენით არის რეგლამენტირებული პრეზიდენტის, მინისტრთა კაბინეტის და ცალკეული მინისტრების უფლებამოსილებანი და ფუნქციები, რაც თვალნათლივ მიუთითებს კონსტიტუციონალიზმის და პარლამენტარიზმის განვითარების მაღალ დონეზე.

ირანის სახელმწიფოს განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ იმყოფება ქვეყნის შეიარაღებული ძალები (არმია) და ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი, რაც ასახულია კონსტიტუციის შესაბამის მუხლებში (143-151).

„ირანის ისლამური რესპუბლიკის არმიის მოვალეობაა, ... – ნათქვამია 143-ე მუხლში, – ...დაიცვას სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და ქვეყნის ისლამური რესპუბლიკური წყობა. ირანის ისლამური რესპუბლიკის არმია ისლამური უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ორთოდოქსული და სახალხოა. ამიტომ საჭიროა, რომ მის რიგებში მსახურობდნენ ღირსეული ადამიანები, რომლებიც ისლამური რევოლუციის მიერ დასახული მიზნების განხორციელებისათვის თავგანწირულად იბრძობლებენ. ქვეყნის არმიის და საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა რიგებში არცერთი უცხოელი არ შეიძლება იქნება მიღებული. ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოეთის სამხედრო

ბაზების შექმნა ყოველგვარი მოტივით, თუნდაც მშვიდობიანი გამოყენების მიზნით, კანონით აკრძალულია.

მშვიდობიან პერიოდში მთავრობამ ისლამური სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად არმიის პირადი შემადგენლობა და მისი ტექნიკური აღჭურვილობა უნდა გამოიყენოს დამხმარე სამუშაოებზე, სასწავლო და საწარმოო საქმიანობაში და ქვეყნის აღმშენებლობაში იმ პირობით, რომ მის საბრძოლო მზადყოფნას ზიანი არ მიაყენოს. არმიის საშუალებებისა და შესაძლებლობების პირადი ინტერესებისათვის გამოყენება, როგორცაა შინა მოსამსახურედ ან პირად მძლოლად და ა.შ. კანონით იკრძალება. სამხედრო პირებისათვის წოდების მინიჭება, ან ჩამორთმევა კანონით არის განსაზღვრული.

ირანის ისლამური რესპუბლიკის გუშაგთა კორპუსში, რომელიც რევოლუციის გამარჯვების პირველივე დღეებში შეიქმნა, ახლაც განაგრძობს თავისი როლისა და ფუნქციების შესრულებას, იცავს რევოლუციას და მის მონაპოვრებს. ამ კორპუსის ფუნქციები და პასუხისმგებლობა შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან მიმართებაში, რაც ძმური თანამშრომლობის საფუძველს ემყარება, კანონით არის დადგენილი. მთავრობა ვალდებულია ისლამური ტრადიციების შესაბამისად უზრუნველყოს ქვეყნის მთელი მოსახლეობის სამხედრო მომზადება, რათა ბრძოლისუნარიანმა მოსახლეობამ ნებისმიერ დროს წარმატებით შეძლოს ქვეყნისა და მისი ისლამური რესპუბლიკური წყობის დაცვა. მაგრამ იარაღის ტარება მხოლოდ სათანადო ოფიციალური ორგანოების ნებართვით შეიძლება.

IV. 5. სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური რეგლამენტირება

მოცემული სახელმწიფოს ყველა სასამართლოთა ერთობლიობა, რომლებსაც აქვთ საერთო ამოცანები და დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ურთიერთობებით მართლმსაჯულების განსახორციელებლად ქმნიან ირანის ისლამური რესპუბლიკის სასამართლო სისტემას. ყველა რგოლი ამ სისტემისა წარმოადგენს კომპენსაციის სასამართლოთა ერთობლიობას. ირანის ისლამური

რესპუბლიკის 1979 წლის კონსტიტუციის თანახმად სასამართლო სისტემა საკმაოდ თავისებურად არის წარმოდგენილი, რადგან სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება არა ერთიანობის პრინციპის საფუძველზე, არამედ რამოდენიმე დამოუკიდებელი ფორმით: ერთი მხრივ, საკონსტიტუციო და საპარლამენტო კონტროლისა, რომელსაც ახასიათებს გარკვეული თეოკრატიზმი და მეორე მხრივ, მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. აქედან გამომდინარე ირანის ისლამური რესპუბლიკის სასამართლო სისტემასა და სასამართლოორგანოებს წარმოადგენენ: უმაღლესი სასამართლო საბჭო (შურაი-ე ალიე-ყაზაი); უმაღლესი სასამართლო (დივან-ე ალი-ე ქეშვარ); რევოლუციური სასამართლები; წინამძღოლთა სასამართლოები, რევოლუციური გენერალური პროკურატურა; სახელმწიფო გენერალური პროკურატურა; სამხედრო გენერალური პროკურატურა; ადმინისტრაციული სასამართლოები.

ირანის ისლამური რესპუბლიკის სასამართლო ხელისუფლება ძალაუფლების დანაწილების თეორიის შესაბამისად საჯარო-რელიგიური ხელისუფლების დამოუკიდებელი სფერო საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად მართლმსაჯულების განსახორციელებლად. ესე იგი უფლებამოსილებებს, რომელთა საფუძველზე ხდება პროცესუალური კანონით დადგენილი წესით სისხლის სამოქალაქო, ადმინისტრაციული და კონსტიტუციური საქმეების განხილვა და გადაწყვეტა. ირანის სასამართლო სისტემაში არსებობს ორი სახის სასამართლო-საერთო და სპეციალური. საერთო სასამართლოებს მიეკუთვნება ყველა დონის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სასამართლოები. სპეციალურ სასამართლოებს მიეკუთვნება ისლამური რევოლუციური სასამართლოები, სასულიერო პირთა, სამხედროებისა და სახელმწიფო მოხელეთა სასამართლოები. ირანის სისხლის სამართლის საქმეთა უზენაესი სასამართლოს იურისდიქციაში მოქცეული საქმეები, რომლებიც ითვალისწინებენ დასჯის უმაღლეს ზომებს.

როგორც ამას აღნიშნავენ მკვლევარები პროფესორი მ. ცაცანაშვილი და პროფესორი გ. ჭიპაშვილი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში აღდგენილია შარიათის სასამართლო და იგი

გამოცხადებულია მართლმსაჯულების დამოუკიდებელ ორგანოდ, რომელიც ისლამური სამართლიანობის საფუძველზე იცავს საზოგადოებისა და პიროვნების უფლებებს. [იხ.: ცაცანაშვილი მ. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია (პირველი ნაწილი) თბ., 1995, გვ. 182; ქიპაშვილი გ. ირანის სახელმწიფო წყობილება. თბ., 1990, გვ. 174].

მუსლიმური მართლმსაჯულების აღსრულებას კონტროლს უწევს ირანის ისლამური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო, რომლის თავმჯდომარეს, ისევე როგორც გენერალურ პროკურორს, სახელმწიფო მეთაური (რაჰბარი) ნიშნავს ხუთი წლის ვადით უმაღლესი სასამართლო საბჭოს რეკომენდაციით. ამ პოსტზე მხოლოდ უმაღლესი რანგის სასულიერო პირები ინიშნებიან.

სასამართლო პროცესი საჯაროა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა განიხილება ოჯახის, ზნეობრივი, ინტიმური ან პიროვნებათა სადავო საქმეები ღია და დახურული პროცესის მოწყობის საკითხი მომჩივნები და მოპასუხე მხარეების მოთხოვნის საფუძველზე წყდება.

მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანების მიერ გამოცემული ისეთი კანონებისა და დადგენილებების შესრულებისაგან, რომლებიც ეწინააღმდეგება ისლამურ კანონებს და ტრადიციებს.

ცალკე არსებობს სამხედრო ტრიბუნალი, რომელიც განიხილავს სამხედრო მოსამსახურეების, პოლიციასა და ისლამური რევოლუციის „გუშაგთა კორპუსის“ პირადი შემადგენლობის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ჩადენილ დანაშაულებებს. ტრიბუნალები პოლიტიკურ დანაშაულსაც იხილავენ [იხ.: ცაცანაშვილი მ. ... მით ნაშრომი, გვ. 183].

კონსტიტუცია პოლიტიკურ დანაშაულად მიიჩნევს ყველა ქმედებას, რომელიც ოფიციალურ რელიგიას და მასზე დაფუძნებულ სახელმწიფო წყობილებას ეწინააღმდეგება, ყველა არაისლამური პოლიტიკური პარტიის და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობა კვალიფიცირებულია, როგორც პოლიტიკური დანაშაული.

1983 წლის 1 მაისიდან ირანში მოქმედებენ ისლამური რევოლუციური სასამართლოები. ისინი უშუალოდ სასამართლო ხელისუფლების ხელმძღვანელს ექვემდებარებიან. ამ სასამართლოების იურისდიქციაში მოქცეულია: -

დანაშაულობები, რომლებიც მიმართულია ირანის საშინაო და საგარეო უშიშროების წინააღმდეგ, მათ შორის კორუფცია; პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეთა მკვლელობები; ნარკოტიკული ნივთიერების კონტრაბანდა და გავრცელება; შეთქმულების ორგანიზება, რომლის მიზანია ფეჰლევის დინასტიის მონარქიული სახელმწიფოს აღდგენა; სახელმწიფო ქონების დატაცება; უკანონო ფინანსურ-საეაჭრო ოპერაციები და სხვა.

1989 წლიდან შეიქმნა სპეციალური დანიშნულების ისლამური სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ კორუფციის პროსტიტუციის, გაუპატიურების, ბავშვების მოტაცებისა და შეიარაღებული ყაჩაღობის საქმეებს.

სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებებსა და ფუნქციებს არეგულირებს კონსტიტუციის მეთერთმეტე თავის 156 და 157 მუხლები, სადაც საგანგებოდ არის აღნიშნული რომ, სასამართლო ხელისუფლება არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც სამართლიანობის საფუძველზე იცავს საზოგადოებისა და თითოეული პიროვნების უფლებებს.

სასამართლო ხელისუფლების ფუნქციებში შედის:

1. ძალადობის, შევიწროების შემთხვევებისა და საჩივრების განხილვა და განაჩენის გამოტანა, სადაო საკითხების გადაწყვეტა და შერიგება, ხოლო საფინანსო საკითხებში კანონით განსაზღვრული საჭირო გადაწყვეტილებებისა და ღონისძიებების მიღება;

2. საყოველთაო უფლებათა აღდგენა, კანონიერი სამართლიანობისა და თავისუფლებათა დამკვიდრება;

3. კონტროლის დანესება კანონების შესრულებაზე;

4. ისლამური მართლმსაჯულების საფუძველზე დანაშაულის გამოძიება და დამნაშავის დასჯა;

5. სათანადო წინასწარი ღონისძიებების გატარება დანაშაულობათა აღმოსაფხვრელად და დამნაშავეობის პროფილაქტიკის მიზნით.

სასამართლო, ადმინისტრაციულ და აღმასრულებელ საკითხებში სასამართლო ხელისუფლების პასუხისმგებლობის განხორციელების მიზნით წინამძღოლი ხუთი წლის ვადით ნიშნავს ერთ სამართლიან და სასამართლო საკითხებში განსწავლულ მოჯთაჰედს სასამართლო ხელისუფლების გამგებელად, რომელიც ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ინსტანციაა.

სასამართლო ხელისუფლების ფუნქციებში ასევე შედის:

1. ასორმოცდამეთექვსმეტე მუხლის შესაბამისად მართლმსაჯულების სათანადო ორგანიზაციის შექმნა;

2. ისლამური რესპუბლიკის კანონების შესატყვისად სასამართლო კანონპროექტების შემუშავება;

3. კანონის შესაბამისად, სამართლიანი და ღირსეული მოსამართლეების დანიშვნა, დანიშნულება და დათხოვნა, სამსახურის ადგილის შეცვლა, და მსგავსი ადმინისტრაციული საკითხების გადანიშნულება. [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., მუხლები 156, 157, 158. გვ. 53-54].

ძალადობის შესახებ საკითხებზე საჩივრების განხილვის ოფიციალური ორგანო სასამართლოა. სასამართლოების შექმნა და მათი უფლებამოსილებანი კანონით არის განსაზღვრული. იუსტიციის მინისტრი პასუხისმგებელია ყველა საკითხზე, რომელიც ეხება სასამართლო ხელისუფლების ურთიერთობას აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან. იუსტიციის მინისტრის არჩევა ხდება იმ პირობა შორის, რომელთა კანდიდატურას სასამართლო ხელისუფლების თავმჯდომარე რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგენს.

სასამართლო ხელისუფლების მეთაურს შეუძლია იუსტიციის მინისტრს საფინანსო, ადმინისტრაციული და მოხელეთა (მოსამართლეების გარდა) დანიშვნის სრული უფლება მიანიჭოს. ამასთან იუსტიციის მინისტრს ისეთივე უფლებამოვალეობები აქვს, როგორც ეს უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მინისტრის უფლებებით არის გათვალისწინებული. სასამართლოებში იურიდიული კანონების სწორად განხორციელებაზე კონტროლის გასაწევად, აგრეთვე ერთიანი სასამართლო სისტემის შესაქმნელად და კანონის საფუძველზე სასამართლო ხელისუფლების მეთაურის მიერ განსაზღვრული პასუხისმგებლობის განხორციელებისათვის იქმნება ქვეყნის უმაღლესი სასამართლო. ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე და გენერალური პროკურორი სამართლიანი და სასამართლო საქმეებში კარგად გათვითცნობიერებული მოჯთაჰედი უნდა იყოს. სასამართლო ხელისუფლების თავმჯდომარე ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეებთან შეთანხმებით მას ამ თანამდებობაზე ხუთი

წლის ვადით ნიშნავს. მოსამართლის უფლება-მოვალეობას ფიციჰის ტრადიციებზე დაყრდნობით კანონი განსაზღვრავს. მოსამართლე თავისი თანამდებობიდან არ შეიძლება დროებით ან მუდმივად დათხოვნილი იქნას სასამართლო გამოძიებისა და დანაშაულის დადასტურების გარეშე. ასევე აკრძალულია მოსამართლის გადაყვანა ერთი თანამდებობიდან მეორეზე მისი თანხმობის გარეშე. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს საზოგადოების ინტერესებს შეესაბამება და მიღებულ იქნება სასამართლო ხელისუფლების მეთაურის გადანყვეტილება ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარესა და გენერალურ პროკურორთან კონსულტაციის შემდეგ, დასაშვებია მოსამართლის გადაყვანა სხვა თანამდებობაზე. მოსამართლეთა მიერ თანამდებობის დაკავებისა და სამუშაო ადგილის შეცვლის წესს კანონი განსაზღვრავს. სასამართლო პროცესი საჯაროა და მასზე დასწრება ყველას შეუძლია. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც სასამართლო იხილავს საყოველთაო ზნეობრივ ნორმებთან შეუთავსებელ საქმეს, პიროვნებათა შორის კერძო დავას და სხვა მსგავს ინტიმურ სარჩელებს, მაშინ მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ დახურული სასამართლო პროცესის ჩატარება. სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, არგუმენტირებული, ღრმად დასაბუთებული უნდა იყოს. იგი უნდა ემყარებოდეს კანონის იმ დებულებებსა და პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც არის იგი გამოტანილი. მოსამართლე ვალდებულია ყოველი საქმის განხილვისას იგი კოდიფიცირებული კანონებს დაუკავშიროს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოცემული საქმის ირგვლივ სათანადო კანონი არ არსებობს, მაშინ მან განაჩენი ისლამურ ავტორიტეტულ წყაროებსა თუ ფეთვაზე [ფეთვა – გადანყვეტილება, განკარგულება, რასაც ქვეყნის უმაღლესი სასულიერო ავტორიტეტი გამოსცემს. მისი შესრულება სავალდებულოა შესაბამისი თემის ყველა მუსლიმისათვის] დაყრდნობით გამოიტანოს. მოსამართლეს უფლება არა აქვს საქმის განხილვას და განაჩენის გამოტანას თავი აარიდოს. პოლიტიკური და პრესის მიერ ჩადენილი დანაშაულის განხილვა საჯაროა და იგი სასამართლო მსაჯულთა კოლეგიის თანდასწრებით ხდება. კანონი ადგენს მსაჯულთა კოლეგიის არჩევნების წესს, მათ უფლებამოსილებას და პოლიტიკურ დანაშაულობათა ხასიათს ისლამური

ტრადიციების საფუძველზე განსაზღვრავს. არც ერთი საქმე განხილული არ იქნება მომხდარი დანაშაულის ჩადენის შემდეგ გამოცემული კანონების შესაბამისად. მოსამართლეები ვალდებული არიან თავი შეიკავონ მთავრობის იმ კანონპროექტებისა და დადგენილებების შესრულებისაგან, რომლებიც ზიანს აყენებს ისლამურ ტრადიციებს, ან აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაში არ შედის. ყველას აქვს უფლება მსაჯულთა კოლეგიისაგან მოითხოვოს ამგვარი კანონპროექტებისა და დადგენილებების გაუქმება. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლის მიერ საქმის გარჩევისას დაშვებული შეცდომის, ან დაუდევრობის გამო პიროვნებას მორალური ან მატერიალური ზიანი მიადგება, ისლამური კანონების თანახმად, დამნაშავე ვალდებულია უზრუნველყოს ზარალის ანაზღაურება, ხოლო, თუ ობიექტური მიზეზების გამო იგი დაზარალებულს ზარალს ვერ აღუდგენს, მაშინ ეს ხარჯები სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს, ნებისმიერ შემთხვევაში პიროვნების ღირსება აღდგენილი უნდა იქნას. სამხედრო პირების, არმიის, ჟანდარმერიის, პოლიციისა და ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის წევრების მიერ მოვალეობის შესრულების დროს ჩადენილ დანაშაულობათა განსახილველად იქმნება სამხედრო ტრიბუნალი, ხოლო მათ მიერ სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში საქმეს საერთო სასამართლოები არჩევს.

სამხედრო პროკურატურა და სასამართლოები ქვეყნის სასამართლო ხელისუფლების ორგანული შემადგენელი ნაწილია. სახელმწიფო ინსტრუქციებით მოქმედი მოხელეებისა და ორგანოების მიმართ ხალხის საჩივრების, პროტესტებისა და ძალადობის ფაქტების განსახილველად სასამართლო ხელისუფლების მეთაურის ზედამხედველობით იქმნება ადმინისტრაციული სამართლიანობის სასამართლო. ამ სასამართლოს უფლებამოსილებას კანონი განსაზღვრავს. ადმინისტრაციულ აპარატში საქმეების მოსაწესრიგებლად და კანონების სწორად შესრულებაზე ზედამხედველობის გასაწევად სასამართლო ხელისუფლების მეთაურის მეთვალყურეობით იქმნება „ქვეყნის მთავარი საკონტროლო ორგანიზაცია“. ამ ორგანიზაციის უფლებამოსილებას კანონი განსაზღვრავს.

ამგვარად ირანის სასამართლო სისტემა რადიკალურად 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ შეიცვალა.

პროცესუალური კოდექსის საფუძვლად იქ ყურანის და ხადისების [მუჰამედ წინასწარმეტყველისა და შიიტი იმამების შეგონებანი] დებულებები დაამტკიცეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ისლამურ რესპუბლიკაში სასამართლო სისტემა ზემოქმედებას არ განიცდის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან.

ირანში სასამართლოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებები გააჩნია: სასამართლო განიხილავს და განაჩენი გამოაქვს უსამართლობის, ჩაგვრის, დაევბის, „საზოგადოებაში მტრული ატმოსფეროს აღკვეთისა და ფაქტების შესახებ.

სასამართლოს ევალება კანონმდებლობის შესრულებაზე ზედამხედველობა. სასამართლო ვალდებულია, გამოავლინოს, დააკავოს და დასაჯოს დამნაშავეები. ამავე დროს სასამართლო ატარებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია დანაშაულის პრევენცია და დამნაშავეთა გამოსწორება.

ისლამური რევოლუციური სასამართლოების გახმაურებული პროცესებიდან აღსანიშნავია 1988 წელს რამდენიმე სასულიერო პირის, მეჯლისის ორი წევრისა და ქალაქ ისჰანის შარიათის სასამართლოს მოსამართლის სიკვდილით დასჯა [იხ.: „ასავალ-დასავალი“. 2009 წლის 2 თებერვალი №5 „750“].

1999 წელს სპეციალურმა სასამართლომ ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მიუსაჯა შინაგან საქმეთა მინისტრს აბდულა ნურის და სასულიერო პირს ხოკატოლ-ისლამ კადივარს ჩადენილი დანაშაულისათვის. [იხ. იქვე].

1983 წლის ოქტომბრიდან ირანის სისხლის სამართლის კოდექსში იქნა შეტანილი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს ოთხი სახის სასჯელს:

– „ხოდუდი“–შარიათის კანონებით განსაზღვრული სასჯელი;

– „კესასი“–სასჯელი შურისძიების პრინციპით, რომლის დროსაც მოქმედებს პრინციპი – „კბილი კბილის წილ“;

– „დია“–ფულადი გადასახადი (ე.წ. „სისლის გამოსასყიდი“), რომელსაც დაზარალებულ მხარეს უხდის დამნაშავეს ოჯახი;

– თააზირათი“–სასჯელი, რომლის ზომა არ განისაზღვრება შარიათით, ხოლო განაჩენი თავად

მოსამართლეს გამოაქვს, სასჯელი კი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, ჯარიმას ან როზგებს.

ირანში 1988 წლიდან მოქმედებს სპეციალური კანონი, რომლითაც 20 გრამ ჰეროინზე და 5 კილოგრამ ოპიუმზე მეტი რაოდენობის ნარკოტიკის აღმოჩენისას სიკვდილით დასჯა გარანტირებულია. ამ კანონითვე ნარკომანებს ჯერ ექვსთვიანი ვადა ეძლევათ, თვითონვე რომ გამოსწორდნენ და განიკურნონ, ხოლო შემდეგ კი მათ პატიმრობას უფარდებენ. ირანელი სისხლის სამართლის სისტემის კიდევ ერთი თავისებურება ის არის, რომ იქ, პრაქტიკულად, არ არსებობს ვეჭილის ინსტიტუტი. ფორმალურად, სასამართლო სისტემა არ კრძალავს ბრალდებულის მიერ კვალიფიცირებული ვეჭილის დაქირავებას, მაგრამ არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არეგულირებს ამ სფეროს.

2008 წლის სექტემბერში ირანის პარლამენტმა მიიღო სისხლის სამართლის ახალი კოდექსი.

ამგვარად ხელისუფლების ძირითადი მიზანი არის ისლამური რწმენის დაცვა და შენარჩუნება, აგრეთვე, შარიათის ნორმების შესრულება. (შარიათი შეიცავს რელიგიურ დოგმებს, პრაქტიკულ ნორმებს და ისლამური ეთიკის პრინციპებს) ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს საუდის არაბეთი და ირანი, სადაც ისლამი არის არამარტო სახელმწიფო რელიგია, არამედ ქვეყნის ძირითადი კანონია, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოებრივი მონყობის ძირითად საკითხებს, სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურას და შექმნის წესს და ზოგადად ქვეყნის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. აღსანიშნავია, რომ სახელისუფლო და რელიგიური სტრუქტურები ისლამურ ქვეყნებში ძალიან არის შერწყმული ერთმანეთთან მაგ. საუდის არაბეთის კონსტიტუციის 1 მუხლში მითითებულია „საუდის არაბეთის სამეფო წარმოადგენს დამოუკიდებელ, სუვერენულ არაბულ სახელმწიფოს, მისი რელიგიაა – ისლამი, კონსტიტუცია წარმოადგენს უმაღლესი ალაჰის შეგონებებს“ ამ დოკუმენტში ცალსახად არის განსაზღვრული, რომ ერთადერთი რელიგია ისლამია, ხოლო სხვა რელიგიის ფუნქციონირება არ დაიშვება. ამავე კონსტიტუციის 48-ე მუხლში განსაზღვრულია „სასამართლოები ვალდებულნი არიან გამოიყენონ შარიათის ნორმები, სამართალწარმოების პროცესში“ ისლამურ საზოგადოებაში უდიდესი როლი

ენიჭება ისლამურ ოჯახს, როგორც ისლამური სახელმწიფოს ერთ ერთ შემადგენელ უჯრედს, რადგან სწორედ ოჯახშია დანერგული ტრადიციული ისლამური წეს-ჩვეულებები, თვით სასამართლოებიც საოჯახო და კერძო ხასიათის დავებს განიხილავენ იმ ნორმებით, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს შარიათიდან.

შარიათის სასამართლოები მოქმედებს სპარსეთის ყურის ყველა მონარქიაში, მაგრამ მათი იურისდიქცია ძირითადად ვრცელდება კერძო და საოჯახო სამართლის სფეროში. საუდის არაბეთის კონსტიტუციის 48-ე მუხლით „სასამართლოები ვალდებული არიან საქმეების განხილვისას გამოიყენონ ისლამური სამართლის ნორმები ყურანთან და შარიათთან შესაბამისობის საფუძველზე, ასევე კანონები, რომლებიც გამოცემულია მმართველის მიერ ყურანსა და სუნას დაყრდნობით“ ცალსახაა, რომ ეს კონსტიტუციური ნორმა გამორიცხავს სამართლის სხვა წყაროების გამოყენებას. ქუვეითის, კატარის, ბაჰრეინის, არაბთა გაერთიანებული საამიროების და ომანის სახელმწიფოს კონსტიტუციებით შარიათი არის კანონმდებლობის „მთავარი“ „ფუნდამენტური“ წყარო, თუმცა სხვა სამართლის წყაროები უარყოფილი არაა, მაგალითად ბაჰრეინში, სასამართლოები ორ კატეგორიად არის დაყოფილი 1. სამოქალაქო, ანუ საერო, რომელიც კომპეტენტურია სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე, და 2. შარიათის სასამართლოები, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ პირადი სტატუსის საკითხებზე. ანალოგიური, დუალისტური მართლმსაჯულების სისტემა ჩამოყალიბებულია კატარში, მაროკოში, ომანში, და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში.

მუსლიმანური სამართალი, როგორც სამართლებრივი სისტემის ერთ-ერთი სახე წარმოადგენს ისლამის რელიგიის გამოხატულებას. მუსლიმური რელიგია მოიცავს ძირითად თეოლოგიურ ნორმებს იმის შესახებ თუ რა უნდა გააკეთოს მართლმორწმუნე მუსულმანმა. შარიათი თარგმანში ნიშნავს გზას და შეადგენს იმას, რასაც მუსლიმურ სამართალს უწოდებენ. ეს სამართალი მუსლიმანს უთითებს, როგორ მოიქცეს რელიგიის შესატყვისად. ისლამურ რელიგიაში ბატონობს თეოკრატიული საზოგადოების კონცეფცია, ამიტომ მუსლიმანმა მეცნიერება ღვთიური ზეშთაგონებით

მოსული, მეტად დეტალიზირებული სამართლის მთელი სისტემა შეიმუშავეს. ერთ-ერთი მუსლიმანი მეცნიერი ჯიბი აღნიშნავს, რომ „ისლამი თავისი არსებით, კანონის რელიგია, მუსლიმური სამართალი მუსლიმი ხალხის ძირითადი მეცნიერებაა, სოციალური, პოლიტიკურ სიძნელეთა მიუხედავად, მან ერთიანად და მყარად შეინარჩუნა ისლამის სტრუქტურა, მისი გავლენა თავს იჩენდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში“ მუსლიმური სამართლის მეცნიერება, ანუ უფრო ზუსტად, მუსლიმური კანონების დოქტრინალური გამოცემა (ფიყჰი) ორი ნაწილისგან შედგება. იგი შეისწავლის „ფესევებს“ და განმარტავს, თუ როგორ და რა წყაროებიდან წარმოიშვა წესების კომპლექსი, რომელიც შარიათს – ღვთიურ კანონს შეადგენს“.

მუსლიმანური სამართლის საფუძველი არის ისლამის წმინდა წიგნი ყურანი, რომელიც შედგება ალაჰის გამოხატულებიდან მისი უკანასკნელი წინასწარმეტყველის და მოციქულის მუჰამედისადმი. ყურანი არ უნდა განმარტოს მუსლიმანურმა სასამართლომ ამ წიგნის ავტორიტეტული განმარტება შესრულებულია სამართლის დოქტორების მიერ და მოსამართლეს შეუძლია სწორედ მათ ნაშრომებს დაეყრდნოს. სუნა ადათებისა და ტრადიციების კრებულია, რომელიც გადმოგვცემს მუჰამედის გამოხატულებებს. მუსლიმური სამართლის მესამე საფუძველია იჯმა, რომელიც შედგენილია მეცნიერების მიერ იმ ხარვეზების შესავსებად, რომელიც არსებობდა ყურანსა და სუნაში. ყურანი სუნა და იჯმა მუსლიმური სამართლის ისტორიული წყაროებია. მუსლიმური სახელმწიფოები უფლებამოსილნი არ არიან სამართალი შექმნან საკანონმდებლო გზით მათ შეუძლიათ განახორციელონ ადმინისტრაციული აქტების გამოცემა მუსლიმური სამართლით დადგენილ ფარგლებში და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გამოცემული აქტები არ ეწინააღმდეგება მუსლიმურ სამართალს და არ არღვევს მის მთლიანობას. ამასთან, ისლამი დიდი სიფრთხილით ეკიდება სამართლის განვითარების რაციონალურ ხერხებს, რადგან მუსლიმურ სამართალს არა რაციონალური, არამედ რელიგიური და ღვთიური საფუძველი აქვს, ხოლო წმინდა სახით საერთო სამართლის დადგენა ამ ქვეყნებში შეუძლებელია, ისლამის ორთოდოქსულობა გამორიცხავს საერთო სამართლის

შესაძლებლობას, რომელიც მკაცრად შესატყვისი არ იქნება შარიათის ნორმებთან.

IV. 6. ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭო

ირანის ისლამური რესპუბლიკის მმართველობაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ქვეყნის ეროვნული უშიშროების უმაღლეს საბჭოს, რომლის სამართლებრივი რეგულირება განხორციელებულია 1979 წლის კონსტიტუციის დამატებითი მეცამეტე თავის ასსამოცდამეთექვსმეტე მუხლით.

კერძოდ ამ მუხლში ნათქვამია, რომ „ეროვნული ინტერესების უზრუნველსაყოფად და ისლამური რევოლუციის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დაცვის მიზნით რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით იქმნება ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭო, რომლის ფუნქციებში შედის:

1. წინამძღოლის მიერ შემუშავებული გლობალური პოლიტიკის ფარგლებში ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების პოლიტიკის განსაზღვრა;

2. თავდაცვისა და უშიშროების საერთო ღონისძიებებთან პოლიტიკური, საინფორმაციო, საზოგადოებრივი, კულტურული, ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაცია;

3. ქვეყნის მატერიალური და სულიერი შესაძლებლობების გამოყენება საშინაო და საგარეო მუქარისადმი დასაპირისპირებლად [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., გვ. 58].

კონსტიტუციის თანახმად აღნიშნული საბჭოს წევრები არიან:

- სამივე სახელმწიფო შტოს ხელმძღვანელები;
- შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის შტაბის უფროსი;

- გეგმებსა და ბიუჯეტზე პასუხისმგებელი პირი;
- წინამძღოლის მიერ შერჩეული ორი წარმომადგენელი;
- საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა და ინფორმაციის მინისტრები;

- ვითარების მიხედვით სათანადო მინისტრი, არმიისა და გუშაგთა კორპუსის უმაღლესი ჩინი.

ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭო თავისი ფუნქციების შესაბამისად ქმნის ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების დამხმარე საბჭოებს. თითოეული დამხმარე საბჭოს ხელისუფლებას ახორციელებს რესპუბლიკის პრეზიდენტი ან უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი წევრი, რომელსაც პრეზიდენტი ნიშნავს.

დამხმარე საბჭოების უფლებამოსილებებს კანონი განსაზღვრავს, ხოლო მათ სტრუქტურას უმაღლესი საბჭო ამტკიცებს.

ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს დადგენილებების შესრულება შეიძლება მას შემდეგ, რაც მას წინამძღოლი დაამტკიცებს.

V თავი – კონსტიტუციაში დამატებების, ცვლილებებისა და შესწორებების შეტანის წესი

დამატების და ცვლილებების შეტანის წესის მიხედვით კონსტიტუციურ სამართალში განასხვავებენ მოქნილ და მყარ კონსტიტუციებს.

მოქნილ კონსტიტუციაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება იმავე წესით როგორც ჩვეულებრივ კანონებში. მყარ კონსტიტუციებში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება განსაკუთრებული წესით, რომელიც გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ჩვეულებრივი საპარლამენტო პროცედურა. ცალკეულ ქვეყნებში ამისათვის საჭიროა ხმების კვალიფიციური უმრავლესობა, ზოგიერთ ქვეყანაში კი გათვალისწინებულია ორმაგი ვოტუმი, ე.ი. გარკვეული დროის მონაკვეთში პარლამენტის იგივე შემადგენლობის მიერ შესწორებების მიღება, ან განმეორებითი მიღება. ცალკეულ ქვეყნებში ცვლილებებზე თანხმობა რეფერენდუმის გზით მიიღება. უმრავლესი ქვეყნების კონსტიტუციები აღნიშნულ საკითხს არა თუ ცალკეულ მუხლებს უძღვნიან, არამედ საგანგებოდ ცალკე თავის სახითაც განიხილავენ.

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატებების, ცვლილებების და შესწორების შეტანის წესი ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით.

1979 წლის ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციას, მისი აგებულობისა და ცვლილებების შეტანის წესის მიხედვით ჩვენ განვაკუთნებთ მყარი კონსტიტუციების რიცხვს, ვინაიდან აღნიშნული პროცესი დაკავშირებულია მთელი რიგი პროცედურების განხორციელებასთან.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სწორედ 1989 წელს მოხდა კონსტიტუციის ტექსტის ოფიციალური გადასინჯვა, რის შედეგადაც მას საგანგებოდ დაემატა მეთოთხმეტე თავი.

კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურას ეძღვნება დამატებითი ასსამოცდამეჩვიდმეტე მუხლი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „აუცილებლობის შემთხვევაში ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის გადასინჯვა ხდება შემდეგნაირად:

წინამძღოლი ხელისუფლების სამივე ორგანოსთან კონსულტაციის შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელზე გამოსცემს განკარგულებას, რომელშიც იგი წინადადებას აძლევს კონსტიტუციის გადასინჯვის საბჭოს ცვლილებები ან დამატებები შეიტანოს კონსტიტუციაში.

ამ საბჭოში შედიან: საზედამხედველო საბჭოს წევრები; ხელისუფლების სამივე ორგანოს ხელმძღვანელები; რესპუბლიკის პრეზიდენტი, ისლამური საბჭოს კრებისა და სასამართლო ხელისუფლების მუდმივი წევრები; წინამძღოლის ექსპერტთა პალატის ხუთი წევრი; წინამძღოლის მიერ შერჩეული ათი კაცი; სამი კაცი მინისტრთა საბჭოდან; სასამართლო ხელისუფლების სამი წარმომადგენელი; ისლამური საბჭოს კრების ათი დეპუტატი; უნივერსიტეტის სამი წარმომადგენელი.

საქმის გაძღოლის წესს, არჩევნების დებულებას და მის პირობებს კანონი განსაზღვრავს.

საბჭოს დადგენილებანი, მას შემდეგ, რაც მათ მოინონებს და ხელს მოაწერს წინამძღოლი, უნდა დამტკიცდეს საყოველთაო კენჭისყრის გზით რეფერენდუმში მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობით.

„კონსტიტუციის გადასინჯვასთან“ დაკავშირებით ორმოცდამეცხრამეტე მუხლის შესაბამისად რეფერენდუმის მოწყობა საჭირო არ არის.

წყობილების ისლამიზაციასთან დაკავშირებით მუხლების შინაარსი და ისლამური ტრადიციების საფუძველზე მიღებული ყველა კანონი და დადგენილება, ირანის ისლამური რესპუბლიკის საფუძველები და მიზნები, რესპუბლიკური წყობა, უმაღლესი თანამდებობა და თემის იმამთი, აგრეთვე ქვეყნის საქმეების გაძღოლა უცვლელია. იგი ემყარება საყოველთაო გამოკითხვას და ირანის ოფიციალურ რელიგიას [იხ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია..., გვ. 59-60].

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატებები, ცვლილებები და შესწორებები შეტანილია 45 მუხლში. ზემოთ აღნიშნული დამატებები და ცვლილებები ეხება კონსტიტუციურ რეგულირებას სხვადასხვა სფეროში და განსაკუთრებით ასახავს ცვლილებებს პოლიტიკის, ეკონომიკისა და სამართლის სფეროებში.

კერძოდ კონსტიტუციის გადასინჯვის მუხლებში ლაპარაკია საკმაოდ სერიოზულ ცვლილებებზე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ინსტიტუტების ფუნქციონირებაში. საკანონმდებლო ბაზა განსაკუთრებით განიცდის მთელ რიგ შესწორებებს.

სასამართლო ხელისუფლება ასევე დამატებებისა და ცვლილებების ობიექტი გახდა ბოლო ოცი წლის განმავლობაში. ჩვენ მართებულად მიგვაჩნია ჩამოვთვალოთ და შინაარსობრივად განვიხილოთ იმ მუხლების ტექსტები, რომლებშიც ცვლილებები იქნა შეტანილი.

მუხლი მეხუთე. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მისი უწმინდესობა ვალიასრის (დააჩქარა ალაჰმა, მაღალიმც არს იგი, ნუგეში, სიხარული მისი) არყოფნის დროს საქმის გაძლოლა და ისლამური თემის იმამობა სამართლიან და ღვთისმოსავ ფაყიჰს ეკისრება, რომელიც დროის მოვლენებში გათვითცნობიერებულია, გაბედული, გამოცდილი და უნარიანი მმართველია. იმ შემთხვევაში, თუ ვერცერთი ფაყიჰი მოსახლეობის უმრავლესობის მიერ ასეთ აღიარებას ვერ მიიღებს, მთელს პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს წინამძღოლი ან პატიოსანი ფაყიჰებისაგან შემდგარი სანინამძღოლი საბჭო, რომლებიც ასმეშვიდე მუხლში აღნიშნულ პირობებს აკმაყოფილებენ.

მუხლი ორმოცდამეჩვიდმეტე. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში არსებობს ხელისუფლების სამი ორგანო: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. ხელისუფლების სამივე ეს ორგანო იმამის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. მათ შორის კავშირი რესპუბლიკის პრეზიდენტის საშუალებით მყარდება.

მუხლი მესამოცე. კანონის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლება რესპუბლიკის პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების ფუნქციებში შედის, გარდა იმ საკითხებისა, რომლებსაც წინამძღოლი წყვეტს.

მუხლი სამოცდამეოთხე. ეროვნული საბჭოს კრების დეპუტატთა რაოდენობა 270-ს შეადგენს. ათ წელიწადში ერთხელ მოსახლეობის რაოდენობის ზრდის შესაბამისად ყოველ საარჩევნო ოლქში 150.000 კაცზე ერთი დეპუტატი ემატება. ცეცხლთაყვანისმცემლებს და ებრაელებს, ქრისტიან ასირიელებს და ქალდეელებს, სამხრეთისა და ჩრდილოეთის

სომხებს უფლება აქვთ თითო დეპუტატი აირჩიონ ეროვნული საბჭოს კრებაზე. თითოეულ მათგანს ათ წელიწადში ერთხელ, მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით, ყოველ 150.000 კაცზე ასევე ერთი დერთი დეპუტატი ემატება. ეროვნული საბჭოს კრებაზე დეპუტატთა არჩევის წესს კანონი განსაზღვრავს.

მუხლი სამოცდამეცხრე. ეროვნული საბჭოს კრების სხდომაზე გამართული დებატები საჯაროა და გაშუქდება ინფორმაციის ოფიციალური ორგანოების საშუალებით. გამონაკლის შემთხვევაში, როცა ამას ქვეყნის უშიშროების ინტერესები მოითხოვს, პრემიერ-მინისტრის, ან ერთ-ერთი მინისტრის ან კიდევ ათი დეპუტატის მოთხოვნით იმართება დახურული სხდომები. ამ სხდომების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებანი ძალაში შევა იმ შემთხვევაში, თუ მას საზედამხედველო საბჭოს წევრების თანდასწრებით დეპუტატთა 3/4 მისცემს ხმას. ამ დახურული სხდომის გადაწყვეტილების შინაარსი, საგანგებო ვითარების გავლის შემდეგ, ცნობილი უნდა გახდეს მოსახლეობის ფართო ფენებისათვის.

მუხლი სამოცდამეათე. რესპუბლიკის პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და მინისტრებს უფლება აქვთ თავიანთი მრჩეველებით მონაწილეობა მიიღონ ეროვნული საბჭოს კრების პლენარული სხდომის მუშაობაში. ამასთან, თუ დეპუტატები საჭიროდ ჩათვლიან, მათ შეუძლიათ ეროვნული საბჭოს კრების პლენარულ სხდომაზე მოიწვიონ რესპუბლიკის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, რათა დეპუტატებს მოუსმინონ.

ეროვნული საბჭოს კრებაზე რესპუბლიკის პრეზიდენტის მონაწილეობა დეპუტატთა უმრავლესობის მიერ უნდა დამტკიცდეს.

მუხლი ოთხმოცდამეხუთე. დეპუტატის რწმუნება პირადია და მისი სხვაზე გადაცემა დაუშვებელია. ეროვნული საბჭოს კრებას უფლება არა აქვს საკანონმდებლო უფლებები ცალკეულ პიროვნებას ან ჯგუფს გადასცეს, მაგრამ შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, ზოგიერთი კანონის გამოცემა, კონსტიტუციის სამოცდამეთორმეტე მუხლის შესაბამისად, თავის კომისიებს დაავალოს. ამ შემთხვევაში ეს კანონები, გამოცდის მიზნით, გარკვეული დროით ხორციელდება, და მათ საბოლოოდ ეროვნული საბჭოს კრება ამტკიცებს.

მუხლი ოთხმოცდამეშვიდე. მინისტრთა კაბინეტმა, მას შემდეგ, როცა იგი შეიქმნება, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული საბჭოს კრებისაგან ნდობის ვოტუმი უნდა მიიღოს. ამის შემდეგაც მნიშვნელოვანი საკითხების დაყენებისა და საკონფლიქტო სიტუაციის შემთხვევაში მინისტრთა საბჭომ ნდობის ვოტუმი უნდა მოსთხოვოს ეროვნული საბჭოს კრებას.

მუხლი ოთხმოცდამერვე. იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატი დასვამს ისეთ საკითხს, რომელიც რომელიმე მინისტრის ფუნქციებში შედის, მაშინ ეს მინისტრი ვალდებულია გამოცხადდეს ეროვნული საბჭოს კრებაზე და მის წინაშე დასმულ კითხვაზე პასუხი გასცეს. ეს პასუხი 10 დღეზე მეტი ხნით არ უნდა დაყოვნდეს.

მუხლი ოთხმოცდამეცხრე. საჭიროების შემთხვევაში ეროვნული საბჭოს კრების დეპუტატს შეუძლია როგორც ერთ-ერთი მინისტრის, ასევე მთელი მინისტრთა კაბინეტის ინტერპელაცია (გამოწვევა) მოითხოვოს. ინტერპელაცია განხორციელდება, თუ მას ეროვნული საბჭოს კრების სულ მცირე 10 დეპუტატი დაეთანხმება და ამას ხელმოწერით დაადასტურებს.

მინისტრთა კაბინეტის, ან ერთ-ერთი მინისტრის ინტერპელაციის შემთხვევაში ათი დღის განმავლობაში ისინი უნდა გამოცხადდნენ ეროვნული საბჭოს კრებაზე, მათ წინაშე დასმულ კითხვებზე პასუხი გასცეს და მისგან ნდობის ვოტუმი მოითხოვონ.

თუ ეროვნული საბჭოს კრება პრემიერ-მინისტრს ან მინისტრთა კაბინეტს ნდობის ვოტუმს არ მისცემს მაშინ მათ დაითხოვენ. ორივე შემთხვევაში ვერცერთი მათგანი ვერ გახდება მომავალი მინისტრთა კაბინეტის წევრი.

მუხლი ოთხმოცდამეთერთმეტე. ისლამის ტრადიციებისა და ქვეყნის ძირითადი კანონის დაცვის მიზნით, იმისათვის, რომ მათ არ ეწინააღმდეგებოდეს ეროვნული საბჭოს კრების გადაწყვეტილებები, იქმნება საზედამხედველო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1. ექვსი სამართლიანი და სადღეისო საკითხების ღრმად მცოდნე ფაყიბი. მათი შერჩევა წინამძღოლს ან სანინამძღოლო საბჭოს ეკისრება;

2. იუსტიციის სხვადასხვა დარგში მომუშავე ექვსი იურისტი, რომლებსაც შეარჩევენ მუსლიმური

სამართლისმცოდნე პირებისაგან, მათ უმაღლესი სასამართლოს საბჭო ასარჩევად ისლამური საბჭოს კრება წარუდგენს.

მუხლი ოთხმოცდამეცხრამეტე. საზედამხედველო საბჭო თვალყურს ადევნებს რესპუბლიკის პრეზიდენტსა და ეროვნული საბჭოს კრების მიმდინარე არჩევნებს, პასუხისმგებელია, აგრეთვე საყოველთაო-სახალხო გამოკითხვის (რეფერენდუმის) ჩატარებაზე.

მუხლი ასმეშვიდე. თუ ერთ-ერთი ფაყიპი, ქვეყნის ძირითადი კანონის მეხუთე მუხლის თანახმად, მოსახლეობის უმრავლესობის მიერ იქნება აღიარებული, როგორც წინამძღოლი, სწორედ ისევე, როგორც რევოლუციის წინამძღოლი აიათოლა იმამ ზომეინი, მაშინ მას მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება. სხვა შემთხვევაში ხალხის მიერ არჩეული ექსპერტები შეარჩევენ ისეთ კომპეტენტურ პირებს, რომლებიც წინამძღოლის თვისებებით არიან დაჯილდოებულნი, როგორც კი გამოირჩევენ მათგან საუკეთესოს, მას წინამძღოლად ხალხს წარუდგენენ. თუ ასე ვერ მოხერხდა მაშინ ისინი შეარჩევენ 3-5 პირს, რომლებიც წინამძღოლისათვის ნაყენებულ მოთხოვნებს პასუხობენ და მათ საწინამძღოლო საბჭოს წევრებად ხალხს წარუდგენენ.

მუხლი ასმერვე. კანონი ექსპერტთა რაოდენობის, მათი არჩევის წესისა და პლენარული სხდომების შინაგანანწესის შესახებ მომზადებულ უნდა იქნას პირველი საზედამხედველო საბჭოს ფაყიპების მიერ და დამტკიცდეს მათი ხმების უმრავლესობით. ამ კანონს საბოლოოდ წინამძღოლი ამტკიცებს. ამის შემდეგ კანონების ყოველგვარი ცვლილება და გადასინჯვა ექსპერტთა საბჭოს კომპეტენციაში შედის.

მუხლი ასმეცხრე. წინამძღოლის ან საწინამძღოლო საბჭოს დამახასიათებელი თვისებები:

1. მეცნიერული კომპეტენტურობა და ღვთისმოსაობა;
2. პოლიტიკური და საზოგადოებრივი შორსმჭვრეტელობა, ენერგიულობა და ხელმძღვანელობის უნარი.

მუხლი ასმეათე. წინამძღოლის უფლებები და მოვალეობანი:

1. საზედამხედველო საბჭოს ფაყიპების დანიშვნა;
2. ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ორგანოს განწესება;

3. შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობა შემდეგი წესით:

ა) გენერალური შტაბის უფროსის დანიშვნა და გადაყენება;

ბ) ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის მთავარსარდლის დანიშვნა და გადაყენება;

გ) ეროვნული თავდაცვის უმაღლესი საბჭოს შექმნა, შვიდი წევრის შემადგენლობით;

– რესპუბლიკის პრეზიდენტი;

– რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი;

– თავდაცვის მინისტრი;

– გენერალური შტაბის უფროსი;

– ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის მთავარსარდლი;

– ორი მრჩეველი, რომელსაც წინამძღოლი ნიშნავს.

დ) თავდაცვის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით შეიარაღებული ძალების სამივე სახეობის უმაღლესი მთავარსარდლების დანიშვნა.

ე) თავდაცვის უმაღლესი საბჭოს წინადადებით ომის, ზავის ან შეიარაღებული ძალების მობილიზაციის გამოცხადება.

4. ხალხის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის შემდეგ მისი კანდიდატურის დამტკიცების ბრძანებაზე ხელის მოწერა. რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატურის შერჩევის საკითხი არჩევნებამდე უწინარეს ყოვლისა უნდა შეისწავლოს საზედამხედველო საბჭომ, ხოლო საბოლოოდ მას წინამძღოლი ამტკიცებს.

5. რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაყენება, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მას შემდეგ რაც უმაღლესი სასამართლო მიიღებს ასეთ გათვალისწინებას იმის თაობაზე, რომ იგი ვერ ასრულებს კანონით გათვალისწინებულ მოვალეობას, პოლიტიკურად არაკომპეტენტურია, ან ეწინააღმდეგება ეროვნული საბჭოს კრების აზრს;

6. ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს წარდგინებითა და ისლამური ტრადიციების საფუძველზე ბრალდებულთა შეწყალება ან მათი სასჯელის ნაწილობრივ შემსუბუქება.

მუხლი ასმეთერთმეტე. იმ შემთხვევაში, როცა წინამძღოლი ან საწინამძღოლო საბჭოს ერთ-ერთი წევრი ვერ შეძლებს ან დაკარგავს შესაძლებლობას შეასრულოს თავისი

უფლებამოსილებანი, ან ველარ აკმაყოფილებს კონსტიტუციის 109-ე მუხლში აღნიშნულ თუნდ ერთ რომელიმე პირობას, იგი თანამდებობიდან უნდა გადადგეს. ამ საკითხის შემოწმება, როგორც ეს 108-ე მუხლშია ხაზგასმული, ექსპერტთა კომპეტენციაში შედის.

ექსპერტთა პირველსავე დამფუძნებელ სხდომაზე უნდა განისაზღვროს ამ მუხლის შესასრულებლად საჭირო დადგენილებანი ექსპერტთა საბჭოს შექმნის შესახებ.

მუხლი ასმეთორმეტე. წინამძღოლი და აგრეთვე სანინამძღოლო საბჭოს წევრები კანონის წინაშე, ქვეყნის სხვა მოქალაქეებთან ერთად, თანასწორუფლებიანი არიან.

მუხლი ასმეცამეტე. რესპუბლიკის პრეზიდენტი, წინამძღოლის შემდეგ, ქვეყანაში უმაღლეს ოფიციალურ პირად ითვლება. მას კონსტიტუციის შესრულება და ხელისუფლების სამივე ორგანოს შორის ურთიერთობის კოორდინირების პასუხისმგებლობა აკისრია. მას ეკუთვნის აღმასრულებელი ხელისუფლება გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც უშუალოდ წინამძღოლის კომპეტენციაში შედის.

მუხლი ასოცდამეერთე. რესპუბლიკის პრეზიდენტი ეროვნული საბჭოს კრების პლენარულ სხდომაზე, რომელიც ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და კონსტიტუციის საზედამხედველო საბჭოს წევრების თანდასწრებით შედგება, ფიცს დებს და ხელს აწერს ქვემოთ მოტანილ ფიცის ტექსტს:

„სახელითა აღაპისა მოწყალისა, მწყალობელისა.

მე, როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტი, წმინდა ყურანის, ირანელი ხალხისა და ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე ფიცსა ვდებ, რომ დავიცავ ქვეყნის ოფიციალურ რელიგიას, ისლამურ რესპუბლიკურ წყობასა და ქვეყნის ძირითად კანონს. ძალ-ღონეს არ დავიშურებ იმისათვის, რათა ჩემზე დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შევასრულო, ერთგულად ვემსახურები ჩემს ხალხს, ხელს შევეწყობ ქვეყნის განვითარებას, სარწმუნოებისა და ზნეობის წინსვლას, დავიცავ სამართლიანობას და უარს ვიტყვი ყოველგვარ ეგოისტურ გამოვლინებაზე, დავიცავ მოქალაქეთა იმ უფლებებს, რაც მათ კონსტიტუციამ მიანიჭა. საიმედოდ დავიცავ ქვეყნის საზღვრებს, მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დამოუკიდებლობას. ღვთის შეწევნითა და ისლამის წინასწარმეტყველის მიმდევრობით ბოროტად არ

გამოვიყენებ ამ წმინდათანწმინდა მოვალეობას, რომელიც ჩემმა ხალხმა მომანიჭა და მას, როგორც ღვთისწიერი გამგებელი, ერთგულად ვემსახურები, და ხალხის მიერ ჩემს შემდეგ არჩეულს გადავცემ“.

მუხლი ასოცდამეორე. რესპუბლიკის პრეზიდენტი თავისი უფლებებისა და მოვალეობების ფარგლებში პასუხისმგებელია ხალხის წინაშე. მათი დარღვევის შემთხვევაში გამოძიების წესს კანონი განსაზღვრავს.

მუხლი ასოცდამეოთხე. რესპუბლიკის პრეზიდენტი აყენებს კანდიდატურას ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტზე, ხოლო ამის შემდეგ, რაც ეროვნული საბჭოს კრება მას ნდობის ვოტუმს მისცემს, იგი გასცემს ბრძანებას მისი პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შესახებ.

მუხლი ასოცდამეექვსე. მთავრობის დადგენილებები და ინსტრუქციები, მინისტრთა კაბინეტის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ, რესპუბლიკის პრეზიდენტს წარედგინება. იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი მათ კანონს საწინააღმდეგოდ მიიჩნევს ხელახალი განხილვის მიზნით კვლავ მინისტრთა კაბინეტს გაუგზავნის.

მუხლი ასოცდამეშვიდე. რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს, თუ საჭიროს ჩათვლის, მოიწვიოს მინისტრთა კაბინეტის სხდომა თავისივე თავმჯდომარეობით.

მუხლი ასოცდამერვე. რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს აწერს ელჩების რწმუნების სიგელებს, ლებულობს სხვა ქვეყნების ელჩების რწმუნების სიგელებს.

მუხლი ასოცდამეათე. რესპუბლიკის პრეზიდენტის ორ თვეზე ნაკლები დროით არყოფნის ან ავადმყოფობის შემთხვევაში იქმნება დროებითი საპრეზიდენტო საბჭო, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტის ფუნქციების შესრულება ეკისრება.

დროებითი საბჭოს შემადგენლობაში შედიან: პრემიერ-მინისტრი, ეროვნული საბჭოს კრების თავმჯდომარე და ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე. დროებითი საბჭო შეიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც რესპუბლიკის ძველი პრეზიდენტის უფლებამოსილება ამოიწურება ან მას გადააყენებენ, ხოლო ობიექტური მიზეზების გამო, ახალი პრეზიდენტი არჩეული ჯერ კიდევ არ არის, პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება ამ საბჭოს ეკისრება.

მუხლი ასოცდამეთერთმეტე. რესპუბლიკის პრეზიდენტის გარდაცვალების, გადადგომის, ორ თვეზე მეტი დროის განმავლობაში ავადმყოფობის და სხვა შემთხვევაში, რესპუბლიკის დროებითი საპრეზიდენტო საბჭო ვალდებულია საქმე ისე მოაწყოს, რომ მაქსიმუმ 50 დღის ვადაში არჩეულ იქნას რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი, ხოლო ამ დროის განმავლობაში, გარდა რეფერენდუმის მოწყობისა, შეასრულოს მისი უფლებამოსილება.

მუხლი ასოცდამეთორმეტე. იმ დროის მანძილზე, როდესაც რესპუბლიკის პრეზიდენტის ფუნქციებს რესპუბლიკის დროებითი საპრეზიდენტო საბჭო ასრულებს, არ შეიძლება მთავრობის ინტერპელაცია, მისთვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადება, ან კონსტიტუციის გადასინჯვა.

მუხლი ასოცდამეტამეტე. პრემიერ-მინისტრი ადგენს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას, რომელსაც შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტი ამტკიცებს. ამ ეტაპის შემდეგ მინისტრთა კაბინეტს ნდობის ვოტუმი ეროვნული საბჭოს კრებამ უნდა მისცეს.

მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას და თითოეული მინისტრის უფლებამოსილებას კანონი განსაზღვრავს.

მუხლი ასოცდამეთოთხმეტე. მინისტრთა კაბინეტს ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი, რომელიც მეთვალყურეობას უწევს მინისტრთა საქმიანობას, მათთან ერთად ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს სამთავრობო დადგენილებების შესასრულებლად და მინისტრების დახმარებით განსაზღვრავს მთავრობის პროგრამას და გენერალურ ხაზს, ახორციელებს მის კანონებს.

პრემიერ მინისტრი ეროვნული საბჭოს კრების წინაშე პასუხისმგებელია მინისტრთა კაბინეტის საქმიანობაზე.

მუხლი ასოცდამეთხუთმეტე. პრემიერ-მინისტრი თავის თანამდებობაზე რჩება ეროვნული საბჭოს კრების მიერ მისთვის მიცემული ნდობის ვოტუმის ვადის გასვლამდე. მთავრობა თავისი გადადგომის შესახებ განცხადებას რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგენს, მაგრამ ახალი მთავრობის შექმნამდე პრემიერ-მინისტრი თავის ფუნქციების შესარულებას განაგრძობს..

მუხლი ასოცდამეთექვსმეტე. იმ შემთხვევაში, როდესაც პრემიერ-მინისტრი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიმე მინისტრის დათხოვნისა და მის ადგილზე სხვისი დანიშვნის

შესახებ, საჭიროა ეს გადაწყვეტილება რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაამტკიცოს. ახალი მინისტრის დანიშვნის შემთხვევაში საჭირო იქნება ეროვნული საბჭოს კრების ნდობის ვოტუმი, მინისტრთა კაბინეტის წევრების ნახევრის გადადგომის შემთხვევაში, როცა მათ ადგილზე ახალი მინისტრები დაინიშნებიან, მთავრობამ ეროვნული საბჭოს კრების ნდობის ვოტუმი ხელახლა უნდა ითხოვოს.

მუხლი ასოცდამეჩვიდმეტე. თითოეული მინისტრი თავისი მოვალეობის შესრულების საქმეში უშუალოდ ეროვნული საბჭოს კრების წინაშე არის პასუხისმგებელი. მაგრამ იმ საქმეების შესრულებაში, რომლებსაც მინისტრთა კაბინეტი ამტკიცებს, პასუხისმგებლობა მასაც ეკისრება.

მუხლი ასოცდამეთვრამეტე. გარდა იმისა, რომ მინისტრთა კაბინეტი ან მინისტრი ასრულებს თავის უშუალო მოვალეობას, ე.ი. გამოსცემს სამთავრობო დადგენილებასა და ახორციელებს კანონებს, მას უფლება აქვს აგრეთვე შეასრულოს ადმინისტრაციული მოვალეობა და უზრუნველყოს კანონების გატარება. მინისტრთა კაბინეტი, მთავრობის დადგენილებების შესაბამისად, ახდენს ადმინისტრაციული ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაციას. მინისტრს თავისი მოვალეობის და მინისტრთა კაბინეტის დადგენილებების ფარგლებში უფლება აქვს შეიმუშაოს და გამოაქვეყნოს ინსტრუქციები და ცირკულარები, მაგრამ მათი არსი კანონს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

ეროვნული საბჭოს კრებისათვის შეტყობინების შემდეგ მათი საქმე საერთო სასამართლოებმა უნდა განიხილონ.

მუხლი ასორმოცდამეერთე. რესპუბლიკის პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, მინისტრებსა და სახელმწიფო მოხელეებს უფლება არა აქვთ არჩეულ იქნენ ერთზე მეტ სახელმწიფო თანამდებობაზე, ან დაიკავონ სხვა რომელიმე თანამდებობა ისეთ დაწესებულებებში, რომელთა მთელი კაპიტალი ან მისი ნაწილი სახელმწიფო, ან საერთო საკუთრებას შეადგენს. ისინი არ შეიძლება იყვნენ ეროვნული საბჭოს კრების წარმომადგენლები, ვექილები, იურისკონსულტები, კერძო კომპანიების პრეზიდენტები, დირექტორ-განმკარგულებლები ან მათი გამგეობის წევრები.

ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული თანამდებობები.

პრემიერ-მინისტრს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში დროებით რამოდენიმე სამინისტროს ხელმძღვანელობა იკისროს.

მუხლი ასორმოცდამეორე. წინამძღოლის, სანინამძღოლო საბჭოს წევრების, რესპუბლიკის პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, სხვა მინისტრების, მათი მეთაულებისა და შვილების ქონება სამსახურის დაწყებამდე და მისი დანებების შემდეგ ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს მიერ აღრიცხული უნდა იქნას, რათა კანონით დადგენილზე მეტი ქონება არ დააგროვონ.

მუხლი ასორმოცდამეჩვიდმეტე. სასამართლო ხელისუფლების პასუხისმგებლობის განხორციელების მიზნით იქმნება სასამართლოს უმაღლესი საბჭო, რომელიც სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა. მის ფუნქციებში შედის:

1. 156-ე მუხლის თანახმად მართლმსაჯულების სათანადო ორგანიზაციის შექმნა;

2. ისლამური რესპუბლიკის კანონების შესატყვისად სასამართლოს კანონპროექტების შემუშავება;

3. კანონის შესაბამისად, სამართლიანი და ღირსეული მოსამართლეების დანიშვნა, დანიშნულება და დათხოვნა, მივლინების ადგილის შეცვლა, და ამის მსგავსი ადმინისტრაციული საკითხები.

მუხლი ასორმოცდამეთვრამეტე. სასამართლოს უმაღლესი საბჭო ხუთი წევრისაგან შედგება:

1. ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე;

2. გენერალური პროკურორი;

3. სამი სამართლიანი და მუსლიმური კანონების მცოდნე მოსამართლე, რომლებსაც ქვეყნის მოსამართლეები ირჩევენ.

ამ საბჭოს წევრებს, კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ირჩევენ. მათ უფლება აქვთ ამ თანამდებობაზე მეორე ვადით ხელახლა იქნენ არჩეული.

ზემოხსენებულ საბჭოში არჩევნების წესს კანონი განსაზღვრავს.

მუხლი ასმესამოცე. იუსტიციის მინისტრი პასუხისმგებელია ყველა საკითხზე, რომელიც ეხება სასამართლო ხელისუფლებასა და აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის ურთიერთობასთან. იუსტიციის მინისტრი შეირჩევა იმ პირებიდან, რომლებსაც

სასამართლოს უმაღლესი საბჭო პრემიერ-მინისტრს წარუდგენს.

მუხლი ასსამოცდამეერთე. მართლმსაჯულების სწორად შესრულებაზე განხორციელებაზე კონტროლის გასაწევად, სასამართლოს უმაღლესი საბჭოს კანონის საფუძველზე, იქმნება ქვეყნის უმაღლესი სასამართლო.

მუხლი ასსამოცდამეორე. ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე და გენერალური პროკურორი უნდა იყვნენ კანონების კარგი მცოდნენი და სამართლიანი მოჯთაპედეები. მათ ამ თანამდებობაზე ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეების რეკომენდაციით წინამძღოლი ნიშნავს ამ ხუთი წლის ვადით.

მუხლი ასსამოცდამეოთხე. მოსამართლე თავისი თანამდებობიდან არ შეიძლება დროებით ან მუდმივად დათხოვნილი იქნას სასამართლო გამოძიებისა და დანაშაულის დადასტურების გარეშე. ასევე აკრძალულია მოსამართლის სამსახურის ადგილის გამოცვლა ან გადაყვანა ერთი თანამდებობიდან მეორეზე მისი თანხმობის გარეშე. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს საზოგადოების ინტერესებს შეესაბამება და ამას სასამართლოს უმაღლესი საბჭოს წევრები ერთხმად მოითხოვენ, დასაშვებია მოსამართლე გადაყვანილ იქნას სხვა თანამდებობაზე.

მუხლი ასსამოცდამეცამეტე. ხალხის საჩივრებისა და პროტესტებზე განსახილველად, მათი შევიწროების თაობაზე სასამართლოს უმაღლესი საბჭოსთან იქმნება ადმინისტრაციული სამართლიანობის სასამართლო. ამ სასამართლოს უფლებამოსილებას კანონი განსაზღვრავს.

მუხლი ასსამოცდამეთოთხმეტე. ადმინისტრაციულ ორგანოებში სასამართლო ხელისუფლების კანონების სწორად შესრულებაზე კონტროლის გასაწევად სასამართლოს უმაღლეს საბჭოსთან იქმნება იქმნება „ქვეყნის მთავარი საკონტროლო ორგანიზაცია“. ამ ორგანიზაციის უფლებამოსილებას კანონი განსაზღვრავს.

მუხლი ასსამოცდამეთხუთმეტე. ინფორმაციის (რადიო და ტელევიზია), და ბექდვითი სიტყვის ორგანოებმა თავის საქმიანობას საფუძველად ისლამური ტრადიციები უნდა დაედოს. ამ ორგანოების ფუნქციონირებას უშუალო მეთვალყირეობას უნევს სასამართლო (სასამართლოს

უმაღლესი საბჭო), საკანონმდებლო და აღმასრულებელი
ხელისუფლება. მათი მუშაობის წესს კანონი განსაზღვრავს.

თავი VI

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია

სახელითა ალაჰისა
მონყალისა, მწყალობელისა,
ნათელი მითითებებით
მოციქულნი მივაველინეთ ჩვენ,
მათთან ერთად [საღვთო]
წერილი და სასწორიც გარდ-
მოვაველინეთ, რათა ხალხმა
დაიცვას სიმართლე.

წინასიტყვაობა

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია განასახიერებს ისლამის სანყისებზე დაფუძნებული ირანის საზოგადოების კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემას. იგი პასუხობს ისლამური თემის (ხალხის) ძირეულ ინტერესებს. ირანის დიდი ისლამური რევოლუციის ხასიათი და მუსლიმთა ბრძოლისა და მოქმედების მეთოდები, რაც თავიდანვე მოსახლეობის ყველა ფენის რადიკალურ და მიზანმიმართულ ლოზუნგებში ჩამოყალიბდა, მის ძირითად მისწრაფებას განსაზღვრავს. ახლა ამ დიდი გამარჯვების ავანგარდში მდგომი ჩვენი ხალხი დასახული მიზნების უდაო შესრულებას მოითხოვს.

უკანასკნელი საუკუნის ირანის სხვა მოძრაობებთან შედარებით ამ რევოლუციის ძირითადი თავისებურება მის ფუნდამენტურობასა და ისლამურობაში მდგომარეობს. ირანის მუსლიმთა ხალხმა კონსტიტუციური, ანტითვითმპყრობელური, ანტიკოლონიური მოძრაობებისა და ნავთობის ნაციონალიზაციისათვის ბრძოლის ეტაპების გავლის შედეგად გარკვეული გამოცდილება შეიძინა. წარუმატებლობის უმთავრესი მიზეზი ბრძოლის ფუნდამენტური მეთოდების უგულვებელყოფა იყო. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მოძრაობებში ისლამური იდეოლოგიური კურსის გატარებაში არსებით როლს მებრძოლი სასულიეროები ასრულებდნენ. მაგრამ ისლამის ძირითადი პრინციპებისაგან ჩამოშორების გამო ეს მოძრაობები მალე მიწადა. სწორედ ამიტომ ხალხის

ფხიზელმა სინდისმა მიბაძვის მაგალითის მისი უნმინდესობის დიდი აითოლა იმამ ხომეინის ხელმძღვანელობით შეიგნო ფუნდამენტური ისლამური შინაარსის მატარებელი მოძრაობის ხაზის გაყოლის საჭიროება. ამჯერად ქვეყნის მებრძოლის სასულიერო პირები, რომლებიც მუდამ სახალხო გამოსვლების წინა რიგში იდგნენ, ღვთისმოსავ ინტელიგენციასთან ერთად მისი ხელმძღვანელობით ახლებურად ამოძრავდნენ (ირანელი ხალხის უკანასკნელი მოძრაობა დაიწყო მთავრობის ჰიჯრით 1382 წელს, რაც შეესაბამება მზის ჰიჯრით 1342 წელს).

მოძრაობის ავანგარდი

ამერიკელთა შეთქმულების, „თეთრი რევოლუციის“, თვითმპყრობელური რეჟიმის საფუძვლების განმტკიცებისა და საერთაშორისო იმპერიალიზმზე ირანის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური დამოკიდებულების წინააღმდეგ იმამ ხომეინის გაბედულმა პრძოლამ ხალხი ერთი დროშის ქვეშ გააერთიანა. ამის შემდეგ მუსლიმი ხალხის გამოსვლებმა და 1342 წლის ხორდადის თვეში დატრიალებულმა სისხლიანმა ამბებმა, რომელიც სინამდვილეში ამ აჯანყების გამარჯვებით დაგვირგვინების საწყისი ეტაპი იყო¹, წარმოაჩინა იმამის, როგორც ისლამური მოძრაობის წინამძღოლის ცენტრალური ფიგურა. სამარცხვინო კაპიტულანტური კანონის (ამერიკელ მრჩეველთა ხელშეუხებლობის თაობაზე) დაგმობის გამო ირანიდან მისი გაძევების მიუხედავად უფრო განმტკიცდა ისლამური თემის კავშირი იმამთან და მუსლიმმა ხალხმა, განსაკუთრებით კი ღვთისმოსავმა ინტელიგენციამ და მებრძოლმა სასულიეროებმა გადასახლებასა თუ ციხეებში, წამებასა თუ სახრჩობელებზე თავიანთ არჩეულ გზას არ უღალატეს.

ამასობაში საზოგადოების შეგნებულმა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით გამსჭვალულმა ნაწილმა მეჩეთებში, სამეცნიერო დანესებულებებსა და

¹ იგულისხმება 1963 წლის 5-8 ივნისის ამბები, როცა სასულიერო პირების ხელმძღვანელობით ადგილი აქონდა გამოსვლებს მიწის რეფორმისა და ქალების უმანსიპაციის წინააღმდეგ.

უნივერსიტეტებში ფართო ახსნა-განმარტებითი საქმიანობა გაშალა. რევოლუციური წრთობითა და ისლამური ზნეობრივი სიკეთით ნასაზრდოები შთაგონებით წარმატებით დაიწყო მუსლიმი ხალხის ცნობიერების, საბრძოლო სულისკვეთებისა და მართლმორწმუნეობის დონის ამაღლება. თვითმპყრობელური რეჟიმი, ხალხის რისხვისაგან თავის დასაღწევად ამოდ ცდილობდა ისლამური მოძრაობა ჩაეხშო სასულიერო ცენტრების, უნივერსიტეტების და რევოლუციის ყველა სხვა კერის წინააღმდეგ გააფთრებული შეტევის გაჩაღების გზით. სიკვდილმისჯილთა საკნების, შუასაუკუნეობრივი ტანჯვა-წამების და ხანგრძლივი პატიმრობის ფასად, ჩვენს მუსლიმ ხალხს ხელი არ აუღია თავისი ბრძოლის გაგრძელების მტკიცე გადამწყვეტილებაზე. ირანის ისლამურ რევოლუციას მსხვერპლად ეწირებოდა ასობით ახალგაზრდა ქალისა და კაცის სისხლი. ისინი რწმენით აგზენბულნი ყოველ ცისმარე დღეს „დიდი არს ალაჰი-ს“ შეძახილებით ტყვიებს ეწირებოდნენ მოედნებზე და მტრის ქვემების ჭურვების სამიზნე ხდებოდნენ ქუჩებსა და ბაზრებში. სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით მუსლიმი ხალხისადმი იმამის თანამიმდევრულმა მიმართვებმა და მოწოდებებმა ხელი შეუწყო მისი ცნობიერებისა და შემართების გაღრმავებასა და განმტკიცებას.

ისლამური მმართველობა

ველაიათე ფაყიჰის ბაზაზე შედგენილი ისლამური მმართველობის მონახაზი², რომელიც იმამ ხომეინიმ შეიმუშავა ჯერ კიდევ მაშინ, როცა თვითმპყრობელური, რეპრესიული რეჟიმი ზენიტში იმყოფებოდა, მუსლიმ ხალხს გარკვეულ სტიმულს აძლევდა და ახალ ძალას ჰმატებდა. მან ისლამის ფუნდამენტური მიმდინარეობის ბრძოლის კეთილშობილური გზა გახსნა. მუსლიმ და რწმენისათვის თავდადებულ მებრძოლთა მისწრაფება ქვეყანაში და მის გარეთ უფრო მიზნობრივი გახდა.

² მხედველობაშია ათთოლა ხომეინის წიგნი „ისლამური რესპუბლიკის მმართველობა“, რომელიც გამოიცა ნეჯუყში 1971 წელს.

ასე გრძელდებოდა მოძრაობა სანამ ზღვარდაუდებელი შევიწროებისა და რეპრესიების გამო ხალხის უკმაყოფილებამ და აღშფოთებამ მსოფლიო ასპარეზზე მებრძოლი სასულიეროების და სტუდენტების მბრძოლისა და აქტიური მამხილებელი საქმიანობის მეშვეობით მნიშვნელოვნად არ შეარყია მმართველი რეჟიმის საფუძვლები. რეჟიმი და მისი მესვეურები იძულებული იყვნენ შეემსუბუქებინათ დანოლა და რეპრესიები და რამდენადმე განემუხტათ ქვეყნის პოლიტიკური სიტუაცია. ამ გზით ვარაუდობდნენ თავი დაეღწიათ გარდაუვალი დაცემისაგან. მაგრამ გამოღვიძებულმა ხალხმა იმამის წინამძღოლობით ერთი დროშის ქვეშ დაიწყო ძლევამოსილი საყოველთაო აჯანყება.

ხალხის გულისწყრომა

ეს მოძრაობა დააჩქარა 1356 წლის 17 დეის რეჟიმის მიერ სასულიერო პირებისა და, კერძოდ, იმამ ხომეინის წმინდა სახელების შეურაცხმყოფელი წერილის გამოქვეყნებამ³. იგი მთელს ქვეყანაში ხალხის რისხვის აფეთქების საბაბი გახდა. ხალხის გამოსვლების შეჩერების მიზნით რეჟიმი შეეცადა ეს ოპოზიციური ამბოხება სისხლში ჩაეხშო. მაგრამ ამას ხალხის რევოლუციური ალტკინების ახალი აზვირთება მოჰყვა. ამბები პერმანენტულად განვითარდა და ცვალებადი აქტივობით მიმდინარეობდა. რევოლუციის საქმისათვის დაღუპულთა მოსახსენიებელი კვირისა თუ ორმოცი დღის აღნიშვნამ მეტი სიმტკიცე და მგზნებარება მიანიჭა მთელს ქვეყანაში გაშლილ მოძრაობას. ხალხის განუწყვეტელ მოძრაობაში ქვეყნის ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია ჩაება. სახალხო გამოსვლებსა და ქუჩის დემონსტრაციებში მონაწილეობით მათ აქტიური როლი შეასრულეს თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობაში. ამ ბრძოლაში გამოიკვეთა მოსახლეობის ყველა ფენის, რელიგიურ და პოლიტიკურ მიმდინარეობათა წარმომადგენელ მამაკაცებისა და ქალების სოლიდარობა. განსაკუთრებით შეინიშნებოდა ქალების აქტიური და ფართო

³ იგულისხმება 1978 წლის 7 იანვარს გაზეთ „ეთელაათში“ გამოქვეყნებული წერილი.

მონანილეობა ამ დიდი საღვთო ომის ყველა ეტაპზე. ასეთ სურათსაც ნახავდით, როდესაც დედა მკერდში ჩაკრული ჩვილით ბრძოლაში ებმებოდა ისე, რომ ტყვიამფრქვევების ლულებს არ ერიდებოდა. ეს კი საყოველთაო ბრძოლაში საზოგადოების ამ დიდი ნაწილის განუზომელ წვლილზე მიუთითებს.

ხალხის მიერ გაღებული მსხვერპლი

ერთ წელზე მეტი ხნის აღმავალი რევოლუციური ბრძოლის შედეგად, ამ საღვთო ომში 60 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა, 100 ათასი დაიჭრა და დასახიჩრდა. ქვეყანამ მილიარდობით თუმნის მატერიალური ზარალი განიცადა, მაგრამ დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და ისლამური მმართველობის დამყარების მოწოდებებს ამოდ არ ჩაუვლია. ამ დიდმა მოძრაობამ რწმენაზე, ერთობაზე დაყრდნობით, აგრეთვე ხალხის ერთგულების წყალობით და ხელმძღვანელთა პრინციპული პოლიტიკის მეშვეობით ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპებზე გამარჯვებას მიაღწია, შეძლო ყველა იმპერიალისტური ძალის განადგურება, რაც, თავის მხრივ, მსოფლიოში ფართო სახალხო რევოლუციების ახალი ეტაპის დასაწყისი გახდა.

1356 წლის 21-22 ბაჰმანი⁴ შაჰის მმართველობის საბოლოო დამსობის დღეებად გადაიქცა და მასთან ერთად ქვეყანაში თვითმპყრობელობა და უცხოეთის ბატონობაც მოისპო. ამ დიდი გამარჯვების შედეგად ისლამური ავანგარდის ხელისუფლების სათავეში მოსვლა, რაც მუსლიმი ხალხის დიდი ხნის ოცნება იყო, საბოლოო წარმატების მაუწყებელი გახდა.

ირანელმა ხალხმა რეფერენდუმში მიბაძვის მაგალითის, მუსლიმი ულემებისა და წინამძღოლის მონანილეობით ერთხმად მიიღო გადამწყვეტილება ახალი სახელმწიფო წყობილების – ისლამური რესპუბლიკის შექმნის შესახებ⁵.

⁴ 1979 წლის 11-12 თებერვალი, როცა შეიარაღებული აჯანყების შედეგად საბოლოოდ გაიმარჯვა ირანის ისლამურმა რევოლუციამ.

⁵ რეფერენდუმი ჩატარდა 1979 წლის 30-31 მარტს.

ისლამური რესპუბლიკის დაარსებას ხმა მისცა მონაწილეთა უმრავლესობამ – 98,2%.⁶

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია საზოგადოების პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობებისა და ხასიათის გამომხატველია. მან უნდა განამტკიცოს ისლამური მმართველობა და მანამდე არსებული მძარცველური რეჟიმის ნანგრევებზე ხელისუფლების ახალი ფორმა დაამკვიდროს.

მმართველობის ფორმა ისლამში

ისლამის თვალსაზრისით, მმართველობა ერთ-პიროვნული, ჯგუფური, კლასობრივი ან დიქტატორული საწყისიდან კი არ მომდინარეობს, არამედ ერთმორწმუნე და თანამოაზრე ადამიანების პოლიტიკური მრწამსის კრისტალიზაციაა, ხელს უწყობს თვითორგანიზაციას, რათა საკუთარი გონებრივი და ღვთაბრივი სრულყოფის გზით მიაღწიონ საბოლოო მიზანს (ამაღლება ალაჰამდე). რევოლუციური განვითარების პროცესში ჩვენი ხალხი განთავისუფლდა კერძთაყვანისმცემლობის ბურჟუასიგან, განიწმინდა უცხოური იდეოლოგიის ნაზვისაგან და ისლამურ იდეურ და მსფოლმხედველობით საწყისებს დაუბრუნდა. ახლა გადანყვეტილი აქვს ისლამურ ნორმებზე დაფუძნებული სანიმუშო საზოგადოება ააშენოს. ამდენად, კონსტიტუცია მოწოდებულია, რათა წარმოაჩინოს მოძრაობის სარწმუნოებრივი ნიადაგი და შექმნას ისეთი პირობები, რომელშიც ადამიანი ისლამური უმაღლესი და ყოვლისმომცველი ფასეულობებით აღიზრდება.

კონსტიტუცია, რომელსაც აქცენტი გადააქვს ისლამური რევოლუციის ძირითად შინაარსზე, იმაზე, რომ იგი არის მოძრაობა ყველა ჩაგრულის მჩაგვრელებზე გამარჯვებისათვის, ამზადებს ნიადაგს ამ რევოლუციის გასაგრძელებლად ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ, განსაკუთრებით იღვწის სხვა ისლამურ და სახალხო მოძრაობებთან საერთაშორისო კავშირების გასაფარ-

⁶ ირანის ისლამური რესპუბლიკა ოფიციალურად გამოცხადდა 1979 წლის 1 აპრილს.

თოებლად, რათა გააიოლოს გზა, რომელსაც მსოფლიოს ერთიანი ხალხის შექმნამდე მივყავართ (ჭეშმარიტად, ეს თემი თქვენი [რელიგიური უმმა] ერთი თემია, და მე ვარ უფალი თქვენი, თაყვანი მეცით), გააძლიეროს ბრძოლა მთელს მსოფლიოში ჩაგრული და ლატაკი ხალხების გასათავისუფლებლად.

კონსტიტუცია, რომელიც ყურადღებას მიაპყრობს ამ დიდი მოძრაობის ბუნებას, გარანტიას იძლევა ყოველგვარი ტოტალიტარული იდეოლოგიის, სოციალური, ეკონომიკური მონოპოლიის აღმოსაფხვრელად, მიისწრაფვის, რათა გასტეხოს თვითმპყრობელური სისტემა და ხალხის ბედი მისსავე ხელში გადასცეს (ტვირთსა და ბორკილებს მოაცილებს, რომლებიც მათ ედოთ).

პოლიტიკური კონცეფციის შემუშავებაში, რაც, თავის მხრივ საზოგადოების ორგანიზაციული საფუძველია, მართლ-მორწმუნეობის განმარტებაზე დაყრდნობით ხელისუფლებისა და სახელმწიფოს მართვის პასუხისმგებლობას კომპეტენტური პირები კისრულობენ (რომ ქვეყანაზე დაიმკვიდრებენ მონანი ჩემნი კეთილმსახურნი). კანონმდებლობა, რომელიც საზოგადოების მართვას აწესრიგებს, ყურანის და სუნას ღერძის გარშემო ტრიალებს. ამიტომაც სამართლიანი, ღვთისმოსავი და კომპეტენტური (სამართლიანი ფაყიჰების) ისლამმცოდნეების ფხიზელი და აქტიური ზედამხედველობა გადაუდებელი და საპატიო საქმეა. რამდენადაც ხელისუფლების მიზანი ღვთაებრივი წესრიგისკენ მოძრაობაში (ალაჰთანაა მისაქციელი), ადამიანის ზრდაში მდგომარეობს, ამდენად ადამიანის ღვთისმოსაობის გამოვლენის მიზნით უნდა შეიქმნას მისი შესაძლებლობების წარმოჩენისა და გაფურჩქენის საფუძველი (მოიქეცით მსგავსად ალაჰისა). ყოველივე ეს მხოლოდ საზოგადოების განვითარებისას ყველა სოციალური რგოლის აქტიური და ფართო მონაწილეობით არის შესაძლებელი.

ამრიგად, კონსტიტუცია ნიადაგს ამზადებს ეფექტიანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ყველა ეტაპზე საზოგადოების თითოეული წევრის ასეთი მონაწილეობისათვის, რომ ადამიანის სრულყოფის გზაზე თითოეული მათგანი თავისი თავის სრულყოფილი ბატონ-პატრონი გახდეს. ეს იქნება დედამიწაზე ჩაგრულთა მმართველობის განხორციელება (გვწაღს, რომ წყალობა

ვუყვით ამ ქვეყანაზე დაუძღვრებულთ, იმამებად ვაქცევთ მათ, მემკვიდრეებად დავადგენთ მათ).

სამართლიანი ფაყიჰის მმართველობა

უმალესი მმართველის თანამდებობის და მუდმივი იმამობის შემოღების საფუძველზე კონსტიტუცია ფაყიჰის ხელმძღვანელობის განსახორციელებლად ამზადებს ყველა იმ პირობას, რასაც ხალხი წინამძღოლის პრეროგატივად მიიჩნევს (საქმეთა მსვლელობა ალაჰის ალიმთა ხელშია, რომლებიც არიან საიმედონი აკრძალულისა და ნებადართულის განსაზღვრაში); ეს იქნება გარანტი იმისა, რომ სხვადასხვა ორგანიზაციები თავს არ აარიდებენ ისლამის ჭეშმარიტი დანიშნულების შესრულებას.

ეკონომიკა საშუალებაა და არა მიზანი

ეკონომიკური საფუძვლების განმარტების შენაარსი გულისხმობს ადამიანის ზრდისა და სრულყოფის პროცესში მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და არა გამდიდრებასა და მოგებას, როგორც ეს სხვა ეკონომიკურ სისტემებშია ჩადებული. ვინაიდან მატერიალისტური გაგებით, ეკონომიკა არის მიზანი, ამიტომ განვითარების ეტაპზე იგი ნგრევის, გახრწნისა და დანაშაულის ფაქტორად იქცევა, ისლამში ეკონომიკა საშუალებაა და მიზნისკენ მიმავალი გზაა.

ამ თვალსაზრისით ისლამის ეკონომიკური პროგრამა იმაში მდგომარეობს, რომ შექმნას სათანადო ნიადაგი ადამიანის განსხვავებული შემოქმედებითი ძალების გამოსავლენად. ამდენად ისლამური მმართველობის მოვალეობაა უზრუნველყოს თანაბარი და პროპორციული შესაძლებლობები, შექმნას სამუშაო თითოეული ადამიანისათვის, დააკმაყოფილოს მისი აუცილებელი მოთხოვნილებები სრულყოფისაკენ მისი მოძრაობის გასაგრძელებლად.

ქალი კონსტიტუციაში

ისლამური საზოგადოებრივი საფუძვლების შექმნისას ადამიანის ენერგია, რომელიც მანამდე უცხოელთა ექსპლოატაციას განიცდიდა, კვლავ უბრუნდება თავის ძირითად არსსა და უფლებებს, სწორედ ამ ბუნებრივ უკუდაბრუნებაში ქალები, რომლებიც დღემდე, სატანის რეჟიმის დროს, უაღრესად დიდ ჩაგვრას განიცდიდნენ, მეტ უფლებებს შეიძენენ.

ოჯახი საზოგადოების საფუძველი და ადამიანის განვითარების და ღმერთთან მიახლოების უმთავრესი კერაა. რწმენისა და იდეალების თანხედრობა ოჯახის შექმნის საქმეში სრულყოფისაკენ მოძრაობის ძირითადი პირობაა და ადამიანის განვითარებას განსაზღვრავს. ამასთანავე იგი მთავარი ფუძეცაა და ამიტომ მიზნის მისაღწევად შესაძლებლობათა გაერთიანება ისლამური მმართველობის ერთ-ერთი მოვალეობაა. ქალმა, როგორც ოჯახის ბურჯმა, თავი დააღწია თავის უწინდელ მდგომარეობას, როდესაც იგი უბრალო „ნივთს“ ან „შრომის იარაღს“ წარმოადგენდა და შევიწროებას განიცდიდა. მან დაიბრუნა დედის უკეთილშობილესი მისია მოწინავე მართლმორწმუნე ადამიანების აღზრდის საქმეში. იგი გახდა მამაკაცის თანამებრძოლი ცხოვრების აქტიურ უბნებზე. შედეგად დაეკისრა მეტი პასუხისმგებლობა, ისლამის თვალსაზრისით. იგი გაცილებით მეტად დაფასდება და შინაურული სიტბოთი და სიყვარულით აღივსება.

მართლმორწმუნე არმია

ქვეყნის დამცველი ძალების შექმნისა და აღჭურვის საქმეში ამოსავალი კრიტერიუმია რწმენა და მართლმორწმუნეობა. აქედან გამომდინარე, ისლამური რესპუბლიკის არმია და რევოლუციის გუშაგთა კორპუსი ზემოთ აღნიშნული მიზნით ყალიბდებიან. მათ არა მხოლოდ საზღვრების დაცვა აკისრიათ, არამედ კისრულობენ სანინასწარმეტყველო მისიასაც, რაც გულისხმობს ღვთის გზაზე საღვთო ომის და მსოფლიოში ღვთაებრივი კანონის უზენაესობის გავრცელებას (და განამზადეთ რაც შეგიძლიათ,

ჯარი, მხედრობა, მით დააშინეთ ალაჰის მტრები, თქვენი მტრები, სხვებიც მათ გარდა).

მართლმსაჯულება კონსტიტუციაში

მართლმსაჯულების საკითხს ხალხის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ისლამური მოძრაობის გზაზე მუსლიმურ თემში ცალკეულ სამართალდამრღვევთა პროფილაქტიკის მიზნით. ამიტომ გათალისწინებულია ისლამურ სამართლიანობაზე დაფუძნებული სასამართლო სისტემის შექმნა ზედმიწევნით ზუსტი რელიგიური წესებით. ეს სისტემა აუცილებელია მისი ფუნდამენტური ბაზისის არსებითი და სრული ასახვისათვის. იგი ვერ შეურიგდება ვერავითარ არაჯანსაღ ურთიერთობებს (და როცა ხალხს განსჯით, განიკითხეთ სამართლიანად).

აღმასრულებელი ხელისუფლება

აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა გახდეს ისლამური საზოგადოების შექმნის გზის მაჩვენებელი იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რაც მას საზოგადოებაში სწორი და სამართლიანი ურთიერთობის დამყარების მიზნით ისლამური დანაწესებისა და დებულებების შესრულების საქმეში გააჩნია, აგრეთვე იმ აუცილებლობის გამო, რაც ამ სასიცოცხლო საკითხს ცხოვრების საბოლოო მიზნის განხორციელებისათვის პირობების მოსამზადებლად და მისაღწევად ექნება. ამდენად, ისლამური თვალსაზრისით მიუღებელია ნებისმიერ წყობაში შეზღუდვების დაშვება, რაც ამ მიზნის განხორციელებას დაბრკოლებას შეუქმნის ან ზიანს მიაყენებს. სწორედ ამიტომ სატანური (თალუთის) მმართველობის ნაშიერი ბიუროკრატიული რეჟიმი იოლად არ თმობს ასპარეზს, სანამ აღმასრულებელი ხელისუფლება უნარიანად არ იმოქმედებს და დროულად არ შეასრულებს თავის საუნწყებო მოვალეობებს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (რადიო და ტელევიზია), ისლამური რევოლუციური მეთოდების სრულყოფის მისაღწევად მუსლიმური კულტურის გავრცელებას უნდა ემსახუროს და ამ ნიადაგზე გამოძებნოს განსხვავებული ჯანსაღი აზროვნების შეჯერების გზები, თავი შეიკავოს მავნე ბუნებისა და ანტიისლამური ინფორმაციის პროპაგანდისა და გავრცელებისაგან.

ისეთი კანონიერი პრინციპების ერთგულება, რომელიც თავის უზენაეს მიზნად კაცობრიობის თავისუფლებასა და კეთილდღეობას აღიარებს, გზას უხსნის ადამიანის განვითარება-სრულყოფას, – საყოველთაო მოვალეობაა. საჭიროა, რომ მუსლიმმა ხალხმა კომპეტენტურ, ღვთისმოსავ პირთა არჩევით, მათს საქმიანობაზე მუდმივი კონტროლის განხორციელებით აქტიური მონაწილეობა მიიღოს ისლამური საზოგადოების მშენებლობაში, იმის მტკიცე რწმენით, რომ ისლამური სამაგალითო საზოგადოების აშენებაში, რომელიც მსოფლიოს ყველა ხალხისათვის მისაბაძი მაგალითი გახდება, წარმატებას მიაღწიოს (და ამგვარად დაგადგინეთ ერად შუამავლად, მოწმედ რომ იყოს ხალხის წინაშე).

წარმომადგენლები

ხალხის წარმომადგენლებისაგან შემდგარმა ხებრეგანთა კრებამ ძირითადი კანონი მოამზადა მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტისა და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისაგან შემოსული წინადადებების შეჯერების საფუძველზე. ეს ჩამოყალიბებულია 12 თვისა⁷ და 175 მუხლში⁸ პიჯრით მეთხუთმეტე საუკუნის დამდეგს დიდსულოვანი წინასწარმეტყველის (ალაჰიმს აკურთხებს მას [მუჰამედს], მის ოჯახს და მიესალმება) – ისლამის განმათავისუფლებელი სარწმუნოების ფუძემდებლის წყალობით, ზემოთ განმარტებული მიზნებითა და მოტივებით⁹ დასრულდა კონსტიტუცია იმ იმედით, რომ ეს

⁷ შესწორების შემდეგ 14 თავამდე გაიზარდა.

⁸ შესწორების შეტანის შემდეგ 177 მუხლი გახდა.

საუკუნე ჩაგრულთა მსოფლიო მმართველობისა და მჩაგვრელთა სრული მარცხის საუკუნე გახდება.

**სახელითა ალაპისა მონყალისა, მწყალობელისა
ირანის ისლამური რესპუბლიკის ძირითადი კანონი
(კონსტიტუცია)**

**თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი
ზოგადი პრინციპები**

მუხლი პირველი. ირანის სახელმწიფო მმართველობის ფორმას წარმოადგენს ისლამური რესპუბლიკა, რომლის ხალხმა ყურანის ჭეშმარიტ და სამართლიან უძველეს ტრადიციებზე დაყრდნობით და მიბაძვის მაგალითის, დიდი აითოლა იმამ ხომეინის ხელმძღვანელობით ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სერთო-სახალხო გამოკითხვის (რეფერენდუმის) დროს, რომელიც მზის ჰიჯრით ათას სამას ორმოცდათვრამეტი წლის ათ და თერთმეტ ფარვარდინს⁹ ჩატარდა (შეესაბამება მთვარის ჰიჯრით ათას სამას ოთხმოცდაცხრამეტი წლის 1-2 ჯომადი ოლ-ავალს) მონაწილეთა 98,2% უმრავლესობით ხმა მისცა ყურანის ჭეშმარიტ და სამართლიან მმართველობას.

მუხლი მეორე. ისლამური რესპუბლიკური სისტემა ემყარება შემდეგ პრინციპებს:

1. ერთღმერთიანობის (არა არს ღმერთი გარდა ალაპისა) აღიარება, ღვთის უზენაესობის ცნობა და მისი საქმისადმი მორჩილება;
2. ღვთაებრივი ზეშთაგონება და მისი ფუძემდებლური როლი კანონების განმარტებისას;
3. ადამიანთა საქმიანობაში ღვთის სახელით ისლამური ტრადიციების დამკვიდრება;
4. სამართლიანობა და ღვთისმოსაობა;
5. ირანის ისლამური რევოლუციის წინაშე დასახული მიზნების განსახორციელებლად მთავარი მნიშვნელობის მინიჭება რელიგიური პირებისა და უპირველეს ყოვლისა, წინამძღოლისათვის;

⁹ 1979 წლის 30-31 მარტი.

6. ღმერთის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, ადამიანის მოქალაქეობრივი თავისუფლების და ღირსების პატივისცემა.

ყოველივე ეს ხორცილედება შემდეგი გზით.

ა) ხალხის მიერ არჩეული მუსლიმური სარწმუნოების სამართლისმცოდნე – ფაყიჰები წმინდა ყურანის საფუძველზე უნდა ესწრაფვოდნენ ისლამური ტრადიციების იდეების გავრცელებას;

ბ) მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის გამოყენება და გამდიდრება;

გ) ყოველგვარი ექსპლოატატორული და ჰეგემონისტური მისწრაფებების უარყოფა, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და კულტურულ დამოუკიდებლობას, ეროვნულ ერთიანობას.

მუხლი მესამე. ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობა ვალდებულია ყველა ღონე იხმაროს მეორე მუხლში მოხსენიებული მიზნების განსახორციელებლად, რისთვისაც უნდა გადაწყვიტოს შემდეგი საკითხები:

1. შექმნას ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რათა ისლამურ ტრადიციებზე დაყრდნობით მოსახლეობაში დამკვიდრდეს ჯანსაღი ზნე-ჩვეულებანი და აღიკვეთოს ყოველივე მავნე და მანკიერი;

2. გაზარდოს საინფორმაციო ორგანოების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამისათვის გამოიყენოს პრესა და ბეჭდვითი სიტყვის სხვა ორგანოები;

3. ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს უფასო განათლება და ფიზიკური აღზრდა შეღავათი დაუწესოს და ფართოდ დანერგოს უმაღლესი განათლება;

4. მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და ისლამის სფეროებში კვლევითი სულისკვეთების გაძლიერების მიზნით შექმნას შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და წაახალისოს მკვლევარები;

5. ამოძირკვოს კოლონიალიზმის ნაშთები და არ დაუშვას უცხოეთის გავლენა;

6. აღმოფხვრას ყოველგვარი დესპოტიზმი, თვითნებობა და მონოპოლიზმი;

7. უზრუნველყოს ხალხის კანონიერი პოლიტიკური და საზოგადოებრივი თავისუფლებანი;

8. მისცეს მოსახლეობას საკუთარი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების გარანტია;

9. აღიკვეთოს ყოველგვარი დისკრიმინაცია და ყველასათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნას, როგორც მატერიალურ, ასევე სულიერ სფეროში;

10. შექმნას ნორმალური ადმინისტრაციული სისტემა და გააუქმოს არასაჭირო სტრუქტურები;

11. გააძლიეროს ეროვნული თავდაცვა საყოველთაო სამხედრო წვრთნის საფუძველზე, რათა საიმედოდ იქნეს დაცული ქვეყნის დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და ისლამური სისტემა;

12. ისლამური ტრადიციების შესაბამისად საფუძველი ჩაეყაროს საიმედო და სამართლიან ეკონომიკას იმისათვის, რათა მთავარი ყურადღება დაეთმოს ჩამორჩენილი რაიონების განვითარებას, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სამედიცინო მომსახურებასა და დაზღვევას;

13. საკუთარი ეროვნული კადრებით უზრუნველყოს ქვეყნის სამეცნიერო, ტექნიკური, სამრეწველო, სოფლის მეურნეობის, სამხედრო და სხვა დარგები;

14. უზრუნველყოს მამაკაცისა და ქალის უფლებების ყოველმხრივი დაცვა და შექმნას კანონის წინაშე საყოველთაო თანასწორუფლებიანობა სამართლებრივ საფუძველზე;

15. ადამიანებს შორის დაამყაროს და განამტკიცოს ისლამური ძმობა და საყოველთაო თანამშრომლობა;

16. ქვეყნის საგარეო პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს ძმურ ურთიერთობას და დახმარებას ყველა მუსლიმურ ქვეყანასთან, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

მუხლი მეოთხე. სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები, საფინანსო, ეკონომიკურ, ადმინისტრაციულ, კულტურულ, სამხედრო, პოლიტიკურ და სხვა დარგებში მიღებული ყველა კანონი და დადგენილება ისლამურ ტრადიციებს უნდა ემყარებოდეს. ეს პრინციპი საფუძველად უდევს კონსტიტუციის ყველა მუხლს, კანონებსა და დადგენილებებს. მისი განსაზღვრა საზედამხედველო საბჭოს ფაყიჰებს ეკისრებათ.

მუხლი მესამე. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მისი უწმინდესობა ვალიასრის [ღვთის ნაცვლის, მაჰდის – მთარგ.] (დააჩქარა ალაჰმა, მაღალიმც არს იგი, ნუგეში, სიხარული

მისი) არყოფნის დროს საქმის გაძლოლა (მოადგილეობა) და ისლამური თემის იმამობა სამართლიან და ღვთისმოსავ ფაყიჰს ეკისრება, რომელიც დროის მოვლენებში გათვითცნობიერებულია, გაბედული, გამოცდილი და უნარიანი მმართველია. ყოველივე ეს 107-ე მუხლშია მინიშნებული.

მუხლი მეექვსე. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში სახელმწიფოს საქმეების საზოგადოებრივ აზრზე დაყრდნობით უნდა იმართებოდეს არჩევნების ჩატარების, კერძოდ, რესპუბლიკის პრეზიდენტის, ისლამური საბჭოს დეპუტატთა, საბჭოების ნევრთა არჩევის გზით ან რეფერენდუმის მონყობით, როგორც ეს კონსტიტუციის მომდევნო მუხლებშია აღნიშნული.

მუხლი მეშვიდე. წმინდა ყურანის თანახმად: „თავიანთ საქმეებს ერთმანეთს ეთათბირებიან“ და „მოეთათბირე მათ საქმეზე“ – საბჭოები, ისლამური საბჭოს კრება ოსთანის¹⁰, შაპრესთანის¹¹, ქალაქის, რაიონის, ბახშის¹² და სოფლის საბჭოები და მისთანანი ქვეყნის გადაწყვეტილებების მიმღები მმართველი ორგანოებია.

საბჭოების შექმნის და მათი უფლებამოვალეობის წესს წინამდებარე კონსტიტუცია და მისგან გამომდინარე კანონები განსაზღვრავს.

მუხლი მერვე. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში სიკეთისკენ მონოდება კეთილშობილური, ცუდი ქმედებისაგან შემაკავებელი მოტივი და საყოველთაო მოვალეობაა. იგი აწესრიგებს ადამიანთა ურთიერთობებს, სახელმწიფოსა და ხალხის, ხალხისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართებას. ყოველივე ამის პირობებსა და რაობას კონსტიტუცია განსაზღვრავს.

„კაცნი და ქალნი მორწმუნენი მეგობრები არიან ერთმანეთის, სიკეთეს ურჩევენ ერთმანეთს, ბოროტებისაგან ერთმანეთს აკავებენ“.

მუხლი მეცხრე. ირანის ისლამური რესპუბლიკის თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა ერთმანეთისაგან განუყოფელია. მისი დაცვა სახელმწიფოს და თითოეულის მოვალეობაა არცერთ

¹⁰ პროვინცია.

¹¹ გუბერნია.

¹² მაზრა.

პიროვნებას, ჯგუფს, ან ორგანოს უფლება არა აქვს, თავისუფლების მოტივით ირანის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სამხედრო დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას მცირეოდენი ზიანიც კი მიაყენოს. არცერთ ორგანოს უფლება არა აქვს ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საბაბით შეზღუდოს კანონიერი თავისუფლებანი.

მუხლი მეათე. ვინაიდან ოჯახი ისლამური საზოგადოების საფუძველია, მასთან დაკავშირებული ყველა კანონი, დადგენილება თუ პროგრამა უნდა აადვილებდეს ოჯახის შექმნას. მისი სინმინდის დაცვა და საოჯახო ურთიერთობათა სიმტკიცე ისლამურ უფლებებსა და ზნეობას უნდა ემყარებოდეს.

მუხლი მეთერთმეტე. წმინდა აიათი¹³ ბრძანებს: „ჭეშმარიტად, ეს თემი თქვენი [რელიგიური უმმა – მთარგმ.] ერთი თემია, და მე ვარ უფალი თქვენი, თაყვანი მეცით“. ყველა მუსლიმი ერთ ხალხს (თემს) წარმოადგენს და ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობა ვალდებულია მთელი თავისი პოლიტიკა მუსლიმი ხალხების შეკავშირებასა და კონსულტაციაზე ააგოს, ყოველი ღონე იხმაროს, რათა განხორციელდეს ისლამური სამყაროს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ერთიანობა.

მუხლი მეთორმეტე. ირანის ოფიციალური სარწმუნოება არის ისლამი, კერძოდ, ჯაფარის თორმეტი იმამის მაზჰაბი¹⁴. ეს პრინციპი მუდმივი და უცვლელია. ისლამის დანარჩენი მიზნაბები, როგორცაა ჰანეფის, შაფის, მალექის, ჰანბალის და ზეიდის მაზჰაბები სრული პატივისცემით სარგებლობენ და მათი აღმასრულებელნი თავიანთი ფიყჰის¹⁵ შესაბამისად რელიგიური წეს-ჩვეულებების აღსრულებისას თავისუფალნი არიან. მათ რელიგიურ სწავლა-აღზრდას, პიროვნულ მდგომარეობას (ქორწინება, განქორწინება, მემკვიდრეობა, ანდერძი) და მასთან დაკავშირებულ დავას სასამართლოში ოფიციალური ძალა აქვს. ყოველ რეგიონში, სადაც ნებისმიერი მაზჰაბის აღმსარებელნი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ, ადგილობრივი დადგენილებები საბჭოების კომპეტენციის ფარგლებში იმ მაზჰაბის

¹³ აიათი – ყურანიდან მოტანილი ლექსის ნაწყვეტი.

¹⁴ მაზჰაბი – რელიგიური მიმდევრობა, სკოლა, სარწმუნოება, სექტა, მოძღვრება.

¹⁵ ფიყჰი – მუსლიმური კანონმცოდნეობა.

შესატყვისი იქნება, ამასთანავე დაცული იქნება სხვა მავნებების აღმსარებელთა უფლებები.

მუხლი მეცამეტე. მხოლოდ ირანელი ცეცხლთაყვანისმცემლები, ებრაელები და ქრისტიანები წარმოადგენენ რელიგიურ უმცირესობებს და კანონის ფარგლებში თავიანთი რელიგიური წეს-ჩვეულებების აღსრულებაში თავისუფლებით სარგებლობენ, პირადი მდგომარეობისა და რელიგიური სწავლების საკითხებში თავიანთი წესების მიხედვით მოქმედებენ.

მუხლი მეთოთხმეტე. ცნობილი აიათი ბრძანებს: „არ გიშლით ალაჰი იყოთ კეთილი და სამართლიანი მათ მიმართ, ვისაც თქვენს წინააღმდეგ რჯულისათვის არ უბრძოლია, ვისაც თქვენი კერიდან არ გაუძევეთ ხაროთ თქვენ“. ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობა და მუსლიმები ვალდებული არიან, ისლამური კეთილზნეობა და სამართლიანობა გამოიჩინონ ქვეყანაში მცხოვრები არამუსლიმებისადმი, დაიცვან მათი ადამიანური უფლებები. ეს მუხლი ვრცელდება მხოლოდ მათზე ვინც ისლამისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას არ ეწევა.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე ენა, დამწერლობა, კალენდარი და ალაჰი

მუხლი მეთხუთმეტე. ირანის ხალხის ოფიციალური და საერთო ენა და დამწერლობა სპარსულია. ოფიციალური საბუთების, მიმოწერის, ტექსტებისა და სახელმძღვანელოების შედგენა ამ ენაზე უნდა ხდებოდეს. მაგრამ, ამასთანავე, სპარსული ენის გვერდით ადგილობრივი და ეროვნული ენების გამოყენება თავისუფლად შეიძლება პრესაში, ინფორმაციის სხვა ორგანოებში და სასწარვლო დაწესებულებებში მათი ლიტერატურის სწავლებისას.

მუხლი მეთექვსმეტე. ვინაიდან ყურანი არაბულ ენაზეა შედგენილი და ისლამური მოძღვრება თავის საწყისებს არაბული ენიდან იღებს, ხოლო სპარსულ ლიტერატურას მჭიდრო კავშირი აქვს ამ ენასთან, ამიტომ იგი სკოლებში უნდა ისწავლებოდეს დაწყებითი კლასების შემდეგ საშუალო სკოლის დამთავრებამდე.

მუხლი მეჩვიდმეტე. ქვეყანაში ოფიციალური წელთაღრიცხვის დასაწყისი ისლამის წინასწარმეტყველის (ალაჰიმც აკურთხებს მას [მუჰამედს], მის ოჯახს და მიესალმება) ჰიჯრასთან¹⁶ არის დაკავშირებული. ირანში თანაბრად მოქმედებს როგორც მზის ჰიჯრის, ასევე მთვარის ჰიჯრის¹⁷ კალენდარი. მაგრამ სახელმწიფო ადმინისტრაციულ დანებებულებებში მზის კალენდრით სარგებლობენ. კვირაში ოფიციალური დასვენების დღე პარასკევია.

მუხლი მეთვრამეტე. ირანის ოფიციალური ალამი მწვანე, თეთრი და წითელი ზოლებისაგან შედგება და მასზე ისლამური რესპუბლიკის სპეციალური სიმბოლოა გამოსახული. ალამზე წერია „დიდი არს ალაჰი“.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე ხალხის უფლებები

მუხლი მეცხრამეტე. ირანელი ხალხი განურჩევლად წარმოშობისა, კანის ფერის, ენისა, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილებისა თანაბარი უფლებებით სარგებლობს.

მუხლი მეოცე. ყველა მოქალაქე – ქალი თუ მამაკაცი – კანონის წინაშე თანასწორუფლებიანია. ისინი ისლამური ტრადიციების შესაბამისად თანაბრად სარგებლობენ პუბლიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით.

მუხლი ოცდამეერთე. სახელმწიფო ვალდებულია ისლამური ტრადიციების შესაბამისად ყოველმხრივ დაიცვას ქალის უფლებები და განახორციელოს ქვემოთ აღნიშნული ღონისძიებები:

1. ხელსაყრელი პირობების შექმნა ქალის პიროვნების განვითარებისათვის, მისი მატერიალური და სულიერი პირობების გაუმჯობესებისათვის;

¹⁶ ჰიჯრა (622 წლის 16 იელისი) – წინასწარმეტყველ მუჰამედის მექიდან მედინაში გადასახლება მუსლიმური წელთაღრიცხვის დასაწყისია.

¹⁷ მზის კალენდარს საფუძვლად უდევს მზის ტროპიკული წელიწადი, ხოლო მთვარის კალენდარი მთვარის ყოველთვიურ ფაზებს ემყარება და რამდენადმე ჩამორჩება მზის წელიწადს.

2. დედობის დაცვა, განსაკუთრებით ორსულობის და ბავშვის აღზრდის პერიოდში. უპატრონო ბავშვებისადმი მზრუნველობის გამოჩენა;

3. საოჯახო ურთიერთობების დასაცავად სამომრიგებლო სასამართლოების შექმნა;

4. ქვრივი, მოხუცებული და უპატრონოდ დარჩენილი (მარტოხელა) ქალების დასაზღვევად სპეციალური სადაზღვევო ორგანიზაციების დაარსება;

5. ღირსეული დედებისათვის ბავშვებზე მეურვეობის უფლების გადაცემა კანონიერი მეურვის არყოფნის შემთხვევაში.

მუხლი ოცდამეორე. კანონი იცავს მოქალქეთა ღირსებას, სიცოცხლეს, ქონებას, უფლებებს, საცხოვრებელ ბინას და უზრუნველყოფს მათ დასაქმებას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელსაც კანონი განსაზღვრავს.

მუხლი ოცდამესამე. აკრძალულია პიროვნების დევნა მისი რწმენისათვის. არავის აქვს ადამიანის შევიწროებისა და დასჯის უფლება მისი რწმენის გამო.

მუხლი ოცდამეოთხე. ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები თავიანთ საქმიანობაში თავისუფალნი არიან იმ პირობით, თუ ისინი ზიანს არ აყენებენ ისლამის საფუძვლებსა ან საყოველთაო უფლებებს. ამას ცალკე კანონი განსაზღვრავს.

მუხლი ოცდამეხუთე. წერილების გასინჯვა და გადაუცემლობა, სატელეფონო საუბრების საიდუმლოების გამჟღავნება, სატელეგრაფო და სატელექსო ინფორმაციის გამოქვეყნება, ცენზურის დანესება, ინფორმაციის გადაუცემლობა, მიყურადება და საერთოდ, ჯაშუშობის ყველანაირი გამოვლენა იკრძალება, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც კანონით არის დაშვებული.

მუხლი ოცდამეექვსე. პარტიები, საზოგადოებები, პოლიტიკური და დარგობრივი ორგანიზაციები, ისლამური ან ნებადართული რელიგიური უმცირესობათა კავშირები თავისუფალნი არიან თავიანთ საქმიანობაში, თუ მათი მოღვაწეობა ზიანს არ აყენებს ქვეყნის დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, ეროვნულ ერთიანობას, ისლამურ ტრადიციებსა და ისლამური რესპუბლიკის საფუძვლებს. არავის აქვს უფლება პიროვნებას აუკრძალოს მათში მონაწილეობა, ან პირიქით, ძალით შეიყვანოს ერთ-ერთ მათგანში.

მუხლი ოცდამეშვიდე. ნებადართულია მშვიდობიანი კრებებისა და დემონსტრაციების გამართვა, თუ ისინი ისლამურ ტრადიციებს არ ეწინააღმდეგება.

მუხლი ოცდამერვე. ყველას აქვს უფლება აირჩიოს პროფესია თავისი ინტერესების შესაბამისად, თუ იგი ზიანს არ აყენებს ისლამს, საერთო საქმესა და სხვა მოქალაქეთა უფლებებს.

სახელმწიფო ვალდებულია, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოს თითოეული შრომისუნარიანი პირის დასაქმება და შეუქმნას მათ თანაბარი პირობები.

მუხლი ოცდამეცხრე. პენსიაში გასვლისას, უმუშევრობის, სიბერის, შრომის უნარის დაკარგვის, უპატრონოდ დარჩენის და უბედური შემთხვევის დროს კანონი ითვალისწინებს მოქალაქეთა საყოველთაო სოციალურ უზრუნველყოფას, სამედიცინო მომსახურებასა და მეთვალყურეობას, დაზღვევას და ა.შ.

სახელმწიფო ვალდებულია კანონის თანახმად საერთო შემოსავლიდან მიღებული სახსრების ნაწილი და მოსახლეობიდან აკრეფილი გადასახადები გამოიყენოს იმისათვის, რათა თითოეულმა პიროვნებამ ისარგებლოს ზემოაღნიშნული დახმარებით.

მუხლი ოცდამეათე. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს უფასო საშუალო განათლება თითოეული მოქალაქისათვის. აგრეთვე ხელი შეუწყოს ქვეყნის შესაძლებლობის მიხედვით უფასო უმაღლესი განათლების გავრცელებას.

მუხლი ოცდამეთერთმეტე. ყველა ირანელ მოქალაქეს და ოჯახს უფლება აქვს პქონდეს საცხოვრებელი ბინა. სახელმწიფო ვალდებულია პირველ რიგში საცხოვრებელი ბინით დააკმაყოფილოს მოსახლეობის ის ფენები, რომელიც უფრო მეტ გაჭირვებას განიცდიან, კერძოდ, სოფლის მოსახლეობა და მუშები.

მუხლი ოცდამეთორმეტე. სათანადო ბრძანებისა და კანონით დადგენილი წესის გარეშე მოქალაქის დაპატიმრება არ შეიძლება. პიროვნების დაკავების შემთხვევაში მას დაუყოვნებლივ წერილობით უნდა ეცნობოს და განემარტოს წარდგენილი ბრალდება. დაპატიმრებიდან არაუგვიანეს ოცდაოთხი საათისა ბრალდებულზე შედგენილი იქნება

წინასწარი საქმე, რომელიც დაუყოვნებლივ გაიგზავნება სასამართლოში განსახილველად, რათა უმოკლეს დროში შედგეს სასამართლო პროცესი. ამ მუხლის დარღვევა კანონით ისჯება.

მუხლი ოცდამეცამეტე. არავის აქვს უფლება, სათანადო დადგენილების გარეშე მოქალაქე თავისი ადგილსამყოფელიდან გაასახლოს ან აუკრძალოს მის მიერ შერჩეულ ადგილზე ცხოვრება ანდა სხვა ადგილზე ძალით ჩაასახლოს, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც კანონით არის გათვალისწინებული.

მუხლი ოცდამეთოთხმეტე. ყველა მოქალაქეს, საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვს მიმართოს მართლმსაჯულების ორგანოებს. არავის არ შეიძლება წაერთვას კანონიერი უფლება საჩივრებით მიმართოს სასამართლო დაწესებულებებს მართლმსაჯულების განსახორციელებლად.

მუხლი ოცდამეთხუთმეტე. სასამართლოში თითოეულ მომჩივან მხარეს უფლება აქვს აიყვანოს დამცველი, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მათ არ შეუძლიათ დამცველის აყვანა, მაშინ მათ დამცველის დანიშვნის შესაძლებლობა უნდა შეექმნათ.

მუხლი ოცდამეთექვსმეტე. ბრალდებაზე განაჩენის გამოტანა და მისი შესრულება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაში შედის და კანონის შესაბამისად ხორციელდება.

მუხლი ოცდამეჩვიდმეტე. კანონის თანახმად არავინ იქნება ცნობილი დამნაშავედ ან უდანაშაულოდ, თუ ამას სასამართლო არ დაამტკიცებს.

მუხლი ოცდამეთვრამეტე. აკრძალულია წამება ბრალდებულის გამოტეხის, ან რაიმე ცნობის მიღების მიზნით, იძულებით ჩვენების ჩამორთმევა, აღიარება ან დაფიცება დაუშვებელია, ხოლო ასეთ ჩვენებას, აღიარებას და დაფიცებას არავითარი ძალა არ გააჩნია.

ამ მუხლის დარღვევა კანონით ისჯება.

მუხლი ოცდამეცხრამეტე. პიროვნების დაკავების, დაპატიმრების ან გადასახლების დროს მისი შეურაცხყოფა და ღირსების შელახვა დაუშვებელია და კანონით ისჯება.

მუხლი მეორმოცე. არავის აქვს უფლება თავისი მოქმედებით ზიანი მიაყენოს სხვას ან საერთო ინტერესებს.

მუხლი ორმოცდამეერთე. ირანის მოქალაქეობა ქვეყანაში მცხოვრები თითოეული ირანელის ხელშეუვალი უფლებაა. მთავრობას უფლება არა აქვს პიროვნებას ირანის მოქალაქეობა ჩამოართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას თავადვე მოითხოვს ან ქვეშევრდომობას იცვლის.

მუხლი ორმოცდამეორე. ირანის კანონების შესაბამისად უცხო ქვეყნების ქვეშევრდომებს უფლება აქვთ მიიღონ ირანის მოქალაქეობა, მათ მიერ ირანის მოქალაქეობის დაკარგვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სხვა სახელმწიფო მათ თავის მოქალაქეობას მისცემს, ან თუ ისინი ამას თავადვე მოითხოვენ.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე **ეკონომიკა და ფინანსები**

მუხლი ორმოცდამესამე. საზოგადოების ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის, სიღარიბის მოსპობისა და მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მისი თავისუფლების დაცვით, ირანის ისლამური რესპუბლიკის ეკონომიკას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

1. ძირითადი მოთხოვნილებების უზრუნველყოფა: საცხოვრებელი ბინა, საკვები, ტანსაცმელი, სამედიცინო მომსახურება, მედიკამენტები, აღზრდა, განათლება, ხელსაყრელი პირობების შექმნა ოჯახის შესაქმნელად;

2. ხელსაყრელი სამუშაო პირობებისა და საშუალებების შექმნა მოსახლეობის სრული შრომითი დასაქმებისათვის, დასაქმებული უნდა იქნან ისინიც, რომელთაც მუშაობის სურვილი აქვთ, მაგრამ წარმოების საშუალებანი არ გააჩნიათ. მათ კოოპერაციის ფორმით უპროცენტო სესხი მიეცემათ. მაგრამ ცალკეულ პიროვნებებმა და ჯგუფებმა ეს თავიანთ ხელში კაპიტალის ან სიმდიდრის დაგროვების წყაროდ არ უნდა გაიხადონ.

ეს ღონისძიება უნდა გატარდეს თითოეული რაიონის მოთხოვნილებების შესაბამისად და ქვეყნის მცირე ეკონომიკურ გეგმებში აისახოს;

3. ქვეყნის ეკონომიკური პროგრამების შედგენისას შრომის პროცესი და სამუშაო დრო ისე უნდა მოწესრიგდეს,

რომ თითოეულს გარდა თავისი ძირითადი შრომითი საქმიანობისა, შესაძლებლობა ჰქონდეს სულიერი და სოციალურ-ეკონომიკური დონის ასამაღლებლად, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვაში, განავითაროს ოსტატობა და ინიციატივა;

4. დაცული უნდა იქნას პროფესიათა არჩევის თავისუფლება, არ დაუშვან იძულებითი შრომა და აიკრძალოს სხვისი შრომის ექსპლუატაცია;

5. აკრძალულია სხვისთვის ზიანის მიყენება, მონოპოლიზაცია, სპეკულაცია, მფლანგველობა და არაკანონიერი კომერციული გარიგებანი;

6. მფლანგველობისა და უყაირათობის აღკვეთა მეურნეობის ყველა სფეროში მოხმარებაში, კაპიტალდაბანდებაში, წარმოებაში, განაწილებასა და მომსახურებაში;

7. მეცნიერებისა და ტექნიკის გამოყენება, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და წინსვლისათვის საჭირო გამოცდილი კადრების აღზრდა;

8. ქვეყნის ეკონომიკაში უცხოეთის ბატონობის აღკვეთა;

9. მიწათმოქმედების, მეცხოველეობისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების გაზრდა საყოველთაო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც ქვეყანას თვითუზრუნველყოფის საშუალებას მისცემს და უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან გაანთავისუფლებს.

მუხლი ორმოცდამეოთხე. ირანის ისლამური რესპუბლიკის ეკონომიკური წყობა ემყარება საკუთრების სამ ფორმას: სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო საკუთრებას მონესრიგებული და სწორი დაგეგმარებით.

სახელმწიფო საკუთრება მოიცავს მთელ მსხვილ მრეწველობას, მეტალურგიას, საგარეო ვაჭრობას, მსხვილ საბადოებს, ბანკებს, დაზღვევას, ენერგოუზრუნველყოფას, კაშხლებს და წყალმომარაგების ქსელს, რადიოს და ტელევიზიას, ფოსტა-ტელეგრაფს, ტელეფონს, საჰაერო ნაოსნობას, ზღვაოსნობას, საავტომობილო და სარკინიგზო ხაზებს და სხვა, რომლებიც საერთო საკუთრებას შეადგენს და სახელმწიფო გამგებლობაში იმყოფება.

კოოპერატიულ საკუთრებაში შედის კოოპერატიული სანარმოო და გამსაღებელი დანესებულებები და

საზოგადოებები, რომლებიც ისლამური ტრადიციების შესაბამისად ქალაქებში და სოფლებში იქმნება.

კერძო საკუთრება მოიცავს მინათმოქმედების, მეცხოველეობის, მრეწველობის, ვაჭრობისა და მომსახურების იმ ნაწილს, რომელიც სახელმწიფო და კოოპერატიულ საქმიანობას სრულყოფს.

ირანის ისლამური რესპუბლიკის კანონი იცავს საკუთრების სამივე ამ ფორმას, თუ ისინი კონსტიტუციის ამ თავს და სხვა მუხლებს არ ეწინააღმდეგება, ისლამურ კანონებს არ არღვევს, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და საზოგადოებას ზიანს არ აყენებს.

საკუთრების თითოეული ამ ფორმის ნორმებს, საზღვრებსა და პირობებს უფრო ზუსტად კანონი განსაზღვრავს.

მუხლი ორმოცდამეხუთე. საერთო სიმდიდრე, როგორცაა დაუმუშავებელი თუ მიტოვებული მიწები, მთამადნეული, ზღვები, ტბები, მდინარეები და სხვა ჰიდრორესურსები, მთები, ხეობები, ტყეები, ლელიანი, ბუნებრივი ქალები, საერთო საძოვრები, უპატრონოდ დარჩენილი მემკვიდრეობა, უცნობი პატრონის ქონება და საერთო ქონება, რომელიც დამპყრობლებს ჩამოერთვათ, ისლამური მმართველობის განკარგულებაში იმყოფება. მისდამი დამოკიდებულებისას იგი საერთო ინტერესებით იხელმძღვანელებს, თითოეული მათგანის გამორყენების წესს კანონი ადგენს.

მუხლი ორმოცდამეექვსე. თითოეული თავისი კანონიერი შრომის პატრონია და არავის აქვს უფლება თავისი შრომის მონაპოვრის საკუთრების მოტივით, სხვას მოუსპოს შრომის მონაგარის მიღების შესაძლებლობა.

მუხლი ორმოცდამეშვიდე. კერძო საკუთრება, რომელიც კანონიერი გზით არის მოპოვებული, საპატიოა. მის ფარგლებს კანონი განსაზღვრავს.

მუხლი ორმოცდამერვე. ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლოატაციის და ეროვნული შემოსავლის გამოყენებისას, აგრეთვე სხვადასხვა რაიონებს შორის ეკონომიკური საქმიანობის განაწილების დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს რაიმე დისკრიმინაციას. ასე რომ, თითოეულ რაიონს თავისი მოთხოვნილებების

დასაკმაყოფილებლად და განვითარების უზრუნველსაყოფად უნდა გააჩნდეს საჭირო კაპიტალი და შესაძლებლობანი.

მუხლი ორმოცდამეცხრე. სახელმწიფო ვალდებულია თანხები, რომლებიც მევახშეობით, ძარცვით, ქრთამით, გამოძალავით, ქურდობით, აზარტული თამაშობებით, ვაყფის ქონების ბოროტად გამოყენებით, საგამრიგებლო თაღლითობით, მკვდარი თუ აუთვისებელი მიწების გაყიდვით, საროსკიპოების გახსნით და სხვა უკანონო საქმიანობით არის ნაშოვნნი, ჩამოერთვას და მათ კანონიერ მეპატრონეს დაუბრუნოს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პატრონის ვინაობა დაუდგენელია, მისი ქონება სახელმწიფო ხაზინას გადასცეს. ამ გადანაყვეტილებას სახელმწიფო შარიათის ნორმების შესაბამისად გამოძიებისა და დასაბუთების საფუძველზე განახორციელებს.

მუხლი ორმოცდამეათე. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში გარემოს დაცვა, რომელშიც დღევანდელი თაობა ცხოვრობს და მომავალმა თაობებმა უნდა იცხოვრონ, საყოველთაო მოვალეობაა. ამიტომ აკრძალულია ისეთი ეკონომიკური და სხვა საქმიანობა, რომელიც გააბინძურებს ან სხვა რაიმე აუნაზღაურებელ ზიანს მიაყენებს ბუნებრივ გარემოს.

მუხლი ორმოცდამეთერთმეტე. კანონის გარეშე არცერთი გადასახადის დაწესება არ შეიძლება, კანონი განსაზღვრავს გადასახადებიდან განთავისუფლებას, შეღავათის და მათი შემცირების წესს.

მუხლი ორმოცდამეთორმეტე. კანონის თანახმად, ქვეყნის ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტს მთავრობა ადგენს, ხოლო შემდეგ იგი განსახილველად და დასამტკიცებლად ისლამურ პარლამენტს (მეჯლისს) წარედგინება. ბიუჯეტის შემდგომი ყოველგვარი ცვლილება სათანადო კანონის შესაბამისად უნდა მოხდეს.

მუხლი ორმოცდამეცამეტე. ქვეყნის ყველა შემოსავალი თავს იყრის სახელმწიფოს მთავარ ხაზინაში, ხოლო კრედიტების გაცემა კანონის შესაბამისად ხორციელდება.

მუხლი ორმოცდამეთოთხმეტე. ქვეყნის უმაღლესი სარევიზიო ორგანო ისლამური პარლამენტის უშუალო მეთვალყურეობას ექვემდებარება. მისი საქმეების ორგანიზაცია და გაძღოლა თეირანსა და პროვინციების ცენტრებში კანონის შესაბამისად წარიმართება.

მუხლი ორმოცდამეთხუთმეტე. ქვეყნის უმაღლესმა სარევიზიო ორგანომ უნდა შეამოწმოს და აღრიცხოს ყველა იმ სამინისტროს, სახელმწიფო დაწესებულების, საზოგადოებისა და სხვა ორგანიზაციის ანგარიშები, რომლებიც ამა თუ იმ გზით სარგებლობენ საერთო ბიუჯეტით, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. მოწმდება, რათა არ მოხდეს გადახარჯვა და თანხა დანიშნულებისამებრ იქნეს გამოყენებული.

უმაღლესი სარევიზიო ორგანო, კანონის შესაბამისად, შეკრებს საჭირო ანგარიშებსა და საბუთებს, და ყოველწლიური ბიუჯეტის განაწილების ანგარიშს თავის მოსაზრებებთან ერთად ისლამური საბჭოს კრებას წარუდგენს. ეს ანგარიში ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე **ხალხის სუვერენული უფლებები და მისგან** **გამომდინარე ხელისუფლება**

მუხლი ორმოცდამეთექვსმეტე. ღმერთი სამყაროს და ადამიანის აბსოლუტური მბრძანებელია. მან ადამიანი თავისი ბედის პატრონად აქცია. არავის აქვს უფლება ეს ღვთის მიერ ნაბოძები უფლება წაართვას ადამიანს და ერთი პიროვნების ან კერძო ჯგუფის ინტერესების სამსახურში ჩააყენოს. ხალხი ახორციელებს ამ ღვთის მიერ ნაბოძებ უფლებას, რომელიც კონსტიტუციის შემდგომ მუხლებშია განმარტებული.

მუხლი ორმოცდამეჩვიდმეტე. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში არსებობს ხელისუფლების სამი ორგანო: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო, რომლებიც თემის იმამის ზედამხედველობის ქვეშ ამ კონსტიტუციის მომდევნო მუხლების შესაბამისად მოქმედებენ. ხელისუფლების სამივე ორგანო ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია.

მუხლი ორმოცდამეთვრამეტე. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ისლამური საბჭოს კრება, რომელიც ხალხის მიერ არჩეული დეპუტატებისაგან იქმნება. ისლამური საბჭოს კრების მიერ დამტკიცებული კანონები. მას შემდეგ, რაც ისინი გაივლიან იმ ეტაპებს, რომლებიც გათვალისწინებულია კონსტიტუციის შემდგომ მუხლებში,

შესასრულებლად გადაეცემა აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას.

მუხლი ორმოცდამეცხრამეტე. დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული საკითხების საკანონმდებლო წესით გადაწყვეტა ხდება მათი საყოველთაო რეფერენდუმზე გატანის გზით. რეფერენდუმზე საკითხის გატანა ნყდება ისლამური საბჭოს კრების დეპუტატების ორი-მესამედის მოთხოვნით.

მუხლი მესამოცე. კანონის თანახმად, აღმასრულებელ ხელისუფლებას, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც კონსტიტუციით უშუალოდ წინამძღოლის ფუნქციებში შედის, პრეზიდენტი და მინისტრები ახორციელებენ.

მუხლი სამოცდამეერთე. სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს სასამართლოები, რომლებიც ისლამური ტრადიციების შესაბამისად იქმნება. ისინი ნყვეტენ სადავო საკითხებს, იცავენ საყოველთაო უფლებებს და სამართალს ღვთის მიერ დაკანონებულ საზღვრებში.

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე
საკანონმდებლო ხელისუფლება
ნ ა ნ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი — ისლამის საბჭოს კრება
(პარლამენტი)

მუხლი სამოცდამეორე. ისლამური საბჭოს კრება ხალხის რიგებიდან პირდაპირი და ფარული კენჭისყრით არჩეული დეპუტატებისაგან იქმნება.

ამომრჩეველთა უფლებებს, დეპუტატთა უფლებამოსილებასა და არჩევნების წესს კანონი განსაზღვრავს.

მუხლი სამოცდამესამე. ისლამური საბჭოს კრებაში დეპუტატებს ოთხი წლის ვადით ირჩევენ. მორიგი არჩევნები უნდა დაინიშნოს წინა მონვევის პარლამენტის ვადის გასვლამდე, რათა ქვეყანაში მან მუდმივად იმოქმედოს.

მუხლი სამოცდამეოთხე. ისლამური საბჭოს კრებაში ირჩევენ ორას სამოცდაათ დეპუტატს და მზის მიჯრით ათას სამას სამოცდარვა (1979 წ.) წელს ჩატარებული რეფერენდუმიდან მოყოლებული ყოველ ათ წელიწადში ერთხელ მოსახლეობის რაოდენობის ზრდის, პოლიტიკური,

გეოგრაფიული თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით მაქსიმუმ 20 დეპუტატი შეიძლება დაემატოს.

ცეცხლთაყვანისმცემლები და ებრაელები, თითოეული ერთ დეპუტატს, ქრისტიანი ასირიელები და ქალდეელები ორივე ერთად ერთ დეპუტატს, ხოლო სამხრეთისა და ჩრდილოეთის სომხები თითოეული თითო დეპუტატს ირჩევენ.

საარჩევნო ოლქების საზღვრებსა და დეპუტატთა რაოდენობას კანონი ადგენს.

მუხლი სამოცდამეხუთე. არჩევნების დამთავრების შემდეგ, დეპუტატთა საერთო რაოდენობის ორი მესამედის დასწრებით, ისლამური საბჭოს კრების სხდომა უფლებამოსილია ოფიციალურად შეუდგეს თავისი მოვალეობის შესრულებას, ე.ი. მონონებული შინაგანანესის შესაბამისად დაამტკიცოს გეგმები და კანონპროექტები გარდა იმ შემთხვევებისა, რასაც კონსტიტუცია განსაზღვრავს.

შინაგანანესის დასამტკიცებლად დამსწრე დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის თანხმობა არის საჭირო.

მუხლი სამოცდამეექვსე. ისლამური საბჭოს კრების თავმჯდომარის და პრეზიდენტის არჩევის წესს, კომისიების რაოდენობასა და მათი უფლებამოსილების ვადას, აგრეთვე ისლამური საბჭოს კრება შინაგანანესის საფუძველზე ახორციელებს.

მუხლი სამოცდამეშვიდე. დეპუტატებმა ისლამური საბჭოს კრების პირველსავე პლენარულ სხდომაზე უნდა დადონ და ხელი მოაწერონ შემდეგი შინაარსის ფიცის ტექსტს:

„სახელითა ღვთისითა მოწყალისა და მწყალობელისა.

მე, წმინდა ყურანის, ყოვლისშემძლე ღმერთისა და ჩემი სინდიდის წინაშე ფიცსა ვდებ და პირობას ვიძლევი, რომ დავიცავ ისლამის სინმინდეს, ირანელი ხალხის ისლამური რევოლუციის მონაპოვრებს და ისლამური რესპუბლიკის საფუძველებს. გაუფრთხილდები იმ სიმდიდრეს, რომელიც ხალხმა ჩამაბარა და ბოროტად არ გამოვიყენებ ჩემს უფლებამოსილებას. პირნათლად შევასრულებ ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას და პასუხისმგებლობას. ვიქნები ღვთისნიერი, დავიცავ ხალხის ინტერესებს და ვემსახურები მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს. დავიცავ კონსტიტუციას და სიტყვებსა და საქმეებში

ვიხელმძღვანელებ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ხალხის თავისუფლების პრინციპით“.

რელიგიურ უმცირესობათა დეპუტატები ამ ფიცს თავიანთი საღვთო წიგნის შესაბამისად დებენ.

იმ დეპუტატებმა, რომლებიც ისლამური საბჭოს კრების პირველ სხდომას არ ესწრებოდნენ, ფიცი უნდა დადონ იმ პირველსავე სხდომაზე, რომელსაც დაესწრებიან.

მუხლი სამოცდამერვე. ომისა და ქვეყნის სამხედრო ოკუპაციის დროს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით და ისლამური საბჭოს კრების დეპუტატების სამი მეოთხედის გადანყვეტილებით, რასაც საზედამხედველო საბჭო დაამტკიცებს, ოკუპირებულ რაიონებში ან მთლიანად ქვეყანაში ისლამური საბჭოს კრების არჩევნები განსაზღვრული დროით შეჩერდება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა ახალი ისლამური საბჭოს კრების მოწვევა, მაშინ ეს უკანასკნელი დეპუტატების ძველი შემადგენლობით თავის საქმიანობას განაგრძობს.

მუხლი სამოცდამეცხრე. ისლამური საბჭოს კრებაზე გამართული დებატები საჯაროა და მის შესახებ სრული ინფორმაცია ქვეყნდება რადიოთი და ოფიციალური პრესის საშუალებით. საგანგებო შემთხვევაში, როცა ამას ქვეყნის უშიშროების ინტერესები მოითხოვს, პრეზიდენტის, ან ერთ-ერთი მინისტრის ანდა ათი დეპუტატის მოთხოვნით იმართება დახურული სხდომა. ამ სხდომების მიერ გამოტანილი გადანყვეტილებანი ძალაში შევა იმ შემთხვევაში, თუ მას საზედამხედველო საბჭოს წევრების თანდასწრებით დეპუტატთა სამი მეოთხედი მისცემს ხმას. ამ დახურული სხდომების ანგარიში და გადანყვეტილებანი საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ ცნობილი უნდა გახდეს მოსახლეობის ფართო ფენებისათვის.

მუხლი სამოცდამეათე. რესპუბლიკის პრეზიდენტს, მის მოადგილეებსა და მინისტრებს უფლება აქვთ თავიანთი მრჩეველებით მონაწილეობა მიიღონ ისლამური საბჭოს კრების პლენარული სხდომის მუშაობაში. ამასთან, თუ დეპუტატები საჭიროდ ჩათვლიან, მათ შეუძლიათ ისლამური საბჭოს კრების პლენარულ სხდომაზე მოიწვიონ მინისტრები, რათა დეპუტატებს მოუსმინონ.

ისლამური საბჭოს პრეზიდენტის ოფიციალური მონვევა ცნობილი უნდა გახდეს მოსახლეობისათვის საინფორმაციო ორგანოების საშუალებით.

ნ ა ნ ი ლ ი მ ე ო რ ე – ისლამური საბჭოს კრების უფლებამოსილებები

მუხლი სამოცდამეთერთმეტე. ისლამური საბჭოს კრება უფლებამოსილია, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში, ყველა საკითხთან დაკავშირებით გამოსცეს კანონები.

მუხლი სამოცდამეთორმეტე. ისლამური საბჭოს კრებას უფლება არა აქვს გამოსცეს ისეთი კანონები, რომლებიც ზიანს მიაყენებს ქვეყნის ოფიციალურ სარწმუნოებას და კონსტიტუციას. ამ საკითხზე კონტროლი კონსტიტუციის ოთხმოცდამეთექვსმეტე მუხლის თანახმად საზედამხედველო საბჭოს ეკისრება.

მუხლი სამოცდამეცამეტე. კანონების განმარტება ისლამური საბჭოს კრების კომპეტენციაში შედის. ეს უფლებას არ უზღუდავს მართლმსაჯულებას შეასრულოს თავისი მოვალეობა, რაც კანონების სინმინდის დაცვაში გამოიხატება.

მუხლი სამოცდამეთოთხმეტე. მას შემდეგ, რაც მინისტრთა კაბინეტი დაამტკიცებს კანონპროექტს, იგი გადაეცემა ისლამური საბჭოს კრებას, სადაც იგი სულ მცირე თხუთმეტი დეპუტატის წინადადებით განსახილველად დაიშვება.

მუხლი სამოცდამეთხუთმეტე. საერთო შემოსავლის შემცირების ან დანახარჯების გაზრდის თაობაზე კანონპროექტების ირგვლივ დეპუტატების მიერ შემოტანილ წინადადებებსა და შესწორებებს ისლამური საბჭოს კრება გაითვალისწინებს, თუ დასაბუთებული იქნება შემოსავლის შემცირების კომპენსაციის გზები ან ცნობილი იქნება ახალი ხარჯების საგარანტიო საშუალებები.

მუხლი სამოცდამეთექვსმეტე. ისლამური საბჭოს კრებას ქვეყნის მთელი საქმეების კონტროლისა და გამოკვლევის უფლება აქვს.

მუხლი სამოცდამეჩვიდმეტე. საერთაშორისო კონვენციები, კონტრაქტები, ხელშეკრულებები, შეთანხმებები ისლამური საბჭოს კრებამ უნდა დაამტკიცოს.

მუხლი სამოცდამეთვრამეტე. სახელმწიფო საზღვრების ყოველგვარი შეცვლა აკრძალულია. გამონაკლისს შეადგენს ისეთი უმნიშვნელო ცვლილებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს, არ არის ცალმხრივი და ზიანს არ აყენებს მის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ამ ცვლილებებს ისლამური საბჭოს კრება დეკლარაციების ხმების ოთხი მეხუთედის უმრავლესობით დაამტკიცებს.

მუხლი სამოცდამეცხრამეტე. ქვეყანაში სამხედრო მმართველობის შემოღება აკრძალულია, მაგრამ ცალკეულ საგანგებო შემთხვევებში და საომარი ვითარების დროს მთავრობას უფლება აქვს ისლამური საბჭოს კრების თანხმობით დროებით შემოიღოს აუცილებელი შეზღუდვები, მაგრამ მათი მოქმედების ვადა ოცდაათ დღეს არ უნდა აღემატებოდეს. საჭიროების შემთხვევაში მთავრობას უფლება აქვს პარლამენტისაგან ვადის გახანგრძლივება მოითხოვოს.

მუხლი მეოთხმოცე. ისლამური საბჭოს კრების გადწყვეტილების გარეშე მთავრობას არა აქვს როგორც საშინაო, ასევე საგარეო სესხის ან უსასყიდლო დახმარების გაცემის ან მიღების უფლება.

მუხლი ოთხმოცდამეერთე. კატეგორიულად იკრძალება კომპანიებისა და სანარმოების დასაარსებლად უცხოელებისათვის კონცესიების გაცემა ვაჭრობის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სამთომადნო დარგებისა და მომსახურეობის სფეროში.

მუხლი ოთხმოცდამეორე. მთავრობის მიერ უცხოელი სპეციალისტების დაქირავება აკრძალულია, გარდა იმ აუცილებელი შემთხვევებისა, რასაც ისლამური საბჭოს კრება ამტკიცებს.

მუხლი ოთხმოცდამესამე. არ შეიძლება ხალხის საკუთრებაში არსებული შენობების და სახელმწიფო ქონების გასხვისება, თუ ამას ისლამური საბჭოს კრება არ დაამტკიცებს. ასე იმისათვის ხდება, რომ ნებისმიერ ქონებაზე ან ნივთზე არ იქნეს დაშვებული ერთი პიროვნების მონოპოლია.

მუხლი ოთხმოცდამეოთხე. თითოეული დეკლარატი პასუხისმგებელია ხალხის წინაშე და უფლება აქვს ქვეყნის საშინაო და საგარეო საკითხებზე თავისი თვალსაზრისი გამოთქვას.

მუხლი ოთხმოცდამეხუთე. დეპუტატის რწმუნება პირადია და მისი სხვაზე გადაცემა დაუშვებელია. ისლამური საბჭოს კრებას უფლება არა აქვს საკანონმდებლო უფლებები ცალკეულ პიროვნებას ან ჯგუფს მიანდოს, მაგრამ შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, ზოგიერთი კანონის გამოცემა, კონსტიტუციის სამოცდამეთორმეტე მუხლის შესაბამისად, შიდა კომისიებს დაავალოს. ამ შემთხვევაში ეს კანონები, გამოცდის მიზნით, მის მიერ განსაზღვრული დროით ხორციელდება, და მათ საბოლოოდ ისლამური საბჭოს კრება ამტკიცებს.

სამოცდამეთორმეტე მუხლის დებულების საფუძველზე ისლამური საბჭოს კრებას შეუძლია სახელმწიფო ან სახელმწიფოსთან დაკავშირებული ორგანიზაციების, კომპანიების და სანარმოების მუდმივი წესდების დამტკიცების უფლება სათანადო კომისიებს ან მთავრობას გადასცეს. ამ შემთხვევაში მთავრობის გადაწყვეტილებანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქვეყნის ოფიციალური სარწმუნოების პრინციპებსა და დებულებებს ან კონსტიტუციას. ამ საქმის გარკვევა იმ წესით, რაც ეს 9ნ-ე მუხლშია აღნიშნული, საზედამხედველო საბჭოს კომპეტენციაში შედის. ამას გარდა, მთავრობის გადაწყვეტილებანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქვეყნის საერთო კანონებსა და დადგენილებებს. ამასთანავე მათი გამოკვლევისა და ზემოხსენებულ კანონებთან მათი შესაბამისობის შესახებ ისლამური საბჭოს კრების თავმჯდომარეს უნდა ეცნობოს.

მუხლი ოთხმოცდამეექვსე. ისლამური საბჭოს კრების დეპუტატები აზრის გამოთქმისა და ხმის მიცემისას აბსოლუტურად თავისუფალნი არიან. დაუშვებელია მათ მიერ ისლამური საბჭოს კრებაზე გამოთქმული აზრებისა თუ შეხედულებების საბაბით დევნა და დაკავება.

მუხლი ოთხმოცდამეშვიდე. მას შემდეგ, რაც მინისტრთა კაბინეტი შეიქმნება, რესპუბლიკის პრეზიდენტმა, უპირველეს ყოვლისა, ისლამური საბჭოს კრებას მისთვის ნდობის ვოტუმის მიცემა უნდა თხოვოს. ამის შემდეგაც მნიშვნელოვანი საკითხების დაყენებისა და საკონფლიქტო სიტუაციის შემთხვევაში მას აგრეთვე შეუძლია მინისტრთა კაბინეტისათვის ისლამური საბჭოს კრებას ნდობის ვოტუმის მიცემა თხოვოს.

მუხლი ოთხმოცდამერვე. იმ შემთხვევაში, თუ ისლამური საბჭოს კრების დეპუტატთა შემადგენლობის ერთი მეოთხედი პრეზიდენტს, ან ნებისმიერი დეპუტატი მინისტრს მათ საქმიანობასთან დაკავშირებით შეკითხვით მიმართავს, პრეზიდენტი ან მინისტრი ვალდებულია გამოცხადდეს ისლამური საბჭოს კრებაზე და დასმულ კითხვაზე პასუხი გასცეს. პრეზიდენტის პასუხი ერთ თვეზე, ხოლო მინისტრისა ათ დღეზე მეტად არ უნდა დაყოვნდეს. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ საპატიო მიზეზი, რასაც ისლამური საბჭოს კრება განსაზღვრავს.

მუხლი ოთხმოცდამეცხრე. 1. – საჭიროების შემთხვევაში ისლამური საბჭოს კრების დეპუტატებს შეუძლიათ შეკითხვით მიმართონ მინისტრთა კაბინეტს, ან ერთ-ერთ მინისტრს. შეკითხვა ისლამური საბჭოს კრებაზე იმ შემთხვევაში განიხილება, თუ იგი სულ მცირე ათი დეპუტატის ხელმოწერით წარედგინება.

მინისტრთა კაბინეტის ან ერთ-ერთი მინისტრის ინტერპელაციის შემთხვევაში მისი შეტანიდან ათი დღის განმავლობაში მინისტრთა კაბინეტი ან მინისტრი უნდა გამოცხადდეს ისლამური საბჭოს კრებაზე, მისთვის დასმულ კითხვებზე პასუხი გასცეს და მისგან ნდობის ვოტუმში მოითხოვოს.

მინისტრთა კაბინეტის ან მინისტრის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დეპუტატები ინტერპელაციასთან დაკავშირებით საჭირო განმარტებას იძლევიან. თუ ისლამური საბჭოს კრება საჭიროდ მიიჩნევს, იგი მინისტრთა კაბინეტს ან მინისტრს უნდობლობის ვოტუმს გამოუტანს.

თუ ისლამური საბჭოს კრება მინისტრთა კაბინეტს ან ერთ-ერთ მინისტრს ნდობის ვოტუმს არ მისცემს, მაშინ ისინი უნდა გადადგნენ. ორივე შემთხვევაში ის მინისტრები, რომლებსაც შეკითხვით მიმართავს, მომდევნო მინისტრთა კაბინეტის შედგენისას მისი წევრები ვერ გახდებიან.

2 – იმ შემთხვევაში, თუ ისლამური საბჭოს კრების დეპუტატთა სულ მცირე ერთი მესამედი პრეზიდენტს მიმართავს შეკითხვით მის მიერ ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით, რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდებულია ინტერპელაციის დაყენებიდან ერთი თვის ვადაში ისლამური საბჭოს კრებაზე

გამოცხადდეს და დაყენებულ საკითხებთან დაკავშირებით სრული განმარტება მისცეს.

იმ შემთხვევაში, თუ მომხრე და მონინაალმდეგე დეპუტატების შეკითხვებისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის პასუხის შემდეგ დეპუტატთა მთელი შემადგენლობის ორი მესამედი არაკომპეტენტურად სცნობს რესპუბლიკის პრეზიდენტს, მაშინ ასმეთე მუხლის მეთე პარაგრაფის შესრულების გარემოებანი წინამძლოლს ეცნობება.

მუხლი ოთხმოცდამეთე. ყველას აქვს უფლება გააპროტესტოს ისლამური საბჭოს კრების, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობა. მოქალაქეებს შეუძლიათ თავიანთი საჩივრები წერილობით გაუგზავნონ ისლამური საბჭოს კრებას. თავის მხრივ, ისლამური საბჭოს კრება ვალდებულია გულდასმით შეისწავლოს საჩივრები და სათანადო პასუხი მისცეს მომჩივანს. იმ შემთხვევაში, თუ შემოსული საჩივრების აღმასრულებელი, ან სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს ეხება, მაშინ ისლამური საბჭოს კრებამ მათ დამაჯერებელი პასუხი უნდა მოსთხოვოს და დადგენილ ვადაში შედეგი გამოაცხადოს.

თუ საჩივრები საერთო საკითხებს ეხება, პასუხი საყოველთაო ცნობისათვის უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი ოთხმოცდამეთერთმეთე. ისლამის ტრადიციებისა და ქვეყნის ძირითადი კანონის დაცვის მიზნით, იმისათვის, რომ მათ არ ეწინააღმდეგებოდეს ისლამური საბჭოს კრების გადანყვეტილებანი, იქმნება საზედამხედველო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1. — ექვსი სამართლიანი და სადღეისო საკითხების ღრმად მცოდნე ფაყიჰი. მათი შერჩევა წინამლოლს ეკისრება;

2. — იუსტიციის სხვადასხვა დარგში მომუშავე ექვსი იურისტი, რომლებსაც შეარჩევენ მუსლიმური სამართლისმცოდნე პირებისაგან, მათ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე წარუდგენს ისლამური საბჭოს კრებას ასარჩევად.

მუხლი ოთხმოცდამეთორმეთე. საზედამხედველო საბჭოს წევრებს ექვსი წლის ვადით ირჩევენ. მაგრამ პირველ პერიოდში, სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ, კენჭისყრის საშუალებით ამ საბჭოს ნახევარი შეიცვლება. შეცვლილ ადგილზე ახალ წევრებს ირჩევენ.

მუხლი ოთხმოცდამეცამეტე. ისლამური საბჭოს კრება არ არის უფლებამოსილი შეუდგეს თავისი ფუნქციების შესრულებას საზედამხედველო საბჭოს არჩევამდე. ისლამური საბჭოს კრება თავის უფლებამოსილებას შეუდგება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დეპუტატების რწმუნება დამტკიცდება და აირჩევენ საზედამხედველო საბჭოს ექვს სამართლისმცოდნე წევრს.

მუხლი ოთხმოცდამეთოთხმეტე. ისლამური საბჭოს კრების მიერ ყველა დამტკიცებული კანონპროექტი საზედამხედველო საბჭოს ეგზავნება. საზედამხედველო საბჭო ვალდებულია არა უმეტეს ათი დღისა შეისწავლოს კანონპროექტის რამდენად შეესაბამება იგი ისლამურ ტრადიციებსა და კონსტიტუციას, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონპროექტს ხელმეორედ განსახილველად ისლამური საბჭოს კრებას გაუგზავნის. თუ საზედამხედველო საბჭოში გაგზავნილი კანონპროექტის ისლამურ ტრადიციებსა და კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება, იგი განხილვის შემდეგ ოფიციალურად შედის ძალაში.

მუხლი ოთხმოცდამეთხუთმეტე. იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტების შესასწავლად და საბოლოო თვალსაზრისის ჩამოსაყალიბებლად საზედამხედველო საბჭოსათვის ათი დღე საკმარისი არ აღმოჩნდება, მას შეუძლია ისლამური საბჭოს კრებისაგან, მიზეზის მითითებით, კიდევ არა უმეტეს, ათი დღე მოითხოვოს.

მუხლი ოთხმოცდამეთექვსმეტე. საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება ისლამური საბჭოს კრების გადანყვეტილებანი ისლამურ ტრადიციებს, წყვეტს საზედამხედველო საბჭოს ფაყიბების უმრავლესობა, ხოლო იმას, არღვევენ თუ არა ისინი ძირითად კანონს, ამავე საზედამხედველო საბჭოს ყველა წევრი ადგენს.

მუხლი ოთხმოცდამეჩვიდმეტე. საქმის დაჩქარების მიზნით საზედამხედველო საბჭოს წევრებს შეუძლიათ ისლამური საბჭოს კრებაზე კანონპროექტების განხილვას დაესწრონ და დებატები მოისმინონ. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ისლამური საბჭოს კრების სხდომის დღის წესრიგშია შეტანილი კანონპროექტის სასწრაფო დამტკიცება, მაშინ საზედამხედველო საბჭოს წევრები უნდა დაესწრონ მას და თავიანთი მოსაზრება გამოთქვან.

მუხლი ოთხმოცდამეთვრამეტე. კონსტიტუციის განმარტება საზედამხედველო საბჭოს კომპეტენციაში შედის, რაც მისი წევრების სამი მეოთხედის გადაწყვეტილებით ხორციელდება.

მუხლი ოთხმოცდამეცხრამეტე. საზედამხედველო საბჭო ვალდებულია თვალყური ადევნოს წინამძღოლის ექსპერტთა საბჭოს. რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ისლამური საბჭოს კრების არჩევნებს. პასუხისმგებელია, აგრეთვე საყოველთაო-სახალხო გამოკითხვის (რეფერენდუმის) ჩატარებაზე.

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე **ს ა ბ ჭ ო ე ბ ი**

მუხლი მეასე. სოციალურ-ეკონომიკურ, კეთილ-მონყობის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, განათლებისა და სხვა სფეროებში დასახული გეგმების წარმატებით განხორციელებისა და ამ საქმეში მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმის მიზნით, ადგილობრივი მოთხოვნილებების გათვალისწინებით, ყოველ სოფელში, რაიონში, ქალაქში, გუბერნიასა და პროვინციაში იქმნება საბჭოები, რომელთა დეპუტატები ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა აირჩიოს.

აღნიშნულ საბჭოებში ამომრჩეველთა და დეპუტატთა უფლებამოსილებას, კერძოდ, ამ საბჭოებში არჩევნების ჩატარების წესსა და მათ ფუნქციებს, ეროვნული ერთიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, ისლამური რესპუბლიკური წყობილებისა და ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარების პირობებს კანონი ადგენს.

მუხლი ასმეერთე. პროვინციების კეთილმონყობისა და განვითარების გეგმების შემუშავებისას და მათ ერთობლივ შერულებაზე კონტროლის დანესების მიზნით პროვინციების საბჭოების წარმომადგენლობის შემადგენლობით იქმნება პროვინციათა უმაღლესი საბჭო. ამ უმაღლესი საბჭოს შექმნის წესსა და მის ფუნქციებს კანონი განსაზღვრავს.

მუხლი ასმეორე. პროვინციების უმაღლესი საბჭოს უფლება აქვს თავისი პრეროგატივების ფარგლებში მოამზადოს პროექტები და პირდაპირ ან მთავრობის მეშვეობით ისლამური საბჭოს კრებას წარუდგინოს. ეს პროექტები ისლამური საბჭოს კრებაზე განიხილება.

მუხლი ასმესამე. გენერალ-გუბერნატორები, გუბერნატორები, რაიონის მმართველები და ქვეყნის სახელმწიფო ორგანოების სხვა ხელმძღვანელები, რომლებსაც მთავრობა ნიშნავს, ვალდებული არიან ცხოვრებაში გაატარონ ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებები.

მუხლი ასმეოთხე. სანარმოო, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ერთეულებში საქმეების გაძღოლისას ისლამური სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, გეგმების მომზადებაში თანამშრომლობისა და კოორდინაციის მიზნით მუშების, გლეხების, მოსამსახურეებისა და მმართველთა წარმომადგენლებისაგან იქმნება საბჭოები, ხოლო სასწავლო, ადმინისტრაციულ, მომსახურეობის და მათ მსგავს სფეროებში – საბჭოები, რომლებიც ამ ერთეულების წევრებისაგან შედგებიან.

ამ საბჭოების შექმნის წესსა და უფლებამოსილებას კანონი განსაზღვრავს.

მუხლი ასმეხუთე. საბჭოების დადგენილებები ისლამურ ტრადიციებსა და ქვეყნის კანონებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

მუხლი ასმეექვსე. საბჭოების დათხოვნა არ შეიძლება, თუ ისინი კანონის მოთხოვნებს არ გადაუხვევენ. საბჭოების დათხოვნისა და მათი ხელახალი შექმნის წესს კანონი განსაზღვრავს.

იმ შემთხვევაში, თუ საჭიროდ მიიჩნევენ გააპროტესტონ მათი დათხოვნა, უფლება აქვთ მიმართონ კომპეტენტურ სასამართლო ინსტანციას, ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებულია საჩივრები რიგგარეშე განიხილოს.

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე **წინამძღოლი და საწინამძღოლო საბჭო**

მუხლი ასმეშვიდე. იმის შემდეგ, რაც მიბაძვის მაგალითი, მსოფლიო ისლამური რევოლუციის ლიდერი, ირანის ისლამური რესპუბლიკის ფუძემდებელი, მისი უწმინდესობა დიდი აიათოლა იმამ ხომეინი „დაე, წმინდა იყოს მისი კეთილშობილი საფლავი“, რომელიც ხალხის დიდმა უმრავლესობამ მიბაძვის ღირსად და წინამძღოლად აღიარა და ხელმძღვანელად დანიშნა, წინამძღოლის განწესება მან ხალხის მიერ არჩეულ ექსპერტებს მიანდო. ექსპერტები

შეისწავლიან და კონსულტაციებს გამართავენ იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ფაყიშები მეხუთე და ასმეცხრე მუხლებში მოხსენიებულ პირობებს.

იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მათგანი ხასიათდება მეტი განსწავლულობით ფიყის ტრადიციებისა და პრობლემების, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და საფინანსო საკითხების ცოდნაში, სარგებლობს საყოველთაო აღიარებით ან განსაკუთრებით გამორჩეულია ზემოჩამოთვლილი ერთ-ერთი იმ თვისებით, რომლის შესახებაც ასმეცხრე მუხლშია ნათქვამი, მას ხელმძღვანელად აირჩევენ. სხვა შემთხვევაში ერთ-ერთ მათგანს წინამძღოლად შეარჩევენ და რეკომენდაციას გაუწევენ. ექსპერტთა მიერ არჩეული წინამძღოლი მთელს საქმეს და აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს.

წინამძღოლი კანონის წინაშე ქვეყნის მოქალაქეებთან თანასწორია.

მუხლი ასმერვე. კანონს ექსპერტთა რაოდენობისა და პირობების თაობაზე, მათი არჩევისა და სხდომების შინაგანანესს საწყისი ეტაპისათვის ფაყიშების მიერ შედგენილი პირველი საზედამხედველო საბჭო ადგენს და მათი ხმების უმრავლესობით მტკიცდება. მას საბოლოოდ წინამძღოლი ამტკიცებს. ამის შემდეგ კანონში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, აგრეთვე ექსპერტთა უფლებამოსილებასთან დაკავშირებული სხვა დადგენილებების დამტკიცება მათივე კომპეტენციაში შედის.

მუხლი ასმეცხრე. წინამძღოლისათვის დამახასიათებელი თვისებები:

1. – მეცნიერული კომპეტენტურობა, რაც აუცილებელია მუხლიმანური იურისპრუდენციის შესაბამისად სხვადასხვა საკითხის გადასაჭრელად;

2. – სამართლიანობა და ღვთისმოსაობა, რაც საჭიროა ისლამური თემის წინამძღოლისათვის;

3. ჯანსაღი პოლიტიკური და საზოგადოებრივი თვალსაზრისი, გონიერება, სიმამაცე, ხელმძღვანელობის უნარი და წინამძღოლობისათვის საჭირო ძლევამოსილება.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ჩამოთვლილ პირობებს რამდენიმე პირი აკმაყოფილებს, მაშინ უპირატესობა მიენიჭება იმას, ვისაც აქვს ფაყიშის თვალთახედვა და პოლიტიკურად ძლიერია.

მუხლი ასმეათე. წინამძღოლის უფლებები და მოვალეობანი:

1. - ირანის ისლამური რესპუბლიკის წყობის საერთოპოლიტიკური კურსის განსაზღვრა ხელისუფლებასთან კონსულტაციის შემდეგ;

2. - ზედამხედველობის დანესება საერთო პოლიტიკური კურსის განხორციელების სისწორეზე;

3. - ბრძანების გამოცემა საყოველთაო გამოკითხვის (რეფერენდუმის) ჩატარების შესახებ;

4. - შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობა;

5. - ომის, მშვიდობისა და შეიარაღებული ძალების მობილიზაციის გამოცხადება;

6. - დანიშვნა, გადაყენება და გადადგომის მიღება:

ა) საზედამხედველო საბჭოს ფაყიჰებისა;

ბ) სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების;

გ) ირანის ისლამური რესპუბლიკის რადიო-ტელევიზიის ორგანიზაციის ხელმძღვანელის;

დ) გაერთიანებული შტაბის უფროსის;

ე) ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის მთავარსარდლის;

ვ) სამხედრო და მართლწესრიგის ძალების უმაღლესი სარდლებისა;

7. - ხელისუფლების სამ ორგანოს შორის წამოჭრილი კონფლიქტისა და ურთიერთობის მოწესრიგება;

8. - ამ სირთულეების დაძლევა, რომელთა მოგვარება ჩვეულებრივი მეთოდებით ვერ ხერხდება;

9. - რესპუბლიკის პრეზიდენტის დანიშვნის შესახებ განკარგულებაზე ხელის მოწერა მას შემდეგ, რაც მას ხალხი აირჩევს. არჩევნებამდე საზედამხედველო საბჭომ უნდა დაამტკიცოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატურათა კომპეტენტურობა, რამდენად პასუხობენ ისინი კანონის მოთხოვნებს. ამის შემდეგ მათ წინამძღოლი ინონებს;

10. - თავისი მოვალეობის შეუსრულებლობის გამო, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაყენება უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ან ისლამური საბჭოს კრების სანქციით კონსტიტუციის ოთხმოცდამეცხრე მუხლის თანახმად;

11. - ბრალდებულთა ამნისტია ან სასჯელის შემსუბუქება ისლამის ნორმების, ფარგლებში სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ხელმძღვანელის წინადადებით:

წინამძღოლს შეუძლია ზოგიერთი თავისი უფლება და მოვალეობა სხვა პირს გადასცეს.

მუხლი ასმეთერთმეტე. იმ შემთხვევაში, როცა წინამძღოლი ვერ შეძლებს კანონიერი მოვალეობების შესრულებას ან ვერ აკმაყოფილებს კონსტიტუციის მეხუთე და ასმეტხრე მუხლებში აღნიშნულ ერთ-ერთ პირობას, ანდა ცნობილი გახდება, რომ იგი თავიდანვე ვერ აკმაყოფილებდა ზოგიერთ პირობას, იგი თანამდებობიდან გადადგება. მას შემდეგ რაც ამას ხელისუფლების სამივე ორგანოს ხელმძღვანელები დაამტკიცებენ.

ასმერვე მუხლის შესაბამისად ამ საკითხის გარკვევა ექსპერტთა კომპეტენციაში შედის.

წინამძღოლის გარდაცვალების, მისი გადადგომის ან გადაყენების შემთხვევაში, ექსპერტებს ევალებათ მოკლე დროში გაატარონ ღონისძიებანი ახალი წინამძღოლის კანდიდატურის წამოსაყენებლად. წინამძღოლის კანდიდატურის წამოყენებამდე იქმნება საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან რესპუბლიკის პრეზიდენტის, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე და საზედამხედველო საბჭოს ერთ-ერთი ფაყიჰი, მას შემდეგ რაც მას უზენაესი საბჭოს წევრთა სამი მეოთხედი მოინონებს.

წინამძღოლის ყველა მოვალეობას დროებით ეს საბჭო შეასრულებს. ამ ხნის განმავლობაში, თუ საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ნებისმიერი მიზეზით ვერ შეძლო თავისი მოვალეობის შესრულება, კონსტიტუციური ზედამხედველობის ორგანოს რეკომენდაციით, ფაყიჰთა უმრავლესობის მონაწილეობით საბჭოში სხვა პირს დანიშნავენ.

ეს საბჭო კონსტიტუციის ასმეთე მუხლის პირველი, მესამე, მეხუთე და მეათე პუნქტებში, აგრეთვე მეექვსე პუნქტის დ, ე, ვ, ქვეპუნქტებში აღნიშნული მოვალეობის შესრულებას წევრთა სამი მეოთხედის მიერ დამტკიცების შემდეგ შეუდგება თავის საქმიანობას.

იმ შემთხვევაში, როცა წინამძღოლი ავადმყოფობისა ან სხვა მიზეზის გამო დროებით ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, ამ ხნის განმავლობაში ამ მუხლში ნახსენები საბჭო მისი მოვალეობის შესრულებას თავად კისრულობს.

მუხლი ასმეთორმეტე. იმ შემთხვევაში, როცა საზედამხედველო საბჭო ისლამური საბჭოს კრების დადგენილებებს შარიათის ან კონსტიტუციის ნორმების დარღვევად ჩათვლის, ხოლო, თავის მხრივ, ისლამური საბჭოს კრება საზედამხედველო საბჭოს აზრს არ გაიზიარებს, წინამძღოლის მიერ მათთვის მიცემული მითითებებისა და კონსტიტუციაში აღნიშნული სხვა მოვალეობების შესასრულებლად ამ უკანასკნელის მითითებით იქმნება კონსტიტუციური ზედამხედველობის ორგანო.

კონსტიტუციური ზედამხედველობის ორგანოს მუდმივ და დროებით ნევრებს წინამძღოლი ნიშნავს.

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე

აღმასრულებელი ხელისუფლება

ნ ა ნ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი – რესპუბლიკის პრეზიდენტი და მინისტრები

მუხლი ასმეცამეტე. რესპუბლიკის პრეზიდენტი, წინამძღოლის შემდეგ, ქვეყანაში უმაღლეს ოფიციალურ პირად ითვლება. მას კონსტიტუციის შესრულებაზე პასუხისმგებლობა და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელობა აკისრა, იმ შემთხვევების გარდა, რაც უშუალოდ წინამძღოლთან არის დაკავშირებული.

მუხლი ასმეთოთხმეტე. რესპუბლიკის პრეზიდენტს ხალხი პირდაპირ არჩევითი გზით ოთხი წლის ვადით ირჩევს. რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს ამ პოსტზე ხელახლა წარმოადგინოს საკუთარი კანდიდატურა კიდევ ერთი ვადით ასარჩევად.

მუხლი ასმეთხუთმეტე. რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევენ რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწეობის წრიდან. იგი შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს:

უნდა იყოს წარმოშობით ირანელი, ირანის ქვეშევრდომი, პქონდეს ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება, უმნიკვლო წარსულით, იყოს მორწმუნე, გამოირჩეოდეს ირანის ისლამური რესპუბლიკის საფუძვლებისა და ქვეყნის ოფიციალური რელიგიისადმის ერთგულებით.

მუხლი ასმეთექვსმეტე. რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატებმა არჩევნებამდე

ოფიციალურად უნდა განაცხადონ თავიანთი თანხმობა. პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების წესს კანონი განსაზღვრავს.

მუხლი ასმეჩვიდმეტე. რესპუბლიკის პრეზიდენტი ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით აირჩევა. თუ არჩევნების პირველ ეტაპზე ვერცერთი კანდიდატი ხმების ასეთ უმრავლესობას ვერ მიიღებს, მაშინ არჩევნების მეორე ტური შემდეგი კვირის პარასკევს ინიშნება. არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ორი კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში ყველაზე მეტი ხმა მიიღეს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კანდიდატი, რომელმაც მეტი ხმები დააგროვა, უარს იტყვის არჩევნებში მონაწილეობაზე, მაშინ პირველ ტურში გასულთაგან შეირჩევა ორი კანდიდატი, რომელთაც ხმების უმრავლესობა მიიღეს, და მათ გამეორებით არჩევნებზე წარადგენენ.

მუხლი ასმეთვრამეტე. კონსტიტუციის ოთხმოცდამეცხრამეტე მუხლის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებლობა საზედამხედველო საბჭოს ეკისრება, მაგრამ პირველი საზედამხედველო საბჭოს შექმნამდე ეს პასუხისმგებლობა შედის ამ სამეთვალყურეო ორგანოს ფუნქციებში, რომელიც კანონის თანახმად იქმნება.

მუხლი ასმეცხრამეტე. რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევნები ტარდება არაუგვიანეს ერთი თვით ადრე რესპუბლიკის წინა პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე. ამასთან რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევნების მსვლელობაში ძველი პრეზიდენტი განაგრძობს თავისი ფუნქციების შესრულებას.

მუხლი ასმეოცე. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი არჩევამდე ათი დღით ადრე გარდაიცვლება, მაშინ არჩევნები ორი კვირით უნდა გაგრძელდეს. ასევე თუ იმ ორი კანდიდატიდან, რომლებმაც ხმების უმრავლესობა მიიღეს, ერთ-ერთი კანდიდატი არჩევნების პირველი ტურის შემდეგ გარდაიცვლება, მაშინ არჩევნები კვლავ ორი კვირით გაგრძელდება.

მუხლი ასოცდამეერთე. რესპუბლიკის პრეზიდენტი ისლამური საბჭოს კრების პლენარულ სხდომაზე, რომელიც ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და

საზედამხედველო საბჭოს წევრების თანდასწრებით შედგება, ფიცს დებს და ხელს აწერს ქვემოთ მოტანილ ფიცის ტექსტს:

„სახელითა ალაჰისა მოწყალისა, მწყალობელისა.

მე, როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტი, წმინდა ყურანის, ირანელი ხალხისა და ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე ფიცს ვდებ, რომ დავიცავ ქვეყნის ოფიციალურ რელიგიას, ისლამურ რესპუბლიკურ წყობასა და ქვეყნის ძირითად კანონს. ძალ-ღონეს არ დავიშურებ იმისათვის, რათა ჩემზე დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შევასრულო, ერთგულად ვემსახურები ჩემს ხალხს, ხელს შევეუწყობ ქვეყნის განვითარებას, სარწმუნოებისა და ზნეობის წინსვლას, დავიცავ სამართლიანობას და უარს ვიტყვი ყოველგვარ ეგოისტურ გამოვლინებაზე, დავიცავ მოქალაქეთა იმ უფლებებს, რაც მათ კონსტიტუციამ მიანიჭა. საიმედოდ დავიცავ ქვეყნის საზღვრებს, მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დამოუკიდებლობას. ღვთის შეწევნითა და ისლამის წინასწარმეტყველის მიმდევრობით ბოროტად არ გამოვიყენებ ამ წმინდათანმინდა მოვალეობას, რომელიც ჩემმა ხალხმა მომანიჭა და მას, როგორც ღვთისნიერი გამგებელი, ერთგულად ვემსახურები, და ხალხის მიერ ჩემს შემდეგ არჩეულს გადავცემ“.

მუხლი ასოცდამეორე. რესპუბლიკის პრეზიდენტი თავისი უფლებებისა და მოვალეობების ფარგლებში, რომლებიც ძირითადი კანონით ან სხვა რიგითი კანონებით არის განსაზღვრული, პასუხისმგებელია ხალხის, წინამძღოლისა და ისლამური საბჭოს კრების წინაშე.

მუხლი ასოცდამესამე. რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდებულია ხელი მოაწეროს და აღმასრულებელი ხელისუფლების სათანადო ორგანოებს გადასცეს ისლამური საბჭოს კრების დადგენილებანი და საყოველთაო-სახალხო გამოკითხვის შედეგები, მას შემდეგ, რაც იგი კანონით გათვალისწინებულ ეტაპს გაივლის.

მუხლი ასოცდამეოთხე. რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია თავისი კონსტიტუციური მოვალეობების შესასრულებლად ყავდეს მოადგილეები.

რესპუბლიკის პრეზიდენტის პირველი მოადგილე პრეზიდენტის თანხმობით, უძღვება მინისტრთა საბჭოს და კოორდინაციას უწევს სხვა მოადგილეების საქმიანობას.

მუხლი ასოცდამეხუთე. რესპუბლიკის პრეზიდენტი, ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ხელს აწერს ირანის ისლამურ რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებს შორის დადებულ ხელშეკრულებებს, კონვენციებსა და შეთანხმებებს, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან დადებულ შეთანხმებებს ისლამური საბჭოს კრების მიერ დამტკიცების შემდეგ.

მუხლი ასოცდამეექვსე. რესპუბლიკის პრეზიდენტს უშუალოს ესკისრება პასუხისმგებლობა ქვეყნის გეგმების, ბიუჯეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული და საკადრო საქმეებში. მას შეუძლია მათი გამგებლობა სხვა პირს დააკისროს.

მუხლი ასოცდამეშვიდე. განსაკუთრებულ შემთხვევებში რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია საჭიროების მიხედვით დანიშნოს მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული განსაზღვრული უფლებებით აღჭურვილი საგანგებო წარმომადგენელი ან წარმომადგენლების გადაწყვეტილებები რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებათა ტოლფასი იქნება.

მუხლი ასოცდამერვე. ელჩების კანდიდატურებს წარადგენს საგარეო საქმეთა მინისტრი და ამტკიცებს რესპუბლიკის პრეზიდენტი. რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს აწერს ელჩების რწმუნების სიგელებს, ლებულობს სხვა ქვეყნების ელჩების რწმუნების სიგელებს.

მუხლი ასოცდამეცხრე. სახელმწიფო ორდენებით დაჯილდოება რესპუბლიკის პრეზიდენტის პრეროგატივაა.

მუხლი ასოცდამეათე. რესპუბლიკის პრეზიდენტი წინამძღოლს მოახსენებს თავისი გადადგომის შესახებ. ხოლო სანამ მისი გადადგომა მიღებული არ იქნება, იგი განაგრძობს თავის მოვალეობის შესრულებას.

მუხლი ასოცდამეთერთმეტე. რესპუბლიკის პრეზიდენტის გარდაცვალების, გადაყენების, ორ თვეზე მეტი დროის განმავლობაში მისი არყოფნისა, თუ ავადმყოფობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, როცა რესპუბლიკის პრეზიდენტობის ვადა დასრულებულია, ხოლო რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი სხვადასხვა მიზეზების გამო ჯერ კიდევ არ აურჩევიათ, პრეზიდენტის პირველ მოადგილეს წინამძღოლის თანხმობით ეკისრება პრეზიდენტის უფლებამოვალეობის შესრულება. საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ისლამური საბჭოს კრების თავმჯდომარე, უზენაესი

სასამართლოს თავმჯდომარე და რესპუბლიკის პრეზიდენტის პირველი მოადგილე ვალდებულია საქმე ისე მოაწყოს, რომ არა უგვიანეს ორმოცდაათი დღისა არჩეულ იქნას რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი. პრეზიდენტის პირველი მოადგილის გარდაცვალების შემთხვევაში ან კიდევ სხვა მიზეზის გამო, რაც მის მიერ მოვალეობის შესრულებას ხელს შეუშლის, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა პრეზიდენტს არ ჰყავს პირველი მოადგილე, წინამძღოლი მის ადგილზე სხვა პირს ნიშნავს.

მუხლი ასოცდამეთორმეტე. იმ დროის მანძილზე, როცა რესპუბლიკის პრეზიდენტის ფუნქციებს ასრულებს მისი პირველი მოადგილე ან სხვა პირი, რომელიც ასოცდამეთერთმეტე მუხლის შესაბამისად ინიშნება. არ შეიძლება მინისტრის ინტერპელაცია ან მათთვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადება, აგრეთვე დაუშვებელია კონსტიტუციის გადასინჯვა ან საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის მოწყობა.

მუხლი ასოცდამეცამეტე. მინისტრებს პრეზიდენტი ნიშნავს. ნდობის ვოტუმის მისაღებად მათ ისლამური საბჭოს კრებას წარუდგენენ. ისლამური საბჭოს კრების შეცვლის შემთხვევაში ნდობის ვოტუმის ხელახალი მიღება საჭირო არ არის. მინისტრების რაოდენობას და თითოეული მათგანის უფლებამოსილებას კანონი განსაზღვრავს.

მუხლი ასოცდამეთოთხმეტე. რესპუბლიკის პრეზიდენტი თავმჯდომარეობს მინისტრთა კაბინეტს. იგი აკონტროლებს მის საქმიანობას და საჭირო ღონისძიებებით კოორდინაციას უწევს მინისტრების და მინისტრთა კაბინეტის გადანწყვეტილებებს, მინისტრებთან თანამშრომლობით განსაზღვრავს და ასრულებს მთავრობის პროგრამას და გენერალურ ხაზს.

აზრთა სხვაობის ამ სახელმწიფო აპარატის კანონიერ ფუნქციებში ჩარევის შემთხვევაში, როცა არ არსებობს კანონის განმარტების ან მისი შეცვლის საჭიროება, რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით მიღებული მინისტრთა კაბინეტის გადანწყვეტილება აუცილებლად უნდა სრულდებოდეს.

რესპუბლიკის პრეზიდენტი მინისტრთა კაბინეტის საქმიანობაზე ისლამური საბჭოს კრების წინაშე პასუხისმგებელი.

მუხლი ასოცდამეთხუთმეტე. მინისტრები თავიანთ თანამდებობებზე რჩებიან გადაყენებამდე, ინტერპელაციის ან ისლამური საბჭოს კრების მიერ მათთვის ნდობის ვოტუმის მოუცემლობამდე.

რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის მინისტრთა კაბინეტის ან ერთ-ერთი მინისტრის გადადგომის განცხადების წარდგენის შემდეგ მინისტრთა კაბინეტი ახალი მთავრობის შექმნამდე თავისი ფუნქციების შესრულებას განაგრძობს.

რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია არაუმეტეს სამი თვის ვადით დაუნიშნოს მეურვე იმ სამინისტროებს, რომელთაც არა ჰყავთ მინისტრი.

მუხლი ასოცდამეთექვსმეტე. რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია გადააყენოს მინისტრები. ამ შემთხვევაში ახალმა მინისტრმა ან მინისტრებმა ისლამური საბჭოს კრებისაგან ნდობის ვოტუმი უნდა მიიღონ. იმ შემთხვევაში, თუ ისლამური საბჭოს კრების მიერ მთავრობისადმი ნდობის ვოტუმის გამოცხადების შემდეგ მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის ნახევარი შეიცვალა, მინისტრთა კაბინეტისათვის ისლამური საბჭოს კრებას უნდა წარედგინოს განმეორებით თხოვნა ნდობის ვოტუმის მიცემის შესახებ.

მუხლი ასოცდამეჩვიდმეტე. თავის მოვალეობის შესრულების საქმეში თითოეული მინისტრი უშუალოდ რესპუბლიკის პრეზიდენტის და ისლამური საბჭოს კრების წინაშე პასუხისმგებელი. მაგრამ იმ საქმეების შესრულებაში, რომლებსაც მინისტრთა კაბინეტი ამტკიცებს, პასუხისმგებლობა სხვებსაც ეკისრებათ.

მუხლი ასოცდამეთვრამეტე. მინისტრთა კაბინეტი და მინისტრი უფლებამოსილია შეადგინოს კანონის განხორციელების ინსტრუქციები. მინისტრთა კაბინეტს უფლება აქვს ადმინისტრაციული მოვალეობის შესასრულებლად და კანონების გატარების უზრუნველსაყოფად გამოსცეს სამთავრობო დადგენილებები და წესდებები.

მინისტრს თავისი მოვალეობის და მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა შესრულების ფარგლებში აგრეთვე უფლება აქვს შეიმუშაოს დებულება და გამოსცეს ცირკულარი, მაგრამ ამ წესების შინაარსი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონების ტექსტსა და სულისკვეთებას.

მთავრობას შეუძლია თავის მოვალეობებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის დამტკიცება რამდენიმე მინისტრისგან შემდგარ კომისიებს გადასცეს. კანონების შესაბამისად მიღებული ამ კომისიების გადანყვეტილებანი, მას შემდეგ რაც მათ რესპუბლიკის პრეზიდენტი დაამტკიცებს, აუცილებლად უნდა შესრულდეს.

მთავრობის დადგენილებები და დებულებები, აგრეთვე ამ მუხლში მოხსენიებული კომისიების გადანყვეტილებები გასაცნობად ისლამური საბჭოს კრების თავმჯდომარეს წარედგინება. იმ შემთხვევაში, თუ იგი მიიჩნევს, რომ ეს კანონებს ეწინააღმდეგება, მიზეზის მითითებით, ხელახლა განსახილველად მინისტრთა კაბინეტს უგზავნის.

მუხლი ასოცდამეცხრამეტე. საერთო, სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებულ დავას ან სამედიატორო სასამართლოსთვის მის გადაცემის საკითხს, ნებისმიერ შემთხვევაში, მინისტრთა კაბინეტი განიხილავს, რის შესახებაც ისლამური საბჭოს კრებას აცნობებს. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მოდავე მხარე უცხოელია და დავა მეტად მნიშვნელოვან საშინაო საკითხს ეხება. საბოლოო გადანყვეტილებას ისლამური საბჭოს კრება იღებს. საკითხის მნიშვნელობას კანონი განსაზღვრავს.

მუხლი ასმეორმოცე. რესპუბლიკის პრეზიდენტის, მისი მოადგილეების და მინისტრების მიერ ჩვეულებრივი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ისლამური საბჭოს კრებისათვის შეტყობინების შემდეგ საქმეს საერთო სასამართლოები განიხილავენ.

მუხლი ასორმოცდამეერთე. რესპუბლიკის პრეზიდენტს, მის მოადგილეებს, მინისტრებსა და სახელმწიფო მოხელეებს უფლება არა აქვთ დაიკავონ ერთზე მეტი სახელმწიფო თანამდებობა, ან დაქირავებული იყვნენ ისეთ დანესებულებებში, რომელთა მთელი კაპიტალი ან მისი ნაწილი სახელმწიფო, ან საერთო საკუთრებას შეადგენს. მათვე ეკრძალებათ ისლამური საბჭოს კრების დეკლარაცია. სასამართლოში ადვოკატობა, იურისკონსულტობა, სხვადასხვა კერძო კომპანიების პრეზიდენტობა, დირექტორ-განმკარგულებლად ყოფნა, ან მათი გამგეობის წევრობა გარდა ადმინისტრაციული ორგანოებისა და დანესებულებების, კოოპერატიული საზოგადოებისა.

ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს უნივერსიტეტებსა და საკვლევ დაწესებულებებში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული თანამდებობები.

მუხლი ასორმოცდამეორე. წინამძღოლის, რესპუბლიკის პრეზიდენტის, მისი მოადგილეების, მინისტრების, მათი მუულებებისა და შვილების ქონება როგორც სამსახურის დაწყებამდე, ასევე მას შემდეგ ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ აღრიცხული უნდა იქნას, რათა კანონით დადგენილზე მეტი სიმდიდრე არ დააგროვონ.

ნ ა ნ ი ლ ი მ ე ო რ ე – არმია და ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი

მუხლი ასორმოცდამესამე. ირანის ისლამური რესპუბლიკის არმიის მოვალეობაა დაიცვას სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და ქვეყნის ისლამური რესპუბლიკური წყობა.

მუხლი ასორმოცდამეოთხე. ირანის ისლამური რესპუბლიკის არმია ისლამური უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ორთოდოქსული და სახალხოა. ამიტომ საჭიროა, რომ მის რიგებში მსახურობდნენ ღირსეული ადამიანები, რომლებიც ისლამური რევოლუციის მიერ დასახული მიზნების განხორციელებისათვის თავგანწირულად იბრძობებენ.

მუხლი ასორმოცდამეხუთე. ქვეყნის არმიის და საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა რიგებში არცერთი უცხოელი არ შეიძლება იქნეს მიღებული.

მუხლი ასორმოცდამეექვსე. ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოეთის სამხედრო ბაზების შექმნა ყოველგვარი მოტივით, თუნდაც მშვიდობიანი გამოყენების მიზნით, კანონით აკრძალულია.

მუხლი ასორმოცდამეშვიდე. მშვიდობიან პერიოდში მთავრობამ ისლამური სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად არმიის პირადი შემადგენლობა და მისი ტექნიკური აღჭურვილობა უნდა გამოიყენოს დამხმარე სამუშაოებზე, სასწავლო და სანარმოო საქმიანობაში და ქვეყნის აღმშენებლობაში იმ პირობით, რომ მის საბრძოლო მზადყოფნას ზიანი არ მიაყენოს.

ვადამდეღი, ერთპარტიული, მრავალპარტიული ან პარტიის გარეშე ალტერნატიული და უალტერნატივო (თუ დასახელებულია მხოლოდ ერთი კანდიდატი) პირდაპირი და ირიბი (მრავალსაფეხურიანი), ძირითადი და დამატებითი.

ასიმეტრიული ბიკამერალიზმი - ორპალატიანი პარლამენტის სისტემა, რომლის თანახმად პარლამენტის პალატები განსხვავდებიან თავისი კომპეტენციით საკანონმდებლო საქმიანობის სფეროში. ა. ბ. სისტემა ჩვეულებრივ ხვდება იმ ქვეყნებში, სადაც პარლამენტის ზედა პალატა სუსტია, ე.ი. თუ პალატებს შორის აღმოცენდება უთანხმოება კანონის მიღებასთან დაკავშირებით, ქვედა პალატას თითქმის ყოველთვის აქვს კანონით დადგენილი შესაძლებლობა დაძლიოს ზედა პალატის წინააღმდეგობა, რის შედეგადაც კანონი საბოლოოდ მიიღება ქვედა პალატის გადწყვეტილებით და მისი რედაქციით. ა. ბ. სისტემის დროს ზედა პალატას შეუძლია მხოლოდ გააჭიანუროს გარკვეული ვადით კანონის მიღება და არა უმეტეს ა. ბ. ხდება დიდ ბრიტანეთში, იაპონიაში და ა.შ.

ასიმეტრიული ტერიტორიული მონყობა - ტერიტორიული მონყობის ერთ-ერთი ფორმა, რომლის დროსაც სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ პოლიტიკურ ტერიტორიულ ერთეულებს აქვთ არათანაბარი სტატუსი. მაგალითად, აშშ-ს შემადგენლობაში 50 შტატთან ერთად შედიან კოლუმბიის ფედერალური ოლქი, თავისუფლად მიერთებული სახელმწიფო პუერტო-რიკო, სხვა ტერიტორიული ერთეულები, რომლებსაც არ გააჩნიათ შტატის სტატუსი. უნიტარულ სახელმწიფოებშიც კი საკმაოდ ხშირად ხვდება ა. ტ. მ. ფორმა, ვინაიდან დედაქალაქებს ჩვეულებრივ აქვთ არსებითად განსხვავებული სტატუსი სხვა დანარჩენ მაღალი დონის ტერიტორიულ ერთეულებთან შედარებით ყველა შემთხვევაში თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში გვხვდება სწორედ ა. ტ. მ. ფორმა.

„ასიმეტრიული“ ფედერაცია - ეს არის ტერმინი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ფედერაციული მონყობის მოდელის აღსანიშნავად, რომლის დროსაც ფედერაციის სუბიექტების არათანაბარი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი და შესაბამისი უფლებამოსილებათა მოცულობა გააჩნიათ ამ გაგებით „ა“. ფ. განეკუთვნება რუსეთი

ფედერაცია, ინდოეთი, კანადა, ბრაზილია და ზოგიერთი სხვა ფედერაცია.

ასოციაციის თავისუფლება (იხ. გაერთიანების უფლება).

ასოცირებული სახელმწიფო - ცნება, რომელიც გამოიყენება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების განსაკუთრებული ფორმის აღსანიშნავად. ჩვეულებრივ ა. ს. ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო, რომელმაც ნებაყოფლობით გადასცა სხვა სახელმწიფოს თავისი სუვერენიტეტის ნაწილი (პირველ ყოვლისა, უფლებამოსილებები თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკური კავშირების განხორციელების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე ფულადი მიმოქცევის ორგანიზაციის მიზნით), აშშ-თან ასეთ ასოცირებულ სახელმწიფოდ ითვლება პუერტო-რიკო.

აქტიური საარჩევნო უფლება - ხმის მიცემის უფლება არჩევით სახელმწიფო ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, თანამედროვე სახელმწიფოთა უმრავლესობაში ა.ს.უ. გააჩნია ყველა სრულწლოვან მოქალაქეს სქესის, ქონებრივი მდებარეობის, განათლებისა და სხვათა მიუხედავად. გამონაკლისების სახით გვხვდება ა. ს. უ. შებლუდვის ცალკეული შემთხვევები ასაკობრივი ცენზის მომატების გზით (20 წ-დან - საბერძნეთში, 23 წ-დან - მალაიზიაში, მაროკოში, ბოლივიაში და ა.შ.) განათლების ცენზისა (ტაილანდი, ქუვეითი) და ბინადრობის (ესტონეთი, ბოტსვანა) მიხედვით. საქართველოში ა. ს. უ. ეკუთვნის საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, გარდა იმ მოქალაქეებისა, რომლებიც სასამართლოს მიერ ცნობილნი არიან არაქმედითუნარიანებად და იმ მოქალაქეებისა, რომლებიც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე სასჯელს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იხდიან.

აღმასრულებელი ხელისუფლება - ხელისუფლების დანაწილების თეორიის მიხედვით ერთ-ერთი დამოუკიდებელი საჯარო ხელისუფლება (საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებთან ერთად) სახელმწიფოში ა. ხ. წარმოადგენს უფლებამოსილებათა ერთობლიობის სახელმწიფო საქმეების მართვის სფეროში, ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების, საგარეო-პოლიტიკური წარმომადგენლობის, სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული კონ-

ტროლის განხორციელების უფლებამოსილებების ჩათვლით, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების სისტემას, რომლებიც ახორციელებენ ზემოთ აღნიშნულ უფლებამოსილებებს. თანამედროვე კონსტიტუციები ა. ხ. ფორმალურად აკუთვნებენ სახელმწიფოს მეთაურს (საპარლამენტო მონარქიებსა და რესპუბლიკებში, საპრეზიდენტო რესპუბლიკებში) ან მთავრობას (შერეული ტიპის რესპუბლიკებში). თუმცა, სინამდვილეში, საპარლამენტო მონარქიებსა და რესპუბლიკებში ა. ხ. მთლიანად ეკუთვნის მთავრობას, დუალისტურ მონარქიებში – მონარქს მთავრობასთან ერთად, ხოლო შერეული ტიპის რესპუბლიკებში ა. ხ. განხორციელება მთავრობის (პრეზიდენტის) უშუალო ხელმძღვანელობითა და მისი კონტროლის ქვეშ ხდება. რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე ა. ხ. ახორციელებენ ადგილობრივი მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (გუბერნატორი, მერი, პრეფექტი და მათ დაქვემდებარებული აპარატები).

ადმინისტრაციული ხელისუფლების დუალიზმი – მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს შერეული ტიპის რესპუბლიკაში, სადაც არსებობს „ძლიერი“ საყოველთაო წესით არჩეული პრეზიდენტი და პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა ა. ხ. დ. ერთგვარად ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების „გაორება“ ორ ცენტრს შორის, პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია, ერთი მხრივ და პრემიერ-მინისტრი და მთავრობა – მეორე მხრივ. ა. ხ. დ. განსაკუთრებით მწვავედ მჟღავნდება მაშინ, როცა პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი მოწინააღმდეგე პოლიტიკურ პარტიებს ეკუთვნიან.

აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური – სახელმწიფო მმართველობის ორგანოების უმაღლესი ხელმძღვანელი ზოგად-ეროვნულ ან რეგიონულ ანდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა დონეზე. ზოგადეროვნულ დონეზე ა. ხ. მ. ყველა სახის მონარქიაში ფორმალურად არის მონარქი (საპარლამენტი მონარქიაში ფაქტობრივად მთავრობის მეთაური) საპრეზიდენტო რესპუბლიკაში – პრეზიდენტი, საპარლამენტოში – ფორმალურად პრეზიდენტი. ფაქტობრივად კი მთავრობის

მეთაური, ნახევრადსაპარლამენტო რესპუბლიკაში –
პრეზიდენტი.

ბ

ბარისტერიების კორპორაცია – დიდი ბრიტანეთის ადვოკატთა ერთ-ერთი კორპორაცია, რომლის ორგანიზაციაში და საქმიანობაში სახელმწიფო ტრადიციულად არ ერქვა. ეს პრივილეგირებული კორპორაცია აერთიანებს ყველაზე უფრო კვალიფიციურ ადვოკატებს, რომლებიც მონაწილეობენ ყველაზე რთული საქმეების განხილვაში მხოლოდ უმაღლეს სასამართლოებში.

„ბლოკირებული კენჭისყრა“ – საფრანგეთის საპარლამენტო პრაქტიკაში არსებული საკანონმდებლო პროცედურა, რომელიც გამოიყენება პროექტების განხილვის დროს. კერძოდ, საფრანგეთის კონსტიტუციის 44-ე მუხლის შესაბამისად, მთავრობას უფლება აქვს განსახილველ ტექსტზე ან მის ნაწილზე მოითხოვოს კენჭისყრის ჩატარება, მაგრამ მხოლოდ იმ შესწორებების გათვალისწინებით, რომლებიც წარადგინა თავად მთავრობამ. ასეთი პროცედურა საშუალებას აძლევს ამ უკანასკნელს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს დისკუსია. მთავრობის მიერ „ბ. კ.“ – მოთხოვნის წაყენების შემთხვევაში პალატების რეგლამენტები ითვალისწინებენ ყოველი ფრაქციიდან თითო ორატორის მხოლოდ 5 წუთის გამოსვლებს.

ბიკამერალიზმი (იხ. ორპალატიანი სისტემა).

ბილი (ინგლისური ბილ) – დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, კანადასა და სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებში – კანონპროექტი, რომელიც შეაქვთ განსახილველად საკანონმდებლო ორგანოებში. აგრეთვე ზოგიერთი კონსტიტუციური აქტის სახელწოდება (მაგალითად, უფლებათა ბილი).

ბინადრობის ცენზი – კანონით დადგენილი მოთხოვნა, რომლის თანახმად მოქალაქის მიერ აქტიური და მასიური საარჩევნო უფლების მიღება დაკავშირებულია მოცემულ ქვეყანაში ან მოცემულ ტერიტორიაზე ცხოვრების განსაზღვრულ ვადასთან. ასე მაგალითად, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს დაბადებით საქართველოს მოქალაქე, რომელსაც სა-

ქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.

ბუნდესრატი (გერმანული Bundesrat) – განსაკუთრებული კოლეგია, რომელიც შედგება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიწების მთავრობათა წარმომადგენლებისაგან. იგი ფაქტობრივად გფრ-ის პარლამენტის ზედა პალატაა.

ბუნდესტაგი (გერმანული Bundestag) – ფორმალურად პარლამენტი ფაქტობრივად კი მხოლოდ გფრ-ის პარლამენტის ქვედა პალატაა.

ბუნებრივი კვოტა – საარჩევნო კვოტის ერთ-ერთი ნაირსახეობა, გამოითვლება ოლქში მიცემული ხმების საერთო რაოდენობის ოლქში ასარჩევი დეპუტატების რიცხვზე გაყოფის გზით.

ბურგომისტრი (გერმანული Burgermeister) – ზოგიერთ ქვეყანაში (გფრ. ბელგია, ნიდერლანდები, ავსტრია) მმართველობის ადგილობრივი ორგანოს უმაღლესი თანამდებობის პირი.

ბ

გაერთიანების უფლება – წარმოადგენს მოქალაქის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკური ხასიათის კონსტიტუციურ უფლებას. გულისხმობს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში ნებისმიერი საზოგადოებრივი გაერთიანების, პროფესიული კავშირის პოლიტიკური პარტიისა და სხვა პოლიტიკური გაერთიანების შექმნის უფლებას. აგრეთვე, ყველა გაერთიანების თანასწორობისა და თავისუფალი საქმიანობის პრინციპს, რაც მნიშვნელოვანია მრავალპარტიული სისტემის დროს. სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციებში გვხვდება. კერძოდ, აკრძალულია საიდუმლო საზოგადოებების, გასამხედროებული ორგანიზაციებისა და ისეთი გაერთიანებების შექმნა, რომლებსაც ანტისაზოგადოებრივი მიზნები გააჩნია. გ. უ. არ არის აბსოლუტური უფლება, რადგან შესაძლებელია მისი შეზღუდვა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პირობებში. გარდა ამისა, მართალია, გ. უ. გააჩნია ყველა მოქალაქეს, მაგრამ ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია ითვალისწინებს შეზღუდვას მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიის მიმართ, კერძოდ, სამხედრო ძალებში,

სახელმწიფო უშიშროების ან შინაგან საქმეთა ორგანოებში ჩარიცხვის ან გარკვეული თანამდებობის დაკავების შემთხვევებში. ეს უფლება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლით.

გამგებელი – 1) სოფლის, თემის, დაბის და ქალაქის აღმასრულებელი ორგანოს უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელსაც არჩევს შესაბამისი საკრებულო თავისი შემადგენლობიდან. იგი იმავდროულად არის ამ საკრებულოს თავმჯდომარე. სოფლის, თემის, დაბის და ქალაქის. გ. ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია შესაბამისი საკრებულოს წინაშე, სოფლის, თემის, დაბის და ქალაქის. გ. წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ნაწილს. 2) რაიონის აღმასრულებელი ორგანოს ანუ ადგილობრივი მმართველობის ორგანოს უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც კი არ ამოირჩევა, არამედ თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით. რაიონის გ. ანგარიშვალდებული საქართველოს პრეზიდენტისა და საკრებულოს წინაშე, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში – აგრეთვე შესაბამისი უმაღლესი ორგანოს წინაშე.

განათლების უფლება – ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი სოციალური ხასიათის კონსტიტუციური უფლება, რომელიც, როგორც მისი პიროვნების, ისე მთელი საზოგადოების განვითარების წინაპირობებს ქმნის. პრაქტიკულად განმტკიცებულია ყველა ძირითადი კანონით მექსიკის კანონით 1917 წლის კონსტიტუციით დანყებული თანამედროვე პირობებში გ. უ. საკმაოდ გაფართოვდა და იგი მოიცავს უფლებათა მთელ კომპლექსს, კერძოდ: სახელმწიფო სასწავლებლებში დანყებითი საშუალო, სპეციალური და უმაღლესი განათლების უფასოდ მიღების უფლებას, განათლების საყოველთაობას, მშობლების მიერ თავისი ბავშვებისათვის სწავლების ფორმის შერჩევის უფლებას (რელიგიური, საერო) კერძო სასწავლო დაწესებულებების ჩამოყალიბების უფლებას კონსტიტუციების უმრავლესობა განამტკიცებს. გ. უ. მშობელთა მოვალეობით უზრუნველყო

თავისი შვილების დაწყებითი განათლება. საქართველოს კონსტიტუციაში გ. უ. განმტკიცებულია 35-ე მუხლით.

გაფიცვის უფლება – ადამიანის ერთ-ერთი კონსტიტუციური შრომითი (უფრო ფართოდ – ეკონომიკური) უფლება დემოკრატიულ სახელმწიფოში, წარმოადგენს ინდივიდუალურ და კოლექტიურ შრომით დავებზე უფრო ფართო უფლების ნაწილს კანონით დადგენილი პროცედურების გამოყენებით. გ. უ. გულისხმობს მუშებისა და მოსამსახურეების მიერ სამუშაოს კოლექტიურ შეწყვეტას და მენარმეებისადმი ანუ სახელმწიფოსადმი ეკონომიკური (ხანდახან პოლიტიკურიც) მოთხოვნების წაყენებას. გ. უ. ფართოდ იქნა აღიარებული ომის შემდგომ პერიოდში, თუმცა ე.წ. სოციალისტურ ქვეყნებში კონსტიტუციებით არასოდეს არ იყო ცნობილი. გ. უ. აქვს მნიშვნელოვანი შეზღუდვები. გ. უ. არ გააჩნიათ სამხედრო მოსამსახურებს, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლებს, სახელმწიფო მოსამსახურეებს (მოხელეებს). გაფიცვა ითვლება კანონიერად, თუ იგი დაიწყო და ჩატარდა კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო წესით იგი ცნობილ იქნება უკანონოდ, რაც გამოიწვევს მასში მონაწილე პირების იური-დიულ პასუხისმგებლობას, საქართველოს კონსტიტუციით გ. უ. აღიარებულია 33-ე მუხლით.

გენერალური ატორნეი (ინგლისური Attorney General) – დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, ბრაზილიაში, ვენესუელასა და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში იუსტიციის ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის პირი. დიდ ბრიტანეთში გ. ა. – მინისტრთა კაბინეტის წევრი, მთავრობის მთავარი იურისკონსულტი, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლო და სხვა იურიდიულ საქმეებს განაგებს, მხარს უჭერს სასამართლოში ბრალდებას ისეთ საქმეებზე, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა. აშშ-ში გ. ა. – იუსტიციის დეპარტამენტის მეთაური (მინისტრი), იმავდროულად წარმოადგენს ფედერალური მთავრობის მთავარ იურისკონსულტს. გ. ა. თანამდებობა არსებობს აშშ-ის ზოგიერთ შტატშიც.

გენერალური აუდიტორი (ინგლისური Auditor-General) – ზოგიერთ ქვეყანაში (ინდოეთი, ნეპალი, კენია, ზამბია და ა.შ.) უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც ხელმძღვანელობს

სახელმწიფოში საფინანსო-საბიუჯეტო კონტროლის სამსახურს. ინიშნება რესპუბლიკის პრეზიდენტის ან გენერალ-გუბერნატორის მიერ, პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, ზოგჯერ პარლამენტის დამტკიცებით. თანამდებობაზე იმყოფება განსაზღვრული ასაკის მიღწევამდე (მაგ. ზამბიაში 60 წელი) და შეიძლება გადაყენებულ იქნეს მხოლოდ იმპიჩმენტის წესით, რაც მისი დამოუკიდებლობის გარანტიას წარმოადგენს. გ. ა. დამოუკიდებლად აყალიბებს სამსახურს.

გენერალური კორტესი – ორპალატიანი პარლამენტის სახელწოდება ესპანეთში.

გენერალური შტატები – ორპალატიანი პარლამენტის სახელწოდება ნიდერლანდებში.

გუბერნატორი (ლათინური გუბერნატორ – მმართველი) – ზოგიერთი სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულებში უმაღლესი ადმინისტრაციული არჩევითი ან დანიშნითი პირი. როგორც წესი, გ. ხელმძღვანელობს შტატებისა და ფედერაციის სხვა სუბიექტთა აღმასრულებელ ხელისუფლებას, თუმცა აგრეთვე შეუძლია იყოს საქალაქო მმართველობის მეთაური. უკანასკნელ ხანს „გ“ სულ უფრო ხშირად იხმარება პრეზიდენტის რწმუნებულთა თანამდებობის აღსანიშნავად.

დ

დამატებითი არჩევნები – წარმომადგენლობითი ორგანოს მოწვევის პერიოდში ამ ორგანოში არსებული ვაკანსიების შევსება ვადაზე ადრე გამოკლებული ცალკეული დეპუტატების ნაცვლად.

დაფუძნებული კრება – უმაღლესი სახელმწიფო ორგანო, რომელიც აირჩევა კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების მიზნით. ამასთან ერთად, გ. კ. თავისი საქმიანობის პერიოდში ჩვეულებრივ ახორციელებს საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციებსაც.

საქართველოში 1919 წლის 14-17 თებერვალს გაიმართა საქართველოს გ. კ. არჩევნები. 1921 წლის 21 თებერვალს კი თავის ბოლო სხდომაზე მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია.

დაფუძნებული სესია – ახალარჩეული პარლამენტის პირველი სესიის სახელწოდება, რომელზეც იქმნება მოცემული პარლამენტის მუშა ორგანოები (კომიტეტები, კომისიები), აირჩევა მისი ხელმძღვანელები – თავმჯდომარეები, სპიკერები და სხვა. აგრეთვე ტარდება სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები.

დეკლარაცია (ფრანგული დეკლარაციონ – განცხადება) – კონსტიტუციურ სამართალში ცალკეული პოლიტიკური იურიდიული აქტების სახელწოდება, რომლებშიც ჩამოყალიბებულია სახელმწიფოს მთელი კონსტიტუციურ-სამართლებრივი განვითარებისათვის სავალდებულო პრინციპები (მაგ., დეკლარაცია სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ, ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია და ა.შ.). დეკლარაციის, როგორც ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის, სპეციფიკურ ხასიათს წარმოადგენს მასში მოცემული დებულებების ძალზე ზოგადი, არაკონკრეტული ხასიათი, რომლებიც მოითხოვენ დამატებით საკანონმდებლო რეგულირებას.

დეკრეტი – ზოგადი ან კერძო ხასიათის ნორმატიული აქტის სახელწოდება. პირველად ტერმინის „დ“ აღმოცენდა ძველ რომში. დ. გამოსცემენ პრეზიდენტები ზოგიერთ ქვეყანაში კი (მაგ. საფრანგეთი) პრეზიდენტის „დ“. იურიდიულ ძალას იძენს პრემიერ-მინისტრის ან შესაბამისი მინისტრის ხელის მოწერიის შემდგომ. საქართველოში 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად დ გამოსცემს საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც წარედგინება პარლამენტს მისი შეკრებისთანავე (73-ე მუხლის 1 პუნქტის „თ“ პუნქტი). საქართველოს პრეზიდენტის დ. კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტია, რომელიც გამოიცემა მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის დროს.

დემოკრატია (ბერძნული დემოკრატია – ხალხის ხელისუფლება, დემოს – ხალხი და კრატოს – ხელისუფლება) – სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომელიც დაფუძნებულია სახალხო ხელისუფლების, მოქალაქეთა თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებზე. დ. როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური მონყობის ფორმა აღმოცენდა სახელმწიფოს აღმოცენებასთან ერთად (ძველი ათენი). თანამედროვე საზოგადოებაში დ. ნიშნავს უმრავლესობის ძალაუფლებას უმცირესობის უფლებების დაცვით. ძირითადი

სახელმწიფო ორგანოების არჩევითობის უფლებების დაცვით, ძირითადი სახელმწიფო ორგანოების არჩევითობის განხორციელებას, მოქალაქეთა უფლებებისა და პოლიტიკური თავისუფლებების არსებობას, მათ თანასწორობას, კანონის უზენაესობას, კონსტიტუციონალიზმს, ხელისუფლების დანაწილებას. განასხვავებენ უშუალოდ დ. (ძირითადი გადაწყვეტილებები მიიღება უშუალოდ მოქალაქეების მიერ რეფერენდუმებსა და ა.შ.) და წარმომადგენლობით დ. (გადაწყვეტილებები მიიღება არჩევითი ორგანოების – პარლამენტების მიერ და სხვა). დ. ინსტიტუტებმა თავისი განვითარება მიიღო სამართლებრივ სახელმწიფოში.

დემოკრატიული სახელმწიფო – სახელმწიფოს დემოკრატიული ხასიათი მუდავნდება კონსტიტუციის მრავალი ნორმიდან. შეეხება ზოგად პრინციპებს, უფლებებსა და თავისუფლებებს, ხელისუფლების ორგანიზაციას და ა.შ. მაგრამ, მხოლოდ კონსტიტუცია როდი განსაზღვრავს სახელმწიფოს დემოკრატიულ ბუნებას, რადგან ისტორიისათვის ცნობილია სახელმწიფოები, სადაც კონსტიტუციები აღიარებდნენ დემოკრატიულ ფასეულობებს, ფაქტობრივად კი, მათი რეალიზაცია არ ხერხდებოდა (მაგ. სსრკ). სახელმწიფოს დემოკრატიულობა პირველყოვლისა გამოიხატება მის ისეთ ორგანიზაციაში, როცა მოქალაქეებს რეალურად ენიჭებათ შესაძლებლობები ზეგავლენა მოახდინონ სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების მიღებაზე. ამ გადაწყვეტილებებით მიაღწიონ კანონზომიერი სოციალური ინტერესების რეალიზაციას. მაგრამ იმისათვის, რომ ეს შესაძლებლობა იქცეს სინამდვილედ აუცილებელია დამატებითი პირობების არსებობაც: ეს არის დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი და პოლიტიკურ-სამართლებრივი კულტურა (იხ. აგრეთვე დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი).

დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი – პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა. ხასიათდება უმაღლესი დონის პოლიტიკური თავისუფლებით, იმ პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების რეალურად არსებობით, რომლებიც ქმნიან ასეთი თავისუფლების გარანტიებს. ესენია: წარმომადგენლობითი და უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტები, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების

დაცვის უზრუნველყოფა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამოუკიდებლობა, პარტიული პლურალიზმი ხელისუფლების დანაწილება, თვითმმართველობის განვითარება, უმცირესობისათვის გარანტიები შექმნა და ა.შ. საჯარო ხელისუფლების ორგანოები ძალისმიერ მეთოდებს იყენებენ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

დეპარტამენტი (ფრანგული დეპარტამენტი) – 1) ძირითადი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საფრანგეთსა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში. 2) ზოგიერთ სახელმწიფოში მაგ.: აშშ-ში, შვეიცარიაში, რუსეთში, საქართველოში) – უწყების ან სამინისტროს სახელწოდება.

დეპუტატი (ლათინური დეპუტატუს – წარგზავნილი) – სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ან სხვა წარმომადგენლობით ორგანოში არჩეული პირი ამ ორგანოში მთელი მოსახლეობის ან მისი გარკვეული ნაწილის წარმომადგენელი. დ. მუშაობს შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოში პროფესიონალურ სანყისებზე ან პირიქით, თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად. დ. სტატუსი დადგენილია კონსტიტუციითა და სპეციალური კანონებით.

დეპუტატების კონგრესი – ესპანეთის პარლამენტის ქვედა პალატის სახელწოდება.

დეპუტატების პალატა – საბერძნეთის ერთპალატიანი პარლამენტისა და ბოლივიის, ბრაზილიის, იტალიის, კოლუმბიის, მექსიკის, რუმინეთის, ჩინეთის, ჩილეს პარლამენტის ქვედა პალატების სახელწოდება.

დიდი ეროვნული კრება – თურქეთის ერთპალატიანი პარლამენტის სახელწოდება.

დიდი სახალხო ხურალი – მონღოლეთის საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) სახელწოდება.

დინასტია – მონარქიული სახელმწიფოების კონსტიტუციურ სამართალში დადგენილი წესით ტახტის მემკვიდრეობის მონაცვლეობა სახელმწიფოს მეთაურის პოსტის დასაკავებლად.

დისკონტინუიტეტი (ინგლისური დისკონტინუიტყ – შეწყვეტა, წყვეტილობა) – საპარლამენტო პროცედურის წესი, რომლის თანახმად მოცემული სესიის დროს პარლამენტში შეტანილი ყველა კანონპროექტი უნდა

დამტკიცდეს მის დასრულებამდე. კანონპროექტის განხილვისა და მასზე კენჭისყრის ჩატარების გადატანა შემდეგი სესიისათვის დაუშვებელია. დ. გამოიყენება იმ ქვეყნებში, სადაც ყველა სესია განიხილება როგორც მისი საქმიანობის ორგანიზაციულად დასრულებული ნაწილი (მაგ.: დიდი ბრიტანეთი, აშშ), სხვა ქვეყნებში (მაგ.: საფრანგეთში). დ. არ გამოიყენება, რადგანაც ითვლება, რომ პარლამენტი მუშაობს უწყვეტად. დ. გამოიყენება მმართველი პარტიების მიერ იმისათვის, რომ ფაქტობრივად მოუსპონ ოპოზიციის დეპუტატებს საკანონმდებლო ინიციატივა, რამეთუ პარლამენტის პალატის რეგლამენტში ასეთი წესის არსებობისას საკმარისია შეაჩერონ მათთვის არასასურველი კანონპროექტის განხილვა სესიის ბოლომდე, რომ ის არ იქნეს მიღებული საქართველოში დ. წესი არ გამოიყენება.

დისკრეციული ხელისუფლება (ფრანგული დისკრეტიონნაირე – პირად შეხედულებაზე დამოკიდებული) – რომელიმე ორგანოს ან თანამდებობის პირისათვის უფლებამოსილებების მინიჭება იმოქმედოს საკუთარი შეხედულებებისამებრ კანონის ფარგლებში. მაგ.: საპარლამენტო რესპუბლიკაში სახელმწიფოს მეთაურს ჩვეულებრივ პირობებში არა აქვს უფლება გამოსცეს ნორმატიული აქტები პრემიერ-მინისტრის ან შესაბამისი მინისტრის დოკუმენტზე ხელის მოწერის (კონტრასიგნატურის) გარეშე, ხოლო საგანგებო გარემოებების დროს მას შეუძლია გამოსცეს ისინი დისკრეციულად, კონტრასიგნატურის გარეშე. განსაკუთრებით ხშირად დ. ს. ხორციელდება ადმინისტრაციული ორგანოებისა და სასამართლოების მიერ, რაც პრაქტიკაში ასეთ დემოკრატიულ პრინციპებზე უარის თქმას ნიშნავს, როგორცაა: პიროვნების ხელშეუხებლობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია, შედეგად ინვეეს დადგენილი პროცედურის დარღვევას და ა.შ.

დისტრიქტი (ინგლისური დისტრიცტ) – ადმინისტრაციული, სასამართლო, საარჩევნო ოლქი საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყნებში.

დომინიონი (ინგლისური დომინიონ ლათინურისაგან დომინიუმ – მფლობელობა, ფლობა) – ყოფილი იმპერიის თვითმმართველი ნაწილების, ხოლო 1931 წლის შემდეგ ინგლისის ყოფილი კოლონიების სახელწოდება, რომლებმაც

დამოუკიდებლობა მიიღეს, თუმცა თანამეგობრობის წევრებად დარჩნენ და სახელმწიფოს მეთაურად ინგლისის მონარქს თელიან, რომელიც ამ ქვეყნებში წარმოდგენილია ინგლისელი გენერალ-გუბერნატორის მეშვეობით. დღესდღეობით ტერმინი „დ“ პრაქტიკულად აღარ იხმარება.

დონტის მეთოდი – პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის არჩევნებისას მანდატების განაწილების მეთოდი, რომელიც დანერგა ბელგიელმა მათემატიკოსმა ვიქტორ დონტმა. დ. მ. შესაბამისად, საარჩევნო ოლქში ყოველი პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რიცხვი თანაპიმდევრულად იყოფა 1, 2, 3, 4-ზე და ა.შ. იმ ციფრამდე, რომელიც შეესაბამება სიების რიცხვს. შემდეგ მიღებულ განაყოფებს ანაწილებენ კლების მიხედვით. განაყოფი, რომლის რიგითი ნომერი შეესაბამება დასაკავებელი მანდატების რიცხვს, წარმოადგენს საერთო განაყოფს. ყველა სია ლეზულობს იმდენ ადგილს, რამდენჯერაც თავსდება საერთო განაყოფი ამ სიის მიერ მიღებული ხმების რიცხვში.

დრუპის მეთოდი – პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს, მანდატების განაწილების მეთოდი პირველად შემოთავაზებული იქნა 1868 წელს გ. დრუპის მიერ. მდგომარეობს იმაში, რომ თ. ხერის მეთოდის მიხედვით საარჩევნო განაყოფის განსაზღვრისას (იხ. ხერის მეთოდი) მნიშვნელს ემატება ციფრები 1, 2, 3, 4... მანამდე, ვიდრე არ მიიღება განაყოფი, რომელიც საშუალებას იძლევა განაწილდეს ყველა მანდატი.

დუალისტური მონარქია – კონსტიტუციური მონარქიის ერთ-ერთი სახე (იხ. აგრეთვე მონარქია), წარმოადგენს ისტორიულად გარდამავალ ფორმას აბსოლუტური მონარქიიდან საპარლამენტო მონარქიაზე. დ. მ. დროს მონარქის ხელისუფლება შეზღუდულია კონსტიტუციით, თუმცა მონარქი როგორც ფორმალურად (ე.ი. კონსტიტუციური ნორმების ძალით) და უფრო მეტად ფაქტობრივად (დემოკრატიული ინსტიტუტების განუვითარებლობის გამო) ინარჩუნებს ფართო სახელისუფლებო უფლებამოსილებებს, რაც საშუალებას აძლევს მას იმყოფებოდეს მოცემული სახელმწიფოს მთელი პოლიტიკური სისტემის შუაგულში. მაგ., დ. მ. დროს მთავრობა ფორმალურად ატარებს ორმაგ პასუხისმგებლობას მონარქისა და პარლამენტის წინაშე, თუმცა, როგორც მთავრობა, რეალურად ემორჩილება

მონარქის ნებას. თანამედროვე პირობებში დ. მ. არსებობს მაროკოში, იორდანიაში, ტაილანდში, ნეაპოლსა და მალაიზიაში.

დუალისტური რესპუბლიკა – კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში არის ტერმინი, რომელიც გამნოიყენება „საპრეზიდენტო რესპუბლიკის“ ტერმინის სინონიმად.

დუმა – 1993 წლიდან რუსეთის ფედერაციის ზოგიერთ სუბიექტებში წარმომადგენლობითი (საკანონმდებლო) ხელისუფლების ორგანოთა სახელწოდება (მაგ., მოსკოვის საქალაქო დ., სახელმწიფო დ. სტავროპოლის მხარეში და ა.შ.

ე

ედესკუნტი – ფინეთის ერთპალატიანი პარლამენტის სახელწოდება.

ევენტუალური ვოტუმი – (იხ.: ვოტუმი)

ეთნიკური წარმომადგენლობა – წარმომადგენლობითი ხელისუფლების ორგანიზაციის პრინციპი, რომლის შესაბამისად წარმომადგენლობითი დაწესებულებების დეპუტატები წარმოადგენენ ქვეყნის არა მთელ მოსახელობას, არამედ განსაზღვრულ ეთნიკურ ჯგუფებს, რომელთაგანაც ისინი უშუალოდ აირჩევიან. თანამედროვე მსოფლიოში ე. წ. იშვიათად გამოიყენება. იგი ეწინააღმდეგება თანასწორი წარმომადგენლობის პრინციპს, აქედან გამომდინარე კი მოქალაქეთა თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპსაც, თითქმის უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენს ფიჯი, სადაც 1991 წლის კონსტიტუციით ე. წ. საფუძველად აქვს დადებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის მთელ სისტემას. ზოგიერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში ე. წ. დამხმარე ხასიათი გააჩნია და მცირერიცხოვანი აბორიგენი ხალხის ინტერესების დაცვის კონსტიტუციურ საშუალებად გვევლინება. ასე მაგალითად, ინდოეთში, სლოვენისა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოებში დეპუტატების გარკვეული რაოდენობა აირჩევა ეროვნული ოლქების მიხედვით (იხ. ეროვნული საარჩევნო ოლქი) ან სხვა საშუალებით მცირე ეთნიკური ჯგუფებიდან.

ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან – სახელმწიფო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის ურთიერთობის

დემოკრატიული პრინციპი, რომლის თანახმად ეკლესია წარმოადგენს კერძო ორგანიზაციას, რომელსაც არავითარი სახელმწიფო ფუნქციები არ გააჩნია, ხოლო თვით სახელმწიფო არ ერევა შიდა საეკლესიო საქმეებში. თანამედროვე კონსტიტუციების უმრავლესობაში ე. გ. ს. განმტკიცებულია ან ამ პრინციპის უშუალო აღიარების გზით, ან იმის მითითებით, რომ მოცემული სახელმწიფო საერო (სეკულარული) ხასიათისაა. ზოგიერთ ქვეყანაში (დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, შვეცია, ნორვეგია, საკანონმდებლო წესით არის განმტკიცებული კავშირი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, ხოლო ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყნებში მოქმედებს ე.წ. „პატრონატის უფლება“ – ეკლესია მოქცეულია სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ (არგენტინა, ბოლივია, ვენესუელა, კოლუმბია, პარაგვაი, პერუ).

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-9 მუხლი აცხადებს ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან, აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, თუმცა ადგენს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას.

ელექტორატი (ლათინური ელექტორ – ამომრჩეველი) – ამომრჩეველთა წრე, რომელიც ხმას აძლევს რომელიმე პარტიას საპარლამენტო, საპრეზიდენტო ან მუნიციპალურ არჩევნებში.

ენობრივი ცენზი – მოთხოვნა, რომლის თანახმად, საარჩევნო უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია მოცემული სახელმწიფოს ოფიციალური (სახელმწიფო) ენის ცოდნა. გავრცელებულია ზოგიერთ მრავალეროვან სახელმწიფოში. ზოგჯერ საერთო წესის გარდა დადგენილია კვალიფიციური ე. ც. მაგ., ყაზახეთის 1993 წლის კონსტიტუციის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიძლება იყოს ყაზახეთის მოქალაქე, რომელიც სრულყოფილად ფლობს სახელმწიფო ენას, მაშინ, როცა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატისათვის საკმარისია სახელმწიფო ენის უბრალო ფლობა.

ერთპალატიანი სისტემა (მონოკამერალიზმი) – ზოგიერთ ქვეყანაში უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს – პარლამენტის სტრუქტურა, რომელიც გამორიცხავს მის დაყოფას პალატებად (იხ. ორპალატიანი სისტემა). დღესდღეობით მსოფლიოში არსებული

პარლამენტების უმრავლესობა (60%-მდე) აგებულია ე. ს. ასეთი სისტემა ახასიათებს უნიტარულ სახელმწიფოებს. უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა უნიტარული სახელმწიფოების გადასვლა ორპალატიან სისტემაზე (რუმინეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, ხორვატია) და პირიქით, - ორპალატიანიდან ერთპალატიანზე (შვეცია, დანია, ახალი ზელანდია).

საქართველოს პარლამენტი დღესდღეობით წარმოდგენილია ერთი პალატის შემადგენლობით, თუმცა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტი აირჩევა ორპალატიანი სისტემით.

ერთპარტიული სისტემა - (იხ. პარტიული სისტემა).

ერი (ლათინური ნატიო - ხალხი, თემი) - 1) კონსტიტუციური სამართლის თეორიაში ადამიანთა ისტორიული ერთობა, ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც დაკავშირებული არიან მათთვის საერთო კულტურული ინტერესებით, ტრადიციებითა და ფასეულობებით, თანაც მოცემული ტრადიციები და ფასეულობები მოცემულ ადამიანთა ჯგუფის მიერ აღიქმება, როგორც მოცემული ეროვნების დამახასიათებელი და სხვა ეროვნებისაგან განმასხვავებელი ნიშნები. 2) ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციურ სამართალში ამ ტერმინს ჩვეულებრივ აქვს „სახელმწიფოს“, „საზოგადოების“, „ყველა მოქალაქეთა ერთობლიობის“ დანიშნულება.

ერი (ესპანური ნაციონალიდად) - ზოგიერთ რომანულ სახელმწიფოში არსებული ტერმინი, რომელიც გამოიყენება მოქალაქეობის ამ ქვეშევრდომობის (ესპანეთი) ან პირის ურთიერთობის აღსანიშნავად განსაზღვრული ეროვნული სახელმწიფოსადმი. ეს ურთიერთობა არ ემთხვევა მთლიანად მოქალაქეობის ურთიერთობებს. მაგ., მექსიკაში მოქალაქეებად ითვლებიან მხოლოდ ის პირები, რომლებსაც მექსიკური ეროვნება აქვთ, ამას გარდა, სრულწლოვანების ასაკს მიაღწიეს და ცხოვრების ღირსეულ წესს მისდევენ.

ეროვნების ცენზი - კონსტიტუციის ან საარჩევნო კანონის მოთხოვნა. რომლის თანახმად აქტიური ან პასიური საარჩევნო უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია გარკვეული ეროვნებისადმი კუთვნილება. აქტიური ან პასიური

საარჩევნო უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია გარკვეული ეროვნებისადმი კუთვნილება. აქტიური საარჩევნო უფლების შეზღუდვა ე. ც. მეშვეობით დღესდღეობით ფაქტობრივად აღარ გვხვდება, თუმცა მოცემულ საფუძველზე პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვასაც აქვს ადგილი. მაგალითად, სირიის 1973 წლის კონსტიტუციის თანახმად, ამ სახელმწიფოს პრეზიდენტი შეიძლება იყოს მხოლოდ არაბი ეროვნების პირი, ხოლო თურქმენეთის 1992 წლის კონსტიტუცია ქვეყნის პრეზიდენტად არჩევის უფლებას ანიჭებს მხოლოდ თურქმენს. ამასთან, აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია ტერმინოლოგიურად არ განასხვავებს ეროვნებას მოქალაქეობისაგან. მაგ., გფრ ძირითადი კანონი, მიუთითებს რა „გერმანელების“ შესახებ, გულისხმობს ამ სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმოშობისა და ა.შ.

ეროვნული ასამბლეა – პარლამენტის სახელწოდება კუბაში, ვიეტნამში, სლოვენიაში, ლაოსში, ნამიბიასა და სხვა სახელმწიფოებში.

ეროვნული თანასწორობა – კონსტიტუციური პრინციპი, რომელიც ნიშნავს: 1) ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა თანასწორობას მათი ეროვნების მიუხედავად (იხ. მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა), აგრეთვე ადამიანის უფლებათა თანასწორობას ეროვნების მიუხედავად; 2) კონკრეტულ სახელმწიფოში ეროვნული ერთობების უფლებათა თანასწორობას.

ეროვნული კონგრესი – ორპალატიანი პარლამენტების სახელწოდება ბრაზილიაში, ჩილეში.

ეროვნული საარჩევნო ოლქი – საარჩევნო ოლქების სახე, რომლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი იქმნება არა ტერიტორიული, არამედ ეროვნული პრინციპით, ე.ი. ამომრჩევლებად ასეთ ოლქებში გვევლინება ქვეყნის ყველა მცხოვრები, რომელიც მიეკუთვნება განსაზღვრულ ეროვნებას, მაგალითად, ყირიმის რესპუბლიკის 1994 წლის საპარლამენტო არჩევნებისას ტერიტორიული და საერთო რესპუბლიკური საარჩევნო ოლქების გარდა შეიქმნა 5 ე. ს. ო. სომხური, ბულგარული, ბერძნული, გერმანული (ერთმანდატიანი) და ყირიმული თათრების (მრავალმანდატიანი), შესაბამისი ეროვნების ყოველ ამომრჩეველს შეეძლო

დამოუკიდებლად გადაენწყვიტა რომელ ოლქში მიეცა ხმა – ტერიტორიულში თუ ეროვნულში.

თანამედროვე კონსტიტუციურ პრაქტიკაში ე. ს. ო. შექმნა შედარებით იშვიათი მოვლენაა. მისი მიზანია უზრუნველყოს სახელმწიფოში არსებული შედარებით მცირერიცხოვანი ეროვნული ჯგუფების წარმომადგენლობა პარლამენტში.

ეროვნული საბჭო – სლოვაკიის ერთპალატიანი პარლამენტის და შვეიცარიის პარლამენტის ზედა პალატის სახელწოდება.

ეროვნული სახელმწიფო – სახელმწიფო კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის დახასიათება, რომელიც ნიშნავს, რომ მოცემული სახელმწიფო წარმოადგენს კონკრეტული ერის თვითგამორკვევის ფორმას, გამოხატავს, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ ერის ნებას. სახელმწიფოს ეროვნული ხასიათის შესახებ დებულება გამოხატულია, მაგალითად, რუმინეთის 1991 წლის კონსტიტუციის I მუხლში.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მონყობის ფორმა – (იხ. სახელმწიფოებრივი მონყობის ფორმა).

ეროვნული სუვერენიტეტი – (იხ. სუვერენიტეტი).

ეროვნული წარმომადგენლობა – კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპი, რომლის შესაბამისად ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არჩეული დეპუტატი წარმოადგენს მასში არა იმ კონკრეტულ საარჩევნო ოლქის ან ტერიტორიის ამომრჩევლებს, არამედ მთელ ერს (ხალხს). ე. წ. გულისხმობს დეპუტატისათვის თავისუფალი მანდატის არსებობას, რომლის თანახმად დეპუტატს არა აქვს იურიდიული მოვალეობა შეასრულოს თავისი ამომრჩევლების განაწესები. ე. წ. ნიშნავს აგრეთვე, რომ იმ ტერიტორიის დაკარგვა, საიდანაც იყო არჩეული კონკრეტული დეპუტატი, არ იწვევს მისი სადეპუტატო უფლებამოსილების ავტომატურ შეწყვეტას.

ექსპატრიაცია – კონსტიტუციური პრინციპი, რომლითაც იკრძალება ქვეყნიდან საკუთარი მოქალაქეების გაძევება.

ექსტრაორდინალური სესია – (იხ. პარლამენტის სესია).

ექსტრადიცია (ლათინური ეხტრადიციო) – ერთი სახელმწიფოს მიერ უცხო სახელმწიფოსათვის თავისი

მოქალაქის ან უცხოელის გადაცემა. თანამედროვე კონსტიტუციებით იკრძალება სახელმწიფოს მიერ თავისი მოქალაქეების გადაცემა უცხო სახელმწიფოსათვის. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი ამ პრინციპს ითვალისწინებს. თუმცა, იმავე მუხლით, ასეთი მოქმედება დასაშვებია საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საერთა-შორისო სამართლის ზოგადდღიარებული პრინციპების შესაბამისად ე. არ დაიშვება იმ სახელმწიფოებში, სადაც გადაცემულ პირს სიკვდილით დასჯა ან წამება ემუქრება. საქართველოში დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს პირი, რომელიც იდევენება პოლიტიკური მრწამსისათვის, აგრეთვე იმ მოქმედებისათვის (ან უმოქმედობისათვის), რაც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.

3

„ენსტიმინსტერის მოდული“ – კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში მმართველობას საპარლამენტო სისტემის ერთ-ერთი გავრცელებული სახელწოდება (იხ. პარლამენტარიზმი). ტერმინი წარმოდგება ინგლისის პარლამენტის რეზიდენციის სახელწოდებიდან ითვლება პარლამენტარიზმის სამშობლოდ. ხოლო მისი შინაარსი გულისხმობს ისეთ მოდელს, როცა სახელმწიფოს მეთაური პალატებთან ერთად წარმოადგენს პარლამენტის შემადგენელ ნაწილს, რომელსაც ვხდებით დიდ ბრიტანეთში.

ვეტო (ლათინური ვეტო – აკრძალვა) – თანამედროვე სახელმწიფოებში ეს არის აქტი, რომელიც აჩერებს ან კრძალავს რომელიმე ორგანოს გადამწყვეტილების ძალაში შესვლას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მეთაურისათვის მინიჭებულ ვ. დადების უფლებას პარლამენტის მიერ მიღებულ კანონზე. განასხვავებენ აბსოლიტურ (ანუ რეზოლუციურ) ვ., როცა სახელმწიფოს მეთაურის უარი კანონის სანქციონირებაზე მხოლოდ აჩერებს მის ძალაში შესვლას, რამდენადაც პარლამენტს უფლება ენიჭება ეს კანონი განმეორებითი კენჭისყრით მიიღოს ამასთან, კანონპროექტის განმეორებით (საბოლოოდ) მისაღებად ზოგიერთი ქვეყნის პარლამენტში საჭიროა ხმათა კვალიფიციური უმრავლესობა.

საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს სუსპენსიური ვეტოს უფლება აქვს.

კანონის განმეორებით მისაღებად საჭიროა პარლამენტის სიითი უმრავლესობას არანაკლებ სამი მეოთხედის მხარდაჭერა, კონსტიტუციის შესწორება კი მიღებულად ჩაითვალება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

განასხვავებენ ასევე ზოგად და ნანილობრივ (შერჩევით) ვ. პირველი ნიშნავს მხოლოდ მთლიან შინაარსის უარყოფას, მეორე კი შეიძლება დაედოს ამა თუ იმ აქტის ცალკეულ ნაწილებს ან მუხლებს.

ვეტოს უფლება – (იხ. ვეტო).

ვიცე-პრეზიდენტი – პრეზიდენტის მუდმივი მოადგილე რესპუბლიკური მმართველობის ფორმის სახელმწიფოებში (აშშ, ბრაზილია, ინდოეთი, ყაზახეთი და ა.შ.). ვ. პ. როგორც წესი, აირჩევა იმავე ვადითა და იმავე წესით, როგორითაც – პრეზიდენტი. ჩვეულებრივ, ვ. პ. კანდიდატის მიმართ მოთხოვნები პრეზიდენტობის კანდიდატის ანალოგიურია. ზოგიერთი ქვენის კონსტიტუციის თანახმად (აშშ, ინდოეთი, არგენტინა) ვ. პ. თანამდებობის მიხედვით წარმოადგენს პარლამენტის ზედა პალატის თავმჯდომარეს. განსაკუთრებულ შემთხვევებში (პრეზიდენტის სიკედილი, გადადგომა, ავადმყოფობა და ა.შ.) ვ. პ. ან ავტონომიურად ხდება პრეზიდენტი (მაგ., აშშ-ში, არგენტინაში), ან ცვლის მას დროებით (ინდოეთი).

საქართველოს კონსტიტუციით ვ. პ. თანამდებობა არ არის გათვალისწინებული.

ვოტუმი (ლათინური ვოტუმ – ნება, სურვილი) – საარჩევნო კორპუსის ან წარმომადგენლობითი დაწესებულების ხმათა უმრავლესობით მიღებული ან გამოხატული აზრი ან დადგენილება. მაგ. საარჩევნო ვ. – პარლამენტის, პრეზიდენტის, მუნიციპალიტეტების საარჩევნო კომპანიის შედეგები. საპარლამენტო მმართველობის ფორმის მქონე სახელმწიფოების საპარლამენტო პრაქტიკაში ვ. როგორც წესი, არის ქვედა პალატის მიერ გამოხატული ნდობა ან უნდობლობა პოლიტიკური მიმართულების, მთავრობის მიერ წარდგენილი კანონ-

პროექტის ან ცალკეული მინისტრის მიმართ. ნდობის ვ. შესახებ საკითხის დაყენების ინიციატივა შეიძლება მიმდინარეობდეს თვით მთავრობისადნმი უნდობლობის ვ. პრაქტიკულად იწვევს ან მოცემული მთავრობის გადადგომას და ახლის ჩამოყალიბებას (ე.ი. სამთავრობო კრიზისს), ან პარლამენტის (ქვედა პალატის) დათხოვნას და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. მეორე ვარიანტი შესაძლებლობას აძლევს მთავრობას შანტაჟი მოუწყოს პარლამენტს ვადამდელი დათხოვნის მუქარით და ამით პარლამენტის მეშვეობით გაატაროს არაპოპულარული კანონპროექტები; მრავლობითი (პლურალური) ვ. – ზოგიერთ ქვეყანაში ნიშნავს არჩევნების დროს ამა თუ იმ ამომრჩეველთა კატეგორიის მიერ პროპორციული სისტემით არჩევნებისას კენჭისყრის შედეგების დადგენას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ განსაზღვრული კანდიდატისათვის მოცემული ხმები, რომელებიც აღემატება საარჩევნო კვოტას, გადაეცემა სხვა კანდიდატს იმავე პარტიული სიიდან; სავალდებულო ვ. – ზოგიერთ ქვეყანაში არსებული ყველა ქმედუნარიანი მოქალაქის იურიდიული მოვალეობაა მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ორგანოების არჩევნებში ჯარიმის დაკისრების მუქარის გარეშე.

ზ

ზეუნყებრივი უფლებამოსილებები – რიგ ქვეყნებში ზოგიერთი უწყების (ძირითადად სამინისტროების) განსაკუთრებული კომპეტენციით აღჭურვა. ნიშნავს, რომ მასთან რანგით გათანაბრებული სხვა უწყებები ზოგიერთ თავის უფლებამოსილებას ახორციელებენ ზ. უ. მქონე უწყებების თანხმობით და მათი კონტროლის ქვეშ (მაგ. ფინანსთა სამინისტრო კუბაში).

თ

თავისუფალი მანდატი – წესი, რომლის თანახმად წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი არ არის დაკავშირებული ამომრჩეველთა განაწესებთან და არ არის პასუხისმგებელი მათ წინაშე. შესაბამისად, არ არსებობს ამომრჩეველთა მიერ პარლამენტის წევრის ვადამდე განწვევის

შესაძლებლობა. ამასთან, დეპუტატი არის არა კონკრეტული საარჩევნო ოლქის, არამედ სრულიად სახელმწიფოს წარმომადგენელი. ეს პრინციპი ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქმედებს. თ. მ. საპირისპირო წესს წარმოადგენს იმპერატიული მანდატი. საქართველოში, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 52-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად პარლამენტის წევრი სარგებლობს თავისუფალი მადატით.

თანასწორი საარჩევნო უფლება – საარჩევნო სისტემის პრინციპი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სამი პირობის არსებობას: 1. ყოველ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ხმების ერთნაირი რაოდენობა (ხშირად ერთი ხმა, თუმცა შესაძლებელია სხვა ვარიანტებიც, მაგ., გფრ-ში ამომრჩეველს ენიჭება 2 ხმა: პირველი – საარჩევნო ოლქში დეპუტატის ასარჩევად, ხოლო მეორე – მიწის სიით ბუნდესტაგში ასარჩევად); 2. საჭიროა, რომ ყოველ დეპუტატს ჰყავდეს ამომრჩეველთა დაახლოებით ერთნაირი რაოდენობა; 3. დაუშვებელია ამომრჩეველთა დაყოფა ქონებრივი, ეროვნული, რელიგიური და სხვა ნიშნების მიხედვით.

თეოკრატიული სახელმწიფო – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმა, რომლის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლება საეკლესიო იერარქიას ეკუთვნის. თანამედროვე პირობებში თ. ს. მაგალითად გვევლინება სახელმწიფო-ქალაქი – ვატიკანი, რომელიც წარმოადგენს აბსოლუტურ თეოკრატიულ მონარქიას. ვატიკანში საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის პაპს, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ირჩევს კარდინალთა კოლეგია. თ. ს. უნდა განვასხვავოთ ე.წ. კლერიკალური სახელმწიფო (იხ. კლერიკალური სახელმწიფო).

ი

იმიგრაცია – ამა თუ იმ ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა შესვლა დროებით ან მუდმივად საცხოვრებლად (იმიგრანტი). ქვეყნების უმრავლესობაში, სადაც მიემართებიან იმიგრანტები, დადგენილია სპეციალური საიმიგრაციო კვოტები, რომელთა ფარგლებშიც

რეგულირდება უცხოელ მოქალაქეთა ყოველწლიური მოზღვაება.

იმპაუნდმენტი - (ინგლისური იმპოუნდმენტ) - აშშ-ს კონსტიტუციურ პრაქტიკაში ნიშნავს პრეზიდენტის უარის თქმას იმ სახსრების მთლიანად ან ნაწილობრივ ხარჯვაზე, რომლებიც კონგრესის მიერ საკანონმდებლო წესით იყო გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენების მიზნით.

იმპერატიული მანდატი - წესი, რომლის თანახმად პარლამენტის წევრი დაკავშირებულია ამომრჩეველთა განაწესებთან და მთელ თავის საქმიანობაში პასუხისმგებელია მათ წინაშე. ამასთან, საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია იმ პარლამენტის წევრის ვადამდე განვევის შესაძლებლობა, რომელიც ვერ ამართლებს ამომრჩეველთა ნდობას. ი. მ. ძირითადად გავრცელებულია ე.წ. სოციალისტურ და ზოგიერთ ტოტალიტარულ სახელმწიფოში. დემოკრატიულ სახელმწიფოებში ი. მ. როგორც წესი, აკრძალულია, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება ეროვნული წარმომადგენლობის პრინციპს. გარკვეულ გამონაკლისს წარმოადგენს ი. მ. არსებობა გფრ პარლამენტის ერთ-ერთი პალატაში - ბუნდესრატში, რომელიც ყალიბდება არა ამომრჩეველების, არამედ ფედერაციის მიწების მთავრობათა მიერ: დეპუტატები ვალდებული არიან ცხოვრებაში გაატარონ თავიანთი მთავრობების ინსტრუქციები.

საქართველოს კონსტიტუციით ი. მ. აკრძალულია და აღიარებულია თავისუფალი მანდატი (იხ. თავისუფალი მანდატი)

იმპერატორი - იაპონიაში სახელმწიფოს მეთაურის ოფიციალური ტიტული.

იმპიჩმენტი - (ინგლისური იმპეაცმენტ) - რიგ საზღვარგარეთის ქვეყნებში მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის რეალიზაციის განსაკუთრებული წესი. ი. წესით საქმეთა განხილვა სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირად ხდება. მაგალითად, ორპალატიანი პარლამენტის არსებობისას პარლამენტის ქვედა პალატა აყალიბებს ბრალდებას და წაუყენებს მას შესაბამის თანამდებობის პირს. საქმის განხილვა, არსებითად, ხდება პარლამენტის ზედა პალატის მიერ, რომელიც ფაქტობრივად

ასრულებს სასამართლო კოლეგიის როლს. ზედა პალატის მიერ გამოტანილი განაჩენი, ჩვეულებრივ, მიიღება დეპუტატების ხმათა კვალიფიციური უმრავლესობის მიერ (მაგ., აშშ-ში – სენატის ხმათა 2/3). ამ შემთხვევაში სასჯელი არ შეიძლება გასცდეს თანამდებობიდან გადაყენებას, თუმცა, როგორც წესი, დათქმულია, რომ ი. წესით გადაყენებული თანამდებობის პირი შემდგომში, შეიძლება გასამართლდეს საერთო სასამართლოს მიერ და მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მის მიერ ჩადენილი მოქმედებების შესაბამისად.

საქართველოში ი. წესით თანამდებობის პირთა გადაყენება განსხვავებული პროცედურით ხდება. კერძოდ, ი. წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხის აღძვრის მიზეზი ხდება თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა, სახელმწიფოს ღალატი ან სხვა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევა. გადაყენების საკითხის აღძვრის შემდეგ, იგი ქვემდებარეობის მიხედვით, დასკვნისათვის გადაეცემა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ან საქართველოს უზენაეს სასამართლოს. თუ მათ დაადასტურეს მოცემული თანამდებობის პირის მოქმედებაში შესაბამისად – კონსტიტუციის დარღვევა ან დანაშაულის ნიშნების არსებობა, პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, რომ კენჭისყრაზე დაისვას იმპიჩმენტის წესით თანამდებობის პირის გადაყენების საკითხი. საქართველოს პრეზიდენტი ი. წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი, ხოლო უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის, მთავრობის წევრების, კონტროლის პალატის თავჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების ი. წესით გადაყენებისათვის საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობა.

იმუნიტეტი – (ინგლისური იმმუნიტყ ლათინურად იმმუნიტას – რაიმესგან განთავისუფლება) – კონსტიტუციურ სამართალში ზოგიერთი კატეგორიის თანამდებობის პირთა პრივილეგია, რაც გამოიხატება მათ ხელშეუხებლობაში.

კერძოდ, განასხვავებენ საპარლამენტო, საპრეზიდენტო და სასამართლო ი. დეპუტატის ხელშეუხებლობა ნიშნავს იმას, რომ დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა პარლამენტის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული დეპუტატი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. დეპუტატი ხელშეუხებლობით სარგებლობს მხოლოდ სადეპუტატო მანდატის მოქმედების პერიოდში. საპარლამენტო მანდატის ვადის გასვლის შემდეგ, ყოფილი დეპუტატი შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ადრე ჩადენილი მოქმედებებისათვის, რომლებისთვისაც არ იდევნებოდა ადრე, თავისი ხელშეუხებლობის წყალობით. საპრეზიდენტო ი. მოიცავს პრეზიდენტის ხელშეუხებლობის გაცილებით მაღალ ხარისხს, რის გამოც მის მიმართ გამოიყენება არა ტერმინი „ხელშეუხებლობა“ არამედ – „ხელშეუვალობა“ (მაგ., საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლის 1 პუნქტი). ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს პრეზიდენტი არ შეიძლება იქნეს დაპატიმრებული, დაკავებული და მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მანამ, სანამ იგი იმყოფება თავის თანამდებობაზე. პრეზიდენტს ხელშეუვალობა ეხსნება მხოლოდ მისი თანამდებობიდან გადაყენების, კონსტიტუციით გათვალისწინებული განსაკუთრებული პროცედურის განხორციელების საფუძველზე (იმპიჩმენტი და ა.შ.). ამის შემდეგ, პრეზიდენტი შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ჩვეულებრივი წესით (აშშ, ბრაზილია, ვენესუელა) ან ასეთი სამუდამოდ გამოირიცხება (ჩეხეთი). საფრანგეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება გადაეცეს სპეციალურ სასამართლოს პარლამენტის გადანყვეტილებით, მხოლოდ სახელმწიფო ღალატის ჩადენის შემთხვევაში. სასამართლო ი. ნიშნავს, რომ არ შეიძლება მოსამართლის დაკავება, დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს თანხმობის გარეშე.

ინაუგურაცია – (ინგლისური ინაუგურაციონ) – ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ საზეიმო ვითარებაში

თანამდებობის დაკავების პროცედურის სახელწოდება აშშ-ში, საქართველოსა და სხვა ქვეყნებში. ი. გამოიხატება პრეზიდენტის მიერ ხალხის წინაშე ფიცის დადებაში.

საქართველოში ი. ცერემონია იმართება საქართველოს პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს.

ინსტიტუტი—1. ნორმების ერთობლიობა საზოგადოებრივი ურთიერთობების ამა თუ იმ სფეროში (მაგ., საკუთრების ი.) 2. პოლიტიკური ი. პოლიტიკური ცხოვრების დამოუკიდებელი მოვლენა, პოლიტიკური სისტემის ელემენტი (მაგ., სახელმწიფოს საარჩევნო სისტემა).

ინტერპელაცია—(ლათინური ინტერპელაციო – სიტყვის შეწყვეტა, მოთხოვნა, სარჩელი) – ზოგიერთ სახელმწიფოში დეპუტატთა ჯგუფის მიერ მთავრობისადმი ან ცალკეული მინისტრისადმი მიმართული მოთხოვნა. მისცეს განმარტება მათ მიერ გატარებული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის თაობაზე ან რომელიმე კონკრეტული საკითხის შესახებ. როგორც წესი, გამოიყენება საპარლამენტო მმართველობის ფორმის ქვეყნებში (იტალიაში, გფრ, ფინეთი და ა.შ.) ი. განსხვავდება ზეპირი და ჩვეულებრივი წერილობითი შეკითხვებისგან, პირველ ყოვლისა, შეტანის პროცედურისა და სამართლებრივი შედეგებით. მემორან-დუმში, რომელიც თან ახლავს ი. ტექსტს, ჩვეულებრივ, მითითებულია მისი მიზეზები და აღნიშნულია ვადები, რომლის განმავლობაშიც უნდა იქნეს გაცემული პასუხი.

ინფორმაციის თავისუფლება—კონსტიტუციურ სამართალში ცნება, რომელიც მოიცავს უფლებებისა და თავისუფლებების მთელ ჯგუფს: სიტყვის თავისუფლებას (აზრის თავისუფლად გამოხატვის თავისუფლება), ბეჭდვისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების თავისუფლებას, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მიღების უფლებას, ნებისმიერი კანონიერი საშუალებით ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას. უფლებებისა და თავისუფლებების დაახლოებით ასეთ ნუსხას მოიცავს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლები. ამავე მუხლებში მოცემულია როგორც ი. თ. გარანტიები, აგრეთვე შეზღუდვები. ი. თ. მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს ცენზურის აკრძალვა, ადამიანის დენის დაუშვებლობა სიტყვის, აზრის თავისუფლად გამოთქმის გამო ი. თ. ძირითადად შეზღუდვას წარმოადგენს ნებისმიერი

აგიტაციისა პროპაგანდის აკრძალვა, რომელიც აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად და ა.შ.

იურისდიქცია – (ლათინური ჯურისდიქციო – სამართალწარმოება) – კანონით (ან სხვა ნორმატიული აქტით) დადგენილი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებათა ერთობლიობა, გადანყვიტონ სამართლებრივი დავები და სამართალდარღვევების საქმეები, ე. ი. შეაფასონ პირის ან სამართლის სხვა სუბიექტის მოქმედებები, მათი მართლზომიერების თვალსაზრისით. ი. განისაზღვრება განსახილველ საქმეთა ხარისხისა და კატეგორიის მიხედვით (დანაშაულები და გადაცდომები, ქონებრივი დავები და ა.შ). მათი ტერიტორიული კუთვნილების გათვალისწინებით. ი. გულისხმობს, აგრეთვე, ურთიერთობას, სფეროს, რომელზეც ვრცელდება ზემოთ დასახელებული უფლებამოსილებები.

იუსტიცია – (ლათინური ჯუსტიტია – სამართლიანობა) – ტერმინი, რომელიც აღნიშნავს სასამართლო დანესებულებათა მთელ ერთობლიობას, მათ საქმიანობას მართლმსაჯულების განსახორციელებლად.

3

კანონი-სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს (პარლამენტის) მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც არეგულირებს მეტნაკლებად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს, კ. წარმოადგენს სახელმწიფოს სამართლის სისტემის საფუძველს. კ. აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა ყველა სხვა სახელმწიფო ორგანოების ნორმატიულ აქტებთან შედარებით. კ. მიღების განსაკუთრებული წესი მდგომარეობს სპეციალური კანონშემოქმედებით პროცედურაში, რომელიც იყოფა რამდენიმე სტადიად. ესენია: საკანონმდებლო ინიციატივა, კანონპროექტის განხილვა, კანონის მიღება და მისი გამოქვეყნება. კ. იმავე დროს იყოფა განსაზღვრულ სახეებად. კერძოდ, ისინი იყოფა კონსტიტუციურ, ორგანულ და ჩვეულებრივ კანონებად (იხ. შესაბამისად კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი). ჩვეულებრივი კ.

იყოფა კოდიფიციურ და მიმდინარე კანონებად. ფედერაციულ სახელმწიფოში განასხვავებენ აგრეთვე ფედერალურ კ. და ფედერაციის სუბიექტთა კ. განსაკუთრებულ კატეგორიას წარმოადგენს საგანგებო კანონები.

ზოგიერთ ქვეყანაში კ. მიღება ხდება რეფერენდუმის გზითაც. საქართველოში კონსტიტუციის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კ. მიღება რეფერენდუმზე დამუშავებულია.

კანონიერება — კანონიერებისა და მათთან შესაბამისი სამართლებრივი აქტების ზუსტად და განუხრელად შესრულება ყველა სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობისა თუ ცალკეული პირების მიერ. კ. — დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია.

კანონმდებლობა — 1. სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი, რაც გამოიხატება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ კანონების გამოცემაში. 2. სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებენ ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობას ან საზოგადოებრივი ურთიერთობის ცალკეულ სახეს (სამოქალაქო კ., სისხლის სამართლებრივი კ. და სხვ.). საქართველოში კ. ქმნიან საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, საქართველოს კონსტიტუცია.

კანონპროექტი — კანონის მისაღებად შეთავზებული ტექსტი, რომელიც მომზადებულია საკანონმდებლო ორგანოში შესატანად ან რეფერენდუმზე გასატანად მისი განხილვის და შემდგომ მიღების მიზნით. კ. მომზადების პროცესი მოიცავს გადაწყვეტილების მიღებას პროექტის მომზადების შესახებ, მისი ტექსტის შემუშავებას, პროექტის პირვანდელი ვარიანტის განხილვას და საბოლოო გადამუშავებას, მის შეთანხმებას ყველა დაინტერესებულ ორგანოსთან და დაწესებულებასთან. კანონპროექტის მომზადების დასრულების შემდეგ ხდება მისი საკანონმდებლო ორგანოში შეტანა განსახილველად საკანონმდებლო ინიციატივის წესით. შინაარსის მიხედვით კ. იყოფა შემდეგ სახეებად: საჯაროდ, რომლებიც ადგენენ ქვეყნის ზოგად ნორმებს; საფინანსო, რომლებიც ეხება ამა თუ იმ საფინანსო საკითხებს (ასიგნებები, გადასახადები, სესხები და ა. შ.)

კერძო, რომლებიც ეხება ამა თუ იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს და აქვთ ადმინისტრაციული აქტების ხასიათი (მთავრობისადმი ქონებრივი პრეტენზიები, კორპორაციის სტატუსი და ა.შ.). საკანონმდებლო ინიციატივის სუბიექტების მიხედვით, კ. იყოფა სამთავრობო, სადეპუტატო და ა.შ. საფრანგეთში და ფრანგული კონსტიტუციურ-სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებში, განასხვავებენ საკუთრივ კ. (რომელიც პარლამენტში შეაქვს მხოლოდ მთავრობას) და საკანონმდებლო წინადადებს (რომლებიც შეაქვთ მხოლოდ დეპუტატებს).

კანტონი - 1. ტერიტორიული ერთეული (ფედერაციის სუბიექტი) შვეიცარიაში. 2. ქვედა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საფრანგეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

კვორუმი (ლათ. ქუორუმ) - პლენარულ სხდომაზე დამსწრე დეპუტატების მინიმალური რაოდენობა, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა და მიიღოს ოფიციალური ძალის მქონე გადაწყვეტილებები. კ. განისაზღვრება პარლამენტის (ან მისი პალატების) წევრთა საერთო შემადგენლობის პროცენტული რაოდენობით ან რაიმე ციფრით. ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას შესაძლებელია ჩვეულებრივი კ. გაზრდა. აღსანიშნავია, რომ რიგ სახელმწიფოში კ. შესახებ საკითხი წყდება კონსტიტუციით (მაგ. იაპონია, ფილიპინები, კუბა).

კლერიკალური სახელმწიფო - სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის ფორმა, რომლის დროსაც საეკლესიო იერარქია კანონმდებლობით დადგენილი ინსტიტუტების მეშვეობით განსაზღვრული სახით ახდენს ზემოქმედებას სახელმწიფო პოლიტიკასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. კ. ს. მაგალითს წარმოადგენს ირანის ისლამური რესპუბლიკა, სადაც სახელმწიფო ხელისუფლების საერო ორგანოების გვერდით (პარლამენტი, პრეზიდენტი, მთავრობა) და მათ მაღლაც არსებობს სახელმწიფოს სამუდამო ხელმძღვანელი, რომელიც ოფიციალურად ითვლება ქვეყნის მთავარ სასულიერო და პოლიტიკურ ლიდერად (იხ. აგრეთვე „ხელისუფლების შიიტური კონცეფცია“), ხოლო სასკოლო

განათლება სავალდებულო წესით მოითხოვს საეკლესიო დოგმების შესწავლას.

კნესეტი - ისრაელის ერთპალატიანი პარლამენტის სახელწოდება.

კოალიციური მთავრობა - მთავრობა, რომელიც იქმნება საპარლამენტო სახელმწიფოში, როცა პარლამენტში სადეპუტატო ადგილები დაქუცმაცებულია სხვადასხვა პარტიებს შორის და არც ერთ მათგანს არ შეუძლია პქონდეს პრეტენზია ერთპარტიული მთავრობის შექმნაზე, როგორც წესი, ასეთი მთავრობა ყველაზე ხშირად იქმნებოდა იტალიაში, უნგრეთში, ბელგიაში, რუმინეთსა და აშშ-ში, სადაც პარტიულ სისტემაში არ არის რომელიმე აშკარად გამოკვეთილი მოწინავე პოზიციების მქონე პარტია.

კოდექსი-ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტი, რომელშიც თავმოყრილი და კოდიფიცირებულია ისეთი სამართლის ნორმები, რომლებიც ანესრიგენებ საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრულ სფეროს კ. ძირითადად განკუთვნილია ერთ-ერთი სამართლის დარგისათვის (მაგ., სისხლის სამართლის კოდექსი, საგადასახადო კოდექსი და სხვ.). კ. ნორმები მოცემულია სამართლის დარგის სისტემის შესაბამისად.

კომპეტენცია - კონკრეტული სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის იურიდიულად დადგენილი უფლებამოსილებების ერთობლიობა, რაც განსაზღვრავს მის ადგილს სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში.

„კომპეტენციის პრეზუმფცია“ - მოცემული ტერმინი გამოიყენება იმ ფაქტის აღსანიშნავად, რომ თუ რაიმე ურთიერთობა არ არის მონესრიგებული აშშ-ს კონსტიტუციის და იგი არ განეკუთვნება აშშ-ს განსაკუთრებულ გამგებლობას (კომპეტენციას), მაშინ ითვლება რომ ის შედის შტატების კომპეტენციაში.

კომუნა-საფრანგეთში, იტალიაში, ბელგიაში, ალჟირსა და სხვა სახელმწიფოებში ქალაქის ან სოფლის ტიპის დასახლებები, რომლებიც ქმნიან ქვედა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს, ქვეყნების უმეტესობაში კ. მმართველობას ახორციელებს არჩევითი მუნიციპალური საბჭო, რომელიც ორგანიზაციას უკეთებს კომუნალური სამსახურების საქმიანობას. მუნიციპალური საბჭოს

აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს მერი (ან ბურგომისტრი), რომელიც აირჩევა თვით საბჭოს მიერ ან ნიშნავს მთავრობა. მერი ამავე დროს ითვლება სახელმწიფო ჩინოვნიკად და ახორციელებს ცენტრალური მთავრობის ინტერესებს.

კონგრესი (ინგლისური ცონგრესს – ყრილობა) – აშშ-ს, პარაგვაისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ორპალატიანი პარლამენტის სახელწოდება.

კონდომინიუმი (ლათინური ცონ – ერთად და დომინიუმ – მფლობელობა, ფლობა) – უმაღლესი ხელისუფლების ერთობლივი განხორციელება ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს მიერ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე, ანუ ამ ტერიტორიის თანამფლობელობა. კ. არის ამ სახელმწიფოთა კომპრომისის შედეგი, რომლებიც დაობენ ამა თუ იმ ტერიტორიის კუთვნილებაზე.

კონვენტი – აშშ-ში დაფუძნებული კრების სახელწოდება, რომელმაც 1787 წელს შეიმუშავა აშშ-ს კონსტიტუციის ტექსტი. აშშ-ს კონსტიტუციის მე-5 მუხლი ითვალისწინებს შტატების 2/3-ის მოთხოვნით კ. მონვენეას ფედერალურ კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად.

კონკორდატი (ლათინური ცონცორდატუმ – შეთანხმება) – ვატიკანსა და რომელიმე სახელმწიფოს შორის შეთანხმება მოცემულ სახელმწიფოში კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობის, უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

კონსტიტუცია (ლათინური ცონსტიტუტიო – დადგენა, დანესება) – მატერიალური გაგებით წარმოადგენს წერილობით აქტს. აქტების ან კონსტიტუციური ჩვეულებების ერთობლიობას, რომლებიც პირველ ყოვლის აღიარებენ და უზრუნველყოფენ ადამიანის და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს, განსაზღვრავენ საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლებს, მმართველობის ფორმას და ტერიტორიულ მოწყობას, ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციის საფუძვლებს. მათ კომპეტენციას და ურთიერთობას, სახელმწიფო სიმბოლიკას და დედაქალაქს; ფორმალური გაგებით წარმოადგენს კანონს ან კანონთა ჯგუფს, რომელსაც გააჩნია უმაღლესი იურიდიული ძალა ყველა დანარჩენ კანონებთან მიმართებაში. განასხვავებენ იურიდიული და ფაქტიური კ. მცნებებს. იურიდიული კ. მატერიალური და ფორმალური გაგებით – ეს

არის ყოველთვის სამართლებრივი ნორმების განსაზღვრული სისტემა, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების ზემოთ აღნიშნულ წრეებს, ფაქტიური კ. – კი ეს არის თვით ასეთი ურთიერთობები, ე.ი. ის, რაც რეალურად არსებობს ფორმის მიხედვით. კ. იყოფა კოდიფიცირებულ, არაკოდიფიცირებულ და შერეულ ტიპებად. კოდიფიცირებულია კ., თუ იგი წარმოადგენს ერთიან წერილობით აქტს, რომელიც ანესრიგებს კონსტიტუციური ხასიათის ყველა ძირითად საკითხს. თუ იგივე საკითხები წესრიგდება რამოდენიმე წერილობითი აქტით, მაშინ კონსტიტუცია წარმოადგენს არაკოდიფიცირებულს. შერეული ტიპის კ. მოიცავს არამხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს და სასამართლო პრეცედენტებს, არამედ აგრეთვე ჩვეულებებს და დოქტრინულ განმარტებებს, ე.ი. არის ნახევრად წერილობითი. მათში შესწორებების შეტანის წესით განასხვავებენ მოქნილ და მყარ კ. მოქნილ კ. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი ისეთივეა როგორც სხვა კანონებში (მაგალითად დიდი ბრიტანეთი), ხოლო მყარ კ. კი ცვლილებები შეიძლება შევიდეს მხოლოდ ამისათვის სპეციალურად დადგენილი გართულებული პროცედურით, რომელიც როგორც წესი, მოითხოვს პარლამენტის წევრთა ხმების კვალიფიციურ უმრავლესობას. ზოგჯერ კი რეფერენდუმის ჩატარებას კ. შესწორების დასამტკიცებლად. ამ შესწორებების რატიფიცირებას ფედერაციის სუბიექტების განსაზღვრული რაოდენობის მიერ და ა.შ. მოქმედების ვადის მიხედვით არსებობს მუდმივი და დროებითი კ. მუდმივია კ., როცა მასში წინასწარ არ არის დადგენილი მისი მოქმედების რაიმე კონკრეტული ვადა, დროებითში კი პირიქით, წინასწარ არის მინიშნებული მისი მოქმედების ხანგრძლივობის გარკვეული პერიოდი.

კონსტიტუციის პრეამბულა (ფრანგული პრეამბულე – წინასიტყვაობა) – კონსტიტუციის შესავალი ნაწილი, რომელშიც, ჩვეულებრივ, ჩამოყალიბებულია შესაბამისი აქტის პრინციპული დებულებები, მისი მიღების მიზნები და მოტივები. კ. პ. შეიცავს ე. წ. ნორმა-მიზნებსა და ნორმა-პრინციპებს, რომლებსაც არა აქვს უშუალო იურიდიული ძალა, თუმცა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კონსტიტუციის სხვა დებულებების ახსნა-განმარტებისას.

ზოგჯერ, კ. კ. შეიძლება ჰქონდეს დამოუკიდებელი აქტის მნიშვნელობა. მაგ., საფრანგეთის 1946 წლის ძალადაკარგული კონსტიტუციის პრეამბულა აგრძელებს მოქმედებას, როგორც 1958 წლის კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილი.

კონსტიტუციონალიზაცია – ამა თუ იმ დებულებების განმტკიცება კონსტიტუციის ტექსტში, კონსტიტუციური ძალის მინიჭება მათთვის.

კონსტიტუციონალიზმი (ლათინური ცონსტიტუტიო – დადგენა) – 1. მმართველობა, შეზღუდული კონსტიტუციით, პოლიტიკური სისტემა, დამყარებული კონსტიტუციაზე, მმართველობის კონსტიტუციური მეთოდები. 2. პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია, რომელიც ასაბუთებს კონსტიტუციური წყობის დამკვიდრების აუცილებლობას.

კონსტიტუციური კანონი – ქვეყნების უმრავლესობაში კონსტიტუციური სამართლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო. ცალკეულ ქვეყნებში (ფრანგულენოვან ქვეყნებში, აგრეთვე რუმინეთში და სხვ.) კ. კ. – ეს არის კანონი, რომელსაც ცვლილება შეაქვს კონსტიტუციაში, სხვა ქვეყნებში (რუსეთი, ყაზახეთი) კ. კ. მიიღება კონსტიტუციით გათვალისწინებულ საკითხებზე. პირველ შემთხვევაში კ. კ. მიიღების პროცედურა ემთხვევა კონსტიტუციის შეცვლის პროცედურას, მეორე შემთხვევაში კ. კ. მიიღება სპეციალურად გართულებული წესით, რომელიც განსხვავდება კონსტიტუციის შეცვლის პროცედურისაგან. ზოგიერთ ქვეყანაში კ. კ. იწოდება ისეთი კანონები, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან მოცემული სახელმწიფოს კონსტიტუციას (მაგ., დიდი ბრიტანეთი, შვეიცია და სხვა).

კონსტიტუციური კრიზისი – წინააღმდეგობრიობის გამოვლინების მეტ-ნაკლებად მწვავე ფორმა, რაც ჩადებულია თავად კონკრეტული სახელმწიფოს კონსტიტუციურ სისტემაში, ეს შეუძლებელს ხდის ამ სისტემის შემდგომ არსებობას უცვლელად და ემუქრება მთლიანად სახელმწიფოს მთელი პოლიტიკური სისტემის სტაბილურობას. კ. კ. გამოსავალს წარმოადგენს მოცემული სახელმწიფოს კონსტიტუციური სისტემის საფუძვლიანი გარდაქმნა.

კონსტიტუციური კონტროლი (ზედამხედველობა) – საქმიანობის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც გამოიხატება კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების,

საჯარო ხელისუფლების ორგანოებისა და საჯარო ფუნქციების განმახორციელებელ საზოგადოებრივ გაერთიანებათა მოქმედებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოქმებაში. კ. კ. შეიძლება განხორციელდეს: ა) საერთო იურისდიქციის ყველა სასამართლოს მიერ (მაგალითად, აშშ, არგენტინა, დანია, მექსიკა, იაპონია, ნორვეგია); ბ) უზენაესი სასამართლოს მიერ, რომელიც წარმოადგენს უმაღლეს სასამართლო ინსტანციას (მაგალითად, ავსტრალია, ინდოეთი, კანადა, შვეიცარია, ირლანდია); გ) სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ, რომელთათვისაც კ. კ. განხორციელება ძირითად ფუნქციას წარმოადგემს (მაგალითად, რუსეთის ფედერაცია, გერ, იტალია, თურქეთი, საქართველო); დ) არასასამართლო ხასიათის განსაკუთრებული ორგანოს მიერ (მაგალითად, საკონსტიტუციო საბჭო საფრანგეთში); ე. კ. ობიექტები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი კანონები, კონსტიტუციის შესწორებები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, პარლამენტების პალატების რეგლამენტები, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ნორმატიული აქტები (იმ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემა). ფედერაციულ სახელმწიფოებში კ. კ. ობიექტს წარმოადგენს აგრეთვე კავშირისა და ფედერაციის სუბიექტებს შორის კომპეტენციათა გამიჯნვის საკითხები. არსებობს კ. კ. კლასიფიკაცია სხვადასხვა საფუძვლების მიხედვით. დროის მიხედვით კ. კ. შეიძლება იყოს წინასწარი და შემდგომი (იხ. წინასწარი კონსტიტუციური კონტროლი და შემდგომი კონსტიტუციური კონტროლი); სამართლებრივი შედეგების მიხედვით კ. კ. შეიძლება იყოს კონსულტაციური და დადგენილებითი (იხ. საკონსულტაციო კონტროლი და დადგენილებითი კონსტიტუციური კონტროლი); ფორმის მიხედვით კ. კ. შეიძლება იყოს აბსტრაქტული და კონკრეტული (იხ. აბსტრაქტული კონსტიტუციური კონტროლი და კონკრეტული კონსტიტუციური კონტროლი); თავისი მოცულობის მიხედვით კ. კ. შეიძლება იყოს სრული და ნაწილობრივი (იხ. სრული კონსტიტუციური კონტროლი და ნაწილობრივი კონსტიტუციური კონტროლი); შინაარსის მიხედვით კ. კ. შეიძლება იყოს ფორმალური და მატერიალური (იხ. ფორმალური კონსტიტუციური კონტროლი და მატერიალური კონსტიტუციური კონტროლი); კ. კ.

ორგანომ შეიძლება სცნოს კანონი ან მისი ნაწილი კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ. ეს ნორმები კარგავენ იურიდიულ ძალას და აღარ გამოიყენება სასამართლოების და სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ.

კონსტიტუციური პასუხისმგებლობა – სოციალური პასუხისმგებლობის განსაკუთრებული სახე, აქვს რთული პოლიტიკურ-სამართლებრივი ხასიათი და დგება კონსტიტუციური დელიქტისას (სამართალდარღვევისას), ხასიათდება კონსტიტუციური სამართალდარღვევის სუბიექტისათვის განსაკუთრებით ნეგატიური შედეგებით კ. პ. სუბიექტები შეიძლება იყვნენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, უმაღლესი თანამდებობის პირები. კ. პ. ფორმებს (სანქციებს) წარმოადგენენ: ანტიკონსტიტუციური აქტის გაუქმება ან შეჩერება, თანამდებობიდან გადაყენება (იმპიჩმენტის წესით), არჩევნების ან რეფერენდუმების შედეგების ბათილად ცნობამ სახელმწიფო ორგანოებისა და უმაღლესი თანამდებობის პირების საქმიანობის არა-დამაკმაყოფილებლად ცნობა ოფიციალური ფორმით (მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების ჩათვლით), ანგარიშვალდებული ორგანოს ვადამდე დათხოვნა.

კონსტიტუციური პრინციპები – კონკრეტული სახელმწიფოების კონსტიტუციებში გამოხატული ზოგადი ფუძემდებლური საწყისები, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოებრივი ურთიერთობების შინაარსს და რომლებიც, თავის მხრივ, წარმოადგენენ კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირების ობიექტებს. კ. პ. შეიძლება შეეხებოდეს, როგორც სახელმწიფოს კონსტიტუციურ წყობას მთლიანად (ე.წ. კონსტიტუციური წყონის საფუძვლები). ასევე მის ცალკეულ ელემენტებს (ინსტიტუტებს), ისეთებს, როგორიცაა პოლიტიკური სისტემა, ადამიანისა და მოქალაქის სამართლებრივი სტატუსი, სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაცია, ეკონომიკური სისტემა და ა.შ.

კონსტიტუციური პროცესი-1. ფართო გაგებით სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მთელი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება კონსტიტუციური სამართლის ნორმებით დადგენილი ფორმებით, აგრეთვე ყველა კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტების გავითარება და სრულყოფა კონკრეტულ საზოგადოებაში ან მთლიანად მსოფლიოში; 2. ვიწრო გაგებით კონსტიტუციური

სამართლის პროცესუალური ნორმებით მოწესრიგებული საკონსტიტუციო სასამართლების და კონსტიტუციური კონტროლის კვაზისასამართლო ორგანოების საქმიანობა კონსტიტუციურ-სამართლებრივი დაცვებისა და კონსტიტუციური სამართალ-დარღვევების საქმეთა შესახებ განხილვისა და გადაწყვეტის თაობაზე. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე ტერმინი „საკონსტიტუციო სასამართლო პროცესი“.

კონსტიტუციური რეფერენდუმი – (იხ. რეფერენდუმი).

კონსტიტუციური რეფორმა საქართველოში – საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემისა და სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტების ხარისხობრივი, თვისებრივი გარდაქმნა, მიმართული თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციური საფუძვლების, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზის შექმნისათვის, რაც მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების აშენებას. საქართველოში კ. რ. დასაწყისად უნდა ჩაითვალოს 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღება. საქართველოში კ. რ. ძირითად ეტაპებს წარმოადგენს: პირველი მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება (1991 წლის ოქტომბერი); 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის აღდგენის დეკლარაციის მიღება (1992 წლის თებერვალი), სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის მიღება (1992 წლის ნოემბერი), სახელმწიფოს მეთაურის ანუ პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის დაწესება (1992 წელი), საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ კანონის მიღება (1993 წლის მარტი). კ. რ. განხორციელების გადამწყვეტ ნაბიჯად მოგვევლინა საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღება 1995 წლის 24 აგვისტოს, რომელმაც დასაბამი მისცა ჩვენს ქვეყანაში ახალი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტებისა და ურთიერთობების ჩამოყალიბებას (საკონსტიტუციო, სასამართლო, სახალხო დამცველი და ა.შ.). თანამედროვე პირობებში კ. რ. ძირითად ამოცანებს წარმოადგენს ახალი კონსტიტუციის დებულებების შევსება შესაბამისი კონსტიტუციური და სხვა კანონების მიღების გზით, ქვეყნის ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მონყობის სრულყოფა და ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოთა ფორმირების დასრულება, სასამართლო რეფორმის განხორციელება.

კონსტიტუციური სამართალი – სამართლის დარგი, რომლის ნორმები განამტკიცებს და ანესრიგებს სახელმწიფოს საზოგადოებრივი წყობილებისა და პოლიტიკის, ტერიტორიული მოწყობის საფუძვლებს, პიროვნების სამართლებრივ მდგომარეობას და სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანიზაციას. საქართველოსა და რიგ ქვეყნებში (რუსეთის ფედერაცია, გერ და ა.შ.) მოცემული დარგის აღსანიშნავად გამოიყენება აგრეთვე ტერმინი „სახელმწიფო სამართალი“.

კონსტიტუციური სამართლის მეცნიერება – გარკვეული ცოდნის მთლიანი ერთობლიობა საზოგადოებრივი ურთიერთობების კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირების არსის, სოციალური დანიშნულების, საერთო კანონზომიერებისა და კონკრეტული გავლენების შესახებ. კ. ს. მ. შესაძლებლობას გვაძლევს სწორად შევაფასოთ კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების სფეროში არსებული მდგომარეობა, გავაკეთოთ პროგნოზი კონსტიტუციური სამართლის დარგის შემდგომი სრულყოფის შესახებ. კ. ს. მ. შეისწავლის თვით ამ მეცნიერების ისტორიას, მისი განვითარების ეტაპებსა და მეთოდებს და ა.შ.

კონსტიტუციური სამართლის სისტემა – კონსტიტუციური სამართლის ელემენტებისა და ნაწილების ერთობლიობა, მისთვის დამახასიათებელი შინაგანი აგებულება, რაც განასხვავებს მას სამართლის სხვა დარგებისაგან. კ. ს. ს. მოიცავს კონსტიტუციური სამართლის ზოგად პრინციპებს (როგორცაა სახალხო სუვერენიტეტის, სახალხო წარმომადგენლობა, ხელისუფლების დანაწილება, ადამიანის უფლებების განუყოფლობა და ა. შ. იხ. აგრეთვე

კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპები),
კონსტიტუციურ-სამართლებრივ ინსტიტუტებსა და
კონსტიტუციურ-სამართლებრივ ნორმებს (იხ.
კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტები,
კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმები).

კონსტიტუციური სამართლის სუბიექტები – კონსტიტუციური სამართალ-ურთიერთობების მონაწილეები. კ. ს. ს. იყოფა ორ დიდ ჯგუფად: ფიზიკურ პირებად და

საზოგადოებრივ წარმონაქმნებად. პირველ კატეგორიას განეკუთვნებიან მოქალაქეები, უცხოელები, მოქალაქეობის არმქონე პირები, ამომრჩევლები და დეპუტატები, როგორც სპეციალური სამართალსუბიექტი პირები და მათი ჯგუფები. კ. ს. ს. მეორე ჯგუფს განეკუთვნება სახელმწიფო მთლიანად, მისი ორგანოები, ზოგჯერ კი მათი ცალკეული ნაწილები (მაგ., პარლამენტის პალატები, კომისიები, პარლამენტის პარტიული ფრაქციები), ტერიტორიული ერთეულები, თვითმართველობის დაწესებულებები და ორგანოები, აგრეთვე პოლიტიკური პარტიები სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებები.

კონსტიტუციური (შეზღუდული) მონარქია — მონარქიული მმართველობის ფორმის განსაკუთრებული ნაირსახეობა, რომლის დროსაც მონარქის ხელისუფლება შეზღუდულია კონსტიტუციით, არსებობს არჩევითი საკანონმდებლო ორგანო — პარლამენტი და დამოუკიდებელი სასამართლოები. კ. მ. პირველად აღმოცენდა დიდ ბრიტანეთში XVII საუკუნეში ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ. თანამედროვე მსოფლიოში კ. მ. არსებობს ორი თავისი ფორმით: დუალისტური მონარქიისა და საპარლამენტო მონარქიის სახით. იხ. აგრეთვე მონარქია.

კონსტიტუციური უფლებები — შესაბამისი ქვეყნის კონსტიტუციით განმარტებული და გარანტირებული იურიდიული შესაძლებლობები, რომლებიც დაკავშირებულია პიროვნების მატერიალური, სულიერი და სხვა მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილებასთან, ე. ი. საკუთარი ნებით, საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი ინტერესების მიხედვით შეასრულონ განსაზღვრული მოქმედებები, მოსთხოვონ სხვა პირებს კანონიერი მოქმედებების შესრულება და დაიცვან საკუთარი ინტერესები, მხოლოდ აუცილებელი პირობის დაცვით, რომ ყოველივე აღნიშნულის დროს არ უნდა შეილახოს სხვა პირის უფლებები.

კონსტიტუციური შეთანხმება — ზოგიერთ ქვეყანაში (დიდი ბრიტანეთი, ახალი ზელანდია და სხვ.) კონსტიტუციური სამართლის ერთ-ერთი წყარო, სამართლებრივი ჩვეულების სახესხვაობა. კ. შ. წარმოადგენს პოლიტიკური პრაქტიკის წესებს, რომელიც განუხრელად არიან დაცული და ითვლება სავალდებულოდ მათთვის, ვისაც ისინი ეხება. კ. შ.

დადგენილი დანაწესები არ შეიძლება იძულებით განხორციელდეს სასამართლოს მეშვეობით.

კონსტიტუციური წყობა – სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობების სისტემა, რომელიც დადგენილი და დაცულია კონკრეტული სახელმწიფოს კონსტიტუციითა და სხვა კონსტიტუციურ-სამართლებრივი აქტებით. კ. წ. არ უნდა გავაიგივოთ სახელმწიფო წყობასთან. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით კ. წ. ყოველთვის გულისხმობს სახელმწიფოში კონსტიტუციის არსებობას. კ. წ. აუცილებელ ნიშნებს წარმოადგენს აგრეთვე სახალხო სუვერენიტეტი, ხელისუფლების დანაწილება, ადამიანის საყოველთაოდ ცნობილი უფლებებისა და თავისუფლებების ურღვეობა. სახელმწიფო წყობა შეიძლება არც შეიცავდეს ამ ნიშნებს.

კონსტიტუციურობა – კონსტიტუციის, როგორც საზოგადოებისა და სახელმწიფოს უზენაესი კანონის დაცვის რეჟიმი, კონსტიტუციის ნორმებისა და პრინციპებისადმი შესაბამისობა.

კონტრასიგნატურა (კონტრასიგნირება) სახელმწიფოს მეთაურის აქტის გამაგრება მინისტრის ხელმოწერით, რაც ნიშნავს, რომ მოცემული აქტისათვის იურიდიული და პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმომწერ მინისტრსაც, კ. ფორმალურად აიხსნება იმით, რომ სახელმწიფოს მეთაური არ არის პასუხისმგებელი თავის მოქმედებებზე (გარდა სახელმწიფო ლაღატიისა და სხვა დანაშაულების შემთხვევებისა, თუ საუბარი ეხება პრეზიდენტს). უფრო იშვიათად გვხვდება მთავრობის მეთაურის აქტების კ. შესაბამისი მინისტრების მიერ, რაც აიხსნება მისწრაფებით გაძლიერდეს კაბინეტის სოლიდარობა და პრემიერ-მინისტრის აქტს მიეცეს მთავრობის კოლექტიური გამოსვლის ფორმა.

კონტრასიგნატურა (ლათინური ცონფოედერაციო – გაერთიანება, კავშირი) – სახელმწიფოთა გაერთიანების ფორმა, რომლის დროსაც მასში შემავალი სახელმწიფოები ინარჩუნებენ თავის სუვერენიტეტს სრული მოცულობით. კ. მოიცავს როგორც საერთაშორისო-სამართლებრივ, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ნიშნებს. დღესდღეობით, მსოფლიოში არსებობს მხოლოდ ერთი კ. – ევროგაერთიანება. სხვადასხვა დროს კ. იყო: ავსტრია-უნგრეთის 1918 წლამდე;

შეეცია და ნორვეგია 1905 წლამდე, აშშ 1781 წლიდან 1789 წლამდე, შვეიცარია 1815 წლიდან 1848 წლამდე, კ. ნარმოადგენდნენ ეგვიპტე და სირია 1958 წლიდან 1961 წლამდე, გამბია და სენეგალი – 1982 წლიდან 1989 წლამდე. კ. ისტორიის გამოცდილება მოწმობს, რომ ეს არის გარდამავალი ფორმა ან მთლიანად კავშირის დაშლისაკენ, ან სახელმწიფოს ფედერაციული მონყობისაკენ. სახელმწიფო წყობილების კონფედერაციული ფორმისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: 1. კ. იქმნება შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე. 2. კ. სუბიექტებს აქვთ იქიდან თავისუფალი გამოსვლის უფლება; 3. კ. სუვერენიტეტი ეკუთვნის მასში შემავალ სახელმწიფოებს. საკავშირო ხელისუფლების არც ერთ გადაწყვეტილებას არ აქვს ძალა კ. სუბიექტების თანხმობის გარეშე; 4. კ. გამგებლობას ჩვეულებრივ განეკუთვნება საკითხთა მცირე ჯგუფი (ძირითადად ომისა და მშვიდობის, საგარეო პოლიტიკის, ერთიანი ჯარის ფორმირების, კომუნიკაციების სისტემისა და ა.შ.); 5. კ. იქმნება მხოლოდ ის სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც აუცელებელია სახელშეკრულებო აქტით სპეციალურად გამოყოფილი ამოცანების გადასაწყვეტად; 6. კ. პარლამენტი ყალიბდება მისი სუბიექტების წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ, რომლებიც ავალდებულებენ თავიანთ დელეგაციებს განუხრელად დაიცვან მათთვის მიცემული ინსტრუქციები და მითითებები; 7. კ. მუდმივმოქმედი სახელმწიფო ორგანოები მოკლებული არიან სახელისუფლო უფლებამოსილებებს; 8. კ. სუბიექტებს აქვთ ნულიფიკაციის უფლება, ე.ი. უარი თქვან საკავშირო ხელისუფლების აქტების ცნობაზე ან გამოყენებაზე; 9. კ. ბიუჯეტის შედგენა ხდება მისი სუბიექტების ნებაყოფლობითი შენატანების ხარჯზე; 10. კ. სუბიექტებს აქვთ უფლება დაადგინონ საბაჟო ან სხვა შეზღუდვები; 11. როგორც წესი, კ. არ არსებობს ფულადი მიმოქცევის ერთიანი სისტემა; 12. სამხედრო ფორმირებები ყალიბდება კ. სუბიექტების მიერ, თანაც ხშირად დაცულია ორმაგი დაქვემდებარების პრინციპი როგორც კ., ისე მისი სუბიექტების ორგანოებისადმი; 13. კ. არ არის საკავშირო მოქალაქეობა.

კონფესიონალიზმი (ლათინური ცონფესსტიო – აღსარება) – ტერმინი, რომელიც კონსტიტუციურ

სამართალში ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას საზოგადოების რელიგიურ ჯგუფებად დაყოფის შესაბამისად დღესდღეობით, სახელმწიფო წყობის ასეთი სისტემა შემორჩენილია ლიბანში, სადაც ე.წ. 1943 წლის ეროვნული პაქტის შესაბამისად სახელმწიფოს მეთაური (პრეზიდენტი) უნდა იყოს ქრისტიანი-მარონიტი, პარლამენტის თავმჯდომარე – მუსულმანი-შიიტი, პრემიერ-მინისტრი – მუსულმანი-სუნიტი და ა.შ. პარლამენტში ადგილები აგრეთვე იყოფა სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებს შორის დადგენილი პროპორციით. კ. პრინციპი მოქმედებდა კვიპროსში 1960-1974 წლებში. ორივე შემთხვევაში კ. პრინციპის გამოყენებამ გამოიწვია სამოქალაქო ომი და ქვეყნის მოსახლეობის დაპირისპირება.

კორპორაციული ავტონომია – ექსტრატერიტორიული (კულტურულ-ეროვნული) ავტონომიის ორიდან ერთ-ერთი ფორმა, წარმოადგენს შედარებით ახალ საშუალებას ეროვნული საკითხის გადასაწყვეტად და მკვიდრი მცირერიცხოვანი ხალხის ინტერესების დასაცავად. კ. ა. პრინციპებით ეთნიკურ უმცირესობას უფლება აქვს შექმნას თავისი ორგანოები, რომლებიც წარმოადგენენ მათ ინტერესებს საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე. მაგ., ფინეთში არსებობს შვედური ეროვნული ასამბლეა (75 წევრი), საამის პარლამენტი (25 წევრი), საამის პარლამენტი არსებობს აგრეთვე შვეციასა და ნორვეგიაში. ცნობილია ავსტრიის მთავრობასთან არსებული ეროვნული უმცირესობების სხვადასხვა საბჭოები. ყველა ისინი აირჩევიან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან.

კორპორაციული წარმომადგენლობა - წარმომადგენლობითი ხელისუფლების ორგანიზაციის პრინციპი, რომლის შესაბამისად წარმომადგენლობითი დაწესებულების დეპუტატები წარმოადგენენ არა მთელი ქვეყნის ან მისი რომელიმე ტერიტორიული ნაწილის მოსახლეობას, არამედ პროფესიულ ჯგუფებს (კორპორაციებს), რომლიდანაც აირჩევიან ისინი უშუალოდ. კ. ნ. აქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციურმა პრაქტიკამ საბოლოოდ უარყო მხოლოდ XV საუკუნეში, რამდენადაც კ. ნ. არღვევს თანასწორი

ნარმომადგენლობის პრინციპს, ე. ი. მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპსაც. XX საუკუნეში კ. ნ. ფართოდ გამოიყენებოდა 1930-1943 წლებში ფაშისტურ იტალიაში (სადაც გამოცხადებული იყო „კორპორაციული სახელმწიფოს“ შექმნა). დღესდღეობით იგი არსებობს ინდონეზიაში. კ. ნ. ელემენტები გათვალისწინებულია აგრეთვე სლოვენის 1991 წლის კონსტიტუციით (ე.წ. ეროვნული საბჭოს ფორმირებისას, რომელიც არის პარლამენტის ზედა პალატა).

კულტურული ავტონომია – ამა თუ იმ განცალკევებული ეთნიკური ჯგუფისათვის, რომელიც მოცემულ სახელმწიფოში წარმოადგენს უმცირესობას, გარკვეული დამოუკიდებლობის მინიჭება განათლებისა და კულტურული ცხოვრების სხვა საკითხებში (ეროვნული სკოლების, ბიბლიოთეკების, თეატრების და ა. შ.) კ. ა. აგებულია ექსტრატერიტორიულ საფუძველზე. ე. ი. ვრცელდება არა რომელიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე, არამედ განსაზღვრული ეროვნების ყველა წარმომადგენელზე. კ. ა. რეალიზაცია ხდება ისეთი ორგანიზაციული ფორმების მეშვეობით, როგორცაა ეროვნული კულტურის ცენტრი, სათვისტომოები, ეროვნული საზოგადოებრივი საბჭოები და ასოციაციები (მაგ., რუსი გერმანელების კავშირი რუსეთში).

კუმულაციური ვოტუმი – მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში კენჭისყრის წესი, როცა ამომრჩეველს უფლება აქვს გააერთიანოს ყველა ხმები და მისცეს ისინი ერთ-ერთ კანდიდატს.

ლ

ლანდტაგი (გერმანული ლანდტაგ – მიწის ყრილობა) – ლიხტენშტეიგის ერთპალატიანი პარლამენტის სახელწოდება, აგრეთვე გფრ და ავსტრიის მიწების საკანონმდებლო ორგანოების (პარლამენტების) სახელწოდება.

ლეგისლატურა (ლათინური ლეხ (ლეგის) – კანონი + ლატუს – შეტანილი, დადგენილი) – 1. არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილების ვადა, მისი საქმიანობის პერიოდი. 2. ცალკეულ სახელმწიფოებში, აგრეთვე აშშ-ს ცალკეულ შტატებში საკანონმდებლო ორგანოების სახელწოდება.

ლობიზმი (ინგლისური ლობისმ. სიტყვა ლობბყ-დან – კულუარები, კორიდორი) – ეს სიტყვა იხმარება ჯერ კიდევ XVI საუკუნეში. 1553 წელს ტერმინი ლობბყ ნიშნავდა გასასეირნებელ ბაქანს მონასტერში. ერთი საუკუნის შემდეგ ასეთივე სახელი უწოდეს გასაერთიანებელ ადგილს ინგლისის თემთა პალატაში. კიდევ ორი საუკუნის შემდეგ კი ეს ტერმინი უკვე გამოიყენებოდა პოლიტიკურ ლექსიკონში, კერძოდ, 1864 წელს ამერიკაში. იგი ნიშნავდა კონგრესის კორიდორებში ხმების ფულით ყიდვას. მოგვიანებით, 1946 წელს მიღებულ იქნა სპეციალური კანონი ლ. შესახებ, რომელიც არსებობს თითქმის ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში.

თანამედროვე გაგებით ლ. არის პარლამენტარებზე ზემოქმედების მოხდენა პირადი ან წერილობითი მიმართვით ან სხვა საშუალებით (მასობრივი პეტიციების ორგანიზაცია, პუბლიკაციები და ა.შ.), რომელიმე ჯგუფის ან კერძო პირების მხრივ, რომლის მიზანია – მიაღწიოს რომელიმე კანონპროექტის მიღებას ან უარყოფას. ლობისტებს შეუძლიათ წარადგინონ მომზადებული კანონპროექტები, აღმოუჩინონ საკონსულტაციო დახმარება და ა.შ.

ლორდათა პალატა – დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ზედა პალატის სახელწოდება, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საერო და სასულიერო ლორდები (პერები).

ლორდი – 1) მემკვიდრეობითი სათავადაზნაურო ტიტული დიდ ბრიტანეთში; 2) დიდი ბრიტანეთის ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირის სახელწოდება: ლ.-კანცლერი – ლორდათა პალატის თავმჯდომარე და იუსტიციის მინისტრი, ლ.-მერი – ლონდონისა და რიგი მსხვილი ქალაქების მუნიციპალური დაწესებულების მეთაური.

ლორდ-კანცლერი – ლორდათა პალატის (დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ზედა პალატის) ხელმძღვანელი, აგრეთვე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და დიდი ბრიტანეთის მთავრობის უმაღლესი იურიდიული მრჩეველი.

ლოკალური არჩევნები – იგივე ადგილობრივი არჩევნები, რომლის მეშვეობითაც აირჩევიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ზოგიერთ ქვეყნაში მას კანტონალურ არჩევნებსაც უწოდებენ (მაგ., საფრანგეთში).

ლუსტრაცია (ლათინური ლუსტრაციო – გაწმენდა) – ზოგიერთი დასავლეთევროპულ და სხვა სახელმწიფოში

(უნგრეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, რუმინეთი, ლატვია) იმ პირთა შემონახვის განსაკუთრებული პროცედურა, რომლებსაც საპასუხისმგებლო სახელმწიფო თანამდებობები უკავიათ, ან იმ კანდიდატების, რომლებმაც უნდა დაიკავონ მოცემული თანამდებობები. ამ შემონახვის მიზანია აუკრძალოს პირებს, რომლებმაც სახელი გაიტყვეს ტოტალიტარულ რეჟიმთან ან უშიშროების სამსახურებთან თანამშრომლობით, დაიკავონ საპასუხისმგებლო სახელმწიფო თანამდებობა. თუკი ლ. პროცესში დადგინდება მსგავსი ფაქტები, პირს, რომელსაც უკავია საპასუხისმგებლო სახელმწიფო თანამდებობა (ან კანდიდატის ამ თანამდებობაზე), სთავაზობენ არჩევანს: ან ნებაყოფლობით გადადგეს თანამდებობიდან გამოვლენილი ფაქტების საიდუმლოების დაცვის გარანტიით, ან იძულებით გადააყენონ მაკომპრომენტირებული ინფორმაციის საჯარო გამოქვეყნებით.

მ

მაგისტრატი (ლათინური მაგისტრატუს) – 1) ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., ნორვეგია, დანია, შვეცია და სხვა.) ქალაქის მმართველობა, მ. შეიძლება შედგეს მთავრობის ან არჩევითი პირების მიერ დანიშნული ჩინოვნიკებისაგან. 2) სასამართლო ხელისუფლების ჩინოვნიკი (მოსამართლე, გამომძიებელი, პროკურორი) იტალიაში, საფრანგეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

მაკონტროლებელი ხელისუფლება – კონსტიტუციური სამართლის ერთ-ერთი თეორიის თანახმად, ხელისუფლება, რომელსაც უკავია დამოუკიდებელი ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებთან ერთად. სახელმწიფოთა უმრავლესობაში მ. ხ. წარმოდგენილია სახელმწიფოს განსაკუთრებული სახის უმაღლესი ორგანოების მიერ (საკონსტიტუციო სასამართლოები, სუპერინტენდანტები, ომბუდსმენები და ა.შ.). საუნწყებო, ადმინისტრაციული კონტროლისაგან განსხვავებით, მ. ხ. ინსტიტუტებს უკავიათ დამოუკიდებელი ადგილი, ისინი ორგანიზაციულად განსხვავდებიან ხელისუფლების სხვა „შტოებისაგან“. მ. ხ. ორგანოთა საქმიანობის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი არ ადგენენ ქვეყნის ზოგად წესებს, როგორც ამას

აკეთებს საკანონმდებლო ხელისუფლება, არ ეწევიან საორგანიზაციო საქმიანობას, რაც ახასიათებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, არ იხილავენ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეებს, სამოქალაქო, შრომით და სხვა დავებს, რაც წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის სფეროს. კონტროლის ორგანოები ახსენებენ შემომჩივების შედეგებს სხვა სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც ღებულობენ შესაბამის ზომებს დამრღვევთა მიმართ. თვით კონტროლის ორგანოებს კი არავითარი სასჯელის დანიშვნა არ შეუძლიათ.

მანდამუსი (ლათინური მანდამუს) – ანგლო-საქსური სამართლის სისტემის ქვეყანაში სასამართლოს ბრძანება, რომელიც ავალდებულებს ამა თუ იმ პირს (ძირითადად, თანამდებობის პირს) იმ მოქმედების შესრულებას, რომელიც კანონით ვალდებულია რომ შეასრულოს. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო წესით დაცვის ერთ-ერთი კონსტიტუციური საშუალება.

მანდატი (სადეპუტატო წარმომადგელობითი) (ლათინური მანდატუმ – დავალება) – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ამა თუ იმ წარმომადგენლობითი დანესებულების დეპუტატის უფლებამოსილების კანონიერებას, დეპუტატის უფლებამოსილებათა მოცულობას, უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე საზოგადოებრივი ფუნქცია, რომელიც ეკისრება პარლამენტის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატს არჩევნების შედეგად და რომლის შინაარსი (მანდატის ხასიათი) განისაზღვრება კონსტიტუციითა და სხვა კონსტიტუციურ-სამართლებრივი აქტებით. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში მ. უფლებამოსილება მოიცავს სადეპუტატო ხელშეკრულებას (იმუნიტეტს) და სადეპუტატო საქმიანობისთვის გასამრჯელოს მიღების უფლებას (ინდემნიტეტი). მ. განსაზღვრავს აგრეთვე დეპუტატის ურთიერთობის ფორმას თავის ამომრჩეველებთან. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში მიღებულია ე.წ. საერთო ეროვნული ან თავისუფალი მ., რომლის ძალით დეპუტატი ითვლება არა მხოლოდ რომელიმე განსაზღვრული საარჩევნო ოლქის, არამედ მთელი ერის წარმომადგენლად თავის საქმიანობაში დეპუტატი არ არის დაკავშირებული ამომრჩეველთა განაწესებთან და არ შეიძლება მისი

გამონვევა მ. უფლებამოსილების ვადის გასვლამდე. მრავალი ქვეყნის კონსტიტუციაში (იტალია, გერმანია, საფრანგეთი და სხვა) მოცემულია მითითებები, რომლებიც პირდაპირ კრძალავენ იმპერატიულ მ. საბჭოთა ტიპის სახელმწიფოებში კონსტიტუციებით დადგენილი იმპერატიული მ., ე.ი. დეპუტატის პასუხისმგებლობა ამომრჩევლის წინაშე, რომლებსაც უფლება აქვთ მისცენ გარკვეული განაწესები და გამოიწვიონ ისინი კანონით დადგენილ შემთხვევებში (იხ. აგრეთვე ამომრჩეველთა განაწესი, დეპუტატის განვევა, ეროვნული წარმომადგენლობა).

მანიფესტაციის თავისუფლება – მოქალაქეთა ერთ-ერთო ძირითადი კონსტიტუციური პოლიტიკური თავისუფლება გულისხმობს ღია ცის ქვეშ დემონსტრაციების, მსვლელობების, მიტინგების, პიკეტების და სხვა სახის გამოსვლების ჩატარების შესაძლებლობას. დემოკრატიულ სახელმწიფოებში, უბრალო პიკეტების გარდა, მანიფესტაციებისას შეიძლება დანესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების წესი, თანაც ხელისუფლებას შეუძლია აკრძალოს მანიფესტაცია იმ ადგილებში, რომლებსაც გააჩნიათ დიდი მნიშვნელობა საქალაქო ტრანსპორტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის და შესთავაზოს მისი ჩატარება სხვა ადგილებში. ამასთან ერთად, თუკი შეკრებები და მანიფესტაციები ატარებს კანონის საწინააღმდეგო ხასიათს, (მაგალითად, შეიარაღებულ, არამშვიდობიან ხასიათს), ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებას შეუძლია მისი შეწყვეტა.

მაჟორიტალური საარჩევნო სისტემა – არჩევნების სისტემა რომლის დროსაც არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც საარჩევნო ოლქში მიიღეს ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა. განასხვავებენ მ. ს. ს. აბსოლუტურ უმრავლესობას, მ. ს. ს. შეფარდებით უმრავლესობას და მ. ს. ს. კვალიფიციურ უმრავლესობას. მ. ს. ს. აბსოლუტურ უმრავლესობით კანდიდატი არჩეულად ითვლება, თუ მან ოლქში მიიღო ყველა ხმის ნახევარზე მეტი. მ. ს. ს. შეფარდებით უმრავლესობით კანდიდატი არჩეულად ითვლება, თუ მან საარჩევნო ოლქში მიიღო ხმათა შეფარდებითი უმრავლესობა სხვა კანდიდატებთან შედარებით მ.ს.ს. კვალიფიციურ უმრავლესობით გამარჯვებულმა უნდა მიიღოს წინასწარ დადგენილი ხმების

უმრავლესობა, რომელიც აღემატება ნახევარს – 2/3, 1/4 და ა.შ. ჩვეულებრივ, მ. ს. ს. ყოველ საარჩევნო ოლქში არჩეულ უნდა იქნეს ერთი დეპუტატი (ერთმანდატიანი, ანუ უნიომინლური სისტემა) თუმცა ზოგჯერ (მაგ., საფრანგეთში) გამოიყენება სიების სისტემა (პოლინომინალური სისტემა). მ. ს. ს. დროს ყველა ოლქში მიცემული ხმები დამარცხებული კანდიდატებისათვის, იკარგება. ხარვეზების მიუხედავად, მ.ს.ს. არსებობს თანამედროვე სახელმწიფოსების უმრავლესობაში და ხშირად გამოიყენება პროპორციულ საარჩევნო სისტემასთან ერთად. მაგ., ქვედა პალატა აირჩევა პროპორციული სისტემით, ზედა პალატა კი – მაჟორიტარულით (ასეთ წესს ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლი, როცა საუბარია მომავალში საქართველოს ორპალატიანი პარლამენტის შექმნაზე). დღესდღეობით, მ. ს. ს. შეფარდებითი უმრავლესობა გამოიყენება. მაგ., აშშ-ში, დიდი ბრიტანეთში, მ. ს. ს. აბსოლუტური უმრავლესობა – საფრანგეთში.

მარატიფიცირებული რეფერენდუმი – სახალხო კენჭისყრა ისეთ კანონზე, რომელიც მიღებულია პარლამენტის მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული, ანდა ისეთი კანონპროექტზე, რომელიც მომზადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების ან ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ და რომელიც კენჭისყრისთვის გადაიცემა პარლამენტის გვერდის ავლით.

მართლმსაჯულება – სახელმწიფო საქმიანი ფორმა, რომელიც, მდგომარეობს საერთო სასამართლოების მიერ მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საქმეების – სისხლის სამართლის დანაშაულობათა, სამოქალაქო დავებისა და სხვათა განხილვასა და გადაწყვეტაში. მ. ხორციელდება სასამართლოს მიერ კანონით დადგენილი პროცედურის წესით. საქართველოში, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად. მ. განხორციელების კონსტიტუციური პრინციპია: 1) მ. განხორციელება მხოლოდ საერთო სასამართლოების მიერ (მუხლი 83-ე, პუნქტი II); 2) ყველა სასამართლოში საქმეთა განხილვა ღია სხდომაზე (გამონაკლისი განისაზღვრება საქართველოს კანონით) (მუხლი 85-ე, პუნქტი I); 3) სამართალწარმოების განხორციელება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე (მუხლი 85-ე, პუნქტი III) და ა.შ.

მართლმსაჯულების უმაღლესი პალატა – საფრანგეთში (1993 წლამდე) და საფრანგეთის ყოფილი კოლონიების უმრავლესობაში განსაკუთრებული საპარლამენტო სასამართლო ორგანო, რომელიც არ უკავშირდება არც საერთო სასამართლო სისტემას, არც ადმინისტრაციულ იუსტიციას და რომელიც იქმნება ისეთი საქმეების განსახილველად, როგორცაა პრეზიდენტისათვის ბრალის დადება სახელმწიფო ლალატში, მთავრობის წევრთა დადანაშაულება სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულისა და სხვა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მოქმედებების ჩადენის შემთხვევაში. მ. უ. პ. საკმაოდ იშვიათად მოქმედებს: მაგ., საფრანგეთში ასეთი სასამართლო ფუნქციონირებდა 1920 წელს, 1993 წელს საფრანგეთში მ. უ. პ. შეიცვალა რესპუბლიკის სასამართლოთი, რომელსაც შეუძლია მიმართოს ყოფილმა მოქალაქემ.

მეტროპოლია-სახელმწიფო, რომელსაც აქვს კოლონიები, ანუ კოლონიური სახელმწიფო. კოლონიური სისტემის გადმონაშთი, რომელიც დაიშალა 1960 წელს. დღესდღეობით შემორჩენილია საკმაოდ მცირე ტერიტორიებზე. რომლებიც იურიდიულად დამოკიდებული არიან. მ.ასეთი დამოკიდებულების ფორმები საკმაოდ მრავალფეროვანია. როგორც წესი, დამოკიდებული ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობა არ ითვლება მ. სრულუფლებიანად და არ მონაწილეობს მისი პარლამენტისა და სხვა არჩევითი ორგანოების არჩევნებში., თუმცა ეს ორგანოები გამოსცემენ ამ ტერიტორიებისათვის სავალდებულო აქტებს. კოლონიური მმართველობის კლასიკური სქემა იმაში მდგომარეობს, რომ მ. კოლონიებში ნიშნავდა ადმინისტრატორებს, რომლებიც ფლობდნენ სრულ ძალაუფლებას. ზოგჯერ ადმინისტრატორები იყენებდნენ ფეოდალურ-სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების ფორმას – პროტექტორატს, რომლის დროსაც არსებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ქვეყნის დაპყრობის შემდეგ შენარჩუნებულია, მაგრამ ექვემდებარება მ. ადმინისტრატორებს.

მენარმეობის თავისუფლება – დემოკრატიულ ქვეყნებში ერთ-ერთი კონსტიტუციური ეკონომიკური თავისუფლება მოიცავს პირის უფლებას გამოიყენოს თავისი

შესაძლებლობები და ქონება სამეწარმეო და სხვა კანონით დაშვებული სამეურნეო საქმიანობისათვის, აგრეთვე უფლებას შექმნას სანარმო, ფლობდეს წარმოების საშუალებებს მინის ჩათვლით, უფლებას დამოკიდებულად განაგებდეს მიღებულ მოგებას.

მეჯლისი-ირანის ისლამური რესპუბლიკის ერთპალატიანი პარლამენტის სახელწოდება.

მთავრობა-სახელმწიფოს უმაღლესი კოლეგიალური აღმასრულებელი ორგანო. სხვადასხვა ქვეყნებში მ. შეიძლება პქონდეს სხვადასხვა სახელწოდებები: მინისტრთა საბჭო (საფრანგეთი, იტალია, პოლონეთი). მინისტრთა კაბინეტი (დიდი ბრიტანეთი, უზბეკეთი), სახელმწიფო საბჭო (ჩსრ) და სხვა. მ. შეიძლება იყოს უპარტიო, ერთპარტიული და კოალიციური. მ. შექმნის წესი დამოკიდებულია მმართველობის ფორმაზე. საპარლამენტო ქვეყნებში იგი ყალიბდება იმ პარტიის მიერ, რომელმაც მოიპოვა ადგილების უმრავლესობა ერთპალატიან პარლამენტში ან ორპალატიანი პარლამენტის ქვედა პალატაში. საპრეზიდენტო რესპუბლიკებში (იქ, სადაც გათვალისწინებულია ასეთი ორგანო), მ. ყალიბდება პრეზიდენტის მიერ, თანაც ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი და ა.შ.) მის მიერ დანიშნული მ. ყოველი წევრი უნდა დამტკიცდეს პარლამენტის მიერ. მ. წევრები (მინისტრები, უპორტფელო მინისტრები, სახელმწიფო მინისტრები, სახელმწიფო მდივნები და ა.შ.) ხელმძღვანელობენ სახელმწიფო მმართველობის კონკრეტულ ცენტრალურ უწყებებს. საპარლამენტო ქვეყნებში ისინი, ჩვეულებრივ, უნდა იყვნენ პარლამენტის წევრები. მაშინ, როცა საპრეზიდენტო და, როგორც წესი, შერეული ტიპის სახელმწიფოებში მოქმედებს მინისტრის პორტფელისა და სადეპუტატო მანდატის შეუთავსებლობის პრინციპი. საპარლამენტო სახელმწიფოებში მ. ეკისრება კოლეგიალური პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე (ორპალატიან პარლამენტში - ქვედა პალატის წინაშე). ეს ნიშნავს, რომ პარლამენტის უმრავლესობის დაშლისას (მაგ., სამთავრობო კოალიციის განხეთქილებისას) მ. ვალდებულია ან გადადგეს ან დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს ვადამდელი არჩევნები (ამას აკეთებს სახელმწიფოს მეთაური) ფედერაციულ სახელმწიფოში არსებობს ცენტრალური (ფედერალური) მ. და ფედერაციაში შემავალი სახელმ-

ნიფოებრივი წარმონაქმნების (შტატების, პროვინციების...) მ., მ. შეიძლება მოქმედებდეს ან სრული შემადგენლობით, ან მ. მეთაური ქმნის უფრო ვიწრო კოლეგიას (მაგ., კაბინეტი — დიდ ბრიტანეთში, ინდოეთში და ა.შ.). მ. შეუძლია თავისი შემადგენლობიდან შექმნას დამხმარე სამთავრობო კომიტეტები. მ. გადაწყვეტილებებს აქვთ ან პოლიტიკური დირექტივების ხასიათი, ან ფორმირდებიან ნორმატიული აქტების სახით ან კანონპროექტების სახით, რომლებიც შემდეგ შეაქვთ პარლამენტში.

მთავრობის მეთაური-სახელმწიფოში აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი კოლეგიალური ორგანოს ხელმძღვანელი სხვადასხვა ქვეყნებში მ. მ. სხვადასხვანაირად უწოდებენ: მაგ., პრემიერ-მინისტრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრი-თავმჯდომარე, სახელმწიფო მინისტრი, ფედერალური კანცლერი და ა.შ. მ. მ. თანამდებობაზე ინიშნება სახელმწიფოს მეთაურის მიერ. საპარლამენტო რესპუბლიკებში, აგრეთვე შერეული ტიპის რესპუბლიკებში მ. მ. ხდება, როგორც წესი, ან საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი, ან სამთავრობო კოალიციის შემადგენელი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. ზოგიერთ საპრეზიდენტო რესპუბლიკაში (მაგ., თურქმენეთი, უზბეკეთი) მ. მ. ოფიციალურად არის ქვეყნის პრეზიდენტი.

მთავრობის სოლიდარული (კოლექტიური) პასუხისმგებლობა — საპარლამენტო სახელმწიფოებში არსებული წესი (დანერილი ან დაუნერელი), რომლის თანახმად მთავრობის წევრებს ეკისრებათ ერთობლივი და თანაბარი პასუხისმგებლობა მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკისათვის. მთავრობის პოლიტიკის მოწინააღმდეგე მთავრობის წევრი დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს თანამდებობიდან. პარლამენტის მიერ უნდობლობის გამოცხადება მთავრობის ერთ-ერთი წევრის მიმართ, როგორც წესი, იწვევს მთელი მთავრობის გადადგომას.

მიმონერის საიდუმლოება — ადამიანის ერთ-ერთი კონსტიტუციური უფლება: მოიცავს ყველა სახის საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილებს (წერილები, დეპეშები, ამანათები, გზავნილები), სატელეფონო საუბრებისა და სხვა კავშირების ხელშეუხებლობას, ნიშნავს კორესპოდენციების გახსნის, მათი შინაარსის გაცნობისა და გამოქვეყნების აკრძალვას მ. ს.

შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ დამნაშავეობასთან ბრძოლის, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებში, ისიც მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და მისივე დადგენილი წესით.

მინისტრი (ლათინური მინისტერ - მსახური) - სახელმწიფო მმართველობის იმ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ორგანოების - სამინისტროების ხელმძღვანელები, რომლებიც შედიან მთავრობის სტრუქტურაში. მ. ყოველთვის გვევლინება მთავრობის წევრად, მ. სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარად მოიხსენიება, მაგ., აშშ-ში, დიდი ბრიტანეთში, მექსიკასა და სხვა სახელმწიფოებში ყველას ან მ. ნაწილს უწოდებენ სახელმწიფო მდივნებს, დიდ ბრიტანეთში ცალკეულ მ. იწოდებიან კანცლერებად და ა.შ. მრავალ ქვეყანაში არსებობს მ. დაყოფა განსაკუთრებულ კატეგორიებად. მაგ. დიდ ბრიტანეთში არსებობს მ. ოთხი კატეგორია: 1) მ., რომლებიც ხელმძღვანელობენ დარგობრივ სამინისტროებს; 2) უპორტფელო მ.; 3) სახელმწიფო მ., რომლებიც ფაქტობრივად არიან სამინისტროების ხელმძღვანელთა მოადგილეები; 4) უმცროსი მ. - საპარლამენტო მდივნები, რომლებიც უზრუნველყოფენ მ. კავშირს პარლამენტთან. მ. კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი და ფაქტობრივი როლი სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია სხვადასხვა გარემოებათა გამო, მაგ., თანამედროვე ქვეყნების კონსტიტუციურ სამართალში არსებობს სამი ძირითადი მიდგომა მ. თანამდებობის სადეპუტატო მანდატთან შეთავსების საკითხში. ქვეყნების პირველ ჯგუფში ასეთი შეთავსება აუცილებელია (დიდი ბრიტანეთი, ირლანდია). მეორეში - დაშვებულია (ავსტრია, პოლონეთი, გფრ, იტალია), მესამეში კი - აკრძალულია (ბულგარეთი, რუსეთი, ნორვეგია, ლიტვა და ა.შ.).

მინისტრი თავმჯდომარე - მთავრობის მეთაურის სახელწოდება ბულგარეთში.

მინისტრთა კაბინეტი-ისრაელში, იაპონიაში, ლიტვაში, უზბეკეთში, ყაზახეთსა და რიგ სხვა ქვეყნებში მთავრობის ოფიციალური სახელწოდება.

მინისტრთა საბჭო-მთავრობის სახელწოდება ბულგარეთში, უნგრეთში, საბერძნეთში, იტალიაში, პოლონეთში, პორტუგალიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში. საფრანგეთში

მთავრობას მაშინ ეწოდება „მ. ს.“, როცა მის სხდომას თავმჯდომარეობს საფრანგეთის პრეზიდენტი.

მინა (გერმანული Land) – ავსტრიასა და გფრ ისტორიულად ჩამოყალიბებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნები, რომლებიც შედიან სახელმწიფოს შემადგენლობაში ფედერაციულ საწყისებზე. აქვთ საკუთარი კონსტიტუციები, არჩევითი საკანონმდებლო ორგანოები (ლანდტაგები), მთავრობები, სასამართლო ორგანოები, რომლებიც სარგებლობენ განსაზღვრული ავტონომიით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციის საკითხებშიც და საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებით სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

მმართველობის ფორმა–კომპლექსური კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტი გულისხმობს ქვეყანაში უმაღლესი ხელისუფლების ორგანიზაციას, ე.ი. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურასა და სამართლებრივ მდგომარეობას (სახელმწიფოს მეთაური, პარლამენტი, მთავრობა), აგრეთვე მათ შორის ურთიერთკავშირის დადგენილ წესს. მ. ფ. მთავარ განმსაზღვრელ ნიშანს წარმოადგენს სახელმწიფოს მეთაურის სამართლებრივი სტატუსი (არჩევითი და ცვალებადი – რესპუბლიკაში, მემკვიდრეობითი – მონარქიულ სახელმწიფოში). თანამედროვე სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელია ორი მ. ფ. – რესპუბლიკა და მონარქი.

მონარქი (ბერძნული მონარცჰ – ერთპიროვნული მმართველი, ბერძნული სიტყვიდან მონა – და არცჰია – ხელისუფლება) – სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი, რომელიც ახორციელებს ხელისუფლებას საკუთარი შეხედულებით. იშვიათი გამონაკლისის გარდა. მ. ხელისუფლება არის სამუდამო და გადაეცემა მემკვიდრეობით. ყველა მონარქიულ ქვეყანაში მ. კანონის თანახმად არის ხელშეუხებელი და არავითარ პასუხისმგებლობას არ ექვემდებარება. სხვადასხვა ქვეყნებში მ. ატარებს სხვადასხვა სახელწოდებებს – მეფე – დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, დანიაში, შვეციაში, ბელგიაში, სულთანი – მალაიზიაში, დიდი ჰერცოგი – სუქსენბურგში და ა. შ.

მონარქია (ბერძნული მონარცჰია – ერთმმართველობა) – მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც სახელმწიფოს

მეთაური არის მონარქი; მონარქის ხელისუფლება, როგორც წესი, გრძელდება სიცოცხლის ბოლომდე და გადაეცემა მემკვიდრეობით. თანამედროვე მსოფლიოში შენარჩუნებულია მ. ორი ისტორიული ტიპი – აბსოლუტური და კონსტიტუციური. კონსტიტუციური მ. არსებობს ორი სახით, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მონარქის ხელისუფლების შეზღუდვით ხარისხით. დუალისტური მ. – მმართველობის გარდამავალი ფორმაა, რომლის დროსაც მონარქი თავის ხელში იღებს მთელ აღმასრულებელ ხელისუფლებას, აყალიბებს მთავრობას, რომელიც პასუხისმგებელია არა პარლამენტის, არამედ მის წინაშე, ხოლო საკანონმდებლო ხელისუფლება იურიდიულად ეკუთვნის პარლამენტს. დუალისტური მ. დამახასიათებელია ქვეყნებისთვის, სადაც მძლავრადაა შენარჩუნებული ფეოდალიზმის გადმონაშთები. საპარლამენტო მ. წარმოადგენს მმართველობის გაცილებით დემოკრატიულ ფორმას. საპარლამენტო მონარქიაში არ არსებობს რაიმე დუალიზმი: მონარქის უფლებები შეზღუდულია სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ყველა სფეროში. მას არა აქვს უფლება დამოუკიდებლად განახორციელოს მისთვის ფორმალურად მინიჭებული უფლებამოსილებები, მის მიერ გამოცემული აქტები საჭიროებს მინისტრების მხარდაჭერას (კონტრასიგნატურა). აღმასრულებელი ხელისუფლება ხორციელდება მთავრობის მიერ, რომელიც პასუხს აგებს პარლამენტის წინაშე. მ. განსაკუთრებულ ნაირსახეობას წარადგენს არჩევითი (ან საარჩევნო) მ., რომელიც შეიცავს მ. და რესპუბლიკის ელემენტებს. ასეთია მ. არსებობა მალაიზიაში, სადაც სახელმწიფოს მეთაური არის მონარქი, რომელიც არჩეულია ფედერაციაში შემავალი მონარქიული შტატების წარმომადგენელთა განსაკუთრებულ თათბირზე გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე 5 წლის ვადით. მონკამერალიზმი (იხ. ერთპალატიანი სისტემა) მონოკრატიული რესპუბლიკა (იხ. სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკა).

„მორალური ცენზი“ – ცალკეულ ქვეყნებში საარჩევნო კანონის მოთხოვნა, რომლის თანახმად, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია „მაღალი მორალური თვისებების“ ქონა, „ცხოვრების წესის ღირსეულად წარმართვა“. აკმაყოფილებს თუ არა

პოტენციური ამომრჩეველი ან კანდიდატი „მ. ც.“ წყვეტს საარჩევნო ხელისუფლება თავის შეხედულებისამებრ. დღესდღეობით გვხვდება ძალზე იშვიათად. ძირითადად, განვითარებად ქვეყნებში (მაგ., ზაირში).

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა – დემოკრატიულ სახელმწიფოებში მართლმსაჯულების კონსტიტუციური პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ მოსამართლეები, სახალხო მსაჯულები, ნაფიცი მსაჯულები წყვეტენ სასამართლო საქმეებს კანონის საფუძველზე ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ გარეშე ზემოქმედებას მათზე. საქრთველოს 1995 წლის კონსტიტუციის 54-ე მუხლის თანახმად მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონებს.

მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა – კონსტიტუციონალიზმისა და დემოკრატიის ელემენტების ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი, რომლის მიხედვით ყველა მოქალაქე (ქვეშევრდომი) ოფიციალურადაა ცნობილი თანასწორად სახელმწიფოს, კანონის, სასამართლოს წინაშე, ე.ი. ეს ნიშნავს ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების თანასწორობას, მიუხედავად სქესის, რასის, ეროვნების, ენის, წარმომავლობის, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობის, რწმენის, საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, აგრეთვე სხვა გარემოებებისა. მ.თ. პრინციპი წამოიწია ბურჟუაზიული რევოლუციების წოდებრივი ურთიერთობები. თანამედროვე სახელმწიფოების კონსტიტუციური დოქტრინა მაინც ითვალისწინებს სხვადასხვა განსხვავდასხვა განსხვავებებს იმ უფლებებსა და თავისუფლებებში, რომლებსაც ბუნებრივი ხასიათი აქვს. მაგ., ქვეყნების უმრავლესობაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის მოვალეობა ეკისრებათ მხოლოდ მამრობითი სქესის მოქალაქეებს და ა.შ. მ.თ. პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-14 მუხლით.

მოქალაქეობა – პირის მყარი სამართლებრივი კავშირი კონკრეტულ სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთ-სანაცვლო უფლებების, მოვალეობებისა და ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობის ერთიანობით. მაგ., სახელმწიფო ცნობს და მფარველობს მას საზღვარგარეთ, თავის მხრივ,

მოქალაქე უპირობოდ ემორჩილება სახელმწიფოს კანონებსა და დანაწესებს, ასრულებს მის მიერ დადგენილ მოვალეობებს. ამ უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა ქმნის მოქალაქის პოლიტიკურ-სამართლებრივ კავშირს, რომელიც განასხვავებს მას უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისაგან. მ. შექენა, როგორც წესი, ხდება დაბადებით („სისხლის პრინციპით“ და „ნიადაგის პრინციპებით“) და ნატურა-ლიზაციით, ე.ი. ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღებით საკუთარი თხოვნის საფუძველზე. მონარქიულ სახელმწიფოებში, როგორც წესი, ტერმინს – „მოქალაქეობა“, შეესაბამება ტერმინი – „ქვეშევრდომობა“.

მრავალპარტიულობა – პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური პრინციპი თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში მ. იურიდიული პრინციპი ნიშნავს, რომ სახელმწიფო ცნობს და უზრუნველყოფს მოქალაქეთა გაერთიანების უფლებას თავისი პოლიტიკური შეხედულების მიხედვით, კანონის წინაშე ყველა პოლიტიკური პარტიების თანასწორობას, მათი საქმიანობის თავიუფლებას მ. პრინციპი არ გამორიცხავს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების უფლებას კანონით დადგენილი წესით აკრძალონ ან გააუქმონ პოლიტიკური პარტია, რომელიც ეწევა ეროვნული, რასობრივი, რელიგიური შუღლის გაღვივების პროპაგანდას, მოუწოდებს სახელმწიფო ხელისუფლების კანონიერი ორგანოების ძალადურ დამხობას და ა.შ. იურიდიული (ფორმალური) მ. უნდა განვასხვავოთ რეალური მ. ეს უკანასკნელი გამოიხატება კონკრეტულ სახელმწიფოში განვითარებული და ეფექტური პარტიული სისტემის არსებობაში, რომელიც წარმოადგენს სოციალური და პოლიტიკური ინტერესების მთელ სპექტრს.

მრავალპარტიული სისტემა (იხ. პარტიული სისტემა).

მრჩველთა პალატა – პარლამენტის ზედა პალატის სახელწოდება იაპონიაში.

მუდმივი ნეიტრალიტეტი – ზოგიერთი სახელმწიფოს (ავსტრია, შვეიცარია, მალტა) საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი კონსტიტუციური პრინციპი. ნიშნავს მოცემული სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოსთან რაიმე სამხედრო

კავშირში შესვლისა და მის ტერიტორიაზე უცხოელების სამხედრო ბაზების შექმნის დაუშვებლობას.

მუნიციპალიტეტი (ლათინური მუნიციპიუმ – ქალაქი თვითმმართველობის უფლებით) – ზოგ სახელმწიფოში 1) ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის არჩევით ორგანოების ერთობლიობა. რიგ ქვეყნებში (მაგ., აშშ, დიდი ბრიტანეთი) მ. ინოვაციური მხოლოდ ქალაქის მმართველობის ორგანოები მ. აირჩევენ შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის მიერ და კონსტიტუციურ სამართალში განიხილებიან, როგორც საჯარო-სამართლებრივი კორპორაციები. როგორც წესი, მ. შეიძლება იყოს მუნიციპალური საწარმოების, საცხოვრებელი ფონდისა და სხვა ქონების მესაკუთრე; ისინი განაგებენ სახელმწიფო საკოლებს, სანიტარულ სამსახურებს, ადგილობრივ პოლიციას, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში მართავენ სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის სხვადასხვა დანესებულებებს. მ. საკუთარი შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს მოსახლეობის ადგილობრივ გადასახადები; 2) თვითმმართველი თემი იურიდიული პირის უფლებით.

მუნიციპალური კორპორაცია – ანგლო-საქსური სამართლის სისტემის ქვეყნებში მსხვილი საქალაქო თვითმმართველობის გაერთიანებული იურიდიული პირის უფლებებით (მაგ., პაკისტანში – ქალაქები არანაკლებ 500 ათასი ადამიანის მოსახლეობით).

მუნიციპალური საბჭო – ზოგიერთ სახელმწიფოში (საფრანგეთი, მექსიკა, რუმინეთი) ადგილობრივი თვითმმართველობის კოლექტიური არჩევითი ორგანოს სახელწოდება. მ. ს. აღმასრულებელ ორგანოს, როგორც წესი, წარმოადგენს მერი.

მუნიციპია (ლათინური მუნიციპიუმ – ქალაქი თვითმმართველობის უფლებით) ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., მექსიკა, რუმინეთი) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც მოქმედებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები – მუნიციპალური საბჭო, მერი.

მხარე – ზოგიერთ ქვეყანაში ტერიტორიული მონყობის ერთ-ერთი ფორმა (მაგ., რუსეთის ფედერაციაში, სადაც მ.

აქვს ისტორიული ხასიათი. რფ სუბიექტების სახით შედის ექვსი მ.).

5

ნატურალიზაცია (ფრანგული ნატურალისერ) – უცხოელის მიღება მოცემული სახელმწიფოს მოქალაქედ მისი განცხადების საფუძველზე. ჩვეულებრივ, ნ. შეიძლება ადგილი ჰქონდეს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე უცხოელის მეტნაკლებად ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგ. ზოგჯერ ნ. ერთ-ერთი პირობის სახით მოითხოვება ოფიციალური სახელმწიფო ენის ცოდნა (მაგ., ლათვია, ესტონეთი), გარკვეული ქონებრივი მდგომარეობა, უმნიკვლო რეპუტაცია და ა.შ. რიგ სახელმწიფოებში საერთო წესის გარდა დადგენილია ნ. განმარტებული წესი იმ პირობებისათვის, რომლებსაც აქვთ ეთნიკური ან ლინგვისტური კავშირი მოცემულ სახელმწიფოსთან (მაგ., გამარტივებული ნ. ყველა პორტუგალიენოვან უცხოელებისათვის ბრაზილიაში). ხშირად ნატურალიზებული მოქალაქეების უფლებების წრე უფრო ვიწროა, ვიდრე დაბადებით მოქალაქეებისა (მაგ., აშშ-ში, ესტონეთში, საქართველოში სახელმწიფოს პრეზიდენტი შეიძლება იყოს მხოლოდ დაბადებითი მოქალაქე).

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – სასამართლო სისტემისა და მთლიანად სახელმწიფო ხელისუფლების მთელი სისტემის ერთ-ერთი მეტნაკლებად დემოკრატიული ინსტიტუტი, რომელიც შეიცავს მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხის უშუალო მონაწილეობის პრინციპს. აღმოცენდა ინგლისში XII-XV საუკუნეებში და საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ მიიღო ფართო გავრცელება ევროპასა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. კლასიკური ვარიანტით შედგება ნაფიც მსაჯულთა სკამისაგან 6,12 ან სხვა რაოდენობის მოქალაქეთა კოლეგიისაგან, რომლებიც შემთხვევითი მეთოდიკით არიან შერჩეულნი მხოლოდ მოცემული საქმისათვის და ერთი (ზოგჯერ მეტისაც) პროფესიონალი მოსამართლისაგან. როგორც წესი, ნ. მ. ს. განიხილავს სერიოზულ სისხლის სამართლის საქმეებს პირველი ინსტანციით და მისი გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება სააპელაციო გასაჩივრებას. დღესდღეობით ნ. მ. ინსტიტუტი

მოქმედებს აშშ-ში (სადაც იგი კონსტიტუციურად განმტკიცდა ჯერ კიდევ 1791 წ.). დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ირლანდიაში, შვეიცარიაში და რიგ სხვა ქვეყნებში.

ნაჩუქარი კონსტიტუციები – კონსტიტუციები, ნაჩუქარი მონარქის ხელისუფლების მიერ და არა პარლამენტის ან დამფუძნებელი კრების მიერ დადგენილი. XX საუკუნეში ცნობილია კონსტიტუციების ჩუქება არა მხოლოდ მონარქების, არამედ რესპუბლიკებში სახელმწიფოს მეთაურების მიერაც (მაგ., პაკისტანის კონსტიტუცია 1962 წელს იყო ნაჩუქარი ამ ქვეყნის პრეზიდენტის მიერ), ხოლო ფიჯის კონსტიტუცია 1990 წელს – მთავრობის მიერ.

ნაციონალიზაცია – ქონების გადასვლა კერძოდან საჯარო საკუთრებაში, თუ მესაკუთრე ხდება სახელმწიფო.

ნანილობრივი არჩევნები (იხ. დამატებითი არჩევნები).

ნანილობრივი ვეტო (იხ. ვეტო).

ნანილობრივი კონსტიტუციური კონტროლი – კონსტიტუციური კონტროლის ერთ-ერთი სახე, რომელიც ვრცელდება მხოლოდ კონსტიტუციით მონესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრულ სფეროზე.

ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუნლიკა (იხ. შერეული ტიპის რესპუნლიკა).

„ნიადაგის პრინციპი“ (ტერიტორიული პრინციპები) – დაბადებითი მოქალაქეობის მოპოვების ერთ-ერთი პრინციპი. „ნ. პ.“ პირს ენიჭება იმ სახელმწიფოს მოქალაქეობა, რომლის ტერიტორიაზეც დაიბადა იგი.

ო

ოპერაცია (ლათინური ოპტო – ამორჩევა) – მოქალაქეობის მოპოვების ან შეწყვეტის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც მდგომარეობს მოქალაქეობის არჩევანში ცხოვრობენ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც გადაეცემა ერთი სახელმწიფოდან მეორეს, იღებენ ო. უფლებას იმ წესითა და იმ ვადაში, რომლებიც განსაზღვრულია შესაბამის სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებით.

ორგანული კანონი – კანონი, რომელიც მიიღება კონსტიტუციის პირდაპირი მითითებით (ე.ი. მისი ბლანკეტური ნორმების საფუძველზე) და იმ წესით, რომელიც

განსხვავდება როგორც კონსტიტუციის, ისე ჩვეულებრივი (მიმდინარე) კანონების მიღების წესისაგან. როგორც წესი, კონსტიტუცია ითვალისწინებს ო. კ. მიღებას საარჩევნო სისტემის, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის, სახელმწიფოს უმაღლესი აღამასრულებელი და სასამართლო ორგანოების სტატუსისა და სხვა საკითხებზე. ო. კ. ძირითადად ცნობილია რომანული სამართლის სისტემის რუმინეთის და ა.შ.) ბრაზილიაში ო. კ. უწოდებენ დამატებით კანონს. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია ცნობს ო. კ. კანონთა საერთო კლასიფიკაციაში, ნნ-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კი ორგანულ კანონის პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ორდანანსი (ინგლისური ორდინანცეს – ბრძანება) – რიგ საზღვარგარეთის ქვეყნებში (საფრანგეთი, ალჟირი, ტუნისი და ა.შ.) სახელმწიფოს მეთაურის აქტი, რომელიც განეკუთვნება საკანონმდებლო საქმიანობის სფეროს, მაგრამ რომელიც მიიღება გამონაკლის შემთხვევაში ან იმ პერიოდში, როცა პარლამენტის საქმიანობა შეწყვეტილია განსაკუთრებული გარემოებების შედეგად. საფრანგეთში ო. იწოდება აგრეთვე სახელმწიფოს მეთაურის მიერ ხელმოწერილი მთავრობის აქტები, რომლებიც მიიღება დელეგირებული კანონმდებლობის წესით (საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციის 38-ე მუხლი). რუმინეთში ო. გამოიყენა მთავრობის მიერ სპეციალურად უფლებააღმჭურველი კანონის საფუძველზე იმ ფარგლებში და იმ საკითხებზე, რაც ამ კანონით არის გათვალისწინებული.

ორმაგი ვოტუმი (იხ. პლურალური ვოტუმი).

ორმაგი მოქალაქეობა (იხ. მრავალმოქალაქეობა).

ორპალატიანი სისტემა (ბიკამერალიზმი) სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი დანე-სებულებების – პარლამენტების სტრუქტურა, რომლის დროსაც პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან, რომლებიც ყალიბდებიან სხვადასხვანაირად და განსხვავებული კომ-პეტენცია აქვთ. ისტორიულად ქვედა პალატა ტრადიციულად ითვლებოდა უფრო დემოკრატიულად, ამიტომაც მას უპირისპირდებოდა ზედა პალატა, რომელიც წარმოადგენდა არისტოკრატიის ინტერესებს და ასრულებდა მუხრუჭის როლს ქვედა პალატასთან მიმართებაში. ო.ს. სადღეს-დღეობით არსებობს

როგორც ფედერაციულ, ისე უნიტარულ სახელმწიფოებში. პარლამენტის ქვედა პალატა ყოველთვის აირჩევა უშუალოდ მოსახლეობის მიერ. ზედა (საფრანგეთი, ავსტრია,) ან პირდაპირი არჩევნების (აშშ, იტალია, იაპონია, ავსტრალია) გზით. ზოგიერთ ქვეყანაში ზედა პალატა ყალიბდება მემკვიდრეობითობის ნიშნით (დიდი ბრიტანეთი) ან მისი წევრები ინიშნებიან სახელმწიფოს მეთაურის მიერ (კანადა). ზოგ შემთხვევაში ზედა პალატები ყალიბდება შერეული სისტემით: მისი წევრების ნაწილი აირჩევა, ნაწილი ინიშნება, დანარჩენები იკავებენ ადგილს მემკვიდრეობითობის პრინციპით (ნეპალი). ზოგიერთ ქვეყნებში ზედა პალატისათვის ქვედა პალატისაგან განსხვავებით არ არის დადგენილი უფლებამოსილების ვადა, ხდება მისი შემადგენლობის განახლება ნაწილობრივ (აშშ-ში, არგენტინაში, საფრანგეთში და სხვა.), რაც ზედა პალატას აძლევს არსებით ორგანიზაციულ უპირატესობას, ქმნის ერთგვარად საკანონმდებლო ხელისუფლების უწყვეტობის ხილვადობას. ზედა პალატის დეპუტატებისათვის, როგორც წესი, წამოყენებულია უფრო მეტი მოთხოვნები (გაცილებით მაღალი ასაკობრივი ცენზი და სხვა.) თანამედროვე პარლამენტების უმრავლესობაში ზედა პალატების უფლებები შეზღუდულია ქვედა პალატების უფლებებთან შედარებით (მაგ., ბევრ ქვეყანაში საფინანსო კანონპროექტების შეტანა შეუძლიათ მხოლოდ ქვედა პალატებს, ხოლო ზედა პალატებს არ შეუძლიათ მათ მიღებაზე მოახდინონ რაიმე ზეგავლენა). პარლამენტებში, სადაც პალატები არათანაბარუფლებიანები არიან, დადგენილია განსაზღვრული პროცედურები ზედა პალატების წინააღმდეგობების გადასალახავად ქვედა პალატების მიერ მოწონებული არასაფინანსო ხასიათის კანონპროექტებთან დაკავშირებით. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-4 მუხლი ითვალისწინებს მომავალში საქართველოში ორპალატიანი პარლამენტის არჩევას, კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: „რესპუბლიკის საბჭო და სენატი“.

ოფიციალური ენა – სახელმწიფოს ძირითადი ენა, რომელიც გამოიყენება კანონმდებლობასა და ოფიციალურ საქმის წარმოებაში, სამართალწარმოებაში, სწავლებაში და ა.შ. მრავალეროვანი მოსახლეობის ქვეყნებში (მაგ. ინდოეთი, კანადა, შვეიცარია) კონსტიტუციებით განისაზღვრება, თუ რომელი ენა (ენები) წარმოადგენს ოფიციალურს. ო. ე. დადგენა ან არსებობა არ გამორიცხავს სხვა ენების გამოყენებას როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე ოფიციალურადაც შესაბამისი სახელმწიფოს ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა სარგებლობს ენით, რომელიც არ არის ოფიციალური, მაგ., ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციის მე-3 მუხლი აცხადებს რა კასტილიურ კილოს ო. ე. აღიარებს, რომ ესპანური ენის ყველა სხვა დანარჩენი კილოები აგრეთვე არის ო. ე. შესაბამის ავტონომიურ ერთეულებში. ანალოგიურ დებულებებს შეიცავს ინდოეთის 1950 წლის კონსტიტუცია და სხვა ქვეყნების კონსტიტუციებიც. ზოგიერთ ქვეყანაში ადგილობრივ ეროვნულ ენასთან ერთად ო. ე. ითვლება ყოფილი მეტროპოლიის ენაც (ინგლისური, ფრანგული ან რომელიმე სხვა ენა). სახლმწიფოთა უმრავლესობაში (საქართველოს ჩათვლით). „ო. ე.“ და „სახელმწიფო ენის“ ცნებები მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს. ხოლო ცალკეულ ქვეყნებში განასხვავებენ ო. ე. და სახელმწიფო ენის სტატუსს. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ენის კონსტიტუციით განმტკიცებას, ძირითადად, სიმბოლური ხასიათი აქვს (მაგ., შვეიცარიაში, კონსტიტუციის თანახმად, ო. ე. არის გერმანული, ფრანგული, იტალიური და რეტორომანული, ამასთან, ეს უკანასკნელი პრაქტიკულად არც გამოიყენება). საქართველოში, 1995 წლის კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად „საქართველოს სახელმწიფო ენა ანუ ოფიციალური ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში ასევე აფხაზური“.

ოფიციალური რელიგია (იხ. სახელმწიფოს რელიგია).

3

პალატა – კონსტიტუციურ სამართალში სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების ან მათი

შემადგენელი ნაწილების სახელწოდება (იხ. აგრეთვე ორპალატიანი სისტემა, ერთპალატიანი სისტემა).

პარლამენტარიზმი—მმართველობის სისტემა, რომელსაც ახასიათებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქციების მკაფიო განაწილება წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტის ფორმალური უზენაესობით სხვა სახელმწიფო ორგანოების მიმართ. მთავრობა იქმნება პარლამენტის მიერ და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

პარლამენტი — უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო სახელწოდება. პ. პირველად შეიქმნა ინგლისში XIII საუკუნეში, როგორც ნოღებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო, რეალური მნიშვნელობა მოიპოვა XVII-XVIII საუკუნეებში ბურჟუაზიული რევოლუციების შემდეგ, საკუთრივ პ, როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს აღმნიშვნელი სახელწოდება, გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, ბელგიაში, საფრანგეთში, იტალიაში, კანადაში, საქართველოში და ა.შ. აშშ-ში და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში პ. ეწოდება კონგრესი, ლიტვაში და ლატვიაში — სეიმი და ა.შ. სტრუქტურის მიხედვით განასხვავებენ ერთპალატიან და ორპალატიან პარლამენტებს (იხ. ერთპალატიანი სისტემა, ორპალატიანი სისტემა). დიდ ბრიტანეთსა და მისი ყოფილი კოლონიების უმრავლესობაში პალატების გარდა პ. შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სახელმწიფოს მეთაური (მონარქი ან პრეზიდენტი). ორპალატიანი პ. ქვედა პალატები და ერთპალატიანი პ. ყოველთვის იქმნება პირდაპირი არჩევნების გზით, ზედა პალატები კი ყალიბდება პირდაპირი (აშშ იტალია), ან არაპირდაპირი (ირიბი, მრავალ-საფეხურიანი), არჩევნების გზით (ინდოეთი, საფრანგეთი). მათი წევრების ნაწილი იკავებს ადგილს მემკვიდრეობის ან დანიშვნის წესით (დიდი ბრიტანეთი, კანადა). კანოპროექტებისა და სხვა საკითხების წინასწარ განსახილველად პალატებში იქმნება კომიტეტები ან კომისიები (იხ. პარლამენტის კომისიები). დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში პ. სესიები მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში (არდადეგებით), ხოლო დეპუტატებს ეძლევათ ანაზღაურება, ე.ი. არაპროფესიონალი პარლამენტარები. პ. ფუნქცია, ჩვეულებრივ, მოიცავს კანონების გამოცემას, სახელმწიფო

ბიუჯეტის მიღებას, საერთაშორისო ხელ-შეკრულების რატიფიცირებას და ა.შ. იმ ქვეყნებში, სადაც გათვალისწინებულია მთავრობის პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე, პ. ქმნის მთავრობას და აკონტროლებს მის საქმიანობას. ზოგიერთ ქვეყანაში (ჩეხეთი, ესტონეთი, თურქეთი) პ. ფუნქციებში შედის სპეციალური პროცედურის გზით პრეზიდენტის არჩევა.

პარტიული სისტემა – პოლიტიკური ინსტიტუტი, რომელიც ახასიათებს საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციას და თვითონ ხასიათდება, ერთი მხრივ, პოლიტიკურ პარტიებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებით, ხოლო, მეორე მხრივ, – პოლიტიკური სისტემის სხვა საზოგადოებრივ ელემენტებთან და მოქალაქეებთან ურთიერთკავშირით. დაახლოებით ორ ათეულ ქვეყანაში (ქუვეითი, საუდის არაბეთი, ომანი, კატარი და სხვა) პოლიტიკური პარტიები არ არსებობს მათი ოფიციალურად აკრძალვის მიზეზით. დანარჩენ სახელმწიფოებში არსებობს ერთპარტიული ან მრავალპარტიული სისტემები (იხ. მრავალპარტიულობა). კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში განასხვავებენ მრავალპარტიულ სისტემებს ერთი გაბატონებული პარტიით (იაპონია, შვეცია, მექსიკა), ორი წამყვანი პარტიით (აშშ, დიდი ბრიტანეთი), ორი წამყვანი პარტიით, რომელთაგან ერთ-ერთი იძულებულია მუდმივად დაეყრდნოს გაცილებით პატარა პარტიის (პარტიების) კავშირს (გფრ), საკუთრივ მრავალპარტიულს (საფრანგეთი, რუსეთი, საქართველო). ერთპარტიული სისტემები დამახასიათებელია ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმის ქვეყნებისათვის. ამასთან, საკმაოდ ხშირად ერთადერთი პარტიის „ხელმძღვანელი როლი“ განმტკიცებულია კონსტიტუციით. დღესდღეობით ერთპარტიული სისტემები არსებობს კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში., კუბაში, ვიეტნამში, ლაოსში, ჩინეთის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებობს ფსევდო მრავალპარტიული სისტემა: მმართველი კომუნისტური პარტიის გვერდით არსებობს რამდენიმე „ჯუჯა პარტია“, რომელიც ულაპარაკოდ უჭერს მხარს პირველს.

პასიური საარჩევნო უფლება – არჩევითი სახელმწიფო ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის

ორგანოებში არჩევის უფლება (ე.ი. დემუტატობის კანდიდატის სახით რეგისტრაციის გავლის, სხვა კანდიდატების თანასწორად წინასაარჩევნო პროპაგანდისა და აგიტაციის ჩატარების უფლება და ა.შ. ბევრ ქვეყანაში პ. ს. უ. ქონება (აქტიურ საარჩევნო უფლებასთან შედარებით) განპირობებულია სხვადასხვა გაძლიერებული საარჩევნო ცენზებით: ასაკობრივი, ბინადრობის, განათლების, სამსახურებრივი და ა.შ. კანადაში, არგენტინაში, ბელგიასა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში პ.ს.უ. განსახორციელებლად (ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი არჩევნების დროს) დადგენილია ქონებრივი ცენზიც. ყველაზე ხშირად პ.ს. უ. შეზღუდვა გეხვდება მომატებული ასაკობრივი ცენზის სახით, თანაც პარლამენტების ზედა პალატების არჩევისას ეს ცენზი განსაკუთრებით მაღალია, მაგალითად, აშშ-ში, ინდოეთში, იაპონიაში პ. ს. უ. პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნებისას აქვთ პირებს, რომლებმაც მიაღწიეს 25 წელს, ხოლო ზედაში – 30 წელს, საფრანგეთსა და რუმინეთში, შესაბამისად, 23 და 35 წელს, იტალიაში – 25 და 40 წელს, ჩეხეთში – 21 და 40 წელს, საქართველოში, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას პ. ს. უ. აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც მიაღწიეს 25 წლის ასაკს. (მუხლი 49, პუნქტი II).

პერი (ლათინური სიტყვისაგან პარ – თანასწორი) – დიდ ბრიტანეთში არისტოკრატიული ნოდება, რომელიც იძლევა პარლამენტის ზედა პალატის (ლორდთა პალატის) წევრობის უფლებას.

პერსონალური ავტონომია – ექსტრატერიტორიული (კულტურულ-ეროვნული) ავტონომიის ერთ-ერთი სახე, ეროვნული საკითხის გადანყვევტისა და ეროვნული უმცირესობის უფლებების დაცვის ერთ-ერთი საშუალება. წარმოადგენს ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთა საკანონმდებლო წესით განმტკიცებულ შესაძლებლობას, შეინარჩუნოს თავისი ეროვნული თვითმყოფადობა, ე.ი. თავისუფლად ისარგებლოს თავისი კულტურის მონაპოვართ, აღასრულოს თავისი რელიგია, გამოიყენოს თავისი დედაენა კერძო და საჯარო ცხოვრებაში, შექმნას საკუთარი ასოციაციები, იქონიოს ურთიერთობები თავისი ეროვნების წარმომადგენლებთან, როგორც იმავე ქვეყანაში, აგრეთვე

საზღვარგარეთაც, ჰქონდეს შესაძლებლობა შეისწავლოს თავისი ეთნიკური ჯგუფის დედაენა, ისტორია, ტრადიციები და კულტურა.

პეტიცია – წერილობითი სახით კოლექტიური თხოვნის შეტანა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში. იხ. აგრეთვე პეტიციის უფლება.

პირდაპირი მმართველობა – კონსტიტუციურ სასამართლოში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ერთ-ერთი ფორმა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების უშუალოდ წყდება შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის კრებებზე, გამოიყენება შვეიცარიის ზოგიერთ კანტონში, აშშ-ის ზოგიერთ შტატსა და რიგ სხვა ქვეყნებში.

პირდაპირი საარჩევნო უფლება – საარჩევნო სისტემის პრინციპი, რომელიც გულისხმობს ამომრჩევლის მიერ თავისი ხმის უშუალოდ მიცემას კონკრეტული კანდიდატის ან კანდიდატთა სიისათვის. პ. ს. უ. დროს არ არსებობენ განსაკუთრებული შუამავლები, ე.წ. „ამომრჩეველთა კოლეგიები“.

პლებისციტი (ლათინური პლებისციტუმ, სიტყვებიდან პლებს – უბრალო ხალხი და სციტუმ – გადაწყვეტილება, დადგენილება) – მოსახლეობის გამოკითხვა, როგორც წესი, შესაბამისი ტერიტორიის ბედის განსაზღვრის მიზნით. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., საფრანგეთი) პ. ითვლება რეფერენდუმის სინონიმად (იხ. რეფერენდუმი). ფორმალური იურიდიული თვალსაზრისით პ. ჩატარების პროცედურა, მიუხედავად იმისა, თუ რა საკითხი იხილება არაფრით არ განსხვავდება რეფერენდუმის პროცედურისაგან.

„პლებისციტური დემოკრატია“ – პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია, რომელიც შემუშავდა საფრანგეთის V რესპუბლიკის პოლიტიკური გამოცდილების ბაზაზე. „პ. დ.“ თეორიის თანახმად, მაღალგანვითარებული ინდუსტრიული და ადმინისტრაციული ხელისუფლების კონცენტრაციას დინამიკური და ადმინისტრაციული ხელისუფლების კონცენტრაციას დინამიკური ზოგადეროვნული ლიდერისა („ძლიერი“ პრეზიდენტის ხელში) და მას დაქვემდებარებული მაღალკვალიფიციური ბიუროკრატიული აპარატის ხელში. სრული პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის ინტერესებში პრეზიდენტი უნდა დაეყრდნოს არა

„დეგრადირებულ“ საპარლამენტო დაწესებულებებს, არამედ უშუალოდ ერის ნების გამოხატულებას, რომელიც მულაენდება პლებისციტების მეშვეობით (რომლის მეშვეობითაც აირჩევა პრეზიდენტი და ხორციელდება მათ მიერ შეთავაზებული უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო გადანაცვეტილებები).

პლენუმი (ლათინური პლენუმ – სრული) – ამა თუ იმ ორგანიზაციის (სახელმწიფო, პარტიული, საზოგადოებრივი) არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა სრული შემადგენლობით შეკრება.

პოლინომინალური ოლქი (იხ. საარჩევნო ოლქი).

პოლიტიკური პარტია – მყარი სტრუქტურისა და მუდმივი ხასიათის საქმიანობის მქონე დამოუკიდებელი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც გამოხატავს თავისი წევრებისა და მომხრეების პოლიტიკურ ნებას, ამოცანად ისახავს მონაწილეობა მიიღოს მოცემული სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებაში, აგრეთვე ხელისუფლების განხორციელებას ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში არჩეული თავისი წარმომადგენლობის მეშვეობით.

პ. პ. ზუსტი იურიდიული განმარტება მოცემულია კონკრეტული ქვეყნების კანონმდებლობაში და შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან ადგილობრივი პოლიტიკური და სამართლებრივი ტრადიციების გათვალისწინებით. ბევრი სხვა თანამედროვე სახელმწიფოების კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია არ შეიცავს სპეციალურ დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ პ. პ. სტატუსს და მათ როლს პოლიტიკურ სისტემაში, განამტკიცებს რა მხოლოდ მრავალპარტიულობის პრინციპს. კონსტიტუციური სამართლის თეორიაში განასხვავებენ ზოგად ეროვნულ და ადგილობრივ პ. პ. საკუთრივ პოლიტიკურის გარდა შეიძლება გამოვყოთ კონფესიური და ეროვნული პ. პ., რომლებიც აერთიანებენ მოქალაქეებს არა მათი პოლიტიკური შეხედულებების პრინციპით, არამედ საერთო რელიგიის ან ეროვნების საფუძველზე.

პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალიზაცია – პოლიტიკური პარტიის მოქალაქეთა ჩვეულებრივი

ასოციასიიდან სრულყოფილ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ინსტიტუტიდან გადაქცევუს პროცესი პ. პ. ი. მულავნდება ორ ურთიერთდაკავშირებულ პროცესში: კონსტიტუციონალიზაციაში, ე.ი. პოლიტიკური პარტიების სტატუსის ძირითადი პრინციპების კონსტიტუციით განმტკიცებაში და საკანონმდებლო ინსტიტუციონალიზაციაში, რომლის შედეგად პარტიის სამართლებრივი მდგომარეობა პოვებს შემდგომ რეგულირებას კანონში.

პოლიტიკური პროცესი – პოლიტიკური სისტემის, მისი ინსტიტუტების ფუნქციონირების წესი. შეიძლება გამოვყოთ პ. პ. შემდეგი სტადიები: 1) პოლიტიკური სისტემის აღმოცენება; 2) მისი ელემენტებისა და კომპონენტების განვითარება; 3) საზოგადოების მართვის სავალდებულო პოლიტიკურ-მბრძანებლური გადაწყვეტილების მიღება და შესრულება; 4) მათ რეალიზაციაზე კონტროლის განხორციელება. „პ. პ.“ ცნება მოიცავს სხვადასხვა სუბიექტების პოლიტიკური საქმიანობის საკმაოდ მრავალფეროვან ფორმას, საშუალებებსა და მიმართულებებს. პ. პ. რეგულირდება, როგორც სამართლის (პირველყოვლისა, კონსტიტუციური) ნორმებით, ისე მრავალფეროვანი დანერილი თუ დაუნერელი არასამართლებრივი ნორმებით (კორპორაციული ნორმებით – პარტიებისა და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების წესდებებითა და სხვა დოკუმენტებით, ჩვეულებებით, ტრადიციებით, ეთიკურ-მორალური ნორმებით და სხვ.), ზოგჯერ კი საერთოდაც არაფრით არ წესრიგდება, მიმდინარეობს სპონტანურად.

პოლიტიკური რეჟიმი – კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში ცნება, რომელიც განმარტავს, თუ რა საშუალებებით, ფორმებითა და მეთოდებით ხორციელდება პოლიტიკური ხელისუფლება საზოგადოებაში. ეს არის ხელისუფლების ფუნქციონალური დახასიათება. არ არსებობს პ. რ. ერთიანი ტიპოლოგია, კაცობრიობის განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა პ. რ. რამდენიმე ძირითადი სახე, რომელთაგან კონსტიტუციური სამართლის მეცნიერება ყველაზე ხშირად გამოყოფს დემოკრატიულ, ლიბერალურ, ავტორიტარულ და ტოტალიტარულ პ. რ. პ. რ. ხასიათი არასოდეს არ არის პირდაპირ მითითებული სახელმწიფოების კონსტიტუციებში (თუ არ ჩავთვლით ფრიად გავრცელებულ მითითებას სახელმწიფოს დემოკრატიული

ხასიათის შესახებ), თუმცა თითქმის ყოველთვის უშუალოდ ჩანს მათი ხასიათი.

პოლიტიკური სისტემა (საზოგადოების) – 1) როგორც კომპლექსური კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტი არის ნორმების ერთობლიობა, რომელიც ადგენს სახელმწიფოს, როგორც განსაკუთრებული პოლიტიკური წარმონაქმნის, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტატუსს და რომელიც არეგულირებს ზემოთ აღნიშნულ სუბიექტებს შორის ურთიერთობებს; 2) მატერიალური გაგებით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სახელმწიფო (პოლიტიკური) ხელისუფლება.

პოლიტიკური უფლებამოსილება – მოქალაქის უნარი, იყოს პოლიტიკური სამართალურთიერთობების სუბიექტი, ე.ი. პქონდეს მოცემული ქვეყნის კონსტიტუციური სამართლის ნორმებით გარანტირებული პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები და მათთან დაკავშირებული მოვალეობები. დემოკრატიულ ქვეყანაში პ. უ. აღიჭურვება, როგორც დაბადებით საქართველოს (ყველა) მოქალაქე, ასევე პირები, რომლებმაც მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა.

პოლიტიკური უფლებების და თავისუფლებები – მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების ერთ-ერთი ძირითადი ჯგუფი, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს, მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში პ. უ. და თ. მოიცავს: მოქალაქეთა სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლებას, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება მოქალაქის საარჩევნო უფლებებს, გაერთიანების უფლებას, ინფორმაციის უფლებას, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას, აზრის თავისუფლებას, პეტიციის უფლებას, პ. უ. და თ. ჩვეულებრივ უკავშირდება მოქალაქის კავშირს მოცემული სახელმწიფოსადმი.

პოლიტიკური ქმედუნარიანობა – მოქალაქის უნარი თავისი მოქმედებებით დამოუკიდებლად განახორციელოს პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები, რომელიც გარანტირებულია მოცემული ქვეყნის კონსტიტუციითა და კანონებით. მოქალაქის პ. ქ. შეიძლება შეიზღუდოს როგორც

საერთო ქმედუნარიანობასთან ერთად (მაგ., რეალური ავადმყოფობის შემთხვევაში), ისე საერთო ქმედუნარიანობისაგან დამოუკიდებლად (მაგ., იხ. ლუსტრაცია).

პრაიმერიზმი - აშშ-ში წინასწარი (პირველადი) არჩევნები, რომლის მსვლელობისას ხდება ცენტრალური და ადგილობრივი წარმომადგენლობითი დაწესებულებების, სხვა არჩევით თანამდებობებზე კანდიდატების, ეროვნული პარტიული კონვენტების დელეგატების, დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების პარტიული კომიტეტების წევრების წარდგენა (დასახელება).

პრეამბულა - საკანონმდებლო ან სხვა სამართლებრივი აქტის, საერთაშორისო ხელშეკრულებისა და დეკლარაციის შესავალი ნაწილი. ჩვეულებრივ, პ. ჩამოყალიბებულია კონკრეტული აქტის მიზნები და ამოცანები, მისი მიღების მოტივები და ა.შ. საერთაშორისო ხელშეკრულებების ან შეთანხმებების პ. ყოველთვის ჩამოთვლილია მათი მხარეები (იხ. ასევე კონსტიტუციის პრეამბულა).

პრეზიდენტი - (ლათინური პრეზიდენტი - წინ მჯდომი) - რესპუბლიკური მმართველობის ფორმის ქვეყნებში სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების, ან მხოლოდ სახელმწიფოს მეთაური. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალი 183 ქვეყნიდან, 130-ზე მეტს აქვს პრეზიდენტის პოსტი. პ. თანამდებობა თანამედროვე სახით პირველად აღმოცენდა აშშ-ში 1787 წელს. პ. კონსტიტუციური სტატუსი და უფლებამოსილებები საკმაოდ განსხვავდება რესპუბლიკის ტიპის მიხედვით. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში, რომლის კლასიკურ მაგალითსაც წარმოადგემს აშშ-ი, პ. არის არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის, ე.ი. ადმინისტრაციის (აშშ, ლათინური ამერიკის ქვეყნები) ან მთავრობის (ყაზახეთი, უზბეკეთი, ბელორუსი) მეთაური. პრემიერ-მისტრის თანამდებობა, როგორც წესი, არ არსებობს. პ. აირჩევა არასაპარლამენტო გზით, ე.ი. ხალხის მიერ (პირდაპირ ან არაპირდაპირ). საპარლამენტო რესპუბლიკაში (გფრ, ინდოეთი). პ. არის მხოლოდ სახელმწიფოს მეთაური და არა მთავრობის. რეალური აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, რაც, პირველ ყოვლისა, მულავნდება პრემიერ-მინისტრის ან შესამაბისი

მინისტრის მიერ პ. აქტების უმრავლესობის კონტრასიგნირების აუცილებლობაში. პ., როგორც წესი, აირჩევა პარლამენტის მიერ ან ამ უკანასკნელის მონაწილეობით. შერეული ტიპის ანუ ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკებში (საფრანგეთი, პორტუგალია, პოლონეთი) პ. აგრეთვე წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურს, თუმცა აქვს რეალური სახელისუფლო უფლებამოსილებები, რაც საშუალებას აძლევს მას ფაქტობრივად უხელმძღვანელოს პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობას. ამ სისტემის დროს პ., როგორც წესი, აირჩევა საყოველთაო არჩევნებზე. პრეზიდენტობის მოდელის მიუხედავად, პ. კონსტიტუციის თანახმად, ფლობს შემდეგ უფლებამოსილებებს: ის წარმოადგენს ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობებში, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მონაწილეობს მთავრობის წევრთა და მოსამართლეთა დანიშვნაში, ამტკიცებს და ხელს აწერს კანონებს, გამოსცემს ბრძანებულებებს, აქვს საკანონმდებლო ინიციატივისა და ვეტოს უფლება აჯილდოებს ორდენებითა და მედლებით, ანიჭებს უმაღლეს სამხედრო წოდებებს, ახორციელებს შეწყალების უფლებას, წყვეტს მოქალაქეობის საკითხებს, ნიშნავს და გამოიწვევს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელებს, საპარლამენტო რესპუბლიკასა და შერეული ტიპის რესპუბლიკაში განსაზღვრულ შემთხვევებში, პ. უფლება აქვს დაითხოვოს პარლამენტი და გამოაცხადოს ვადამდელი არჩევნები.

პრემიერ მინისტრი – მთავრობის მეთაურის სახელწოდება დიდ ბრიტანეთში, რუმინეთში, პორტუგალიაში, იტალიაში, კანადაში, სლოვაკეთსა და რიგ სხვა ქვეყნებში. პ. მ. თანამდებობა ძირითადად გვხვდება საპარლამენტო ან შერეული ტიპის რესპუბლიკებში.

პრეფექტი (ლათინური პრაეფექტუს – ხელმძღვანელი) – ზოგიერთ სახელმწიფოში ადგილებზე ცენტრალური (რუმინეთი) ან რეგიონული (რუსეთი) მთავრობის წარმომადგენლის განსაკუთრებული ინსტიტუტი პირველად პ. ინსტიტუტი (ახალ პერიოდში) აღმოცენდა საფრანგეთში 1802 წელს.

პრეფექტურა – 1) პრეფექტის თანამდებობა, წოდება და მმართველობის რაიონი; 2) იაპონიაში ძირითადი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულის სახელწოდება.

პროვინცია (ინგლისაური პროვინცე – ოლქი) – ფედერაციის სუბიექტების სახელწოდება არგენტინაში, კანადაში, პაკისტანში; კოლუმბიაში, ნიდერლანდებსა და რიგ სხვა უნიტარულ სახელმწიფოებში მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სახელწოდება.

პრომულგირება (ლათინური პრომულგაციო – გამოცხადება, გამოქვეყნება) – მთელ რიგ საზღვარგარეთის სახელმწიფოების კონსტიტუციურ სამართალში საკანონმდებლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტადია. გულისხმობს სახელმწიფოს მეთაურის მიერ კონსტიტუციით ან კანონით დადგენილ ვადაში მიღებული და დამტკიცებული კანონის გამოქვეყნებას ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. როგორც წესი, მხოლოდ პ. შემდეგ იძენს კანონი სავალდებულო ძალას.

პროპორციული საარჩევნო სისტემა (წარმომადგენლობის პროპორციული სისტემა) – კენჭისყრის შედეგების განსაზღვრის წესი, რომლის დროსაც პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის მანდატების განაწილება წარმოებს მათ მიერ მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით. პ. ს. ს. დროს იქმნება დიდი საარჩევნო ოლქები, რომლებშიც ყოველი პარტია და საარჩევნო ბლოკი წარადგენს თავის კანდიდატთა სიას, ხოლო ამომრჩეველი ხმას აძლევს შესაბამისი პარტიის ან საარჩევნო ბლოკის სიას. კენჭისყრის შედეგების გამოსავლენად ხდება ხმების მინიმუმის დადგენა, რომელიც აუცილებელია ერთი სადეპუტატო მანდატის მისაღებად. პარტიის სიის შიგნით მანდატების განაწილება, როგორც წესი, ხორციელდება იმ თანმიმდევრობის შესაბამისად, რა თანმიმდევრობაც დაცულია სიაში. პ. ს. ს. გამოიყენება ან მთელი პარლამენტის (დანია, ლუქსემბურგი, პორტუგალია, ლატვია) ან მხოლოდ ქვედა პალატის (ბელგია, ავსტრია, პოლონეთი, ავსტრალია) ან ქვედა პალატის შემადგენლობის 1/2-ის (გფრ, რუსეთი) საარჩევად.

პროფესიული ცენზი (იხ. სამსახურებრივი ცენზი).

ჟ

ჟოგორკუ კენეში – ყირგიზეთის რესპუბლიკის ერთპალატიანი პარლამენტის სახელწოდება.

რაიონი – თითქმის ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში (დღეს უკვე დამოუკიდებულ სახელმწიფოში) ძირეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სახელწოდება. რ. დონეზე ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობა.

რასობრივი ცენზი – საარჩევნო კანონის მოთხოვნა, რომლის თანახმად საარჩევნო უფლებები ენიჭებათ მხოლოდ განსაზღვრული რასის მოქალაქეებს. უკანასკნელ ათწლეულში მსოფლიო პრაქტიკაში გვხვდება ძალზე იშვიათად, უკანასკნელი რ. ც. შეიცვალა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 1993 წელს.

რატიფიცირება – 1) (საერთაშორისო ხელშეკრულების) სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება. რ. ჩვეულებრივ ექვემდებარება მხოლოდ ყველაზე უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულებები. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 65-ე მუხლის თანახმად საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რ. განეკუთვნება საქართველოს პარლამენტის კომპეტენციას; 2) (შესწორება კონსტიტუციაში) ფედერაციის სუბიექტების, რეფერენდუმის ან სპეციალურად მონკვეული ორგანოების მიერ მოცემული ქვეყნის კონსტიტუციაში პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცება. რ. კონკრეტულ პროცედურას (ან ალტერნატიულ პროცედურას) ადგენს კონსტიტუცია, მაგალითად, აშშ-ს კონსტიტუციაში შესწორებები აშშ კონგრესის მიერ მათი მიღების შემდეგ უნდა დამტკიცდეს შტატების საკანონმდებლო კრებების ან სპეციალური კონვენტების არანაკლებ 3/4 მიერ.

რეგენტობა (ლათინური რეგერე – მართვა) – მონარქიებში სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებების დროებითი კოლეგიური (რეგენტთა საბჭოს მიერ) ან ერთპიროვნული (რეგენტის მიერ) განხორციელება იმ შემთხვევაში, თუ ტახტი ვაკანტურია, ტახტის მემკვიდრე მცირეწლოვანია, მონარქის ხანგრძლივად ავადმყოფობს ან დროებით არ იმყოფება.

რეგიონალიზაცია – თანამედროვე სახელმწიფოებში პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფის ისეთი ტენდენცია, რომელიც გამოიხატება ძირეული ერთეულების გამსხვილებაში, ასევე მსხვილი რეგიონების შექმნაში, როგორც მაღალი დონის ერთეულების გაერთიანების გზით, ისე ახალი უმაღლესი ერთეულების შექმნით. რ. საკმაოდ აქტიურად განხორციელდა საფრანგეთში, ესპანეთში და იტალიაში ადგილობრივი მმართველობის რეფორმის ჩატარების პერიოდში.

რესპუბლიკა – სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომელის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლების ყველა უმაღლესი ორგანო ან აირჩევა, ან ყალიბდება საერთო სახელმწიფოებრივი წარმომადგენლობითი დაწესებულებების (პარლამენტების) მიერ, ხოლო მოქალაქეებს აქვთ პირადი და პოლიტიკური უფლებები. თანამედროვე პირობებში მსოფლიოს 190 სახელმწიფოდან 140-ზე მეტი არის რ. რესპუბლიკური მმართველობის ფორმის ჩარჩოებში მიღებულია განვასხვავოთ საპრეზიდენტო, საპარლამენტო და შერეული ტიპის (ნახევრადსაპრეზიდენტო) რ. საპრეზიდენტო რ. იურიდიულად განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ქვეყნის მოსახლეობის მიერ არჩეული პრეზიდენტი არის ერთდროულად როგორც სახელმწიფოს, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. ის აყალიბებს თავის აღმასრულებელ ადმინისტრაციას (შშ, მექსიკა) ან მთავრობას (ყირგიზეთი, პერუ), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ მის წინაშე. მთავრობაში, როგორც წესი, არ არის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. პრეზიდენტს არ შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი, ხოლო პარლამენტს არ შეუძლია ადმინისტრაციის (მთავრობის) გადაყენება. გამონაკლისის სახით საპრეზიდენტო რ. გვხვდება ე.წ. „ადმინისტრაციული“ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, პარლამენტის უფლება გაანთავისუფლოს ცალკეული მინისტრები. საპარლამენტო რ. (იტალია, გერ, უნგრეთი, ლატვია) იურიდიულად ორგანოს, რომელიც აყალიბებს მის წინაშე პოლიტიკურად პასუხისმგებელ მთავრობას და ირჩევს პრეზიდენტს, რომელიც არის მხოლოდ სახელმწიფოს, და არა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. პრეზიდენტი, როგორც წესი, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მხოლოდ მთავრობის წინადადებით, რომელსაც

ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. პარლამენტს შეუძლია უნდობლობის ვოტუმის გამოხატვის საფუძველზე მთავრობის გადაყენება, თუ ეს უკანასკნელი პარლამენტს საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერას. ამ შემთხვევაში პრეზიდენტს უფლება აქვს მთავრობის წინადადებით დაითხოვოს პარლამენტი და გამოაცხადოს ვადამდელი არჩევნები. შერეული ტიპის რ. (საფრანგეთი, ფინეთი, რუმინეთი) საპრეზიდენტო რ. ელემენტები შერწყმულია საპარლამენტო რ. ელემენტებთან. პრეზიდენტი (სახელმწიფოს მეთაური) აირჩევა, როგორც წესი, საყოველთაო არჩევნებით და იურიდიულად და რეალურად დიდი უფლებები აქვს. თუმცა მთავრობა ყალიბდება საპარლამენტო გზით და პასუხისმგებელია არა მხოლოდ პრეზიდენტის, არამედ პარლამენტის წინაშეც. პრეზიდენტი ახორციელებს მხოლოდ მთავრობის საერთო ხელმძღვანელობას, რომელსაც სათავეში უდგას პრემიერ-მინისტრი. პრეზიდენტს აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება განსაზღვრული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. რ. განსაკუთრებულ სახესხვაობას წარმოადგენს ე.წ. საბჭოთა რ. (იხ. საბჭოთა რესპუბლიკა).

რესპუბლიკური კომისარი- საფრანგეთში რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი, რომელიც ახორციელებს რეგიონებსა და დეპარტამენტებში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაზე ზედამხედველობას. უფლება აქვს გაასაჩივროს შესაბამისი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებები ადგილობრივ ადმინისტრაციულ ტრიბუნალებში.

რესპუბლიკური საბჭო – 1) სახელმწიფოს უმაღლესი საკონსულტაციო ორგანოს სახელწოდება ბრაზილიასა და საბერძნეთში; 2) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად გათვალისწინებულია ორი პალატის შექმნა, რომელთაგან ერთ ერთს ეწოდება რ. ს., რომელიც შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან.

რეფერენდუმი-უშუალო დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ საკითხზე ამომრჩევლების მონაწილეობა საყოველთაო კენჭისყრაში. რ. პროცედურის

ძირითადი განსხვავება არჩევნების პროცედურისაგან მდგომარეობს ამომრჩეველთა ნების გამოვლინების ობიექტში. არჩევნებისაგან განსხვავებით რ. დროს ობიექტს წარმოადგენს არა რაიმე ასარჩევ თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი ან კანდიდატების სია, არამედ განსაზღვრული საკითხი, რომელზეც ტარდება რ. – კანონი, კანონპროექტის, კონსტიტუცია, შესწორება კონსტიტუციაში, რაიმე პრობლემა, რომელიც ეხება შესაბამისი ქვეყნის საერთაშორისო სტატუსს, შიდაპოლიტიკურ პრობლემებს. თუ არჩევნების შედეგები შეიძლება განისაზღვროს როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული სისტემით, რ. შედეგები შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ მაჟორიტარიზმის პრინციპების საფუძველზე. რ. თავისებურ ფორმას წარმოადგენს პლებისციტი, ე.ი. მოსახლეობის გამოკითხვა იმ ტერიტორიის პოლიტიკური ბედის გადაწყვეტის შესახებ, რომელზეც ცხოვრობს ის. ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი) პლებისციტი ითვლება უფრო ფართო ცნებად, ვიდრე რ. სხვა ქვეყნებში (აშშ) არ ასხვავებენ ერთმანეთისაგან პლებისციტსა და რ. საქართველოს კანონმდებლობისათვის ცნობილია მხოლოდ „რ“ ცნება. თანამედროვე სახელმწიფოების კონსტიტუციური სამართალი ითვალისწინებს რ. სხვადასხვა ფორმებს და მათი გამოყენების სხვადასხვა პროცედურებს. არსებობს საერთოსახელმწიფოებრივი რ., რომელიც ტარდება სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის ფარგლებში, ადგილობრივი რ., რომელიც ტარდება ფედერაციის ცალკეულ სტრუქტურებში ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთობლიობებში; კონსტიტუციური რ., რომლის საგანია ან კანონის პროექტი, ან უკვე ძალაში შესული კანონი. თავისი სამართლებრივი მნიშვნელობის მიხედვით განასხვავებენ კონსულტაციურ რ., რომელიც ტარდება ამა თუ იმ საკითხზე საარჩევნო კორპუსის ნების გამორკვევის მიზნით, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ (ტარდება შვეიცარიაში, ესპანეთში) და გადამწყვეტია რ., როცა ამომრჩეველთა წინაშე კენჭისყრაზე გამოაქვთ აქტი მისი საბოლოო ბედის გადასაწყვეტად. „გადამწყვეტი“ რ. შეიძლება იყოს ან დამამტკიცებელი, თუ ამომრჩეველს სთავაზობენ ხმების უმრავლესობით დაამტკიცონ აქტი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ძალაში

შესული (გამოიყენება შეეცარიაში, საფრანგეთში) ან უარყოფელი, თუ ამომრჩეველებს სთავაზობენ ხმების უმრავლესობით გააუქმონ აქტი, რომელიც უკვე ძალაშია შესული (ასეთია მაგ., რ. მიმდინარე კანონმდებლობის საკითხებზე იტალიაში) რ. იყოფა აგრეთვე სავალდებულო და ფაკულტატურ რ. პირველ ჯგუფს განეკუთვნება რ., რომელთა აუცილებლობაც გათვალისწინებულია კონსტიტუციით ან სხვა კონსტიტუციურ-სამართლებრივი აქტით. მეორე შემთხვევაში რ. ჩატარდება ამა თუ იმ საკითხზე დამოკიდებულია შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ან საარჩევნო კორპუსის ნებაზე.

რისკდაგი – შეეციის ერთპალატიანი პარლამენტის სახელწოდება.

როტაციის პრინციპი – კონსტიტუციურ სამართალში ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობის ნაწილობრივი (ეტაპობრივი) განახლების პრინციპი. მაგ. აშშ-ის კონგრესის სენატის 1/3 გადარჩევა ყოველი ორი წლის შემდეგ რ. პ. საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული დეპუტატთა კორპუსის შემადგენლობაში მკვეთრი ცვლილებები, უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი დაწესებულებების მუშაობაში სტაბილურობასა და მემკვიდრეობითობას.

ს

საარჩევნო ბლოკი – რამოდენიმე პოლიტიკური პარტიის შეთანხმება სახელმწიფო მეთაურის, ცენტრალური და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში კანდიდატის ან კანდიდატთა სიის ერთობლივი წარდგენის შესახებ.

საარჩევნო ბიულეტენი – საარჩევნო დოკუმენტი დეპუტატობის კანდიდატების (ან პარტიული სიების) სახელწოდებებით, რომელსაც ამომრჩეველი ავსებს ფარულად, კანონით დადგენილი წესით და აგდება საარჩევნო ყუთში. განასხვავებენ ოფიციალურ (სახელმწიფოს მიერ დაბეჭდილ) და არაოფიციალურ ს. ბ. (საფრანგეთში ს. ბ. იბეჭდება არჩევნებში მონაწილე დეპუტატობის კანდიდატების, პარტიების მიერ, ნორვეგიაში კი

ამომრჩეველმა შეიძლება გამოიყენოს უბრალო თეთრი ფურცელი).

„საარჩევნო გეოგრაფია“ („საარჩევნო გეომეტრია“) – საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენის პრაქტიკა, რომელიც უხეშად არღვევს თანასწორი წარმომადგენლობის პრინციპს. იხ. აგრეთვე ჯერიმენდერინგი.

საარჩევნო კოდექსი – ზოგიერთ სახელმწიფოში (საფრანგეთში, ალჟირსა და საფრანგეთის სხვა კოლონიებში) სპეციალური საკანონმდებლო აქტი, რომელიც სისტემატიზირებული სახით შეიცავს საარჩევნო სამართლის ყველა ძირითად ნორმას.

საარჩევნო კომისიები – სპეციალური კოლეგიური ორგანოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პროცესს. ს. კ. შექმნის წესი და უფლებამოსილებები, როგორც წესი, განისაზღვრება კანონით არჩევნების შესახებ. საქართველოში ს. კ. სისტემაში შედიან ცენტრალური ს. კ., საოლქო ს. კ. და საუბნო ს. კ.

საარჩევნო კორპუსი – 1) მოქალაქეთა ერთობლიობა, რომლებსაც კანონის საფუძველზე აქვთ ხმის უფლება (აქტიური საარჩევნო უფლება) ე.ი. სახეზეა ე.წ. იურიდიული ს. კ.; 2) კენჭისყრაში რეალურად მონაწილე მოქალაქეთა ერთობლიობა, ე.ი. ფაქტორი ს. კ.

საარჩევნო ოლქი – ტერიტორიული ერთეული, საიდანაც აირჩევიან არჩევითი სახელმწიფო ორგანოების წევრები. იმისდა მიხედვით, თუ რამდენი დეპუტატი აირჩევა ყოველ ს. ო., განასხვავებენ ერთმანდატიან (უნიომინალურ) და მრავალმანდატიან (პრილინომინალურ) ს. ო. ს. ო. შეიძლება ასევე იყოს საერთო სახელმწიფოებრივი (პროპორციული საარჩევნო სისტემისას, სახელმწიფოს მეთაურის არჩევისას (და რეგიონული (მაჟორიტარული სისტემის დროს – ყოველთვის, ხოლო პროპორციული საარჩევნო სისტემისას – ზოგჯერ).

საარჩევნო ორგანოები – ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფენ არჩევნების პრაქტიკულ მომზადებასა და ჩატარებას. სხვადასხვა სახელმწიფოში ს. ო. შეიძლება იყოს როგორც სპეციალური საარჩევნო კომისიები, ასევე უკვე არსებული სახელმწიფო ორგანოები – მუნიციპალიტეტები, სასამართლოები, შინაგან საქმეთა ორგანოები.

საქართველოში ს. ო. სისტემას ქმნის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები.

საარჩევნო პროცესი – საარჩევნო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი. მოიცავს: 1. არჩევნების დანიშვნას (როგორც წესი, ეს არის სახელმწიფოს მეთაურის ან საკანონმდებლო ორგანოს პრეზიდიუმი); 2. კანონით დადგენილი წესით ამომრჩეველთა რეგისტრაციას; 3. საარჩევნო ოლქებისა და რაიონების ორგანიზაციას, რომლებიც ყალიბდება წარმომადგენლობის პრინციპით (ტერიტორიული, ეროვნული და ა.შ.), იქმნება ასევე საარჩევნო უბნები და კენჭისყრის პუნქტები; 4. კანდიდატების წარდგენას (როგორც წესი, ხორციელდება პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო ბლოკების, ზოგჯერ შრომითი კოლექტივებისა და სხვათა მიერ); 5. კენჭისყრის ჩატარების (ერთ ან ორ ტურად); 6. კენჭისყრის შედეგების დადგენასა და სადეპუტატო მანდატების განაწილებას, რომელიც ხორციელდება ადგილობრივი და ცენტრალური საარჩევნო ორგანოების მიერ.

საარჩევნო სამართალი – 1) ობიექტური გაგებით სამართლის ნორმების სისტემა, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების ჩამოყალიბების წესს, ე.ი. საარჩევნო სისტემას. გვევლინება კონსტიტუციური სამართლის ერთ-ერთ ინსტიტუტად; 2) სუბიექტური გაგებით – მოქალაქის უფლება, უშუალოდ აირჩიოს ან თავად იქნეს არჩეული წარმომადგენლობით ორგანოში. არის მოქალაქეთა ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური უფლება და განეკუთვნება პოლიტიკური უფლებების ჯგუფს.

საარჩევნო სისტემა – 1) არჩევითი სახელმწიფო ორგანოების (პირველ ყოვლისა, წარმომადგენლობითის) შექმნის წესი ს. ს. – სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, იგი რეგულირდება სამართლებრივი ნორმებით, რომლებიც ერთიანობაში ქმნიან საარჩევნო სამართალს. ს. ს. მოიცავს: ა) არჩევითი ორგანოების ჩამოყალიბებაში მონაწილეობის პრინციპებსა და პირობებს (იხ. აქტიური საარჩევნო უფლება, პასიური საარჩევნო უფლება); ბ) არჩევნების ორგანიზაციას და წესს (იხ. საარჩევნო პროცესი) და ზოგიერთ ქვეყანაში არჩევითი

პირების გამოწვევას. საქართველოს ს. ს. კონსტიტუციური პრინციპებია: საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნები ფარული კენჭისყრით, წინასაარჩევნო აგიტაციის თავისუფლება, კანდიდატების უფლებათა თანასწორობა საარჩევნო კამპანიის ჩატარებისას; 2) არჩევით ორგანოებში ადგილების განაწილების სისტემა კენჭისყრის შედეგების დადგენის შემდეგ. ცნობილია ორი ძირითადი ს. ს.: მაჟორიტარული და პროპორციული. ასევე შერეული ს. ს.

საარჩევნო უბანი – ტერიტორიული ერთეული, რომელიც იქმნება კენჭისყრის მოსაწყობად და ხმების დასათვლელად.

საარჩევნო ცენზები (კვალიფიკაციები) – კონსტიტუციით ან საარჩევნო კანონით დადგენილი პირობები საარჩევნო უფლების მოსაპოვებლად ან განსახორციელებლად. სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციური პრაქტიკისათვის ცნობილია შემდეგი ს. ც.: ასაკობრივი, მოქალაქეობის, განათლების, ქონებრივი, წერა-კითხვის, ბინადრობის, სქესობრივი, რასობრივი, სამსახურებრივი, ენობრივი ცენზები. ქონებრივ, სქესობრივ, რასობრივ ს. ც. ყოველთვის აქვს დისკრიმინაციული ხასიათი და შეუთავსებელია საარჩევნო სამართლის დემოკრატიულ პრინციპებთან. სხვა ს. ც. თავისთავად არ არის დისკრიმინაციული, თუმცა შეიძლება იქნეს გამოყენებული ასეთი მიზნებისათვის (მაგ., ბინადრობის ცენზის მეტისმეტი, ზომიერად დასული გაზრდა).

საარჩევნო ხელისუფლება – სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის (კოლუმბია, ნიკარაგუა და ა.შ.) ოფიციალური კონსტიტუციური დოქტრინის თანახმად, ერთ-ერთი დამოუკიდებელი საჯარო ხელისუფლება (საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებასთან ერთად) სახელმწიფოში. ხორციელდება მოქალაქეების მიერ, რომლებსაც აქვთ საარჩევნო უფლებები და რომლებიც შეადგენენ საარჩევნო კორპუსს. თავის ორგანიზაციულ გამოსატყულებას ეს ხელისუფლება ჰპოვებს საარჩევნო ტრიბუნალების შექმნაში (ე.წ. ელექტორალური იუსტიცია), რომლებიც იხილავენ არჩევნებთან დაკავშირებულ დავებს.

საერო სახელმწიფო – სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი დახასიათება, რომელიც ნიშნავს ეკლესიის

გამოყოფას სახელმწიფოსაგან, მათი საქმიანობის სფეროების გამოჯენას (იხ. ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან). სახელმწიფოს საერო ხასიათი არ აბრკოლებს მას რელიგიური უმცირესობის უფლებების უზრუნველყოფის ინტერესებში აღმოუჩინოს მათ ეკლესიებსა და რელიგიურ ჯგუფებს მატერიალური დახმარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საზოგადოებრივი წყობილება - კონსტიტუციური სამართლის თეორიაში - საზოგადოებრივი ურთიერთობების კონკრეტული სისტემა, ე.ი. საზოგადოების ორგანიზაცია, რაც განპირობებულია წარმოების განსაზღვრული დონით, პროდიქტების განაწილებითა და აცვლით, რომელსაც ახასიათებს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ადამიანთა ურთიერთქმედების განსაკუთრებული საზოგადოებრივი შემეცნება და ტრადიციები, და დაცულია სახელმწიფოსა და სამართლის მიერ. ს. წ. ყალიბდება ოთხი ძირითადი სისტემისგან, რომლებიც თავად წარმოადგენენ საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემებს საზოგადოები ცხოვრების შესაბამის სფეროებში. ესენია: ეკონომიკური ურთიერთობები; სოციალური ურთიერთობები (სიტყვის ვინრო გაგებით); სულიერ-კულტურული ურთიერთობები; პოლიტიკური ურთიერთობები.

საკონსტიტუციო საბჭო- კონსტიტუციური კონტროლის კვაზისასამართლო ორგანო, არსებობს საფრანგეთში, მის ყოფილ კოლონიებსა და სხვა ზოგიერთ ქვეყანაში. იხილავს საკითხებს ამა თუ იმ კანონის, ადმინისტრაციული აქტის ან სხვა ღონისძიებების კონსტიტუციურობის შესახებ არა სასამართლო პროცედურების დაცვის წესებით, არამედ საბჭოს ერთ-ერთი წევრის მიერ წარმოდგენილი მოხსენების განხილვის გზით („დოსიეს სისტემა“). ს. ს. იხევე როგორც საკონსტიტუციო სასამართლო, ყალიბდება, როგორც წესი, შერეულ საწყისებზე: მისი წევრების ნაწილს ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი, ნაწილს კი - პარლამენტის პალატების თავმჯდომარეები ან სხვა ორგანოები.

სამართლებრივი სახელმწიფო - კონსტიტუციურ სამართალში სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის დახასიათებას, რომელიც გულისხმობს: სახალხო სუვერენიტეტს, სახელმწიფოს მხრივ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაურღვევლობა, სახელმწიფოს შეზღუდვა კონსტიტუციური წყობით, კონსტიტუციის

უზენაესობა ყველა სახის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მიმართ, სასამართლოს დამოუკიდებლობა, საერთაშორისო სამართლის ნორმების პრიორიტეტს ეროვნული სამართლის ნორმებთან შედარებით. საქართველოში ს. ს. დამკვიდრების აუცილებლობა განმტკიცებულია 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში.

სამოქალაქო საზოგადოება – კონსტიტუციური სამართლის თეორიაში – საზოგადოებრივი წყობილება, რომლის დროსაც ადამიანებისათვის გარანტირებულია ეკონომიკური და პოლიტიკური ყოფიერების ფორმის თავისუფალი არჩევანი, განმტკიცებულია ადამიანის საყოველთაო უფლებები, უზრუნველყოფილია იდეოლოგიური პლურალიზმი. ს. ს. მთლიანად აკონტროლებს სახელმწიფოს, რომელიც ემსახურება საზოგადოებას. ს. ს. შესახებ შეხედულებებმა განვლო ხანგრძლივი ევოლუცია XVII ააუკუნის შუა ხანიდან (თ. ჰობსის თხზულებები) და ფართო გავრცელება პოვა XVIII საუკუნეში საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის აღიარების შემდგომ. აღმოცენდნენ „მოქალაქეები“ – საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრები. რომლებიც აცნობიერებდნენ პირად ინტერესებს საზოგადოებისა და სახელმწიფო ინტერესებთან მიმართებაში. ხანგრძლივი განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა ს. ს. თანამედროვე გაგება, რომელიც ეფუძნება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს. ს. ს. ძირითადი ელემენტებია: საკუთრების ფორმების მრავალფეროვნება და მათი თანასწორობა, შრომისა და მენარმეობის თავისუფლება, იდეოლოგიური მრავალფეროვნება და ინფორმაციის თავისუფლება, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ურყეობა, განვითარებული თვითმმართველობა, ოჯახი, როგორც ძირითადი სოციალური უჯრედი. უკანასკნელ წლებში ზოგიერთ „პოსტსოციალისტურ“ ქვეყანაში შეიმჩნევა ს. ს. საფუძვლების განმტკიცების ტენდენცია კომპლექსური კონსტიტუციური-სამართლებრივი ინსტიტუტის სახით.

საპარლამენტო ინდემნიტეტი – 1) პარლამენტის დეპუტატის პრივილეგია, რომელიც მდგომარეობს მათ პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება ნიშნავს დეპუტატის დევნის აკრძალვას ყველა იმ მოქმედებისათვის, რაც

ჩადენილი აქვთ სადეპუტატო უფლებამოსილების შესრულებისას (სიტყვა პარლამენტში, ხმის მიცემა, კომისიებში მონაწილეობა და ა.შ.). არავის, მათ შორის, პარლამენტსაც არ შეუძლია მისცეს დეპუტატი პასუხისგებაში ამ მოქმედებებისათვის მას შემდეგაც კი, როცა მოცემულ პირს ამოენურება უფლებამოსილების ვადა და იგი აღარ იქნება პარლამენტის წევრი.

საპარლამენტო კონტროლი – სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი ფორმა, ძირითადად ატარებს ზოგად პოლიტიკურ და ნაკლებად ადმინისტრაციულ ხასიათს. საპარლამენტო სახელმწიფოებსა და შერეულ (ნახევრადსაპრეზიდენტო) რესპუბლიკებში ძირითადი მნიშვნელობა აქვს მთავრობის საქმიანობაზე ს. კ., რომლის მთავარი მეთოდები და ფორმებია უნდობლობის შესახებ საკითხის დაყენება. გაკიცხვის რეზოლუცია, ინტერპელაცია, მთავრობის მიმართ წერილობითი ან ზეპირი შეკითხვები (საპარლამენტო შეკითხვები), საპარლამენტო გამოძიება. საპრეზიდენტო რესპუბლიკებში მთავრობის საქმიანობაზე ს. კ. აქვს გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა: მის ძირითად საშუალებას წარმოადგენს საპარლამენტო გამოძახება, რომელმაც შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში გამოინვიოს იმპიჩმენტის პროცედურის გამოყენება. უკანასკნელ ათწლეულში უფრო მეტ მნიშვნელობას იქნეს ს. კ. ადამიანის უფლებების დაცვაზე, რაც გამოიხატება ისეთი ინსტიტუტის სწრაფ გავრცელებაში, როგორცაა ადამიანის უფლებათა საპარლამენტო რწმუნებული (იხ. ომბუდსმენი) ს. კ. განსაკუთრებულ ნაირსახეობას წარმოადგენს ასევე საფინანსო და საფინანსო-ეკონომიკური კონტროლი, რომელიც ხორციელდება სპეციალური ორგანოების მეშვეობით. ს. კ. ამ სახეს კი უკვე აქვს არა პოლიტიკური, არამედ ადმინისტრაციული ხასიათი.

საპარლამენტო მონარქია–კონსტიტუციური მონარქიის ორიდან ერთ-ერთი ფორმა (დუალისტურთა ერთად) ხასიათდება იმით, რომ მონარქი ნორმალურად ასრულებს თავის ფუნქციებს. მაშინაც კი, როცა კონსტიტუცია მას ანიჭებს დიდ უფლებამოსილებებს (მაგ., დანიაში, პოლანდიაში), კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩვეულებების საფუძველზე მას არ შეუძლია დამოუკიდებლად ისარგებლოს მათით, მონარქისგან გამომდინარე ყველა აქტი საჭიროებს მინისტრის ოფიციალურ მხარდაჭერას და

მონონებას (ე.წ. კონტრასიგნირება). ზოგიერთ ს. მ. (იაპონია, შვეიცია) მონაქრს კონსტიტუციის მიხედვით ფორმალურადაც არა აქვს რაიმე მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები. ს. მ. დროს, მთავრობა ფორმალურად და პრაქტიკულად პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე, რომელსაც კონსტიტუციის შესაბამისად ეკუთვნის ფორმალური უზენაესობა სახელმწიფოს სხვა ორგანოებთან შედარებით.

საპარლამენტო ოპოზიცია (ლათინური ოპოსიციო – დაპირისპირება). პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფი ან რომელიმე პარტიის საპარლამენტო ფრაქცია, რომელიც არ მონაწილეობს მთავრობის ჩამოყალიბებაში, და რომელიც რიგ პრინციპულ საკითხებზე გამოდის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., დიდ ბრიტანეთში) პარლამენტების რეგლამენტები ან ჩვეულებითი სამართლის ნორმები განამტკიცებენ ს. ო. განსაკუთრებულ სტატუსს და უფლებებს, კერძოდ, ადგენენ ს. ო. ნევრთა წარმომადგენლობის კვოტებს პარლამენტის (ან მისი პალატების) ორგანოებში, ადგენენ განსაკუთრებულ ანაზღაურებას მისი ლიდერისათვის.

საპარლამენტო რესპუბლიკა – მმართველობის რესპუბლიკური ფორმის ნაირსახეობა (იხ. რესპუბლიკა), რომელიც ხასიათდება იმით, რომ პარლამენტი ფორმალურად წარმოადგენს სრულძალაუფლებიან ორგანოს, რომელიც აყალიბებს მის წინაშე პოლიტიკურად პასუხისმგებელ მთავრობას და ირჩევს პრეზიდენტს, რომელიც, თავის მხრივ, არის მხოლოდ სახელმწიფოს და არა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. პრეზიდენტი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს, როგორც წესი, მთავრობის წინადადებით, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. პარლამენტს შეუძლია გადააყენოს მთავრობა უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი კარგავს საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერას. ამ შემთხვევაში, პრეზიდენტს უფლება აქვს მთავრობის წინადადებით დაითხოვოს პარლამენტი და გამოაცხადოს ვადამდელი არჩევნები. ს. რ. კლასიური მოდელი არსებობს გფრ-ში, იტალიაში, უნგრეთში, ჩეხეთში, ლატვიაში და ა.შ.

საპარლამენტო ფრაქცია – დეპუტატების ნებაყოფლობითი გაერთიანება მათი საერთო პარტიული და

პოლიტიკური ინტერესებისა და შეხედულებების საფუძველზე.

საპრეზიდენტო რესპუბლიკა – რესპუბლიკური მმართველობის ფორმის სახესხვაობა (იხ. რესპუბლიკა), რომელსაც ახასიათებს ის, რომ საყოველთაო წესით არჩეული პრეზიდენტი, როგორც წესი, იურიდიულად და ფაქტობრივად წარმოადგენს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს. თანამედროვე მსოფლიოში არსებობს ს. რ. რამოდენიმე მოდელი. კლასიკური მოდელის თანახმად (აშშ), პრეზიდენტი პარლამენტის ზედა პალატის (სენატის) თანხმობით აყალიბებს ადმინისტრაციას, რომლის წევრებიც პოლიტიკურად პასუხისმგებელი არიან მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე. პრეზიდენტს არ შეუძლია პარლამენტის თათხოვნა, თუმცა პარლამენტს შეუძლია გადააყენოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით. ლათინურამერიკული ს. რ. დამახასიათებელია პრეზიდენტის თავისუფლება ადმინისტრაციის წევრთა დანიშვნისა და გათავისუფლების საკითხებში, თუმცა, გვხვდება პრეზიდენტის კაბინეტის ცალ-კეული წევრების პარლამენტის წინაშე პასუხისმგებლობის შემთხვევებიც (კოსტა-რიკა, ურუგვაი). სამხრეთ ნახევარსფეროს ს. რ. (ბელორუსია, ყაზახეთი, უზბეკეთი) დამახასიათებელია აღმასრულებელი ხელისუფლების გან-ცალკევებული კოლეციალური ორგანოს – მთავრობის არსებობა, რომელსაც ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, ასევე უმრავლეს შემთხვევაში ე.წ. ადმინისტრაციული პრემიერის თანამდებობის არსებობა. ცალკეულ შემთხვევებში პრეზიდენტი შეიძლება ფორმალურად არ იყოს აღმას-რულებელი ხელისუფლების მეთაური, თუმცა მთავრობა მაინც პასუხისმგებელია მხოლოდ მის წინაშე (ყირგიზეთი). გვხვდება ასევე მთავრობის კოლექტიური საპარლამენტო პასუხისმგებლობის შემთხვევები (ზამბია), თუმცა, არც ისე იშვიათად პრეზიდენტისათვის პარლამენტის დათხოვნის უფლების მინიჭებაც (უზბეკეთი, თურქმენეთი). საქართველოში ს. რ. მმართველობის ფორმა თითქმის ანალოგია ს. რ. კლასიკური ფორმისა (აშშ). კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში, ხშირად ყველა იმ ს. რ., რომელიც სცილდება ს. რ. კლასიკურ მოდელს, იწოდება „სუპერსაპრეზიდენტო“ რესპუბლიკად (იხ. სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკა).

სასამართლო ხელისუფლება—ხელისუფლების დანაწილების თეორიის შესაბამისად საჯარო ხელისუფლების დამოუკიდებელი სფერო საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებთან ერთად. წარმოადგენს უფლებამოსილებათა ერთობლიობას მართლმსაჯულების განსახორციელებლად, ე.ი. უფლებამოსილებებს, რომელთა საფუძველზე ხდება პროცესუალური კანონი^Y დადგენილი წესით სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და კონსტიტუციური საქმეების განხილვა და გადაწყვეტა, ხოლო ზოგჯერ ასევე სამართლის ნორმების სავალდებულო განმარტების (მაგ., აშშ-ის უზენაესი სამართლო), ნორმაშემოქმედებით უფლებამოსილებებს (სასამართლო პრეცედენტების შექმნა სასამართლოების მიერ ანგლოსაქსურ ქვეყნებში), მაკონტროლებელ უფლებამოსილებებს (მაგ., დაპატიმრების ან დაკავების კანონიერების შემოწმება) და სხვა მეორეხარისხოვან უფლებამოსილებებს (ფაქტების დადგენა, იურიდიული პირების რეგისტრაცია და ა.შ.), ასევე სახელმწიფო ორგანოთა სისტემას, რომლებიც ახორციელებენ ზემოთ ხსენებულ უფლებამოსილებებს. ს. ხ.

უფლებამოსილებების იყოფა ძირითად (მართლმსაჯულების განხორციელება) და დამხმარე უფლებამოსილებებად. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში ს. ხ. ძირითადი უფლებამოსილებების განხორციელება ეკისრებათ სხვადასხვა კატეგორიის სასამართლოებს (ჩვეულებრივ, საერთო კომპეტენციის და სპეციალიზებულ, ადმინისტრაციულ, კონსტიტუციურ ს.) – ასევე ზოგჯერ ე.წ. კვაზისასამართლო ორგანოებსაც. საქართველოში ს. ხ. უფლებამოსილებებს ახორციელებენ საერთო კომპეტენციის ს. (მათ შორის – მოსამართლეები ერთპიროვნულად) და საკონსტიტუციოს.

საქართველოს სახალხო დამცველი – (იხ. ომბუდსმენი) – საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 43-ე მუხლის თანახმად თანამდებობის პირი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. ს. ხ. დ. საქმიანობას დეტალური რეგლამენტაცია ხდება 1996 წლის 6 მაისის კანონით „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“. ს. ხ. დ. აირჩევს 5 წლის ვადით, ირჩევს საქართველოს პარლამენტი. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიმართოს უშუალოდ ს. ხ. დ. რაიმე დარღვევების ან ბოროტმოქმედების

გამოვლენის შემთხვევაში ს. ს. დ. უფლებამოსილია, მიუთითოს შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს და შესთავაზოს მათი გამოსწორება, უარის თქმის შემთხვევაში. მას შეუძლია მიმართოს მართლმსაჯულების ორგანოებს ან პარლამენტს. ს. ს. დ. საქმიანობისთვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით (იხ. ასევე ომბუდსმეი).

სახელმწიფო აპარატი – კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში ორგანოების სისტემა, რომელიც პრაქტიკულად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებასა და სახელმწიფოს ფუნქციებს. ვიწრო გაგებით – ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების ერთობლიობა, რომლებიც ასრულებენ ყოველდღიურ საქმიანობას სახელმწიფოს მართვის საქმეში.

სახელმწიფო ორგანო – სახელმწიფო მექანიზმის ცალკეული ორგანიზებული ნაწილი, რომელიც აღჭურვილია სახელისუფლო უფლებამოსილებით, განსაზღვრული კომპეტენციითა და აუცილებელი საშუალებებით იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც დგას სახელმწიფოს წინაშე საზოგადოებრივი ცხოვრების მოცემულ სფეროში. ს. ო. შეიძლება იყოს ერთი თანამდებობის პირ ან თანამდებობის პირთა ორგანიზებული ჯგუფი.

სახელმწიფო (ოფიციალური) რელიგია – კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც ნიშნავს, რომ შესაბამისი ეკლესია აღიარებულია სახელმწიფოს ოფიციალური ორგანიზაციის ნაწილად. ეს მულავენდება იმაში, რომ, სახელმწიფო, ჯერ ერთი, აფინანსებს მოცემულ ეკლესიას, მეორე, მონაწილეობს მღვდლების დანიშვნაში, მესამე, ამტკიცებს აქტებს, რომლებიც არეგულირებენ ეკლესიის შიდა საქმიანობას და მეოთხე, ანიჭებს მოცემულ ეკლესიას უფლებას განახორციელოს ზოგიერთი სახელმწიფო ფუნქცია, კერძოდ, მოახდინოს ქორწინების, დაბადების, გარდაცვალების რეგისტრაცია. ს. რ. ინსტიტუტი არსებობს ისეთ ქვეყნებში, როგორცაა დიდი ბრიტანეთი (ანგლიკანობა), შვეცია, დანია, ნორვეგია, ისლანდია (ლუთერანობა), ესპანეთი, პარაგვაი (კათოლიციზმი), საბერძნეთი (მართლმადიდებლობა), იორდანია, ირანი, მაროკო (ისლამი). ზოგიერთ სახელმწიფოში (გფრ, ბელგია, პოლანდია, ისრაელი) ს. რ. ინსტიტუტი შეცვლილია სახელმწიფოს მხრიდან რელიგიის იურიდიული ცნობის

ინსტიტუტით. ამ ინსტიტუტის განსხვავება ს. რ. ინსტიტუტისაგან იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო არ ერევა ეკლესიის საქმიანობაში (მაგ., მღვდლების დანიშვნა, ეკლესიის შიდა საქმიანობის მოწესრიგება), თუმცა მაინც აღმოუჩინს მის მიერ აღიარებულ ეკლესიას ფინანსურ დახმარებას, ხოლო ხშირ შემთხვევაში ცნობს ქორწინების საეკლესიო რიტუალის იურიდიულ შედეგებს.

სახელმწიფო საბჭო – 1) ზოგიერთ ქვეყანაში (ესპანეთი, ბელგია, საფრანგეთი, საბერძნეთი, კოლუმბია) – ერთ-ერთი ცენტრალური სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც წარმოადგენს ან ადმინისტრაციული იუსტიციის უმაღლეს ორგანოს ან კონსტიტუტციური კონტროლის ორგანოს ან სახელმწიფოს მეთაურთან არსებულ საკონსულტაციო ორგანოს. 2) ნორვეგიაში, ფინეთში, შვეციაში, კორეის რესპუბლიკაში – მთავრობის ოფიციალური სახელწოდება. 3) საქართველოს რესპუბლიკაში 1991 წელს არსებული დროებითი პარტიულ-წარმომადგენლობითი ორგანო, რომელმაც თითქმის 8 თვიანი ფუნქციონირების შემდეგ დანიშნა 1992 წლის საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნები.

სახელმწიფო სუვერენიტეტი (იხ. სუვერენიტეტი).

სახელმწიფო ფორმა – კონსტიტუციური სამართლის თეორიაში სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების ტერიტორიული მოწყობის, ხელისუფლებისა და მისი განხორციელების მეთოდების ორგანიზაციის საშუალება. ს. ფ. შედგება სამი ელემენტისაგან: მმართველობის ფორმის, სახელმწიფო წყობილების ფორმისა და პოლიტიკური რეჟიმისაგან.

სახელმწიფო წყობა – სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობების სიტემა, რომელიც დადგენილია და განმტკიცებულია კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართლის ნორმებით. ს. წ. წარმოადგენს უფრო ფართო ცნებას, ვიდრე კონსტიტუციური წყობა (იხ. კონსტიტუციური წყობა).

სახელმწიფო წყობილება – კომპლექსური კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტის სახელწოდება, რომელიც აერთიანებს იმ ნორმებს, რომლებიც ადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემას. მათ კომპეტენციას, ურთიერთკავშირს, შექმნის წესს, და

ხშირად ნორმებს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ. ბრაზილიაში ანალოგიური ინსტიტუტის სახელწოდება არის „სახელმწიფოს ორგანიზაცია“, უზბეკეთში კი – „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია“.

სახელმწიფო წყობილების ფორმა – კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის საშუალება, ე.წ. იმ ურთიერთობების ორგანიზაცია, რაც არსებობს ქვეყნის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის. განასხვავებენ ორი სახის ს. ნ. ფ.: ფედერაციასა და უნიტარულ სახელმწიფოს (იხ. ფედერაცია, უნიტარიზმი). მრავალეროვანი შემადგენლობის მქონე მოსახლეობის მიმართ გამოიყენებენ ასევე ტერმინს „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმას“.

სენატი – 1) პარლამენტის ზედა პალატის სახელწოდება აშშ-ში, საფრანგეთში, იტალიაში, რუმინეთში, ჩეხეთში, ბრაზილიაში, კოლუმბიაში, ბელგიაში, კანადასა და სხვა ქვეყნებში; 2) ზოგიერთ ქვეყანაში საქალაქო მმართველობის უმაღლესი ორგანოს სახელწოდება (მაგ., ბერლინის ს.); 3) ზოგიერთ ქვეყანაში უზენაესი სასამართლოების შემადგენელი დანაყოფების სახელწოდება. მაგალითად, გფრ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ს.; 4) საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ მომავალში ასარჩევი საქართველოს ორპალატიანი პარლამენტის ერთ-ერთი პალატა, რომელიც უნდა შედგეს აფხაზეთში, აჭარასა და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნულ 5 წევრისაგან.

სიმეტრიული ბიკამერალიზმი – ორპალატიანი პარლამენტის სისტემა, რომლის დროსაც პარლამენტის პალატების სარგებლობენ თანაბარი უფლებებით საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში. ს. ბ. დროს მოქმედებს ძლიერი ზედა პალატის სისტემა, რომლის თანხმობის გარეშეც არცერთი კანონი არ მიიღება. ე.ი. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ კანონი ერთობლივი რედაქციით მიიღოს პარლამენტის ორივე პალატამ. ს. ბ. სისტემა გვხვდება აშშ-ში, იტალიაში და ა.შ.

სიმეტრიული ტერიტორიული მონყობა – ტერიტორიული მონყობის ერთ-ერთი ფორმა, რომლის დროსაც სახელმწიფოს შემადგენელ პოლიტიკურ-ტერიტორიულ ერთეულებს აქვთ თანაბარი სტატუსი. მაგალითად, გფრ შედგება 16 მიწისაგან თანაბარი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსით, ე.ი. აქვს სიმეტრიული ფედერაციული ტერიტორიული მონყობა (იხ. ასევე ასიმეტრიული ტერიტორიული მონყობა).

სინდიკი – ზოგიერთ სახელმწიფოში (მაგ. იტალია, მექსიკა) საქალაქო ან თემის თვითმმართველობის მეთაური, არის მუნიციპალური საბჭოს აღმასრულებელი ორგანო.

სინდისის თავისუფლება (იხ. სინდისისა და აზრის თავისუფლება).

სინდისისა და აზრის თავისუფლება – ადამიანის ერთ-ერთი ზირითადი პირადი უფლება. ნიშნავს ინდივიდის ყოველგვარი იდეოლოგიური კონტროლისაგან თავისუფლებას, ყოველი ადამიანის უფლებას, დამოუკიდებლად შეარჩიოს სულიერი ფასეულობების საკუთარი სისტემა. ს. თ. თავისი მოცულობით უფრო ფართოა, ვიდრე აღმასრულებლობის თავისუფლება, რადგანაც, ჯერ ერთი, მოიცავს თავისუფლებას ინამოს ნებისმიერი რწმენა, მათ შორის ათეისტურიც, და მეორე, მოიცავს ადამიანის ინტელექტუალური და სულიერი ცხოვრების ყველა ასპექტს ს. თ. არის ადამიანის აბსოლუტური უფლება და არც ერთ შემთხვევაში არ ექვემდებარება შეზღუდვას.

სიტყვის თავისუფლება – ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი და პირადი, და მოქალაქის პოლიტიკური უფლება, რომელიც წარმოადგენს უფრი ზოგადი უფლების – „მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების“ – შემადგენელს, ნაწილს. წარმოადგენს პიროვნების შესაძლებლობას საჯაროდ (ზეპირად, წერილობით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით) გამოხატოს თავისი აზრი. კანონმდებლობამ და სასამართლო პრქატიკამ დემოკრატიულ ქვეყნებში შეიმუშავა ს. თ. შეზღუდვის სისტემა მისი ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. კერძოდ, სახელმწიფოთა უმრავლესობაში იკრძალება ს. თ. გამოყენება კანონიერი სახელმწიფო ხელისუფლების ძალისმიერი დამხობის მოწოდებებისათვის, ეროვნული, რასობრივი, რელიგიური შულლის გასაღვივებლად, სხვა პირების

ცილისწამებისა და შეურაცხყოფებისათვის და ა.შ. ს. თ. შეზღუდვის ნუსხა შეიძლება გაფართოვდეს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმების მოქმედების პერიოდში. განმტკიცებულია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებში.

სიცოცხლის უფლება – ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი პირადი უფლება, რომელიც დაცულია საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობის კონსტიტუციებით. ს. უ. შინაარსი მრავალწახნაგოვანია, სხვადასხვა ქვეყანაში არსებითად სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი. მაგ., ზოგიერთ ქვეყანაში (ავსტრალია, ავსტრია, გფრ, საფრანგეთი და კიდევ 40 სახელმწიფოზე მეტი), იქ, სადაც გაუქმებულია სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის სახე. ს. უ. ნიშნავს, რომ არც ერთ ადამიანს, როგორც მოქმედებაც არ უნდა ჩაიდინოს მან, არ შეიძლება წაერთვას სიცოცხლე, სახელმწიფოს მიერაც კი. ზოგიერთ ქვეყანაში კი, სადაც არსებობს სიკვდილით დასჯის შენარჩუნების სხვადასხვა რეჟიმი (სიკვდილით დასჯის გამოყენება, სიკვდილით დასჯის გამოყენება განსაკუთრებულ შემთხვევაში, სიკვდილით დასჯაზე უარის თქმა პრაქტიკაში) ს. უ. გულისხმობს იმას, რომ არც ერთ ადამიანს არ შეიძლება წაერთვას სიცოცხლე თვითნებურად, აუცილებელი სამართლებრივი პროცედურის გარეშე. ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია აკონკრეტებს დანაშაულთა წრეს, რომლებისთვისაც შეიძლება გამოიყენონ სიკვდილით დასჯა, პირთა წრეს. ვის მიმართაც არ შეიძლება გამოიყენონ სიკვდილით დასჯა (მაგ., არასრულწლოვანები და ქალები), ასევე ადგენენ დამატებით პროცესუალურ გარანტიებს სიკვდილით დასჯის გამოყენების მუქარის შემთხვევაში. ასე, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია ს. უ. აღიარებით აკეთებს წინასწარ დათქმას, რომ „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე შეიძლებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ამ სასჯელის შეფარდების უფლება ენიჭებოდა მხოლოდ საქართველოს „უზენაეს სასამართლოს“ (მუხლი მე-15). თუმცა, 1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა გააუქმა სიკვდილით დასჯა. ზოგიერთ ქვეყანაში ს. უ. ფართო

გაგებით განმარტებას მივყავართ აბორტების აკრძალვამდე, მათ შორის კონსტიტუციურ აკრძალვამდე (ირლანდია).

სოციალური უზრუნველყოფის უფლება – ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური უფლება. გულისხმობს მოხუცებულობის, დროებით ან მუდმივი შრომის უუნარობის, მარჩენალის დაკარგვის, სიღარიბის შემთხვევაში პენსიებისა და დახმარებების მიღებას სახელმწიფოს მხრიდან. ამასთან, ასეთი დახმარების ოდენობა და პირობები განისაზღვრება კანონით. საქართველოში, 1995 წლის კონსტიტუციის 32-ე მუხლით ს. უ. უ. აქვთ ასევე უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეებს, რომლებსაც არ გააჩნიათ საარსებო საშუალებები. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია ს. უ. უ. ორი ფორმა: სახელმწიფო დახმარება და სოციალური დაზღვევა. სახელმწიფო ხელს უწყობს ნებაყოფლობით კონსტიტუციაში აშკარად არ არის გამოკვეთილი ს. უ. უ., თუმცა, თუ გადავხედავთ ანგლოსაქსური სამართლის სისტემის ქვეყნების კონსტიტუციებს, მათში საერთოდ არ გვხვდება ს. უ. უ., მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებში არ არსებობს სოციალური დაცვის სისტემა.

სპიკერი (ინგლისური სპეაკერ – სიტყვასიტყვით ორატორი) – ანგლო-საქსური სამართლის სისტემის ქვეყნებში პარლამენტის ქვედა პალატის თავმჯდომარე. ს. ფორმალურად აირჩევა პალატის მიერ, ფაქტობრივად კი – უმრავლესობის პარტიების მიერ. დიდ ბრიტანეთში თემთა პალატის სპიკერი ითვლება უპარტიოდ. ს. ხელმძღვანელობს პალატების სხდომებს, ს. მეშვეობით პალატა ამყარებს კავშირს სახელმწიფოს მეთაურთან.

სტორტინგი – ერთპალატიანი პარლამენტის სახელწოდება ნორვეგიაში.

სუბდელიგირება – ზოგიერთ ქვეყანაში საკანონმდებლო უფლებამოსილებების ისეთი დელეგირება, როდესაც საზოგადოებრივი ურთიერთობების ნორმატიული რეგულირების უფლებამოსილებები გადაეცემა არა მხოლოდ მთავრობას, არამედ უფრო ქვედა რგოლებს, ე.ი. ცალკეულ უწყებებს. ასეთი კანონქვემდებარე ნორმაშემოქმედება არ არის მაინცდამაინც ეფექტური, ვინაიდან, ამგვარი ფორმით გამოცემული აქტების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით ხშირად პარლამენტი ვერ აკონტროლებს მათ შინაარსსა და

გამოყენებას. მართალია, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ადმინისტრაციული და საკონსტიტუციო იუსტიციის შესაძლებლობები, მაგრამ ეს გზა მაინც საკმაოდ რთულია.

სუვერენიტეტი (ფრანგული სოუვერაინეტე – უმაღლესი ხელისუფლება) – ხელისუფლების უზენაესობა და დამოუკიდებლობა. კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში განასხვავებენ ს. სხვადასხვა სახეებს: 1) სახელმწიფო ს. – სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობა ქვეყნის შიგნით და მისი დამოუკიდებლობა საგარეო სფეროში, რაც გამორიცხავს ყოველგვარ უცხო ხელისუფლების ჩარევას და სხვა სახელმწიფოებისადმი დამორჩილებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აშკარადაა გამორიცხული მოცემული სახელმწიფოს ნებაყოფლობითი თანხმობა თავისი ს. შეზღუდვის შესახებ. პრინციპში სახელმწიფოს ს. ყოველთვის არის სრული და განსაკუთრებული. ს., როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი თავისებურება წარმოადგენს სახელმწიფოს თვისობრივ ნიშანს, რომელიც ახასიათებს მის პოლიტიკურ-სამართლებრივ არსს; 2) ეროვნული ს. – ერის სრულხელისუფლებიანობა, მისი პოლიტიკური თავისუფლება, საკუთარი ეროვნული ცხოვრების ხასიათის განსაზღვრის რეალური შესაძლებლობა – პოლიტიკური თვითგამორკვევის შესაძლებლობიდან დანწყებული, გამოყოფითა და ცალკე დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით დამთავრებული; 3) სახალხო ს. ხალხის სრულუფლებიანობა, ე.ი. ხალხის აღჭურვა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საშუალებებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეების მართვაში რეალურად მონაწილეობისათვის. სახალხო ს. წარმოადგენს კონსტიტუციური წყობის ერთ-ერთ პრინციპს დემოკრატიულ სახელმწიფოში.

„სუპერსაპრეზიდენტო“ რესპუბლიკა-კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში ტერმინი, რომელიც გამოიყენება რესპუბლიკური მმართველობის ფორმის განსაკუთრებული ნაირსახეობის აღსანიშნავად, „ს“. რ. ახასიათებს სახელმწიფო ხელისუფლების მთელი ბერკეტების იურიდიული და ფაქტობრივი თავმოყრა პრეზიდენტის ხელში, რომელიც, ამ შემთხვევაში, არის არა მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის, ასევე მთავრობის მეთაური და მმართველი პარტიის ლიდერი. ხშირად კონსტიტუციები ასეთი პრეზიდენტის სასარგებლოდ

განამტკიცებენ ისეთ შეუზღუდავ უფლებამოსილებებს, როგორცაა პარლამენტის დათხოვნის უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების უფლება, კანონის ძალის მქონე დეკრეტების გამოცემის უფლება, ერთპიროვნულად ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელების, მოსამართლეების დანიშვნისა და გადაყენების უფლება და ა.შ. პრაქტიკულად არ არსებობს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების კონსტიტუციური მექანიზმი, არ არსებობს „კლასიკური“ საპრეზიდენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი „შეკავებისა და განონასწორების“ სისტემა „ძლიერი“ პარლამენტისა და დამოუკიდებელი სასამართლოს სახით. დღესდღეობით, „ს“. რ. არსებობს ირანში, სირიაში, თურქმენეთში, უზბეკეთში, ყაზახეთში და რიგ სხვა ქვეყნებში. ხშირად „ს“. რ. მიაკუთვნებენ ლათინური ამერიკის ყველა რესპუბლიკებს. „ს“. რ. ზოგჯერ იწოდებენ მონოკრატიულ რესპუბლიკას.

სუსპენსიური ვეტო (იხ. ვეტო).

სქესობრივი ცენცი - საარჩევნო უფლების საკანონმდებლო წესით შეზღუდვა სქესობრივი ნიშნით, კერძოდ, კი, ქალთათვის საარჩევნო უფლების აკრძალვა, XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში არსებობდა თითქმის მთელ მსოფლიოში. გაუქმდა: ახალ ზელანდიაში 1893 წ., ფინეთში - 1906 წ., დიდი ბრიტანეთში და რუსეთში - 1918 წ., აშშ-ში - 1920 წ., საფრანგეთში - 1944 წ., იაპონიაში - 1945 წ., შვეიცარიაში - 1971 წ., ლიხტენშტეინში - 1976 წ. დღესდღეობით შენარჩუნებულია ცალკეულ სახელმწიფოებში, მაგ., კუვეიტში.

ტ

ტახტის მემკვიდრეობა - მონარქიული მმართველობის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის, ნიშნავს მონარქის ძალაუფლების გადასვლას სამეფოს დინასტიის ერთი წარმომადგენლიდან მეორე წარმომადგენლის ხელში კანონით დადგენილი წესით. დღესდღეობით არსებობს ტ. მ. სამი ძირითადი სისტემა. კლასიკური სისტემა ნიშნავს, რომ მემკვიდრეობითობის გადაცემა ხდება მხოლოდ მამაკაცების ხაზით. ტახტის მემკვიდრეთა წრიდან ქალები მთლიანად

გამორიცხებიან (შვედეთი). კასტილიური სისტემა არ გამორიცხავს ქალებს ტ. მ. რიგიდან, თუმცა უპირატესობას ანიჭებს მამაკაცებს: უფროსი ძმა სარგებლობს უპირატესობით უფროს დასთან შედარებით (დიდი ბრიტანეთი). ავსტრიული სისტემა არ გამორიცხავს ქალებს, მაგრამ მამაკაცებს და საერთოდ მამაკაცების შტოს ანიჭებს უპირატესობას სანათესაო შტოში. ქალებს მხოლოდ მაშინ გადაეცემათ ტ. მ. უფლება, როცა მის მოდგმაში აღარ დარჩება არცერთი მამაკაცი. ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში არსებობს ტ. მ. განსაკუთრებული ფორმა, ე.წ. კლანური ფორმა, როცა მემკვიდრეს ირჩევს მართველი ოჯახი საოჯახო საბჭოს მეშვეობით (საუდის არაბეთი, ქუვეითი, კატარი).

ტირანული პოლიტიკური რეჟიმი – ემყარება ერთპიროვნულ მმართველობას. ტირანის ხელისუფლების დამყარება ზოგჯერ ხდება ძალადური, დაპყრობითი გზით, უფრო ხშირად კი ანონიერი ხელისუფლების შეცვლით სახელმწიფო გადატრიალების მეშვეობით. ტ. პ. რ. აგებულია თვითნებობაზე, ტერორსა და გენოციდზე. ამ დროს ადამიანი ისჯება არა მხოლოდ მოქმედებისათვის, არამედ ასევე განზრახვისათვის, ხშირად, დამპყრობლები ფართოდ იყენებენ პრევენციულ იძულებას იმისათვის, რომ მოსახლეობაში შიში დათესონ. სხვისი ტერიტორიის დაპყრობა დაკავშირებულია არა მხოლოდ ადამიანთა ფიზიკურ და მორალურ ძალადობასთან, არამედ იმ ჩვეულებების აღმოფხვრასთან, რომლებიც არსებობენ ან საზოგადოებაში. ტ. პ. რ. შეიძლება აღმოვაჩინოთ ძველი საბერძნეთის პოლისებში და შუა საუკუნეების ზოგიერთ ქალაქ-სახელმწიფოში.

ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმი – ავტორიტარული რეჟიმის უკიდურესი ფორმა. იგი ხასიათდება ერთი ოფიციალური იდეოლოგიის არსებობით, რომელიც ყალიბდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის, პოლიტიკური პარტიის, მმართველი ელიტის, პოლიტიკური ლიდერის, ხალხის ბელადის მიერ. ტ. პ. რ. უშვებს მხოლოდ ერთ მმართველ პარტიას, რომელიც ცხადდება საზოგადოების წარმმართველ ძალად. მმართველი პარტიის მიერ ხდება პარტიული და სახელმწიფო აპარატების შერწყმა. სახელმწიფო მმართველობაში ტ. პ. რ. ხასიათდება უკიდურესი ცენტრალიზმით. ტოტალიტარული სისტემის ცენტრს წარმოადგენს ბელადი, რომელიც ცხადდება ყველაზე

ბრძენ, უცოდველ, სამართლიან და ხალხის კეთილდღეობაზე დაუღალავად მზრუნველ ადამიანად. მისდამი რაიმე კრიტიკული დამოკიდებულება ისჯება. ტ. პ. რ. ადგენს სრულ კონტროლს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. სახელმწიფო ფაქტობრივად ცდილობს მთლიანად საზოგადოების განსახელმწიფოებრიობას. კონტროლი აღწევს ადამიანის პირადი ცხოვრების სფეროშიც. ტ. პ. რ. წარმოადგენს XX საუკუნის პირმშოს, თავად ტერმინი კი აღმოცენდა 20-იანი წლების ბოლოს.

ტრაიბალიზმი (ინგლისური ტრიბალისმ, სიტყვიდან ტრიბე – თემი) – კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში ტერმინი, რომელიც გამოიყენება ტომობრივი გათიშულობის აღსანიშნავად ტროპიკული აფრიკის, ოკეანის ქვეყნებსა და მსოფლიოს სხვა რეგიონებში. ტ. პრაქტიკა მდგომარეობს იმაში, რომ პრივილეგიები ეძლევათ ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს სახელმწიფო აპარატის კადრების შერჩევისას და შესაბამისად დისკრიმინაციას განიცდიან სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. ტ. ფაქტობრივად უარყოფს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს და ხშირად იწვევს სამოქალაქო ომებს (მაგ. რუანდა, სომალი, ლიბერია და ა.შ.)

ტრიბუნალი – ტერმინი, რომელიც გამოიყენება ანგლო და რომაულენოვან ქვეყნებში ტერმინ „სასამართლოს“ სინონიმად. ყველაზე ხშირად ტ. უწოდებენ შეზღუდული კომპეტენციის ან ქვედა ინსტიტუტების სასამართლოებს.

უდანაშაულო პრეზუმფცია – ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია და კონსტიტუციური პრინციპი, რომლის თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. ამასთან, არც ერთი მოქალაქე არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი დაუდასტურებელი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ უ. პ. განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლით.

„უმცირესობის მთავრობა“-საპარლამენტო სახელმწიფოებში მთავრობა, რომელიც ყალიბდება იმ პარტიის ან იმ პარტიების კოალიციის მიერ, რომლებსაც ერთად ყოფნის დროსაც არ აქვთ უმრავლესობა პარლამენტში. იმ შემთხვევაში, როცა სხვა პარტიები პირიქედნიან მხარი დაუჭირონ ამ მთავრობას კენჭისყრის დროს (განსაზღვრული პირობებით).

უნიტარიზმი - სახელმწიფო ტერიტორიული ორგანიზაციის ორიდან ერთ-ერთი ფორმა, სახელმწიფო ითვლება უნიტარულად (უბრალოდ), თუ ამ სახელმწიფოს ნაწილებს არა აქვთ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სტატუსი. უნიტარული სახელმწიფოს შემადგენლობაში შეიძლება იყვნენ ცალკეული ავტონომიური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, მათ შორის, ისეთი, რომლებსაც აქვთ საკუთარი სახელმწიფოებრიობის მრავალი ატრიბუტები (მაგ., უნიტარული უკრაინის შემადგენლობაში ყირიმის რესპუბლიკის არსებობა). როგორც წესი, უნიტარულ სახელმწიფოში არის მხოლოდ ერთი კონსტიტუცია, ერთიანი მოქალაქეობა, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ერთი სისტემა. უნიტარული სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებს უფრო ხშირად აქვთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფის სტატუსი, ისინი იმართებიან ცენტრალური ორგანოების მიერ მიღებული კანონების საფუძველზე. მათი ტერიტორიები შეიძლება შეიცვალოს უბრალო საერთო სახელმწიფოებრივი კანონით ადგილობრივი ორგანოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის თანხმობის გარეშე. არსებობს უნიტარული სახელმწიფოების ორი სახესხვაობა: დეცენტრალიზებული და ცენტრალიზებული. პირველად რიცხვს განეკუთვნება ისეთი სახელმწიფოები, რომლებშიც რეგიონული ორგანოები ყალიბდებიან ცენტრალური ორგანოებისაგან დამოუკიდებლად, ამიტომ იურიდიულად მათ შორის ურთიერთობები აგებულია დეცენტრალიზაციის საწყისებზე (დიდი ბრიტანეთი, ახალი ზელანდია, იაპონია, ესპანეთი, იტალია) მეორე ტიპს განეკუთვნება უნიტარული სახელმწიფოები, რომლებშიც რეგიონული ორგანოების ცენტრთან ურთიერთობები ხორციელდება ცენტრის მიერ დანიშნული თანამდებობის პირების მეშვეობით (ნიდერლანდები, ყაზახეთი, უზბეკეთი)

უპარტი მთავრობა – მთავრობათა ზოგადი სახელწოდება, რომლები იქმნება სამ განსხვავებულ სიტუაციაში. პირველი, როცა ქვეყანაში საერთოდ არ არსებობს პოლიტიკური პარტიები ან აკრძალულია და იმყოფება არარელიგიურ მდგომარეობაში (საუდის არაბეთის, ქუვეითის აბსოლუტური მონარქიები და ა.შ.) მეორე, ეს არის ე.წ. საქმიანი, ჩინოვნიკური მთავრობა, რომელიც იქმნება არა პარტიის ლიდერების, არამედ უმაღლესი ჩინოვნიკების მიერ და როგორც წესი, აქვს მოკლევადიანი ხასიათი. მისი ამოცანა ჩვეულებრივ იმაში მდგომარეობს, რომ გადალახოს საპარლამენტო ჩიხი მთავრობის ჩამოყალიბებისას, ორგანიზაცია გაუკეთოს პარლამენტის ახალი შემადგენლობის არჩევნებს („საქმიანი“ კაბინეტები ჩამოყალიბდა, მაგალითად, ფინეთში, ნიდერლანდებში, პორტუგალიაში). მესამე, განსაკუთრებული სახის უ. მ. იქმნება სამხედრო რეჟიმების დროს, ინარჩუნებენ რა თავის ხელში პოლიტიკურ ძალაუფლებას და მმართველობის მთავარ ბერკეტებს, სამხედროები ქმნიან პროფესიონალების მთავრობას, რომელსაც ისინი ავალდებულებენ ცხოვრებაში გაატარონ მათ მიერ შემუშავებული პოლიტიკა. ტექნოკრატიული უ. მ. არსებობდა სამხედრო რეჟიმების დროს არგენტინაში, ბრაზილიაში, ნიგერისა და რიგ სხვა ქვეყნებში.

უშუალო დემოკრატია (იხ. დემოკრატია).

ფ

ფაშისტური პოლიტიკური რეჟიმი – წარმოადგენს ტოტალიტარიზმის ერთ-ერთ უკიდურეს ფორმას, რომელიც ხასიათდება წარმოდგენებით იმის შესახებ, რომ მოცემული ერი დგას სხვებზე მაღლა და ეს გამოიხატება უკიდურესი აგრესიულობით. ფ. პ. რ. ეფუძნება რასისტულ დემაგოგიას, რომელიც აიყვანება ოფიციალური იდეოლოგიის რანგში. ამ იდეოლოგიის თანახმად, ადამიანები თანაბარი არიან კანონის, ხელისუფლების, სამართლის წინაშე, მათი უფლებები და მოვალეობები დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ეროვნებას, რასას მიეკუთვნებიან ისინი, ე.ი. ერთი ერი, ცხადდება უმაღლეს, ძირითად ერად და რასად, რომელსაც თითქოსდა ეკუთვნის ცხოვრების უკეთესი

პირობები. სხვა ერები კი, თუ ისინი მაინც იარსებებენ, ჩაითვლებიან არასრულფასოვან ერებად, რომლებიც საბოლოოდ უნდა განადგურდნენ. თანამედროვე პირობებში. თუმცა, ფაშისტური იდეოლოგიის აღორძინებისა და განვითარების მცდელობა დღესაც შეიძლება დავინახოთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

ფედერალიზაცია (ფედერირება) – კონსტიტუციური რეფორმა, რომელიც მიმართულია უნიტარული სახელმწიფო წყობილებიდან ფედერაციულზე გადასვლისაკენ. უკანასკნელ წლებში. ფ. ადგილი ჰქონდა ბელგიაში და ფაქტობრივად რფ-ში.

ფედერალიზმი – 1) სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის ორიდან ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გულისხმობს მის რთულ საკავშირო ხასიათს (იხ. ფედერაცია). 2) პოლიტიკური მოძრაობა ფედერაციული მოწყობისათვის.

ფედერალური კანცლერი – ფედერალური მთავრობის მეთაურების სახელწოდება გფრ-სა და ავსტრიაში.

ფედერალური პრიორიტეტის პრინციპი – ფედერაციულ სახელმწიფოებში კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპი, რომლის სხვადასხვაგვარად არაგულირებენ ერთი და იმავე საკითხს ერთობლივი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედებს ფედერაციის კანონი.

ფედერალური საკრებულო – 1) რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო (პარლამენტი). შედგება ორი პალატისაგან – ფედერაციის საბჭოსა (ზედა პალატა) და სახელმწიფო დუმისაგან (ქვედა პალატა), რომლებიც განსხვავდებიან თავისი სტატუსით, უფლებამოსილებათა ფარგლებითა და ჩამოყალიბების წესით. ფ. ს. პალატების სხდომები ცალ-ცალკე იმართება, მაგრამ შეიძლება ერთადაც შეიკრიბონ გარკვეული საკითხების განსახილველად; 2) ავსტრიის და შვეიცარიის ორპარლამენტიანი პარლამენტების სახელწოდება.

ფედერალური ტერიტორიები – ზოგიერთ ფედერაციულ სახელმწიფოში (აშშ, კანადა, ავსტრალია, ბრაზილია) განსაკუთრებული ადამინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, რომლებიც ფედერაციის შემადგენლობაში შედიან ავტონომიის (საკანონმდებლო) უფლების გარეშე და, როგორც წესი, ფედერალურ ორგანოში წარმომადგენლობის

უფლების გარეშე. ჩვეულებრივ, ფ. ტ. განეკუთვნებიან ქვეყნის მეჩხერად დასახლებული და აუთვისებელი ნაწილები, მცირე კუნძულებია და ა.შ. სადაც შეუძლებელია ან მიზანშეუწონელია ფედერაციის სრულუფლებიანი წევრების შექმნა. დღესდღეობით ავსტრალიაში არსებობს 9 ფ. ტ. ინდოეთში - 6, ბრაზილიაში - 3, ვენესუელაში - 2. მექსიკაში უკანასკნელი ფ. ტ. 1974 წელს გახდა შტატი.

ფედერაცია - სახელმწიფო წყობილების ერთ-ერთი ფორმა, წარმოადგენს რთულ სახელმწიფოს ფ. აქვს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ორი სისტემა - ფედერალური ორგანოები ახორციელებენ უფლებამოსილებებსა და ფუნქციებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მოქმედებს ფედერალური კანონები, ასევე მათი შესაბამისი ფედერაციის სუბიექტთა კანონები. ამ უკანასკნელთა მოქმედება ვრცელდება მხოლოდ მოცემული სუბიექტის ტერიტორიაზე. გადასახადების ორსახიანი სისტემა: ფედერალური და ფედერაციის სუბიექტთა გადასახადები ნებისმიერი საკითხს წარმოადგენს კომპეტენციათა გამიჯვნა სუბიექტებს შორის (იხ. ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა). არსებობს ძირითადი სახე: ა) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ბ) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული. ფ. პირველი სახე ხასიათდება იმით, რომ მასში ნებაყოფლობით ერთიანდება ორი ან მეტი სახელმწიფო, რომლის შემდეგ ისინი მთელ თავის სუვერენულ უფლებებს გადასცემენ მათთვის საერთო ცენტრალიზებულ ორგანოებს, რომლის შემდეგაც ისინი კარგავენ თავიანთ სახელმწიფოებრიობას და შედგად აღმოცენდება ერთი საერთო-საკავშირო სახელმწიფო (მაგ., ყოფილი სსრ კავშირი). ნებაყოფლობითობა და ის ფაქტი, რომ მისი სუბიექტები, ე.ი. რესპუბლიკები სახელმწიფოებს წარმოადგენენ, პრინციპში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მათ სურვილს გავიდნენ ფედერაციის შემადგენლობიდან. სახის საფუძველში კი ჩადებულია ეკონომიკური, გეოგრაფიული, სატრანსპორტო, ენობრივი და სხვა კულტურული ფაქტორები, აგრეთვე ისტორიული ტრადიციები. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ფედერაციიდან გამოყოფისა და მის ტერიტორიაზე ცალკე სახელმწიფოს შექმნაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ფ. სახელმწიფოს სუბიექტები შეიძლება იყოს შტატები, მინები, პროვინციები, რეგიონები

და ა.შ. ხშირად აქვთ საკუთარი კონსტიტუციები. ფ. კონსტიტუციის ან კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში ცენტრალურ ხელისუფლების უფლება აქვს ფ. სუბიექტის მიმართ გამოიყენოს იძულებითი ზომები (იხ. ფედერალური ინტერვენცია).

ფედერაციასა და მისი სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა-კონსტიტუციურად დაფიქსირებული საკითხების წრე, რომელზეც სახელმწიფო მმართველობის ფორმის გათვალისწინებით ფედერაციისა და მისი სუბიექტების შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები კომპეტენტური არიან მიიღონ გადაწყვეტილებები. ფედერაციულ სახელმწიფოებში კონსტიტუციები, ჩვეულებრივ, კერძოდ: ა) მხოლოდ ფედერაციის გამგებლობას მიეკუთვნებული საკითხების მიხედვით; ბ) ფედერაციისა და მისი სუბიექტების ერთობლივ გამგებლობას მიეკუთვნებულ საკითხების მიხედვით; გ) მხოლოდ სუბიექტების გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების მიხედვით. ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციებში (აშშ, რფ, ავსტრია) დადგენილია ე.წ. ნარჩენი კომპეტენციის პრინციპი, რომლის შესაბამისად ყველა ის საკითხი, რომელიც კონსტიტუციის მიერ არ არის მიკუთვნებული მხოლოდ ფედერაციის გამგებლობას (ან ერთობლივ გამგებლობას), შეადგენს ფედერაციის სუბიექტების გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს, უფლებამოსილებებს. გფრ-სა და აშშ-ის კონსტიტუციები ითვალისწინებენ უფლებამოსილებათ გამიჯვნის ხელახალი გადანაწილების შესაძლებლობას ჩვეულებრივი ფედერალური კანონის გამოცემის გზით.

ფედერაციის საბჭო – რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა. რუსეთის ფედერაციის 1993 წლის კონსტიტუციის თანახმად, სუბიექტიდან შედის ორ-ორი წარმომადგენელი: თითო-თითო სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებიდან. პირველი მოწვევის იქნა უშუალოდ მოსახლეობის მიერ ორი წლის ვადით. ფ. ს. გამგებლობას საკანონმდებლო საქმიანობის გარდა მიეკუთვნება: რფ სუბიექტებს შორის საზღვრების დამტკიცება, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის შემოღობის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების დამტკიცება, რფ პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნა, რფ

პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება, რფ საკონსტიტუციო, უზენაესი სასამართლოებისა და საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნა და ა.შ.

ფედერაციული მონყობა – ფედერაციული სახელმწიფოს ორგანიზაციის კონკრეტული ფორმა (იხ. ფედერაცია).

ფედერაციული სახელმწიფო (იხ. ფედერაცია).

ფილაქცია – კონსტიტუციურ სამართალში – მოქალაქეობის შექმნა დაბადებით. ფ. წესით მოქალაქეობის საფუძველზე. პირველ შემთხვევაში ბავშვი იძენს მშობლების მოქალაქეობას მიუხედავად დაბადების ადგილისა, მეორე შემთხვევაში კი – ბავშვი ხდება იმ სახელმწიფოს მოქალაქე, რომლის ტერიტორიაზეც ის დაიბადა მიუხედავად მისი მშობლების მოქალაქეობისა. „ნიადაგის“ პრინციპი გამოიყენება ძირითადად ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ყველაზე ხშირად ეს ორი პრინციპი გამოიყენება ერთად (იხე, როგორც საქართველოში).

ფოლკეტინგი – დანიის ერთპალატიანი პარლამენტის სახელწოდება.

ფორმალური კონსტიტუციური კონტროლი – კონსტიტუციური კონტროლის ერთ-ერთი სახე, რომლის დროსაც მონშდება, თუ რამდენად არის დაცული აქტის გამოცემასთან დაკავშირებული პირობები და მოთხოვნები, ე.ი. შედიოდა თუ არა აქტის გამოცემა მისი გამომცემელი ორგანოს კომპეტენციაში, დაცულია თუ არა პროცედურული მოთხოვნები და სათანადო ფორმით არის თუ არა გამოცემული აქტი (იხ. ასევე კონსტიტუციური კონტროლი).

ფრაქცია – (იხ. საპარლამენტო ფრაქცია).

ქ

ქვეშევრდომობა – ტერმინი, რომელიც გამოიყენება მონარქიული მმართველობის ფორმის სახელმწიფოებში მოქალაქეობის აღსანიშნავად (იხ. მოქალაქეობა).

ქონებრივი ცენზი – საარჩევნო კანონის მოთხოვნა, რომლის თანახმად საარჩევნო უფლება (აქტიური ან პასიური) ენიჭება მხოლოდ მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ

განსაზღვრული ღირებულების ქონება ან ვისაც შეაქვს არანაკლებ განსაზღვრულ თანხაზე ნაკლები გადასახადები. XIX საუკუნეში გავრცელდა თითქმის მთელ მსოფლიოში, დღესდღეობით გვხვდება იშვიათად, რადგანაც ეწინააღმდეგება მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპებს. შენარჩუნებულია, მაგალითად, კანადაში, სადაც პარლამენტის ზედა პალატაში (სენატში) შეიძლება არჩეული იქმნეს მხოლოდ ის მოქალაქე, რომელსაც აქვს მინიმუმ 4000 დოლარის ღირებულების უძრავი ქონება.

ღ

ღირსებისა და პატივის ხელშეუხებლობა – ადამიანის თავისუფალი განვითარების უმნიშვნელოვანესი გარანტია, რომლის თანახმად არავის არ აქვს უფლება, აწამოს პირი, არაპუმანურად და სასტიკად მოეპყროს მას, მის წინააღმდეგ მიმართოს ისეთ მოქმედებას ან გამოიყენოს ისეთი სასჯელი, რომელიც ლახავს ადამიანის ღირსებებსა და პატივს. განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლში.

შ

შარიათი – მუსულმანური სამართალი, რომელიც ზოგიერთ სახელმწიფოში (მაგ. საუდის არაბეთი, ირანი, პაკისტანი) აქვს უფრო მეტი იურიდიული ძალა, ვიდრე კანონს და თვით კონსტიტუციასაც კი.

შეზღუდული მონარქია (იხ. კონსტიტუციური მონარქია).

„შეკავებისა და განონასწორების“ სისტემა – აშშ-ში არსებული ხელისუფლების დანაწილების სისტემის განსაკუთრებული მოდელი. ამ მოდელის შესაბამისად საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები დაყოფილია არა მხოლოდ ორგანიზაციულად, არამედ ფორმალურად და მთლიანად დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. ყოველ ხელისუფლებას გააჩნია უფლებამოსილებები, რომლებიც საშუალებას აძლევს მას გააკონტროლოს და შეზღუდოს სხვა ხელისუფლებები. არც ერთ ხელისუფლებას არა აქვს არც ფორმალურად, არც

ფაქტობრივად უზენაესობა, რაც უკვე 200 წელია უზრუნველყოფს აშშ-ს კონსტიტუციური სისტემის განსაკუთრებულ მდგრადობას.

შეკრების თავისუფლება – მოქალაქეთა ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკური უფლება, რომელიც წარმოადგენს მოქალაქეთა შესაძლებლობას – შეიკრიბონ დახურულ შენობაში – ჭერქვეშ, რომელში შესვლაც გარკვეულწილად შეიძლება შეიზღუდოს შეკრების მომწყობთა მიერ. კანონმდებლობით შეიძლება დანესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, რომლის დროსაც ხელისუფლების კომპენენტურ ორგანოებს წინასწარ აფრთხილებენ მომავალი შეკრების, მისი ჩატარების დროის, ადგილისა და თემატიკის შესახებ, თუმცა შეიძლება არც იყოს ასეთი მოთხოვნა. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 25-ე მუხლი განამტკიცებს რა შ. თ. ითვალისწინებს შეკრების შესაძლებლობას საჯაროდ და უიარალოდ როგორც ჭერქვეშ, ისე ღია ცის ქვეშ. საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია შეწყვიტოს შეკრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. ამასთან ერთად, კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი ითვალისწინებს შ. თ. აკრძალვას გარკვეული კატეგორიის პირებისათვის, კერძოდ, ეკრძალებათ სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში მყოფ პირებს.

შერეული საარჩევნო სისტემა – რიგ სახელმწიფოებში (საქართველო, რუსეთი, ლიტვა, გერ და ა.შ.) საარჩევნო სისტემა, რომელიც დაფუძნებულია წარმომადგენლობის ორი სისტემის – პროპორციულისა და მაჟორიტარული შერწყმზე (იხ. პროპორციული საარჩევნო სისტემა და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა).

ც

ცენზურა – ოფიციალური ხელისუფლების კონტროლი ნაბეჭდი პროდუქციის, სასცენო დადგმების, რადიო და სატელევიზიო გადაცემების შინაარსზე, გამოცემებისა და შესრულებაზე იმ მიზნით, რომ არ დაუშვას ან შეზღუდოს ამ ხელისუფლებისათვის მიუღებელი იდეებისა და ცნობების გავრცელება. განხორციელების მიხედვით ც. იყოფა წინასწარ

და შემდგომად. წინასწარი ც. გულისხმობს ნებართვის მიღებას წიგნის გამოსაცემად, პიესის დასადგმელად და ა.შ., ხოლო შემდგომი – მდგომარეობს უკვე გამოქვეყნებული გამოცემების შეფასებასა და მათ მიმართ ამკრძალავი ან შემზღუდავი ღონისძიებების გატარებაში, თუ ისინი არღვევენ ც. მოთხოვნებს. თანამედროვე კონსტიტუციების უმრავლესობა აღიარებს ინფორმაციის თავისუფლებას და ამით პირდაპირ კრძალავენ ც. (მათ შორის საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 23-ე მუხლის II პუნქტი). თუმცა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოში ც. დასაშვებია საგენგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის პერიოდში.

ძ

ძირითადი კანონი – ცნება, რომელიც ძირითადად ემთხვევა აზრობივად „კონსტიტუციის“ ცნებას იმ ქვეყნებში, სადაც ეს უკანასკნელი არსებობს ერთიანი აქტის სახით (მაგ. გფრ). ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., მონღოლეთი, რუსეთი 1993 წლამდე) ტერმინი „ძ. კ.“ გამოიყენება ოფიციალურად ტერმინ „კონსტიტუციასთან“ ერთად. ზოგიერთ ქვეყანაში „ძ. კ.“ სინონიმს წარმოადგენს ტერმინი „უზენაესი კანონი“. სწორად ამგვარ ტერმინს ამკვიდრებს საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი.

წ

წოდებითი წარმომადგენლობა – წარმომადგენლობითი ხელისუფლების ორგანიზაციის პრინციპი, რომლის შესაბამისად წარმომადგენლობითი დაწესებულების ორგანიზაციის პრინციპი, რომლის შესაბამისად წარმომადგენლობითი დაწესებულების დეპუტატები წარმომადგენენ ქვეყნის არა მთელ მოსახლეობას ან მის ცალკეულ ტერიტორიულ ნაწილებს, არამედ დახურულ სოციალურ-წოდებრივ ჯგუფებს, საიდანაც ეს დეპუტატები უშუალოდ აირჩევენ (ან ინიშნებიან). წ. წ. იყო ისტორიულად პირველი წარმომადგენლობითი მონარქიები აღმოცენდა ჯერ კიდევ XIII ს.) და იარსება ევროპის ბევრ სახელმწიფოში XX საუკუნის დასაწყისამდეც კი, როცა საბოლოოდ დაუთმო ადგილი ეროვნულ წარმომადგენლობას. დღესდღეობით, წ. წ.

რუდიმენტს წარმოადგენს, მაგალითად, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ლორდთა პალატა, რომელშიც თავს იყრიან მხოლოდ სასულიერო და საერო ლორდები.

ბ

ხალხი – კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში ცნება, რომელიც ჩვეულებრივ გულისხმობს მოცემული სახელმწიფოს მთელ მოსახლეობას და რომელიც ქმნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ერთობას მიუხედავად მისი დაყოფისა რაიმე ეროვნული ნიშნების მიხედვით. ამ გაგებით, თანამედროვე კონსტიტუციები საუბრობენ ხ. შესახებ, როგორც სახელმწიფოში „სუვერენიტეტის მატარებელზე“ და ხელისუფლების წყაროზე (მაგ., საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-5 მუხლი). ცნება „ხ“. შეიძლება ასევე აღნიშნავდეს ეროვნულ-კულტურული ერთობების განსხვავებებს, რომელიც შეიძლება იყოს დაკავშირებული რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიასთან (ამ შემთხვევაში ტერმინი „ხ“. წარმოადგენს ტერმინი „ერის“ სინონიმს).

ხელისუფლების დანაწილება – კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი პრინციპი, რომლის თანახმად ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლება იყოფა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო (ხანდახან მათ ემატებათ დამფუძნებელი, საარჩევნო და მაკონტროლებელი) ხელისუფლებებად. ხ. დ. პრინციპი პირველად და მეტ-ნაკლები თანამიმდევრობით ჩამოყალიბებულ იქნა აშშ-ს 1787 წლის კონსტიტუციაში, სადაც სამი ხელისუფლება არა მარტო დანაწილებულია, არამედ ისინი აკონტროლებენ ერთმანეთს ე.წ. „შეკავებისა და განონასწორების“ სისტემის მეშვეობით (იხ. შეკავებისა და განონასწორების სისტემა). ხ. დ. პრინციპი შედარებით ნაკლები თანამიმდევრობითაა გატარებული საქარლამენტო სახელმწიფოებში, რადგან იქ პარლამენტს ეკუთვნის ფორმალური უზენაესობა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან შედარებით. საქართველოში ხ. დ. პრინციპი განმტკიცებულია 1995 წლის კონსტიტუციის მე-5 მუხლის IV პუნქტში. დღესდღეობით, ხ. დ. პრინციპი ოფიციალურად არის უარყოფილი ე.წ. სოციალისტური ქვეყნების

სახელმწიფო-სამართლებრივი დოქტრინის მიერ (ჩინეთი, კსდრ, ლაოსი, კუბა, ვიეტნამი), ასევე მონარქიული მმართველობის მქონე ქვეყნების მიერ (საუდის არაბეთი, ომანი, ვატიკანი).

ხელისუფლების დანაწილების თეორია – პოლიტიკურ-სამართლებრივი დოქტრინა, რომლის თანახმად სახელმწიფო ხელისუფლება გაგებულია, არა როგორც ერთიანი, არამედ როგორც სხვადასხვა სახელისუფლო (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) ფუნქციების ერთობლიობა, რომლებსაც ახორციელებენ ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები. იდეა ხელისუფლების დანაწილების შესახებ, რომელიც გამოითქმებოდა ჯერ კიდევ ანტიკური და შუასაუკუნეების მოაზროვნეების სახით ჩამოყალიბებული იქნა XVIII საუკუნის შუა ხანებში შ. მონტესკიეს მიერ. მოძღვრებამ ხელისუფლების დანაწილების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ბუნებით სამართალთან, ისტორიულად შეასრულა პროგრესული როლი ბურჟუაზიის აბსოლუტიზმთან ბრძოლაში. თანამედროვე ეპოქაში ხელისუფლების დანაწილების პრინციპი წარმოადგენს კონსტიტუციონალიზმის ქვაკუთხედს.

ხელისუფლების შესაპარლამენტო ორგანოები – ზოგიერთ სახელმწიფოში განსაკუთრებული წარმომადგენლობითი დაწესებულებები, რომლებიც იკრიბებიან პერიოდულად სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველაზე უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად (კონსტიტუციის მიღება ან შეცვლა, პარლამენტის არჩევა და როტაცია და ა.შ.) და წარმოადგენენ ზემდგომ ორგანოს მუდმივმოქმედ პარლამენტთან შედარებით. ასე, მაგალითად, ხ. ზ. ო. წარმოადგენდა სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა ყრილობები. დღესდღეობით, ხ. ზ. ო. მაგალითს წარმოადგენს სახალხო-საკონსულტაციო საბჭო ინდონეზიაში, რომელიც შედგება ერთპალატიანი პარლამენტის წევრებისა და იმ პრეზიდენტის საზოგადოების ფუნქციონალური ჯგუფებიდან. ამ ორგანოს უფლებამოსილებაში შედის განვითარების 5-წლიანი პროგრამის მიღება, ასევე ქვეყნის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი, მეჯლისის (პარლამენტის) დეპუტატები, ხალხის მიერ ყოველი რაიონიდან არჩეული მრჩეველები, უმაღლესი სასამართლო, უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს თავმჯდომარეები, გენერალური პროკურორი,

მინისტრთა კაბინეტის წევრები, ადგილობრივი ადმინისტრაციების მეთაურები. სახალხო კრება წყვეტს საკითხებს კონსტიტუციის შეცვლის, რეფერენდუმის გამართვის, ომის გამოცხადების და სხვა საკითხების აუცილებლობის შესახებ და ამისათვის იკრიბება ჩვეულებრივ წელიწადში ერთხელ.

ხელისუფლების სუნიტური კონცეფცია – ისლამური სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოძღვრების ერთ-ერთი მიმდინარეობა ხელისუფლების ცენტრალურ ინსტიტუტად მიიჩნევს ხალიფას, რომელიც ერთიდაიმავე დროს გვევლინება რა როგორც სახელმწიფოს მეთაური და მართლმორმუნე თემის მეთაური, აღჭურვილია პოლიტიკური და სასულიერო უფლებამოსილებით. რიგ სახელმწიფოებში მონარქი მართალია არ ითვლება ხალიფად, მაგრამ ის მაინც ითვლება თავისი ქვეშევრდომების სულიერ მეთაურად. მაგ. საუდის არაბეთის მეფეს მინიჭებული აქვს უზენაესი რელიგიური ხელისუფლება, მაროკოს მეფე არის მართლმორწმუნეების ემირი და აკონტროლებს ისლამური წესების დაცვას ხ. ს. კ. ისლამური სახელმწიფოს ორგანიზაციისა და საქმიანობის საფუძველში დებს სათათბირო პრინციპს (აშურას): სახელმწიფოს მეთაურთა რელიგიური მოღვაწეობისაგან იქმნება სათათბირო ორგანო. მაგალითად, კატარის 1972 წლის დროებითი კონსტიტუციის 17,40 და 41-ე მუხლების თანახმად, ემირს კანონების მიღება შეუძლია მხოლოდ მის მიერ შექმნილ სათათბირო საბჭოს კონსულტაციის შემდეგ.

ხელისუფლების შიიტური კონცეფცია – ისლამური სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოძღვრების ერთ-ერთი მიმდინარეობა. ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტად თვლის იმამატს, ე.ი. მთელი ძალაუფლების თავმოყრას უცოდველი იმამის – ნახევრად ღვთაებრივი მბრძანებლის ხელში, რომელიც დგას სახელმწიფოზე და საზოგადოებაზე მალა. მაგალითად, ირანის კონსტიტუცია, აფუძნებს რა წინამძღოლის (ფაყიჰას) ინსტიტუტს, რომელიც პრეზიდენტზეც მალა დგას, აცხადებს მას სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების მიერ ისლამის დაცვის გარანტიად, ხოლო 57-ე მუხლი ადგენს, რომ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში სახელმწიფოს მმართველობა ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მიერ იმამის ზედამხედველობის ქვეშ.

წინამძღოლი ნიშნავს საწინამძღოლო საბჭოს წევრებს, გენერალურ პროკურორს, უმაღლესი სასამართლოს თავჯდომარეს, სამხედრო ძალების უმაღლეს სარდლებს, თანამდებობაზე ამტკიცებს პრეზიდენტს და გადააყენებს მას საზედამხედველო საბჭო გადაწყვეტილების შემთხვევაში და ა.შ. საზედამხედველო საბჭო იძლევა დასკვნებს პარლამენტის მიერ მიღებული აქტების შესაბამისობაზე შარიათის ან კონსტიტუციის ნორმებთან. მსგავსი ორგანოები არის ზოგიერთ სხვა მუსულმანურ ქვეყნებშიც (მაგ. ერაყში, საუდის არაბეთში).

ხურალი – ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ტრადიციული სახელწოდება მონღოლეთში.

ჯ

ჯერიმენდერინგი („საარჩევნო გეოგრაფია“) – ტერმინი, რომელიც გამოიყენება აშშ-ში საარჩევნო ოლქების შექმნის მანკიერი მეთოდის აღსანიშნავად. ჯ. დროს ირღვევა თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპი (დეპუტატების თანაბარი რაოდენობა ამომრჩეველთა თანაბარი რაოდენობა). ოპოზიციური პარტიის ამომრჩეველთა კონცენტრაციის მიზნით ერთ ან რამოდენიმე ოლქში და უპირატესობის მოსაპოვებლად სხვა ოლქებში, იქმნება ოლქები ამომრჩეველთა არათანაბარი რაოდენობით, ასევე ირღვევა ტერიტორიული პრინციპი და აღმოცენდება უცნაური ფორმის ოლქები. ტერმინი „ჯ“. აღმოცენდა 1812 წელს, როცა კარიკატურისტმა გამოსახა სალამანდრას სახით მასაჩუსეტსის შტატის ერთ-ერთი ასეთი საარჩევნო ოლქი, ხოლო გაზეთის გამომცემელმა ამ ნახატს დაარქვა ცერაყმანდერ (ამ დროს შტატის გუბერნატორი იყო ე. ჯერი – E. Gerry). კანონები, რომლებიც მიღებულ იქნა აშშ-ში 1842, 1872, 1902 წწ. მოითხოვენ კომპაქტური საარჩევნო ოლქების შექმნას, თუმცა, ჯ. პრაქტიკა გრძელდებოდა შემდგომშიც.

„ჯიბის“ ვეტო – აშშ-ის პრაქტიკაში განსაკუთრებული ხერხი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გამოიყენოს პრეზიდენტმა იმისათვის, რომ არ დაუშვას მისთვის არარსებული კანონპროექტის ძალაში შესვლა. აშშ-ს კონსტიტუციის თანახმად პრეზიდენტი ან უნდა დაეთანხმოს ან უარყოს კონგრესის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი

10 სამუშაო დღის განმავლობაში. თუ კანონპროექტი გადაეცა პრეზიდენტს კონგრესის მოცემული სესიის დამთავრებამდე 10 დღეზე ნაკლებ ვადაში, პრეზიდენტს შეუძლია შეაყოვნოს ეს კანონპროექტი (არ გამოიტანოს მის შესახებ რაიმე გადაწყვეტილება) სესიის დახურვამდე, რის შედეგადაც კანონპროექტი, დისკონტინუიტეტის წესის თანახმად, ჩაითვლება უარყოფილად.

ჯუნტა-იტალიური ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში კოლეგიალური ადმინისტრაციული (ალმას-რულებელი) ორგანო, რომელიც აირჩევა კომუნების, პრინციპებისა და ოლქების საბჭოების მიერ მრჩეველთა შემადგენლობიდან. ჯ. თავისი საქმიანობის შესახებ უნდა შეატყობინოს საბჭოს ყოველ სხდომაზე. საოლქო და პროვინციული ჯ. თავმჯდომარე თავმჯდომარეობს საბჭოს, აქვეყნებს მის აქტებს, ხელმძღვანელობს ყოველდღიურ ადმინისტრაციულ სამუშაოს.

3

ჰაბეას დატა (ლათინური ჰაბეას დატა) – ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციურ სამართალში მოქალაქის პირადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ერთ-ერთი უახლესი იურიდიული ინსტრუმენტი. პირველად განმტკიცებულ იქნა ბრაზილიის 1988 წლის კონსტიტუციაში. გულისხმობს თითოეული ადამიანის (ან მხოლოდ მოქალაქის) უფლებას სასამართლო წესით მოითხოვოს მის შესახებ არსებული იმ ნებისმიერი მონაცემების გაცნობა, რომლებიც ინახება ნებისმიერ არქივში და დაწესებულებებში, მათ შორის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის არქივების ჩათვლით. მის დაახლოებით ანალოგიას წარმოადგენს ინგლისური ინსტიტუტის ჰაბეას კორპუსი.

ჰაბეას კორპუსი (ლათინური ჰაბეას კორპუს) – ინგლისური პროცესუალური სამართლის ინსტიტუტი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში დაინტერესებულ პირებს ანიჭებს უფლებას მოითხოვონ დაკავებულის ან დაპატიმრებულის სასამართლოში წარდგენა თავისუფლების აღკვეთის საფუძვლების შესამოწმებლად. თავისი სახელწოდება ჰ. კ. მიიღო მოსამართლის ბრძანების პირველი სიტყვებიდან თავისუფლება აღკვეთილი პირის

სასამართლოში წარმოდგენის შესახებ: „ჩაბეას ცორპუს ად სუბჯეციენდუმ“ („შენ მოვალე ხარ წარმოადგინო პიროვნება სასამართლოში“). ეს ინსტიტუტი აღმოცენდა ჯერ კიდევ XV საუკუნეში და საბოლოოდ იქნა გაფორმებული 1679 წ. „ჰაბეას კორპუს აქტი“. დღესდღეობით პ. კ. ფართოდ გავრცელდა მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში (პირველყოვლისა ანგლოსაქსურ სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებსა და ლათინურ ამერიკაში), როგორც პირადი ხელშეუხლებლობის უფლების ყველაზე საიმედო კონსტიტუციური გარანტია.

**В.П. ГУРГЕНИДЗЕ, М.В. ГУРГЕНИДЗЕ
Т.Р. УРТМЕЛИДЗЕ**

**Конституционное право
исламской республики Иран
и политико-религиозные
институты**

(на грузинском языке)

**Университет международных
отношений Грузии**

Издательство

Тбилиси 2010

ტექნიკური რედაქტორი: ე. ზღუდაძე
კორექტორი: ნ. გურგენიძე

ტირაჟი: 500

ფასი: სახელშეკრულებო

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა
უნივერსიტეტის გამომცემლობა.

თანაავტორის შესახებ

ვაჟა პლატონის ძე გურგენიძე, ეროვნებით ქართველი, დაიბადა 1949 წლის 16 ივლისს ქ. აბასთუმანში, პედაგოგთა ოჯახში. 1972 წელს წარჩინებით დაამთავრა კუბანის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით ისტორია-სამართალი. 1983 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 2002 წელს ამავე უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაცია სპეციალობით 23.0002 „პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტები და პროცესები“. 1976-1978 წლებში მოღვაწეობდა შეიარაღებულ ძალებში ბრიგადის უფროსის მოადგილედ. 1978 წლიდან მუშაობდა ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრის უფროს მასწავლებლად. 1982 წლიდან 2001 წლამდე მოღვაწეობდა საქართველოს შს პოლიციის აკადემიაში ზოგადიურიდიული დისციპლინების კათედრის დოცენტად, კათედრის პროფესორად, სამეცნიერო განყოფილების უფროსად და კათედრის გამგედ. 1991-1993 წლებში მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში (ცხინვალი, ჯავა, გაგრა, სოხუმი). საქართველოს მთავრობის მიერ არის მრავალჯერ დაჯილდოებული, მათ შორის ორდენით „მხედრული მამაცობისათვის“. 2001 წელს არჩეულია თსუ-ს ბიზნესის სამართლის კათედრის სრულ პროფესორად. 2007 წელს არჩეულია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრულ პროფესორად და აკადემიური საბჭოს წევრად. არის საერთაშორისო სერტიფიკატების მფლობელი სასწავლო დისციპლინებში – „პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია“, „საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია“, „კონსტიტუციური სამართალი და პოლიტოლოგია“. გამოქვეყნებული აქვს 12 მონოგრაფია და 7 სამეცნიერო სტატია.

თანაავტორის შესახებ

მირანდა ვაჯას ასული გურგენიძე დაიბადა საქართველოში, თბილისში 1980 წლის 29 აპრილს. 1996 წელს დაამთავრა თბილისის №173 საშუალო სკოლა, 2001 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი (სამართალმცოდნეობის სპეციალობით). 1999-2002წ. მუშაობდა შსს სასწავლო ცენტრის სასწავლო განყოფილებაში ინსტრუქტორად; 2002-2005წ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს იურიდიული სამმართველოს იურისკონსულტანტად; 2005-2007წ. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში იურისკონსულტანტად; 2007-2008წ. შპს „გბთ“ საერთაშორისო სამედიცინო კოლეჯში – იურისტად; 2007 წლიდან დღემდე სს „ენერჯია XXI“-ის იურიდიული სამსახურის უფროსად. 2002წ. წარმატებით ჩააბარა პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა; 2004წ. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა; 2005წ. მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა; 2005წ. საარჩევნო მოხელის საკვალიფიკაციო გამოცდა; 2008 წ გაკოტრების სამართლის კურსები გტზ. ამჟამად არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის დოქტორანტი, გამოქვეყნებული აქვს ოთხი სამეცნიერო სტატია და ერთი მონოგრაფია თანაავტორობით, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

თანაავტორის შესახებ

თამაზ რუბენის ძე ურთმელიძე დაიბადა საქართველოში, ცაგერში 1975 წლის 11 აპრილს, პედაგოგთა ოჯახში. 1992 წელს დაამთავრა სოფელ ლაჯანის ფიზიკა – მათემატიკური საშუალო სკოლა. 1999 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი (მენეჯმენტის ფაკულტეტი). 2002 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით, 2003 წელს წარმატებით ჩააბარა მოსამართლეობის და პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა, ხოლო 2004 წელს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2009 წლიდან დღემდე მუშაობს მოსამართლედ ბოლნისის რაიონულ სასამართლოში. 2006-2009 წლებში მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ. 2006 წელს ცაგერის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ. 2004-2006 წელს საადვოკატო კომპანია „პარტნიორიში“ ადვოკატად. ხოლო 1997-2004 წლებში საქართველოს იუსტიციის საბჭოში სასამართლო პერსონალის დეპარტამენტის უფროსად. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



საქართველოს

საერთაშორისო ურთიერთობების

უნივერსიტეტი

www.ssuu.edu.ge

აცხადებს მიღებას აკრედიტებულ
საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო
პროგრამებზე შემდეგი მიმართულებებით:

სამართალმცოდნეობა;
საერთაშორისო ურთიერთობები;
საერთაშორისო ეკონომიკა;
საერთაშორისო გადაზიდვები;
ფინანსები და საბანკო საქმე;
საგადასახადო-საბაჟო საქმე;
აღრიცხვა, აუდიტი და კონტროლი;
ბიზნესის მართვა.



აბიტურიენტებს, შეუძლიათ
სომხურ ან აზერბაიჯანულ
ესაბე ჩააბარონ ზოგადი
უნარების გამოცდა და
ჩაირიცხონ ქართული ენის
ერთნლიან პროგრამაზე,
რომლის დასრულების შემდეგაც
სწავლა გააგრძელონ მათთვის
სასურველ საბაკალავრო
პროგრამაზე.





საქართველოს

საერთაშორისო უნივერსიტეტი

სსუ-ს ბიზნესი

www.ssu.edu.ge

პროფესიული სწავლების ცენტრი
აცხადებს შიდას
სახელობა საგანმანათლებლო პროგრამებზე

- ორთოპედიული სტომატოლოგია;
- მედიცინა;
- ბუღალტერია;
- ოფისის მენეჯერი;
- შეფ-მზარეული.

სასერთისფერო პროგრამებზე

- კომპიუტერული საოფისე პროგრამები;
- ინგლისური ენა;
- გერმანული ენა;
- ზოგადი უნარები;
- საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობა და პროცედურები;
- საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამები.

დეტალური ინფორმაციისათვის
მოგვმართეთ ან
იხილეთ ვებ-გვერდი

